საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

სელებები®

№1(680) • 6–12 ია

1,50 ლარი

...selebi.ge

გვ. 10

რის გამო ტიროდა გიორგი ყიფშიძე პატარა გავშვილით

გვ. 14

როგორ გაატარეს ახალი წელი საქართველოში პირველად 23 წლის შემდეგ გოჩა ჩერტკოევმა და შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევმა

გვ. 79

რაში აპირებს ელენე კალანდაძე „ერთი ერთში" მოგებული თანხის დახარჯვას და ვინაა მისი „ნამგარ ვან ფანი"

გვ. 47

რით მიიღბა რუსელი საზიგაღოების ყურადღებას ულგრისგა ნანელი მეკარდნაძე, მოსპოის ყველაზე გლამურული სალამოზე, ორნალ „ბანდერის" მიერ გამართულ მეჯლისზე

გვ. 18

**რატომ ვერ მეწვა სანდა „ბიგბოსის" და „ბაბ ნოროსების" ლეგენდარული ნან

ვლა**

გვ. 72

რისგან აშინებენ იაპონელები ნაძვის ხეს და რას შეიგენ ახალ წელს ბალიმის ქვეშ გაჩვევს

გვ. 75

როგორ უნდა მივეკარით ზამთარში საბის „ბანს" და თმას და როგორ მივხედოთ გარეგნობას საახალწლო სუფრის შემდეგ

გვ. 7

რა სიურპრიზი მოუწყო სტუდია „გვირილამ" გავშვებს საახალწლოდ

გილოცავთ ქრისტეშობას!

გვ. 23

ვისთვის არის მაშო მელქაძე შტერი და ცანცარა
გოგო და რატომ არის ის სხვა განზომილებაში

როგორ
ცხოვრობს
ვერა
ქობალია
თბილისში
და რატომ
გაიცნო მან
ქმარი
სამჯერ

ვინ შეადარა ლიონელ მესის ნიუ-იორკში
მცხოვრები ქართველი მსახიობი ზურა
მაჭარაშვილი და სად შეხვდა ის მაიკლ ჯექსონს

ვის უნდა
მიენიჭოს
„მანდილოსნის"
ტიტული და
არის თუ არა
საქართველოს
სამეფო
სახლი ქეთი
დევდარიანის
მეზა

HAIRLINE
INTERNATIONAL

თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE

გადანერგილია
ჰეპლპინში

230 00 30

ქავთარაძის ქუჩა 16

www.hairline.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

როგორ უნდა შეუთავსოს ირაკლი ღარიბაშვილმა კახური პირდაპირობა კირჩხიბის დიპლომატიურობას და რაში შეუშლის ხელს გიორგი მარგველაშვილს მამალი.....4

რატომ ემართებათ „ტრამვაის კომპლექსი“ პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებს ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ და რით ჰგვანან ერთმანეთს გამსახურდიას, შევარდნაძის, საკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლებები .. 6

რატომ არის ევროპისთვის უფრო მომგებიანი გაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ტრანსპორტირება და რა როლის შესრულება შეუძლია საქართველოზე გამავალ შაჰდენიზის მილსადენს რუსეთის ენერგოიმპერიის გასანეიტრალებლად.....8

რა საქმიანობას ეწეოდა გიორგი ონიანის მამა შპს „ხინკლისა და მწვადის სამყაროში“...9

როგორ წერდა ზღაპრებს შალვა ნათელაშვილი და ვის უთვლიდა ის ლუკმას ... 12

ვინ შეადარა ლიონელ მესის ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი მსახიობი ზურა მაჭარაშვილი და სად შეხვდა ის მაიკლ დუგლასს 13

ადვოკატი გირჩევთ 16

ინტიმური საუბრები 17

არის თუ არა დამნაშავე ქალი ღალატში, როცა რომანტიკული ურთიერთობის მოთხოვნილება უჩნდება 20

რუსეთში მცხოვრები ქალბატონი დეიდაშვილს წყალტუბოში ეძებს 21

რა შემთხვევაში იქნება მაცხოვრის შობის დახმარებით ადამიანი გამოხსნილი საკუთარი ცოდვებისგან და როდის არ აქვს ამ დღეს ქრისტიანისთვის არანაირი მნიშვნელობა 24

მოძღვარი გვირჩევს 25

რით არიან დაკავებული ფეხბურთის ვარსკვლავები კარიერის დასრულების შემდეგ 26

ფარელ უილიამსი: 2013 წლის ნომერ პირველი ვარსკვლავი მსოფლიო შოუ-ბიზნესში 27

2013 წლის მილიარდერების ტოპ-ათეული ... 27

ყველა დროის ყველაზე ლამაზი პირველი ქალბატონები 27

ექიმის რჩევები.....29

ვინ სტანჯავდა რევაზ ლაღიძეს და როგორ გახდა ბურთზე შეყვარებული ბიჭი კომპოზიტორი 30

არის თუ არა შობის ვარსკვლავი ასტროლოგიის გამართლება 31

რატომ არ შეიძლება ცუდი განწყობით საჭმლის გაკეთება და რისგან ვიცავთ თავს სარკის ჯიბით ტარებისას 32

კოსმეტოლოგის რჩევები 34

ვინ გასცა ბაილოვის ციხიდან სტალინის გაქცევის გეგმა 35

შეკითხვა ასტროლოგს 36

რას უნდა დავაკვირდეთ 2014 წელს საკუთარ ბინაში და როგორ გავაძლიეროთ იღბალი 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი 45

როგორ გაიტაცეს და გადამალეს ტონა-ნახევარი ოქრო ქართველმა პარტიულმა ჩინოვნიკებმა 48

ეჭვიანობის გამო ცოლმა ქმრის დანაშაულები გამოააშკარავა 49

ვეტერინარის რჩევები 50

ფლორის სამყაროში.....50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს.....51

განგების ხელით.....57

ქურდული ცხოვრება.....64

რა ტრაგედია დატრიალდა კახეთის სამეფო ოჯახში 1511 წელს. ..... .68

ვისთვის გახდა ამერიკიდან საქართველოში ვაჟა მანია სანტა კლაუსი და რატომ უწევს მას ბოსტონში მუდმივად მონოდების სიმაღლეზე ყოფნა 70

რისგან ამზადებენ იაპონელები ნაძვის ხეს და რას უდებენ ახალ წელს ბალიშის ქვეშ ბავშვებს 72

როგორ უნდა მოვუაროთ ზამთარში სახის კანსა და თმას და როგორ მივხედოთ გარეგნობას საახალწლო სუფრის შემდეგ 75

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა აზობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ებ ი

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: ბოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა აზობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა აზობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაგელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაგელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა ნერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა აზობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეიფუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
დირექტორი: გუგა აზობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჭავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

იმ მარტივი მიზეზით, რომ იქ, ხელისუფლებაში მყოფნიც უბრალო მოკვდავები არიან და ჩვეულებრივი ხორციელი არსების მსგავსად, ძალიან კონკრეტულ დროს მოევლინენ ამ ქვეყანას, ვარსკვლავები მათ ბედისწერაზეც ახდენენ გავლენას. როგორი იქნება 2014 წელი ქართული პოლიტიკის ყველაზე მაღალ სიმაღლეებზე მოხვედრილი პერსონებისთვის: რით დაეხმარებიან და შეუშლიან ხელს მათ პოლიტიკურ კარიერას ციური მნათობები, რა წერია მათი ბედისწერის წიგნში და აქვთ თუ არა წარმატების მიღწევის კოსმოსური პოტენციალი? – მიხეილ ცაგარელი შეაფასებს ჩვენი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ფიგურების მომავალს უახლოესი ერთი წლის განმავლობაში.

როგორ უნდა შეუთავსოს ირაკლი ღარიბაშვილმა კახური პირდაპირობა კირჩხიბის დიპლომატიურობას და რაში შეუშლის ხელს გიორგი მარგველაშვილს მამალი

ირაკლი ღარიბაშვილს რთული პერიოდი ელის: თებერვალში, აპრილ-მაისსა და ნოემბერში

– პრემიერ-მინისტრით დავიწყოთ: როგორი წელი იქნება 2014 ირაკლი ღარიბაშვილისთვის?

– პრემიერ-მინისტრი კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნითაა დაბადებული, მაგრამ მასზე დიდი გავლენა აქვს ტყუპებს, რაც ეტყობა კიდეც მეტყველებისას: სწრაფად ლაპარაკი უყვარს. ეს ტყუპების ელემენტია. ხოლო კირჩხიბი მას აძლევს: ინტუიციას, ემოციურობას. ეს წელიწადი მისთვის იქნება ტრამპლინი, მნიშვნელოვანი დასაწყისი შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომავალ წელს, პოლიტიკური თვალსაზრისით, მთლად სტაბილური და ია-ვარდით მოფენილი პერიოდი არ გველის: საკმაოდ მნიშვნელოვანი დაძაბულობა იქნება. მათ შორის, მთავრობასა და ოპოზიციას შორის. პირველი მნიშვნელოვანი გამოცდა პრემიერ-მინისტრს იანვარ-თებერვალში ელის. მეორე მნიშვნელოვანი ზონაა აპრილ-მაისი და ბოლოს – ნოემბერი. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდებში ის გაივლის კოსმიურ გამოცდებს და იმისდა მიხედვით, თუ როგორ დაძლევს ამ სირთულეებს, ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული მისი შემდგომი წინსვლა.

ამასთან, ბევრი ახალი სახე გამოჩნდება, მათ შორის, პოლიტიკურ ასპარეზზე: როგორც მომხრეები, ისე მისი მოწინააღმდეგეები. საერთოდ, მომავალი წელი დახუნძლულია ახალი იდეებითა და ახალი ლიდერებით. 2014 ცხენის წელიწადია, რომელიც არ არის გველივით ფლეგმატური და სასწაული სიჩქარით აამოძრავებს ყველას: პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს და არ მისცემს მათ მიძინების უფლებას. მთავარია, ცხენი ამ ჭენებ-ჭენებაში არ გადავტვირთოთ, სულსწრაფობამ არ გვძლიოს და შეცდომები არ დავუშვათ. იმედი მაქვს, რომ პრემიერ-მინისტრი უფრო კარგად გაივლის წლის პირველ ნახევარს, იმიტომ რომ, აგვისტომდე გამარჯვების პლანეტა იუპიტერი კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამდენად, მას საკუთარი პოზიციის, იდეების დამკვიდრების, პოპულარობისა და გავლენის სფეროს გაფართოების დიდი შესაძლებლობები მიეცემა. ყოველ შემთხვევაში, მისი საუკეთესო პერიოდია აგვისტომდე, მაგრამ შემდეგ, როდესაც გამარჯვების პლანეტა იუპიტერი დატოვებს კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანს და გადავა ლომის ზოდიაქოში, სიტუაცია შეიცვლება. და, თუ პრემიერ-მინისტრმა შეცდომები დაუშვა წლის პირველ ნახევარში, მეორე ნახევარში შესაძლოა, უფრო რთული კოსმიური გამოცდების პერიოდი დაუდგეს. შემდგომი წელი, ასევე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეფორმებს მოითხოვს. ცალკე თემაა, რამდენად მზად იქნება ის ამ რეფორმებისთვის. უმჯობესია, ყველაფერი მოასწროს აგვისტომდე.



ირაკლი ალასანია ხმას არ იღებს და ავანსცენაზე არ გამოდის. სწორადაც იქცევა, იმიტომ რომ, 2013 მისთვის ცუდი წელიწადი იყო

– რა თვისებები უნდა დათრგუნოს, რომ წარმატებით გადალახოს ეს წელი?

– უპირველესად, სულსწრაფობა, ანუ ასჯერ გაზომე ერთხელ გაჭერის პრინციპი უნდა შეურწყას ინტუიციას. იგი, ფაქტობრივად, დიპლომატიურ ასპარეზზეა: ზოგჯერ უნდა გამოიყენოს კახური პირდაპირობა, რაც მას აქვს წარმოშობით და ზოგჯერ – დიპლომატია, რაც მას აქვს კირჩხიბისა და ტყუპების ზოდიაქოში. იმედი მაქვს, ლავირებას შეძლებს, რაშიც მას ხელს უწყობს ორატორული მონაცემებიც. მართალია, ქარიზმატური ორატორი არ არის, მაგრამ მისი ტვინი სწრაფად და მოქნილად აზროვნებს. თუ დიპლომატიური იქნება, შეძლებს სულსწრაფობის გარეშე მოქმედებას, გაითვალისწინებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის პოზიციებს. მით უფრო, რომ მომავალ წელს არა მხოლოდ ცხენი მართავს, მას ჰყავს კიდევ ერთი მმართველი – პლანეტა სატურნი. სატურნი დიდი კოსმიური მასწავლებელია, რომელიც ჩვენგან, უპირველესად, ითხოვს კანონების მაქსიმალურ დაცვასა და მათ უზენაესობას. პრემიერ-მინისტრს ყველაზე დიდი პრობლემები შეექმნება სამართლიანობის აღდგენის კუთხით. ეს ყველაზე რთულად გადასაწყვეტი პრობლემა იქნება 2014 წელს, რადგან ხალხი აღარ დახუჭავს თვალს იმაზე, რაზეც ხუჭავდა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აპრილი – თუ იქამდე არ აღდგა სამართლიანობა, რომელსაც საზოგადოება ელოდება, შეიძლება, ქუჩაში გამოვიდეს და საკუთარი ხელით დაიწყოს ანგარიშსწორება. არ ვამბობ, რომ გარდაუვალია, მაგრამ ამ ტენდენციის ალბათობა მაღალია. შეიძლება, პრემიერ-მინისტრი თავისსავე კოალიციაში შეეჯახოს პრობლემებსაც. მაგალითად, „რესპუბლიკური პარტია“ ამ საკითხში უფრო პროევროპულ მხარეს იჭერს და პრემიერ-მინისტრი შეიძლება, დადგეს დილემის წინაშე. რადგან კირჩხიბია და ეროვნული მომენტები მასში აქტიურია, ეცდება, გარკვეულ დათმობებზე წავიდეს საზოგადოებასთან. მთავარია, როდესაც ამ ორ ძალას შორის მოუწევს ლავირება, ძალიან ფრთხილი და წინდახედული იყოს. ამაზეა დამოკიდებული, შერჩება თუ არა წლის მეორე ნახევარში ისეთივე რეიტინგი, რაც ჰქონდა პირველ ნახევარში. ავანსცენიდან გავლენ ძველი სახეები, მოვლენ ახლები და იმედი მაქვს, ირაკლი შეძლებს ამ სირთულეების გადალახვას წლის პირველ ნახევარში. თუ წლის პირველ ნახევარში ვერ მოაწესრიგა ეს საკითხები და არ გაიმაგრა პოზიციები და ავტორიტეტი, მაშინ მეორე ნახევარში გაუჭირდება.

ირაკლი ალასანიას რეიტინგი და შესაძლებლობები საგრძნობლად მოიმატებს

– ვინ იქნება მისი მთავარი ოპონენტი?

– ნუ დაგვავიწყდება, რომ, თუნდაც, „რესპუბლიკელებს“ შორის არიან უკმაყოფილო ადამიანები, რომლებსაც შეიძლება, უნდათ მეტი თანამდებობები, ვიდრე აქვთ და, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის პოსტიც. ამ ეტაპზე არ იმჩნევენ, გასაგებია, დიპლომატები არიან, მაგრამ ცხადია, შიგნით სხვა ამბიციები აქვთ. ვხედავთ იმასაც, რომ ირაკლი ალასანია ხმას არ იღებს და ავანსცენაზე არ გამოდის. სწორადაც იქცევა, იმიტომ რომ 2013 მისთვის ცუდი წელიწადი იყო. მაგრამ 2014-ში ის გაილაღებს, რადგან მისი მფარველი ანგელოზი მშვილდოსნის ზოდიაქოში გადავა, ამიტომაც მშვილდოსნის რეიტინგი და შესაძლებლობები რადიკალურად მოიმატებს, ძალიან საინტერესო იქნება ირაკლი ალასანიას პოზიცია და ის, თუ ვის მხარეს დაიჭერს კოალიციაში შიდა დაპირისპირებისას.

– თუ ირაკლი ალასანიას კარგი წელი აქვს 2014, იმედია, მოახმარს თავის ვარსკვლავურ შესაძლებლობებს იმ მნიშვნელოვან პოსტს, რომელსაც იკავებს.

– იმედი ვიქონიოთ, მაგრამ მასაც სიფრთხილე დასჭირდება. ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოს, რათა არაადეკვატური რეაქციები არ გამოიწვიოს საზოგადოებაში რუსეთთ-

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.

ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.

ან ურთიერთობის კუთხით. ძალიან დიდი დიპლომატიაა საჭირო. ასე ადვილად არაფერი მოგვარდება. მართალია, 2014 წელი იბერიის გაბრწყინების პირველი წელიწადია, მაგრამ, ვთქვათ ასე, მატარებელი დაიძრა, ოღონდ სიჩქარე ჯერ არ აუკრეფია. ანუ ეს არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც სამყარო, კოსმოსი აძლევს საშუალებას, დაიწყოს აღორძინება, რაც ბევრადაა დამოკიდებული მის ლიდერებზე. როდესაც ადამიანს ვეუბნები, რომ ძალიან კარგი პერიოდი აქვს შემოქმედებისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის, მან შეიძლება, იფიქროს, რა კარგიაო, წამოწვეს და ტელევიზორს უყუროს. ანუ დღე კარგია, მაგრამ ადამიანი არ უნყობს ხელს, რომ გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ასევეა ამ შემთხვევაშიც – საქართველოს განვითარებისთვის სამყაროსგან კარტბლანში ეძლევა, მაგრამ საქმე ისაა, როგორ გამოიყენებენ ამას მისი ლიდერები: სრულად, ნახევარი ძალით, მეოთხედი ძალით?! ეს უკვე შიდა ბრძოლაზეა დამოკიდებული. აქ ირაკლი ალასანიას ძალიან რთული როლი აქვს შესასრულებელი. მათ შორის, ძალიან რთულია ამ საზოგადოების მიტრიალება რუსეთისკენ. ასევე, ძალიან რთულია რუსეთის მოტრიალება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის როლი არნახულად დიდია საქართველოსთვის. ჩემი აზრით, საქართველოსთვის 2017-დან 2024 წლამდე პერიოდი ყველაზე დიდი წარმატებების პერიოდი იქნება, საერთოდაც, ეს მსოფლიო დალაგების პერიოდია. 2016 წლიდან ეს მოძრაობები თვალშისაცემი იქნება, მანამდე ძალიან მეეჭვება, ვინმემ შეძლოს რამე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა რუსეთთან მიმართებაში.

პრეზიდენტისთვის ერთ-ერთი მთავარი იქნება იმ ფუნქციის შესრულება, რასაც ასრულებდა მერაბ კოსტავა

– მართალია, პრეზიდენტს მცირეოდენი ფუნქციები დარჩა, თუმცა მას მაინც აქვს საგარეო არენაზე წარმომადგენლობის, მთავარსარდლის ფუნქცია, მოსამართლეთა დინიშვნის და ასე შემდეგ უფლებები. წარმატებით გაართმევს თავს საკუთარ მოვალეობას?

– 2013 წელი გიორგის ძალიან კარგი ჰქონდა, ამიტომაც ვამბობდი, სულაც რომ არ ჰყოლოდა ბიძინა ივანიშვილი გვერდით, მაინც ძალიან კარგი კარტბლანში ჰქონდა, ხოლო, როდესაც ბიძინა ჰყავდა, ლაპარაკიც არ იყო. როდესაც არჩევნების წინ მეკითხებოდნენ, გაიმარჯვებდა თუ არა, ვამბობდი, უპირობოდ გაიმარჯვებს, რადგან სამყარო მის მხარესაა-მეთქი. 2014-ში მთლად ისე დალაგებულიც არ იქნება მისი ცხოვრება, როგორც 2013-ში იყო, რადგან მისთვის იწყება გამოცდის პერიოდი: სამყარომ კარტბლანში მისცა და ახლა დააკვირდება, როგორ გამოიყენებს ის ამ გამოცდილებას, ცოდნას, მათ შორის, თუნდაც, სამყაროს ხედვის თავის ფილოსოფიურ მრწამსს. გიორგი პირველად ჩაებმება პოლიტიკურ ფერხულში. მას მოელის ბრძოლა მოწინააღმდეგეთა ჯგუფებს შორის. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრი მეგობარი ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობაში“, ამდენად, აქტუალურია კითხვა: შეძლებს თუ არა საქმისა და მეგობრობის განცალკევებას?! მეორე თემა ის არის, რომ „ქართული ოცნების“ შიგნითაც ჰყავს მოწინააღმდეგეები და დადგება საკითხი: შეძლებს თუ არა დიპლომატიის გამოვლენას, განსხვავებით ირაკლი ღარიბაშვილისგან, რომელიც ბუნებრივადაა გაცილებით ძლიერი დიპლომატი, რის საშუალებას მას აძლევს კირჩხიბისა და ტყუპების ზოდიაქო. ასევე, დიპლომატია მეორე ირაკლი, ალასანია, რადგან მშვილდოსანი დიპლომატიური სკოლის მატარებელია ასტროლოგიაში. მათ ეს თვისება ბუნებრივად აქვთ, მაგრამ გიორგის, უკაცრავად, არც ერთი ეს თვისება არ ახასიათებს. ის მამლის წელიწადში დაბადებული ქალწულია. მამალი მეომარია, სულისკვეთებით მებრძოლია, მაგრამ არ არის დიპლომატი, პირდაპირია. ერთი ისაა, რომ ქალწული უფრო წინდახედული და მშვიდი ნიშანია. და იმედი მაქვს, რომ ეს ნიშანი მას მისცემს დროზე დამუხრუჭების საშუალებას. უცებ შეიძლება, ავანსცენაზე აგრესიულად გამოჩნდეს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ქალწული ცოტა დაამშვიებს და წინდახედული მოქმედების საშუალებას მისცემს, რაც დაეხმარება ურთიერთობების დალაგებაში. იმიტომ რომ, აწი ის, ფაქტობრივად, მედიატორი იქნება ყველა ჯგუფს შორის: იმავე ალასანია „რესპუბლიკელებს“ შორის, „რესპუბლიკელებსა“ და ირაკლი ღარიბაშვილს შორის, „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორისაც კი. იმედი მაქვს, რომ შეძლებს მედიატორის ფუნქციის შესრულებას, რადგან ბუნებით კარგი პიროვნებაა. საერთო ჯამში, თუ ის ჩართავს ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და შეძლებს, ამ ფილოსოფიიდან გამომდინარე, უფრო მშვიდობიანი ფორმების პოვნას ურთიერთობის დალაგებისთვის, მით უფრო შეასრულებს თავის კოსმიურ ფუნქციას. გავიხსენოთ, თავის დროზე, როდესაც ზვიად გამსახურდიას ჰქონდა პრობლემები ოპოზიციასთან, მას აბალანსებდა მერაბ კოსტავა. ზვიად გამსახურდია იყო ვერძი და პრობლემები ჰქონდა, ძირითადად, გიორგი ჭანტურიასთან – ლომი და ირაკლი წერეთელთან – მორიელი. ისინი ერთმანეთთან რთულ ურთიერთობაში არიან, იმიტომ რომ, სამივე ძალაუფლების მოყვარული ნიშანია და არც ერთი უკან არ იხევს. ამ დროს საჭიროა პიროვნება – შუამავალი, რომელსაც ყველასთან კარგი ურთიერთობა ექნება. ასეთი იყო ტყუპების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული მერაბ კოსტავა. ამიტომ, სანამ კოსტავა ცოცხალი იყო, მათი ურთიერთობები, ასე თუ ისე, ლაგდებოდა, მაგრამ, როგორც კი მერაბ კოსტავა დაიღუპა და შუამავალი დაკარგეს, ისინი დაეჯახნენ ერთმანეთს, რამაც საქართველო იმ უბედურებაში გადაჩეხა, რომელშიც ვართ უკვე ამდენი წელიწადია. იგივე სიტუაციაა დღესაც და აქაც მარგველაშვილის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის შუამავლობა, იმ ფუნქციის შესრულება, რასაც ასრულებდა მერაბ კოსტავა.

– აქვს საამისო პოტენციალი გიორგი მარგველაშვილს?

– აქვს, ასევე, აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილებაც. ფილოსოფიური ხედვა ბევრ დადებით რამეს აძლევს ადამიანს: საერთო, ზოგადი პერსპექტივის დანახვის უნარს და, აქედან გამომდინარე, სწორი გათვლების გაკეთების საშუალებას. რისთვის არის საჭირო ფილოსოფია? რომ მან იაზროვნოს არა მარტო კონკრეტულად, არამედ, როდესაც საჭიროა, აბსტრაქტულად. ბევრს არ აქვს აბსტრაქტული აზროვნების უნარი. ამ პიროვნებას ქალწულის ნიშანი პრაგმატულობას აძლევს, მამლისთვის დამახასიათებელი ენერგია და, სადაც საჭიროა შეტევის უნარი, აძლევს საშუალებას, გამოავლინოს აბსტრაქცია. ამიტომ ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თავს გაართმევს, თუმცა, რასაკვირველია, პირველ წელს ძალიან გაუჭირდება. შემდგომში უფრო დაიხვეწება. 2014 წელი მისთვის გამოცდაა, რადგან ამ მდგომარეობაში არასდროს ყოფილა. შესაბამისად, უამრავ ზეწოლას უნდა გაუძლოს ორივე მხრიდან – იმიტომ რომ ყველა ყოველთვის კმაყოფილი ვერ იქნება მისი შუამავლობით. ვიღაც ყოველთვის დარჩება უკმაყოფილო. თან, ის ცხოვრობს ისეთ ჭორიკანა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა და უკვე იწყება მითქმა-მოთქმა მის პირად ცხოვრებაზე. ეს დამატებით უსიამოვნებას მოუტანს მას და პრობლემებს შეუქმნის ზეწოლის მხრივ. მისი მტრები ამ მომენტსაც გამოიყენებენ. თუ ადამიანს სისუსტეს დაუჭერენ, მოდი, სისუსტე დავარქვათ მის პირად ცხოვრებას, რაც არატრადიციულია ჩვენი სინამდვილისთვის, ამას აუცილებლდა გამოიყენებენ. ამდენად, ესეც მნიშვნელოვანია, რამდენად შეძლებს ის სიმშვიდის შენარჩუნებას ამ საკითხში. შეიძლება, სტატიებიც დაიწეროს ამ თემაზე ზეწოლის სახით. ერთი სიტყვით, 2014 წელს მასაც ბევრი გამოცდა ელის.

იმდენად რთული პერიოდია წინ, არავის ვურჩევდი მთავრობაში ყოფნას

საერთოდ, ეს წელიწადი ყველას უნყობს გამოცდას, ამჯერად ისინი უკვე ბიძინა ივანიშვილის გარეშე ხვდებიან პირისპირ ოპოზიციურ ჯგუფებს, იგულისხმება არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ, შესაძლოა, სხვა ოპოზიციური ძალაც ჩამოყალიბდეს, რომელშიც გაერთიანდებიან ბურჯანაძე, კუკავა და სხვა ჯგუფები. პრეზიდენტი მათთან მოლაპარაკების გამართვის საჭიროების წინაშეც შეიძლება, დადგეს. ბევრი საგამოცდო პერიოდი ელის და, რაც მთავარია, ეს გამოცდილების მიღების პერიოდიცაა. ეს კი ნიშნავს, რომ შეცდომებიც იქნება, უბრალოდ მთავარია, შეცდომები არ იყოს საბედისწერო.

– როგორ უთავსდება ირაკლი ღარიბაშვილის, გიორგი მარგველაშვილისა და ირაკლი ალასანიას ზოდიაქოს ნიშნები საქართველოს ზოდიაქოს ნიშან ლომს?

– სამივე ნიშანი კარგად უთავსდება საქართველოს. ლომს სჭირდება ქალწულის ორგანიზებულობა, დისციპლინა, შეუპოვრობა. სწორედ ეს თვისებები აქვს პრეზიდენტს და შეუძლია ამ თვისებების კომპენსირება ლომისთვის. ლომს აკლია ინტუიცია და შიდა მგრძნობიარობა, რომელიც აქვს კირჩიხიბს და, აქედან გამომდინარე, ღარიბაშვილი შეუვსებს მას ამ დანაკლისს და ლომი მეგობრობს ოპტიმისტ და ძალიან კეთილშობილ ალასანიასთან. არც ერთი ნიშანი არ არის ლომის ოპოზიცია და არც ერთი არ ეწინააღმდეგება მას. ამიტომ მათი თანაცხოვრება შესაძლებელია სუფთა ზოდიაქალური ენერგეტიკის კუთხითაც. შანსები ნამდვილად არის, ამიტომ უიმედოდ არ ვარ: ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს, მაგრამ, ვიმეორებ, ძირითადი წინსვლა დაგვეწყება 2017 წლიდან, მანამდე ნელ-ნელა წავალთ წინ მცირე ნაბიჯებით, შეცდომებით, სირთულეების გადალახვით. იმდენად რთული პერიოდია წინ, არავის ვურჩევდი მთავრობაში ყოფნას.

– მეც მუდმივად ის მაოცებს, რატომ უნდა გინდოდეს ხელისუფლებაში ყოფნა.

– ქართველი, ზოგადად, ამბიციურია და, რადგან ასეთი შანსი შეიძლება, მხოლოდ ერთხელ მიეცეს, ცდილობენ, არ დაკარგონ, რადგან მეორედ ან მიეცემათ, ან არა.

ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი
ინგოიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

შევარდნაძემ მოსვლისთანავე მოსპო მჟავანაძის ტიპის კორუფცია და ჩამოაყალიბა ახალი კორუფცია – მიწერები, რითაც უამრავი ფული კეთდებოდა ჰაერზე, ქაღალდებით, დღეს რომ ფულის გათეთრებას უწოდებენ

– ჩვენ თვალწინ იცვლებიან ადამიანები ძალაუფლების ხელში აღებამდე და ამის შემდეგ. ეს სახეცვლილება ბუნებრივია, ქართული პოლიტიკის თავისებურებაა თუ პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ზოგადი ფენომენია?

– ძალიან კომპლექსური კითხვაა და რთული პასუხგასაცემი...

– ერთად ვიმსჯელოთ.

– ვიმსჯელოთ... ხელისუფლებები იცვლებიან, მაგრამ ადამიანების ბუნება იგივე რჩება. შეიძლება, ვერ დაგეთანხმოთ, რომ მანამდე სხვანი იყვნენ და ხელისუფლებაში მოსვლის შემდგ სხვანი გახდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის პროცესში თითოეული მათგანის მოსახლეობასთან ურთიერთობის სტილი, დაპირებების სიუხვე და არარეალისტურობა, დაახლოებით ერთნაირი იყო. ოთხივე, გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილისა თუ ივანიშვილის შემთხვევა, რაღაცნაირად მსგავსი იყო: თითოეულ მათგანს ახასიათებდა რადიკალური ცვლილება, რაც უახლოვდებოდა რევოლუციას. თუმცა მხოლოდ ერთს დაერქვა – ვარდების რევოლუცია, მაგრამ, თავისი სტილით, ყველა ნიშნავდა ძველის მოშორებასა და ახლით ჩანაცვლებას. ბუნებრივია, გამსახურდიას მოცილება უფრო სისხლიანი იყო.

– ხუნტადაც შეფასდა.

– დიახ, თუმცა ძალადობრივი იყო დანარჩენი სამიც, მაგრამ, ასე თუ ისე, ოთხივე შემთხვევაში იგულისხმებოდა ძველების გაყრა და ახლების მოსვლა. მეორე მსგავსება იყო ის, რომ ხშირად ამ რევოლუციური ცვლილებების უკან იდგა ქონების ხელახლა გადანაწილების იმპულსები. თითოეული ამ მოძრაობის მიზეზი იყო, რომ წინა ხელისუფლება მოეცილებინათ იმ ბერკეტებს, რითაც იმართებოდა მატერიალური დოვლათი. ანუ იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ ცდილობდნენ, მატერიალური სიმდიდრის გადანაწილება გაეხადათ ხელმისაწვდომი.

– ლოზუნგებითაც ჰგვანან ერთმანეთს.

– თითოეულის მოსვლა აგებული იყო დაპირებებზე. ამ დაპირებების ძირითადი ღერძი კი იყო აპელირება სიღარიბის აღმოფხვრაზე.

– მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, პირდაპირ აცხადებდა, რომ იმოქმედებდა არსენას პრინციპით: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“.

– მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ჰგავდნენ, მოსახლეობას ჰპირდებოდნენ იმ საბაზრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც სიღარიბის აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს და აპელირება ხდებოდა იმაზე, რომ პანაცეა არის დემოკრატია და, თუ იქნება დემოკრატია, დაიძლევა სიღარიბე. როდესაც ადამიანებს ჰპირდები პრობლემების გადაჭრას, ფაქტობრივად, ჰპირდები, მე გადაგიჭრი პრობლემასო. ეს დაპირება კი, თავისი ბუნებით, ყალბია, რადგან ვერავინ ვერ გადაუჭრის ვერავის პრობლემას, თუ მანაც ხელი არ გაანძრია, მაგრამ მოსახლეობა იმდენად კარგად ემორჩილება მანიპულირებას, რომ, როგორც ცხვარი, ისე მიჰყვება ამ დაპირებებს. ერთი სიტყვით, მოსახლეობაც უწყობს ხელს ამგვარი ყალბი დაპირებების არსებობას პოლიტიკურ ბაზარზე. მოსახლეობაც ამ პროცესის თანამონაწილე ხდება. მოთხოვნა ასეთია: იყოს მდიდარი, ძლიერი ხელი.

კიდევ ერთი, ყველა მათგანისთვის დამახასიათებელი მომენტია ის, რომ ხელისუფლების თითოეული შეცვლა ნიშნავდა ვიღაცის მოცილებას: გამსახურდიას დროს მთავარი ლოზუნგი იყო, არა – კომუნისტებს; შევარდნაძის დროს, არა – ზვიადიზმს; სააკაშვილის დროს, არა – შევარდნაძეს, ანუ საქართველო შევარდნაძის გარეშე; ხოლო ივანიშვილის მოსვლის დროს ლოზუნგი იყო: საქართველო სააკაშვილის გარეშე. ანუ ყველა შემთხვევაში მოწოდება იყო არაზე, არა დადებითზე, არამედ – უარყოფითზე. ეს ნათლად გამოიხატა ახალი ხელისუფლების დაპირებებშიც. ძირითადად იყო სამართლიანობის აღდგენის დაპირება, ანუ არა – უსამართლობას. სინამდვილეში, ეს იყო სისულელე, რადგან როგორ უნდა აღდგეს სამართლიანობა ქვეყანაში, რომელშიც სამართლიანობა არასდროს ყოფილა?! აღდგენა იმის შეიძლება, რაც ადრე იყო.

ხელისუფლების ოთხივეჯერ ცვლილება იმითაც ჰგავდა ერთმანეთს, რომ ცდილობდნენ, მატერიალური სიმდიდრის გადანაწილება გაეხადათ ხელმისაწვდომი

– ანუ სამართლიანობის დამკვიდრება იქნებოდა უფრო მართებული?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს შემთხვევითი შეცდომა არ არის. აქ გათვალისწინებულია, რომ ხდება ცნებათა გაუფასურება, რომ ადამიანებს ტვინი აურიონ და ისინი ადვილად სამართავი გახადონ, ოცნებების ახდენა ავანტიურისტული იდეა იყო. როგორ აგიხდენს ოცნებას სხვა?! ჯადოსნური ჯოხი აქვს თუ როგორ?! ანუ ყველა ერთნაირად იტყუებოდა.

– თუმცა მაკიაველი ჯერ კიდევ როდის ასწავლიდა პოლიტიკოსებს, რაც შეიძლება მეტად და უტიფრად მოატყუეთ ხალხი, რაც უფრო რთულად დასაჯერებელია ტყუილი, მით უფრო დაგიჯერებენო.

– მაკიაველი ფეოდალურ სისტემაში მოღვაწეობდა, აქ ცოტა სხვა სიტუაცია იყო, თუმცა მართალი ხართ, მაკიაველიდან მოდის ეს და შესაძლებელია, ამგვარი ანალოგიაც.

– ოღონდ მე არ ვიცი, მაკიაველის კითხვით იკლავენ თავს და ასე უსიტყვოდ უჯერებენ თუ თვითონ გრძნობენ ზურგის ტვინით, რომ ასეთი ტაქტიკა მომგებიანია.

– მაკიაველიზმი ცნობილი ფენომენია. ფსიქოლოგიაში არსებობს „მაკიაველიზმის“ ტესტიც კი. ლაპარაკია ისეთი ტიპის ურთიერთობაზე, როდესაც ადამიანი არის საშუალება, როდესაც ადამიანისადმი მომხმარებლური დამოკიდებულებაა. მაკიაველმა გააჟღერა, თორემ კაცობრიობას ყოველთვის ახასიათებდა ადამიანებისადმი ასეთი დამოკიდებულება.

– ადამიანი, ზოგადად, გამმყენებელი არსებაა, მთელ სამყაროს იყენებს სათავისოდ და მეორე ადამიანს რატომ არ გამოიყენებს?

– საინტერესოა, ეს იმ ეპოქაში შემოვიდა, როდესაც ქრისტიანობა ძალიან ძლიერი იყო. ქრისტიანობაში კი მომხმარებლური დამოკიდებულება ცოდვად ითვლება, აქცენტი უანგარო სიკეთეზეა. ეს ცოტა რთული თემაა. ისევ კონკრეტულად ჩვენს თემას რომ მივუბრუნდეთ: ჩამოვთვალეთ რამდენიმე თვისება, რითაც ოთხივე ხელისუფლება ერთმანეთს ჰგავდა, შესაბამისად, შედეგებიც მსგავსი იყო. მოდის ერთი ხელისუფლება და იწყება კორუფციის ახალი ეპოქა. შევარდნაძის დროინდელი კორუფცია მოხსნა სააკაშვილმა და გადავიდა ელიტურ კორუფციაზე. ერთი მაგალითი მოვიყვანე, თორემ ეს ყველა მათგანს ახასიათებდა. სხვათა შორის, ამით გასული საუკუნის 70-იან წლებსაც ჰგავს, იმიტომ რომ, შევარდნაძემ მოსვლისთანავე მოსპო მჟავანაძის ტიპის კორუფცია და ჩამოაყალიბა ახალი კორუფცია – მიწერები, რითაც უამრავი ფული კეთდებოდა ჰაერზე, ქაღალდებით, დღეს რომ ფულის გათეთრებას უწოდებენ.

– ერთხელ მითხრეს: საბჭოთა კავშირი იყო ქვეყანა, სადაც, მაგალითად, ხორცზე ისე კეთდებოდა ფული, რომ ხორცი ფიზიკურად არ იყოო.

– დიახ, ეს მოხდა შევარდნაძის დროს. ანუ ყველას მოჰქონდა თავისი კორუფცია, ესენიც ამ ტალღაზე მოვიდნენ: მოსახლეობას დაპირდნენ ისეთ რამეს, რაც შეუძლებელია, მაგრამ ამით ხელში იგდებენ მატერიალური დოვლათის მართვის სადავეებს.

– წინა ხელისუფლების დროს ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია ხელფასებსა და პრემიებზე, მაგრამ შესაძლებელი იყო მეტ-ნაკლებად მიახლოებული ციფრის დადგენა ჩინოვნიკთა დეკლარაციებითა და ბიუჯეტის მეშვიდე თავის მეშვეობით. ახლებმა ის გაბერილი სახელფასო ბადე კი არ შეცვალეს, არამედ, დააკანონეს. ანუ შეირგეს ის, რაც ხელისუფლებაში მოსვლამდე არ მოსწონდათ. გარეგნული ფორმის დაცვის სურვილიც კი რატომ უქრებათ, როგორც კი სკამზე დასხდებიან?

– მათ დააკანონეს ის, რაც სააკაშვილის დროს ბოლომდე დაკანონებული არ იყო. ამათ ადვილად დასანახავი გახადეს ის, რაც მანამდე ასე მა-

საშობაო მელოდიები და სასიამოვნო განწყობა საბავშვო სტუდია „გვირილასგან“

28 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უამრავმა პატარამ მოიყარა თავი ღონისძიებაზე „საშობაო მელოდიები,” რომელიც წარმოადგინა ასოციაცია „ჯადოსნურმა ხმებმა” და საბავშვო სტუდია „გვირილამ.” აჟღერდა ყველა დროის საყვარელი სიმღერები. საღამო გაიხსნა საახალწლო პოპ-ურით, რომელიც შეასრულა სტუდია „გვირილამ” და მომღერალმა მარკუს მეტრეველმა. საუნდტრეკი კინოფილმიდან „კუჭრი ბედნიერი” შეასრულეს ანსამბლის სოლისტმა ნუცა გოგუაძემ და მომღერალმა ბესო კალანდაძემ. ძალიან თბილად მიიღო მაყურებელმა საახალწლო დუეტი ნუგზარ კვაშალისა და პატარა ანნა ასათიანის შესრულებით. მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, სუხიშვილების სახელობის სტუდია „ფრესკა,” ანსამბლი „ლაშქრული,” გორიდან ანსამბლი „იმედი,” თანამედროვე ცეკვების სტუდია „ფანტაზია,” ჯგუფი „მთიები,” სტუდია „მულტი-პულტი” ხაშურიდან და ყველასათვის საყვარელი მსახიობის, ქალბატონი ნინელი ჭანკვეტაძის ფონდის – „ჩემი სახლის” ბავშვები. სიმღერა „ბარდნის” სოფო ბედიასთან ერთად შეასრულეს სტუდია „გვირილას” სოლისტებმა – გიორგი ღოღობერიძემ და ანი ჩაგუნავამ. ღონისძიება მიჰყავდათ პროექტების მენეჯერ ნინო ჩიხლაძეს, მომღერალ ნუგზარ კვაშალს, ჟურნალისტ ლელა ნინუასა და მსახიობ გიგო გამთენაძეს.

ნინო ჩიხლაძე *(კონცერტის წამყვანი):* ტრადიციულად სტუდია „გვირილას” ახალი წლის დღეებში უამრავი კონცერტი აქვს დაგეგმილი: „თბილისი მოლში,” მთაწმინდის პარკში, გორის დრამატულ თეატრში, „თბილისი არტ ჰოლში,” „გოლდენ პალასში.” როგორც ყოველთვის, მაყურებელს ელოდება ულამაზესი კოსტიუმირებული შოუ-პროგრამა.

დიდი მოწონება ხვდა წილად „გვირილას” ტრიოს ელენე ფარფალიას, ანი ტოგონიძის, ანი გოდუაძის შესრულებით.

თემურ წიკლაური *(მომღერალი):* ჩვენი შვილების გვერდზე დგომა

ვთვლი, რომ აუცილებელია ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ ლამაზი, ბედნიერებით სავსე ბავშვობა.

ჯილდა ქირია *(მშობელი):* სამი წელია, რაც ბავშვი დამყავს ანსამბლ „გვირილაში”. ვარ ძალიან კმაყოფილი პედაგოგების მუშაობით. „გვირილა” გამოირჩევა სწავლების მოქნილი სისტემით – ყველა ბავშვთან არის განსაკუთრებული, ინდივიდუალური მიდგომა. მინდა მათ მომავალშიც ბევრი წარმატება ვუსურვო.

ნუგზარ კვაშალი *(ღონისძიების წამყვანი):* სტუდია „გვირილასთან” დიდი მეგობრობა მაკავშირებს. ბავშვებთან ერთად სიმღერა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

გენერალური სპონსორის, სამშენებლო კომპანია „მიქსორის” დიდი მხარდაჭერით, სოფელ წეროვნიდან უამრავი ბავშვი დაესწრო ამ საშობაო საბავშვო ღონისძიებას. დიდი მადლობა თანადგომისთვის ბატონ ცეზარ ჩოჩელს, ლუდსახარშ „ზედაზენს,” კომპანია „კულას,” კომპანია „ფრუტო ნია ნიას,” თბილისის მერიას, კომპანია „ორიფლეიმს,” კომპანია „მაკნატუნას,” საკონდიტრო „ნარცისს,” სარეკლამო კომპანია „დეიზის,” მაღაზიებს – „მაჟორსა” და „პრიმა მოდას.” ბავშვებს უმასპინძლა კომპანია „ნანუკა არტმა.”

ერნა წიფურია *(მუსიკოსი):* დიდი მადლობა ჩვენს ყველა გულშემატკივარს. დიდსა თუ პატარას, ყველას მინდა ვუსურვო ახალ წელს ხვავი, ბარაქა, სიხარული, ჩვენს სტუდიას კი – ბევრი ლამაზი საღამო!

რტივი არ იყო. სხვათა შორის, კორუფციის ელემენტები ახლებმა წინასაარჩევნო კამპანიისთანავე გამოაჩინეს: ივანიშვილმა მილიონები დაურიგა.

– მე ეს ცოტა სხვაგვარად აღვიქვი: რომ არ დაერიგებინა, ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებდა. სწორედ იმის გამო აგებდა ოპოზიცია, რომ არ ჰქონდა ფული. ასე რომ, პირადად მე, ეს შევაფასე, როგორც მეტ-ნაკლებად თანაბარი სასტარტო პოლიტიკური პირობების შექმნა.

– თუმცა არ იყო აუცილებელი ძვირად ღირებული „ჯიპები”, ესეც თავისებური გარყვნა იყო ხალხის. ამას თავი დავანებოთ. იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდების დროს უკვე კორუფციის ელემენტები შემოვიდა. თქვენ მკითხეთ: ეს ქართული ფენომენია თუ ზოგადი? ჩემი აზრით, ასეთია ადამიანის ბუნება და, ამდენად, ეს არ არის მარტო ქართული ფენომენი. თითოეული ადამიანი მიისწრაფის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, მაგრამ პოლიტიკოსებთან არის კიდევ ერთი მომენტი: ძალაუფლების ხელში ჩაგდება ნიშნავს, რომ ეს ძალაუფლება უნდა მოხმარდეს მატერიალურ კეთილდღეობას და არა ქვეყნის წინსვლას, მათთვის ეს ილუზორულია. არის კიდევ ერთი მომენტი: უცვლელი დარჩა მანკიერი დამოკიდებულება რეალობისადმი. აშკარად აცხადებენ: ინვესტორი უნდა შემოვიყვანოთ. ანუ ეძებენ სხვა, ძლიერ მფარველს. ლაპარაკია ფინანსურ მფარველზე. აქედან გამომდინარეობს ისეთი ფირმების ძიების სურვილი, რომლებიც ააშენებენ ხუდონჰესს და დიდ პროექტებს დააფინანსებენ. ინვესტორებს, რომლებსაც თავიანთი ინტერესი აქვთ და არ დაგიდევენ ქართული ინტერესების დაცვას.

– რატომ უნდა დაგიდევდნენ?

– დიახ, ანუ დამოკიდებულებაა, საქართველოს ვყიდი იმ გაგებით, რომ გასაყიდი უნდა გაიყიდოს, მთავარია, ფული შემოვიდეს. დამოკიდებულების ეს მოდელი დღემდე მოქმედებს. შევარდნაძემ, როდესაც უსაყვედურეს, სულ დახმარებებს რატომ ეძებო, უპასუხა, მუხლის ჩოქზეც დავდგებიო. ანუ, პირიქით, მიაჩნდა, რომ ამგვარი დამოკიდებულება მას ღირსებას ჰმატებდა. აბა, რა უნდა გააკეთოს ხელისუფალმა თავისი ქვეყნისთვის, თუ არა ის, რომ შემოიტანოს ვიღაცის ფინანსები ქვეყანაში, რომელსაც ეს ფინანსები თავისი ინტერესებისთვის შემოაქვს. ანუ ქვეყანა ორიენტირებულია არა თვითკმარობაზე, არამედ, ინვესტორის სურვილების დაკმაყოფილებაზე. ინვეტსორს ეძებს ისეთი პროექტებისთვის, რომლებიც ვითომ ქვეყანას რგებს, სინამდვილეში კი, ინვესტორს აკმაყოფილებს. ინვესტორების ფული კი, როგორც წესი, ძლიერთა ამა სოფლისათა ჯიბეებში ილექება.

– ეგრეთ ნოდებული ტრამვაის სინდრომი, როდესაც გადაჭედილ ავტობუსში ცდილობ ასვლას და იბრძვი, მაგრამ, ახვალ თუ არა, აღარ ზრუნავ მათზე, ვინც მანამდე შენთან ერთად იბრძოდა ტრანსპორტში მოსახვედრად. რატომ ვეღარ ამჩნევენ პოლიტიკოსები სკამზე მოკალათების შემდეგ იმას, რასაც დასხდომამდე მკაფიოდ ხედავდნენ?

– ეს ცალკე თემაა, შეიძლება, ხედავენ კიდეც, მაგრამ აღარ აინტერესებთ. როდესაც ჩანდა, მაშინაც არ აინტერესებდათ, აინტერესებდათ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ დაპირება გაეცა და ხელისუფლებაში მოსულიყო. ეს ხომ რიტუალია?! მე თვითონაც ვიღებდი მონაწილეობას წინასაარჩევნო პროცესში და ვიცი, რაც არის: ყველა ეძებს თემას, განსაკუთრებით, სოციალურს. არიქა, ავსახოთ წინასაარჩევნო კამპანიაშიო. ამის მიზეზია პრაგმატულობა, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ხმა მიიღო და არა ის, რომ ვინმეს დაეხმარო. ეს არც მანამდე აინტერესებთ და არც შემდეგ. ჩვენი საზოგადოება არ არის ორიენტირებული ადამიანზე. ეს არის საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოზეა ორიენტირებული. ადამიანია სახელმწიფოსთვის და არა სახელმწიფო ადამიანისთვის. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანის ცხოვრების დონე ყოველთვის დაბალი უნდა იყოს და ის უნდა შეეწიროს სახელმწიფოს სიძლიერეს.

– ანუ ხელისუფლებაში მყოფთა ბედნიერებას.

– დიახ, იმიტომ რომ, სახელმწიფო არის სახელმწიფო აპარატი.

– ერთი მგლისკენო: ჩემი აზრით, იმ ადამიანთა კრიტიკული მასა, რომლებიც ხელისუფლების მიღმა არიან, ოცნებობს, მხოლოდ იმიტომ მოვიდეს ხელისუფლებაში, რომ საფუძვლიანად დანაყრდეს და ფული იშოვოს. აი, ეს მგონია, პირადად მე მთავარი პრობლემა.

– ცხადია, ჩინოვნიკად შედგომა ბიზნესის დაწყების ფორმაა.

– ეყოფა ამდენ მსურველს გასაძღომად ეს ერთი ციდა, ღარიბი ქვეყანა? გამოსავალი რა არის?

– გამოსავალი არსებობს, მაგრამ ამისთვის ვექტორი უნდა შეიცვალოს და სახელმწიფო გახდეს ადამიანისთვის და არა – პირიქით. ეკონომიკურ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ხელი უნდა შევუწყოთ მცირე ბიზნესის განვითარებას. მცირე ბიზნესის განვითარება ნიშნავს, რომ ადამიანთა დიდი რაოდენობა ჩაებმება ამაში და შეიქმნება საშუალო კლასი. თუ 70 პროცენტი მაინც არ იქნა საშუალო ფენა, ვერ შედგება სამოქალაქო საზოგადოება. ღარიბი კაცი სამოქალაქო საზოგადოებას ვერ შექმნის. ჩვენთან რეგულაციები სჭარბობს სტიმულაციებს, რაც არასწორია. აი, ეს არის ხსნა, მაგრამ ეს უპირისპირდება ხელისუფლების ჩანაფიქრს, რადგან ხელისუფლების ჩანაფიქრია მსხვილი პროექტები: ანაკლია, ხუდონჰესი და ასე შემდეგ; ორიენტაცია მსხვილ ინვესტორზე, არადა, მსხვილი ბიზნესი, მაქსიმუმ, 10 ადამიანს თუ გაამდიდრებს, მაშინ, როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საშუალო ფენის და თვითკმარი საზოგადოების შექმნას შეუწყობს ხელს.

ნინო ხაჩიძე

რატომ არის ევროპისთვის უფრო მოგებიანი გაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ტრანსპორტირება და რა როლის შესრულება შეუძლია საქართველოზე გამავალ შაჰდენიზის მილსადენს რუსეთის ენერგოიმპერიის გასანეიტრალებლად

ევრაზიის კონტინენტის გაზით მომარაგება, ძირითადად, ხორციელდება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რუსეთში, ასევე, შუა აზიასა და ჩრდილოეთის ზღვაში არსებული გაზის საბადოებიდან

იმ მარტივი მიზეზით, რომ ბუნებრივი აირია ერთ-ერთი ფაქტორი, რის წყალობითაც რფ-ს ევროკავშირი, უხეშად რომ ვთქვათ, „გამოჭერილი“ ჰყავს, სავსებით ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი ალტერნატიულ მომწოდებელსაც ეძებს და ალტერნატიულ გზებსაც. ერთ-ერთი ასეთი გზა საქართველოზეც გადის, რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი, შაჰდენიზის მილსადენი უკვე დატვირთულია და აზერბაიჯანულ გაზს თურქეთის გავლით ევროპისკენ ატარებს. ამ მილსადენს რომ თურქმენული გაზიც შეუერთდეს (რომელსაც ამჟამად სრულად აკონტროლებს რუსეთი), აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, კერძოდ, კასპიის ზღვიდან (საიდანაც აწარმოებს ბურღვას აზერბაიჯანის შაჰდენიზისთვის), სულ რაღაც, 100-კილომეტრიანი მილის დამატება სჭირდება.

დღეისთვის მოძიებული ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგების რაოდენობა 184,48 ტრილიონი კუბური მეტრია, რომელიც 20 წამყვან ქვეყანაში (166,78 მილიონი კუბური მეტრი) შემდეგნაირადაა გადანაწილებული: რუსეთი – 47, 57 ტრილიონი კუბური მეტრი, ირანი – 29,61 ტრილიონი კუბური მეტრი; ყატარი – 25,78 ტრილიონი კუბური მეტრი; გაერთიანებულ არაბთა საემიროები – 6,07 ტრილიონი კუბური მეტრი; საუდის არაბეთი – 7,46 ტრილიონი კუბური მეტრი; ამერიკის შეერთებული შტატები – 6,92 ტრილიონი კუბური მეტრი; ალჟირი – 4,5 ტრილიონი კუბური მეტრი; ვენესუელა – 4,99 ტრილიონი კუბური მეტრი; ნიგერია – 5,25 ტრილიონი კუბური მეტრი, თურქმენეთი – 7,5 ტრილიონი კუბური მეტრი; ერაყი – 3,17 ტრილიონი კუბური მეტრი; ინდონეზია – 3 ტრილიონი კუბური მეტრი; ყაზახეთი – 2,41 ტრილიონი კუბური მეტრი; მალაიზია – 2,35 ტრილიონი კუბური მეტრი. დანარჩენებში – უზბეკეთში, კანადაში, ნიდერლანდებში, ქუვეითში, ჩინეთსა და მექსიკაში თავმოყრილია გაზის მსოფლიო მარაგების 6 პროცენტი. მსოფლიოს სხვა დანარჩენ ქვეყანაში კი – 9,7 პროცენტი.

რაც შეეხება საქართველოს მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის რაოდენობას: ის წლიურად, დაახლოებით, 1,6 მილიარდ კუბმეტრს შეადგენს. ცნობისთვის, მაქსიმალური რაოდენობის გაზი საქართველომ 1988-1989 წლებში მოიხმარა, წლიურად – 6,5 მილიარდი კუბმეტრი. საქართველოს სატრანზიტო მომავლის დეტალებს საინჟინრო და ენერგეტიკული აკადემიის აკადემიკოსი **დავით ელიაშვილი** *განგვიმარტავს.*

– აშკარაა, რომ ბუნებრივი აირის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია ევრაზიის აზიურ ნაწილში. მსხვილი მფლობელი კი რუსეთია. როგორ შეძლებს ასეთ ფონზე ევროპა რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას?

– ყველასთვის ცნობილია, რომ, თუ არ ჩავთვლით ირანში, აფრიკასა და ევროპაში ამჟამად არსებულ მცირე საბადოებს, ევრაზიის კონტინენტის გაზით მომარაგება, ძირითადად, ხორციელდება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რუსეთში, ასევე, შუა აზიასა და ჩრდილოეთის ზღვაში არსებული გაზის საბადოებიდან. არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია სამომავლო პერსპექტივები და მოქმედი საბადოების ალტერნატივები, რომლებიც განთავსებულია შედარებით მცირე რეგიონში, სადაც არსებობს გაცილებით უკეთესი გარემო მათი მოპოვება-ტრანსპორტირებისთვის. დღეისთვის ასეთი რეგიონია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია – ახლო და შუა აღმოსავლეთი. ამ რეგიონის ქვეყნებში – ირანი, საუდის არაბეთი, ყატარი, გაერთიანებული არაბული საემიროები, იემენი, ომანი, ქუვეითი, ყატარი და სხვა – დაძიებული ბუნებრივი აირის მარაგი სჭარბობს რუსეთის ტერიტორიაზე დაძიებულ მარაგებს.

კერძოდ, თუ რუსეთში დღეს დაძიებულია 47,57 ტრილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, ზემონახსენებ რეგიონში დაძიებული მარაგის რაოდენობაა 77 ტრილიონი კუბური მეტრი, რაც 29,18 ტრილიონი კუბური მეტრით სჭარბობს რუსეთის მარაგებს.

– როდესაც ამბობთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბუნებრივი აირის მოპოვებისა და ტრანსპორტირებისთვის უკეთესი პირობებია, რას გულისხმობთ?

– დიახ, ნავთობისა და ბუნებრივი აირის სამხრეთელი მომპოვებლები გაცილებით მომგებიან პირობებში იმყოფებიან. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს რუსეთი და სამხრეთ-დასავლეთი აზია. რუსეთის ტერიტორია მოიცავს 17 მილიონ კვადრატულ კილომეტრს, რომელშიც ცხოვრობს 150 მილიონი ადამიანი. რუსეთში წელიწადში 500 მილიარდი კუბმეტრი ბუნებრივი

ჩვენი ქვეყნის გაზმომარაგება ძირითადად დამოკიდებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენების სისტემით მოწოდებულ გაზზე, ტრანზიტით გაზის მოწოდებამიღება შესაძლებელია ირანიდანაც აზერბაიჯანის გაზსადენების მეშვეობით

აირის მოპოვება მიმდინარეობს, მაგრამ თავადვე მოიხმარს მოპოვებული ბუნებრივი აირის უდიდეს ნაწილს, ამიტომ იძულებულია, ექსპორტისთვის საჭირო გაზი, 130 მილიარდი კუბური მეტრი, შეიძინოს თურქმენეთისა და ყაზახეთისგან. თუ გავითვალისწინებთ ევროპის მზარდ მოთხოვნილებას ბუნებრივ აირზე, რუსეთს ევროპის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოუწევს ან წელიწადში თავისი მოპოვების 50-60 მილიარდი კუბური მეტრით გაზრდა, ან შესყიდვის გაზრდა. რაც მთავარია, რუსეთს სჭირდება როგორც მოპოვებული, ისე შეძენილი გაზის ტრანსპორტირება ექსპორტისთვისაც და საკუთარი მოხმარებისთვისაც 4 500-6 000 კილომეტრზე. თითოეული მილიონი კუბმეტრი ბუნებრივი აირის ყოველ 100 კილომეტრზე გადატანას კი, ხმარდება 6,7 ათას კუბმეტრ ბუნებრივ აირამდე.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა უპირატესობა გააჩნია რუსეთის კონკურენტ რეგიონს? მართალია, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ჯერჯერობით მოპოვების მაჩვენებელი დაბალია, დაძიებულ მარაგთან შედარებით, რომელიც, როგორც გითხარით, რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 29,18 ტრილიონი კუბური მეტრით აღემატება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოპოვება ყოველწლიურად გაიზრდება. რაც მთავარია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტერიტორია მოიცავს 4,5-ჯერ ოდნავ მეტ მილიონ კვადრატულ კილომეტრს, ანუ რუსეთზე 4-ჯერ მცირე ტერიტორიას, სადაც 73,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რუსეთის მოსახლეობაზე 2-ჯერ ნაკლები. ამ ფაქტორებს თუ კლიმატურ პირობებსაც დავუმატებთ და ენერგეტიკისა და მრეწველობის განვითარების დონეს, გამოდის, რომ მათ თავიანთი მარაგების მხოლოდ 30 პროცენტი ეყოფათ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, 70 პროცენტის ექსპორტზე გატანას შეძლებენ.

– რუსეთი ჯერჯერობით ევროპას წელიწადში 130 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს აწვდის, რამდენის მიწოდება შეუძლია ევროპისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონს?

– ამ რეგიონს წელიწადში 400 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიწოდების პერსპექტივა აქვს, რაც 3-ჯერ მეტია რუსეთიდან მიწოდებულ ბუნებრივ აირზე. იმას გარდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ევროპის მიმართულებით გაზის საექსპორტო მიწოდება უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე რუსეთიდან.

– ჩვენ, ცხადია, დაინტერესებულები ვართ ევროპის ალტერნატიული გაზმომარაგებით, მაგრამ საქართველოს რა როლის შესრულება შეუძლია ამ პროცესში?

– დღეისთვის გამოკვეთილია შავი და კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი რეგიონების მკვებავი არტერიების განვითარების რეალური სახე. რუსეთიდან 1986 წლიდან წელიწადში 10 მილიარდი კუბური მეტრი სიმძლავრის გაზსადენი მიემართება ევროპისკენ თურქეთის გავლით; მეორე ეს არის ექსპლუატაციაში 2002 წლიდან შესული „ცისფერ ნაკადად“ წოდებული გაზსადენი, რომელიც წელიწადში 16 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს ატარებს რუსეთიდან თურქეთში მიმავალი შავი ზღვის ფსკერზე; იმავე მაგისტრალთანაა მიერთებული 2001 წლიდან ირანიდან მომავალი გაზსადენი – წელიწადში 10 მილიარდი კუბური მეტრი სიმძლავრის. ამავე სისტემებს 2007 წლიდან მიუერთდა შაჰდენიზი-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომლის სიმძლავრე ჯერჯერობით შეადგენს 7,3 მილიარდ კუბმეტრს წელიწადში.

– ოღონდ ჯერჯერობით შაჰდენიზის მილში მხოლოდ აზერბაიჯანული გაზი გადის.

– ამ ახალ მილში გაზის პირველი მიმწოდებელი არის აზერბაიჯანი, თუმცა შემდეგ მას უნდა დაემატოს ყაზახეთი და თურქმენეთი.

– რომელთაგანაც რუსეთი ამჟამად თავად ყიდულობს გაზს, რომ ევროპას მიაწოდოს.

– დიახ. ასევე, ამ მილთან მიერთების სურვილი გამოთქვა ირანმაც, ის რუსეთის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილზეა ბუნებრივი აირის დაძიებული მარაგებით, თუმცა ამისთვის საჭირო გახდება გაზსადენის წარმადობის გაზრდა 30 მილიარდ კუბურ მეტრამდე. პერსპექტივაში რეგიონის სისტემაში თავმოყრილი გაზსადენების სიმძლავრე, თუ არ ჩავთვლით ახლო აღმოსავლეთისა და არაბეთის ქვეყნებს, შეადგენს 65 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში.

– უზრუნველყოფს ჩვენს გაზმომარაგებას აზერბაიჯანის მარაგები?

– დღეს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, ჩვენი ქვეყნის გაზმომარაგება მთლიანადაა დამოკიდებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენების სისტემით მოწოდ-

რა საქმიანობას ეწეოდა გიორგი ონიანის მამა შპს „ხინკლისა და მწვადის სამყაროში“

აწ უფლებადამცველი და 2012 წლის ნოემბერში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ დამფუძნებელი და წევრი გიორგი ონიანი 1981 წლის 21 იანვარსაა დაბადებული და მისი ბოლო სამუშაო ადგილი თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველო (ანუ პოლიცია) იყო, სადაც ის 2012 წლის ნოემბრამდე პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე გიორგი ონიანის პირველი დეკლარაცია 2002 წლით თარიღდება, როდესაც ის პროკურატურაში მუშაობდა, თუმცა დეკლარაცია არ იძებნება. არ იკითხება არც მის მიერ 2004 წელს შევსებული დეკლარაცია (იმხანადაც ბ-ნი ონიანის დასაქმების ადგილი საქართველოს პროკურატურა იყო).

2007 წელს გიორგი ონიანმა დეკლარაცია შეავსო, როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილემ და ის, სულ რაღაც, 26 წლის იყო. ოჯახის წევრებად მიუთითა მამა – ნუგზარ ონიანი და დედა – ლამარა სურმავა. ოჯახის საკუთრებად მითითებული ერთადერთი, 40 000 ლარად ღირებული, საცხოვრებელი ბინის მფლობელი ქ-ნი ლამარა იყო. ნაღდი ფული, დეკლარაციის შევსების მომენტში, მხოლოდ ბ-ნ ნუგზარს ჰქონდა – 2 000 ლარი. იმხანად ნუგზარ ონიანი შპს „ხინკლისა და მწვადის სამყაროს“ პარტნიორი იყო.

2007 წელს გიორგი და ნუგზარ ონიანებმა, შესაბამისად, 10 000 და 3 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხები აიღეს. იმავე წლის ხელშეკრულებიდან ვიგებთ, რომ 2006 წელს გიორგი ონიანი მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ (ხელფასის სახით 4 800 ლარი აიღო), ასევე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მესამე განყოფილების უფროსად (ხელფასად 1 800 ლარის აღება მოასწრო).

2008 წელს გიორგი ონიანმა დეკლარაცია შეავსო, როგორც პოლიციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ და ოჯახის წევრად, მშობლების გარდა, მიუთითა მეუღლე – 1985 წელს დაბადებული ანა მინაშვილი. ამჯერად ონიანების უძრავი ქონება საგრძნობლადაა გაზრდილი: ქ-ნი ლამარა კვლავაც ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინის მფლობელია (ვაზისუბანში), გიორგი ონიანის საკუთრებაა 500 000 ლარად ღირებული საცხოვრებელი ბინა თბილისში, ბახტრიონზე, ნუგზარ ონიანს კი ორი აგარაკი აქვს: ოქროყანაში (300 000 ლარად ღირებული) და ქუთაისში (100 000 ლარად ღირებული); ანა მინაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა 300 000 ლარად ღირებული ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონში და 150 000 ლარად ღირებული აგრაკი მუხაწყაროში. 2007 წლის განმავლობაში გიორგი ონიანის პოლიციურმა სახელფასო შემოსავალმა 15 120 ლარი შეადგინა.

2009 წელს გიორგი ონიანი უკვე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილეა, დეკლარაციაში ის ცვლილებაა, რომ ამჯერად ნუგზარ ონიანს, ნაღდი ფულის სახით, 12 000 აშშ დოლარი ჰქონდა. ერთობლივად მამა-შვილმა ხელფასის სახით იმ წელს 24 000 ლარი აიღეს.

2010 წლის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ გიორგი ონიანი ცოლ-შვილთან ერთად მარტო ცხოვრობს, მათი უძრავი ქონება კი შემდეგი ოდენობისა: ანა მინაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა ბახტრიონზე (ფლობს ნილის 50-პროცენტს). მაშინ, როდესაც გიორგი ონიანი გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე იყო და მისი წლიური ხელფასი 21 600 ლარს შეადგენდა, მისი მეუღლე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ოპერატორი იყო და 1 600 ლარი ჰქონდა წლიური შემოსავალი. 2011 წელს შევსებული დეკლარაციით, გიორგი ონიანის მეუღლეს მუხაწყაროში საცხოვრებელი სახლიც დაუმატებია და, რადგან სამუშაო ადგილის გრაფა ცარიელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ანა მინაშვილი აღარ მუშაობდა, სამაგიეროდ, გიორგი ონიანის წლიურ სახელფასო შემოსავალს 24 000 ლარი შეუდგენია. სულ ბოლო დეკლარაცია გიორგი ონიანმა 2012 წელს შეავსო, როგორც გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილემ, თუმცა იმავდროულად, ის შსს-ს ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტიც იყო და მისმა წლიურმა ანაზღაურებამ, დამატებით, 14 346 ლარი შეადგინა. გიორგი ონიანს 2011 წელს 10 წლის ვადით 42 000 ლარის ოდენობის იპოთეკური სესხიც აუღია.

ნინო ხაჩიძე

ებულ გაზზე, რომელიც საქართველოში ცალ-ცალკე გაზსადენებით შემოდის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე „ბი პის“ მფლობელობაში არსებული შაჰდენიზის საბადოდან. ტრანზიტით გაზის მოწოდება-მიღება, ასევე, შესაძლებელია ირანიდან, აზერბაიჯანის გაზსადენების მეშვეობით. თუმცა აზერბაიჯანის სადღეისო რესურსების და გაზსადენის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საეჭვოა, რომ მომავალი 1-2 წლის განმავლობაში მთლიანად დაკმაყოფილდეს საქართველოს მოთხოვნილება ბუნებრივ აირზე და უზრუნველყოფილი იქნას გაზის სტაბილური მოწოდება.

– ეს არის კითხვათა-კითხვა: ჩვენ ამჟამად რა ფასად ვიღებთ ბუნებრივ აირს?

– აზერბაიჯანთან და „ბი პისთან“ დადებული ხელშეკრულებით, შაჰდენიზის საბადოს საპროექტო მონაცემები და საქართველოსთვის გაზის მოწოდების სახელშეკრულებო პირობები შემდეგნაირია: პროექტის პირველადი სიმძლავრე შეადგენს 7,3 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში. ნლების მიხედვით პროექტით გათვალისწინებულია გაზის მოპოვების ზრდა. პირველი სამი წლის განმავლობაში საქართველოს შეეძლო, შაჰდენიზის საბადოს გაზის შეძენა წელიწადში 200-400 მილიონი კუბმეტრის მოცულობით, ხოლო მეოთხე წელს, შესაბამისად, 500 მილიონი კუბმეტრი შეღავათიან ფასში – 55 დოლარს პლუს ამ თანხის 1,5 პროცენტი ყოველწლიურად და ამჟამად ამ 500 მილიონი კუბმეტრის საფასურია 60 ამერიკული დოლარი. გატარებული ბუნებრივი აირის 5 პროცენტი უფასოდ გვრჩება, მინის რენტის სანაცვლოდ. დანარჩენი 500 მილიონი კუბმეტრიც უფასოსავით გამოგვდის. ამას გარდა, დანარჩენ გაზს ვყიდულობთ აზერბაიჯანის სხვა საბადოებისგან, უკვე აზერბაიჯანის სახელმწიფოსგან და არცთუ ძვირად – 160 ამერიკულ დოლარად 1 000 კუბმეტრს. თუმცა ვფიქრობ, ფასი არც ისე დაბალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანული მხარე თავისუფლად იყენებს ჩვენს ტერიტორიას.

– ჩემთვის გაუგებარია, რატომ იკრიბება ეს ჩვენი გაზი – როგორც ფასიანი და უფასო, ისე შეღავათიან ფასად შეძენილთან ერთად – „სოკარში“ და შემდეგ ის ანაწილებს და ადგენს შეწონილ ტარიფს. მსმენია, რომ თითქოს აზერბაიჯანული გაზი რუსულ გაზზე ნაკლები თბოუნარიანობით ხასიათდება და არაეკონომიურია...

– საერთოდ, სამხრეთისა და აღმოსავლეთის გაზი გაცილებით მეტად კალორიულია, ვიდრე ჩრდილოური.

– ანუ აზერბაიჯანული რუსულზე კალორიულია?

– რა თქმა უნდა. 1 000 კუბმეტრი აზერბაიჯანული გაზის თბოუნარიანობა 7 800-დან 8 200 კილოკალორიამდეა. მაგალითად, როდესაც ირანის გაზს ვიღებდით, მართალია, მაშინ თბილისამდე ვერ მოვიტანეთ, ამიტომ აზერბაიჯანს ვაწვდიდით და ისინი ელექტროენერგიას გვაწვდიდნენ, 9 750 კილოკალორია იყო ირანული გაზის თბოუნარიანობა, ამიტომ ისინი თავიანთ გაზს კუბმეტრებით კი არ ყიდიან, არამედ კილოკალორიებით. როდესაც გაზი შემოდის, მოწმდება მისი ხარისხი, ანუ კალორიულობა მარეგულირებელ-გამზომ კვანძში, სადაც აღირიცხება არა მხოლოდ ის, რამდენი კუბმეტრი გადმოდის დღე-ღამესა თუ თვეში, არამედ – თბოუნარიანობაც.

– ირანისგან ამჟამად ვინ იღებს ბუნებრივ აირს?

– თურქეთი. თურქეთი გაზს იღებს ირანიდანაც, რუსეთიდანაც და აზერბაიჯანიდანაც.

– ჩვენს ტერიტორიაზე მხოლოდ შაჰდენიზი გადის.

– დიახ, თან, გაითვალისწინეთ, კასპიის ზღვის სიღრმე 60-80 მეტრია, მაშინ, როდესაც შავ ზღვაში მიღები 2,5 კილომეტრზეა ჩაყრილი. შუა ნაწილში კი შავი ზღვის სიღრმე 4 500 მეტრია.

– შაჰდენიზის მილსადენი კარგა ხანია, მუშაობს, მაშინ რატომ აღინიშნა ზარ-ზეიმით ეს პროექტი კიდევ ერთხელ ბაქოში?

– იმიტომ რომ ბაქომ გაზის მოპოვება დღეში 3 მილიონ კუბმეტრამდე გაზარდა. გადააჭარბა იმ რაოდენობას, რაც დაგეგმილი იყო. ქაბურღილი, საიდანაც შაჰდენიზის მილში მოედინება ბუნებრივი აირი კასპიის ზღვის შუაშია, ნაპირიდან 100 კილომეტრში, ანუ, სულ რაღაც, 100-კილომეტრიანი მილის დამატება სჭირდება, რომ თურქმენეთის გაზი მიუერთდეს, რაც რამდენიმე თვის სამუშაოა.

– რუსეთს თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან მიაქვს გაზი, რომ ევროპას მიაწოდოს, პოლიტიკურად რამდენადაა შესაძლებელი შაჰდენიზის მილსადენისთვის თურქმენული და ყაზახური გაზის მიერთება?

– ბუნებრივია, მუშაობს რუსეთის ზეგავლენა თურქმენეთსა და ყაზახეთზე. მათ აწყობილი აქვთ ურთიერთობა, შემოსავალს იღებენ და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, საიდან ექნებათ ეს შემოსავალი რუსეთიდან თუ შაჰდენიზის პროექტიდან. თან, რუსეთისადმი ლოიალობა სისხლში აქვთ გამჯდარი. ამიტომ არ მიდიან გამწვავებაზე. რუსეთს მათთვის ისეთი სანქციების დანესება შეუძლია, რაც დაზარალებს თურქმენეთსაც და ყაზახეთსაც.

– აზერბაიჯანის მიერ შაჰდენიზის მილსადენით მიწოდებულ გაზს რა წილი უჭირავს ევროპის გაზმომარაგებაში?

– ძალიან მცირე, მაგრამ ამ პროექტის პოლიტიკური დატვირთვა და პერსპექტივაა მეტი.

ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

ვისთვის-ვისთვის და, 2014 წლის დასაწყისი გიორგი ყიფშიძისთვის მართლა ისეთი ჯადოსნური და სიხარულის მომტანი აღმოჩნდა, როგორიც მხოლოდ ჩვენს ბავშვობაში განგვიცდია, როცა მშობლების მიერ ნაძვის ხის ქვეშ დატოვებულ საჩუქარს დავინახავდით, თოვლის ბაბუას მოტანილი გვეგონა და უზომოდ გვიხაროდა. სამთვიანი შრომა, არტისტულობა, საოცარი შოუს დადგმა, ბრძოლა ყოველი ცეკვისთვის, ყოველი შემდეგი გამოსვლისთვის გიორგის ნამდვილად დაუფასდა – მაია რჩეულიშვილისგან, კომპანია „ცენტრ პოინტისგან“ დაუჯერებელი საჩუქარი – ბინა მიიღო. ვისაც გიორგის წარმატებაში ჯულიანა ბარ-გნარის წვლილიც არ ეჩვენება პატარად, მათ დასამშვიდებლად თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ გიორგი მას ავტომობილის ჩუქებას დაჰპირდა და ამას აუცილებლად გააკეთებს.

რის გამო ტიროდა გიორგი ყიფშიძე პატარა ბავშვივით

გიორგი ყიფშიძე: ფინალის საგიჟეთის შემდეგ, რომ გითხრა, ჩემი თავისთვის და გარეთობისთვის მოვიცალე-მეთქი, ასე არ ყოფილა. „შობა ლაუნჯში“ მიმყავდა საახალწლო საღამო და მუშაობა განვაგრძე, მოკლედ, ვერ ვიგულავე.

– და კიდევ შენზე იტყვიან რაღაცეებს – ეზარება მუშაობაო, ისაო, ესაო...

– ვინ ჭორაობს, საიდან მოაქვთ ეს ამბები, ვერ გავიგე. ვინ ავრცელებს, ძალიან მაინტერესებს *(იცინის)*.

– შენც და შენი ათასობით გულშემატკივარიც საშინლად გულდაწყვეტილი იყავით, რომ ფინალში ვერ მოხვდი, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ფინალი შენი იყო...

– ფინალი არ ვიცი, მაგრამ, რაც მინდოდა – რომ ყველა კვირას მეცეკვა და პროექტში ბოლომდე ვყოფილიყავი – ეს მოხდა. არც ერთი კვირა არ ჩამიგდია, ფინალშიც ხომ ვიცეკვე *(იცინის)*. ერთადერთი, ძალიან მინდოდა „პასადობლი“ მეცეკვა – ამ ცეკვით დავინყე და ისევ ამით მინდოდა, დაგვემთავრებინა. მხოლოდ იმაზე დამწყდა გული, რომ ამ ცეკვის შესრულება ვერ შევძელი. თან, ისეთი საჩუქარი გამიკეთეს, რომ, რა გითხრათ, თავი უხერხულად ვიგრძენი, ვერ მივხვდი, რა უნდა გამეკეთებინა. არ ვიცი, რა ჯობდა, ფინალში გავსულიყავი თუ ეს საჩუქარი მიმეღო.

თურმე, ეს „ნაძირალა“ რას მიპირებს და რაებს მელაპარაკება. კინაღამ გული გამისკდა, პატარა ბავშვივით ვტიროდი

– ალბათ, იცოდი, რომ რამე საჩუქარს მიიღებდი – პროექტის ფინალი ყოველთვის საჩუქრებით არის დახუნძლული.

– კი, მეუბნებოდნენ, რაღაც საჩუქრებს მიიღებო და ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ, საერთოდ არ ვფიქრობდი მაგაზე. ისეთი გულდაწყვეტილი ვიყავი, ისეთ ცუდ ხასიათზე, რომ, ვამბობდი: მოიცა, რა საჩუქარი, არაფერი არ მინდა-მეთქი. მერე ნოე მოვიდა და მეუბნება: შენთვის საჩუქარზე ვფიქრობთ და, ჰა, აბა, რა გინდა, სად დაგასვენოთო. ფეხებზე მკიდია, სადაც გინდა, გამიშვი, ფინალში ვერ გავედი-მეთქი – ნერვები მქონ-

ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონ ბინაზე ნამდვილად ნუ ინერვიულებთ

და მოშლილი. მან კი, უცებ, ბრახ და, რა გამიკეთა *(იცინის)*! თურმე, ეს „ნაძირალა“ რას მიპირებს და რაებს მელაპარაკება. კინაღამ გული გამისკდა, პატარა ბავშვივით ვტიროდი, ველარ გამაჩერეს, მეუბნებოდნენ კარგი, გეყოფა სირცხვილიაო *(იცინის)*.

– გამარჯვებულის საჩუქარი მიიღე.

– დიახ, და, ამის გამო ფინალისტებთან თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი. რას წარმოიდგენდი, თუ პირველ ადგილისთვის გაკუთვნილი სიდიდის საჩუქარს მესამე ადგილისთვის მაჩუქებდნენ – ამას ნამდვილად მართლა ვერ ვიფიქრებდი.

– ჯულიანა...

– ჯულიანა გადარეული იყო, კიოდა და წიოდა. სიგიჟემდე გაუხარდა მასაც.

– უსაჩუქროდ დარჩა?

– ჯერ ერთი, მაგას ხომ შევპირდი მანქანას – თუ ფინალში გავალთ, მანქანას გიყიდი-მეთქი და ეს დანაპირები ძალაშია.

– რა მანქანას შეჰპირდი?

– *(იცინის)* მაგას ვნახავთ, დარწმუნებული ვარ, მოეწონება.

– სოციალურ ქსელებში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, ეს საჩუქარი მხოლოდ პიარი ყოფილიყო, რადგან, „ცენტრ-პოინტს“ პრობლემები აქვს.

– რას მეუბნებით ახლა, რომ არ დავიჯერო?! *(იცინის)* რა სისულელეა! ჯერ ერთი, ახლა ყაზბეგში ვარ გამოქცეული ორი დღით დასასვენებლად, „რუმსში“ და აქ არიან რჩეულიშვილები მთელი ოჯახით. ყველაფერი რიგზე იქნება, ამაზე ნამდვილად ნუ ინერვიულებთ. მეორეც, პრობლემები დღეს ვის არ აქვს, რომელ კომპანიას, ეგ მითხარით. რაც იყო, კარგი რომ იყო, ვიცი და, როგორი ნაბიჯი იყო – პიარ თუ სხვა, ეს მართლა არ მაინტერესებს.

– საკუთარი ბინა გქონდა?

– არა, და საქმეც ეგაა. მშობლებთან ვცხოვრობთ.

– უკვე იცი, ეს ბინა სად არის?

– არა, არა, ეგეთი ნიუანსები არ ვიცი. ფინალის შემდეგ გავვარდი სამუშაოდ და მერე ეგრევე აქ გამოვიქეცი – მარტო ვარ და ვისვენებ. დღეს საღამოს ან ხვალ დილით *(ინტერვიუ ჩაწერილია 3 იანვარს – ავტორი)* ჩამოვალ თბილისში და გავაგრძელებ ჩვეულ რიტმში ცხოვრებას. ბინა სად არის, როგორია და რამხელაა, ნამდვილად არ ვიცი და ამას საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, გარწმუნებთ.

– ვარსკვლავურ რეჟიმში ჩაჯექით ყველა და ამის გარეშე არ გაგიჭირდება?

– კი, ძალიან. ამაზე ჩვენ „პროფაილშიც“ ვლაპარაკობდით. თავიდან ბოლომდე პროექტში ვიყავით: გადარბენები, რეპეტიციები, სამოსის მოსინჯვები, ლაივები... სულ სხვა ტემპში ვიცხოვრე ეს თვეები. ამას ეჩვევი და მერე ამის გარეშე გაგრძელება რთულია. ყველაფერი კარგი ადრე თუ გვიან, მთავრდება და დამთავრდა ესეც. როგორც აქამდე ვცხოვრობდი ისე უნდა გავაგრძელო ცხოვრება, ოღონდ მინდა გითხრათ, რომ ამ პროექტმა ჩემს დამოკიდებულებებში ბლომად რაღაცეები შეცვალა და შეცვალა კარგისკენ, საქმის მიმართ გამხადა სხვანაირი – ამის ახსნა მიჭირს. უფრო დიდი პასუხისმგებლობა გამიჩნდა თუ რა, არ ვიცი, მაგრამ, ბევრი რაღაც რომ ვისწავლე, ამის თქმა ნამდვილად შემიძლია. და, მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს გულშემატკივარს. ამდენი წელია, ჩემს საქმეში ვარ და ასეთი სითბო და სიყვარული არასდროს მიგრძნია. ვერ აგიწერთ, როგორი მაგარი შეგრძნებაა ეს, სასწაულია და, ამიტომ, ვეცდები, გაცილებით მაგარი ვიყო, სცენაზე იქნება ეს, მეგობართან, ოჯახში თუ სარეპეტიციოში – ამით ვეცდები, რომ მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ასე დაიჯერა ჩემი; ვინც მენდო, მგულშემატკივრობდა ამ ხნის განმავლობაში. ყველას გილოცავთ ახალ წელს და ძალიან დიდ ბედნიერებას გისურვებთ!



სალომე გველესიანი

ვერა ქობალია წინა ხელისუფლების ყველაზე ეპატაჟური მინისტრი იყო – კანადიდან თბილისში პირდაპირ მინისტრის რანგში მოხვედრილ 28 წლის ახალგაზრდა ქალს ეკონომიკის სამინისტრო რომ ჩააბარეს, თბილისში არავინ იცნობდა, თუმცა, საზოგადოების ყურდღების ცენტრში ძალიან მალე მოექცა და „ხმაური" თითქმის სამი წელი არ მოჰკლებია. დღეს მისი ცხოვრება რადიკალურად განსხვავებულია – ექსმინისტრი მთელ დროს 7 თვის შვილს, ანასტასიას უთმობს, ცოტა ხნის წინ კი მეგობართან ერთად ტურისტული ბიზნესი წამოიწყო და იმ საქმეში ჩაერთო, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ძალიან უყვარს.

როგორ ცხოვრობს ვერა ქობალია თბილისში და რატომ გაიცნო მან ქმარი სამჯერ

ვერა ქობალია: ძალიან ხშირად მეკითხებიან, როგორ გრძნობ თავს მას შემდეგ, რაც შენს ცხოვრებაში უეცრად ყველაფერი შეიცვალა და აღარ გაქვს ისეთი აქტიური ცხოვრება, როგორიც ადრე გქონდაო. ყველაზე მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ახლა მშვიდი ცხოვრება მაქვს. როცა 180 გრადუსით შემოტრიალდება ცხოვრება, ბევრ რამეს სხვანაირად ფიქრობ. ჩემი ორსულობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა მინისტრის პოსტიდან წავედი. ალბათ, ნებისმიერ ვარიანტში, ჩემი არჩევანი მაინც ოჯახსა და პირად ცხოვრებაზე შეჩერდებოდა. მეც მიფიქრია, როგორ შევძლებდი ცხოვრებას სამწლიანი ინტენსიური და აქტიური რეჟიმის შემდეგ, მაგრამ, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო, როგორც არის. ჩემმა შვილმა ყველაფერი ჩაანაცვლა – იმდენად ბევრი დრო მიდის ანასტასიათან, ვერც კი ვგრძნობ, ისე გავიდა ეს შვიდი თვე, არც კი ვიცი, სად გაქრა *(იცინის)*.

– დღეს როგორ იხსენებთ იმ სამწლიან პერიოდს, როცა მინისტრი იყავით?

– ეს იყო ძალიან საინტერესო პერიოდი. თავიდან, რა თქმა უნდა, იყო ძალიან რთული, რადგან, ჩემსთვის საქართველოში და, ზოგადად, სახელმწიფო სამსახურში, ბევრი რამ იყო უცნობი, თუმცა, დღემდე მადლობელი ვარ სამინისტროს იმ თანამშრომლების, ვის გარეშეც ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებდი. მე დღემდე მენატრება ის ხალხი, სამუშაო გარემო. იმ პერიოდმა მომცა ძალიან დიდი გამოცდილება არა მხოლოდ საქმის მხრივ, რაც შეეხებოდა უცხოეთში მოლაპარაკებებსა და პროექტებს, არამედ, დიდი გამოცდილება მივიღე ხალხთან ურთიერთობების თვალსაზრისით. ადრე პოლიტიკასთან შეხება არ მქონია, პოლიტიკამ მასწავლა ადამიანების ფსიქოლოგია ისე, როგორც, ალბათ, ვერსად ვერ ვისწავლიდი, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ, ან მაშინ, ან ახლა, ძალიან პოლიტიზებული გავხდი. მინისტრობის დროსაც კი, მე ვიყავი ყველაზე ნაკლებად პოლიტიზებული ადამიანი. ჯერ ერთი, ეკონომიკის სამინისტროს ჰქონდა ნაკლები შეხება პოლიტიკურ პროცესებთან, ამას გარდა, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, პოლიტიკით დაინტერესება არ იყო ჩემი ყველაზე დიდი „სისუსტე".

– თქვენ იყავით იმ ხელისუფლების ყველაზე „ხმაურიანი" მინისტრი – გამუდმებით იყო საუბრები თქვენს ასაკზე, ნარსულზე, პირად ცხოვრებაზე.

– ეს, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ მე ვიყავი ქალი, ქალის ცხოვრება კი უფრო მეტ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში, ვიდრე მამაკაცის. თან, მე ვიყავი უცხო სახე ამ საზოგადოებისთვის. თავიდან, როდესაც მივიღე გადაწყვეტილება, წავსულიყავი საჯარო სექტორში, ბევრი მეუბნებოდა, რომ ამის გაკეთება არ ღირდა, რადგან, ყოველდღე მომიწევდა საზოგადოების „რისხვის" ატანა; რომ ჩემი ცხოვრება მუდმივად უნდა ყოფილიყო საზოგადოების ინტერესის საგანი, მაგრამ, მე მაინც მივიღე გადაწყვეტილება. როცა ასეთ არჩევანს აკეთებ, უკან დასახევი გზაც აღარაა – გახსნილი უნდა იყო საზოგადოებისთვის. თავიდან არც კი მესმოდა, რატომ იყო ასეთი დიდი ინტერესი ჩემი პიროვნების მიმართ. ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო ის ბრალდებები, რაც ჩემი ოჯახის მიმართ დაიწყო. საკუთარ თავზე აიტან ნათქვამს, მაგრამ, როცა შენ გამო ცუდს ამბობენ ოჯახზე, ეს უკვე მეტისმეტია. მაშინ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ მამას ჰქონდა პურის საცხობი კანადაში; რომ თვითონ არ ყიდდა ადგილზე და მაღაზიებს აწვდიდა. არ მესმის, რა იყო სალაპარაკო იმაში, რომც გაეყიდათ ის პური. მე ვამაყობ იმით, რომ მამამ ნულიდან დაიწყო და აწყო თავისი ბიზნესი, მანამდე ის სოხუმში იყო ლექტორი, მაგრამ, არ დაეზარა და ხელი მოჰკიდა იმ საქმეს. არც ის მესმის, რა იყო ცუდი

სულ ვამბობდი, რომ ჩემს თავს, ალბათ, არ დავნიშნავდი მინისტრის თანამდებობაზე

იმაში, რომ მე ვმუშაობდი მშობლებთან. საზოგადოებას არ ესმოდა, რომ ნებისმიერი საქმე – საქმეა და ამაზე არ უნდა გაგაქილიკონ. რაც შეეხება ჩემს ასაკს, ახლა ვხუმრობ ხოლმე, რომ დღევანდელი პრემიერ-მინისტრი ჩემზე უფრო პატარაა. მე ვფიქრობ, ასაკი მნიშვნელოვანია და, სულ ვამბობდი, რომ ჩემს თავს, ალბათ, არ დავნიშნავდი იმ თანამდებობაზე, რადგან, სწრაფად ვერ ვიღებ გადაწყვეტილებებს. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ, ალბათ, არ იყო არასწორი გადაწყვეტილებები, როცა ბევრი მინისტრი იყო ახალგაზრდა. ის, ვინც გამოცდილი იყო, კომუნისტურ კადრად ითვლებოდა, ან, იმ ადამიანად, ვისაც გამოცდილება შევარდნაძის ხელისუფლებაში ჰქონდა მიღებული, ასე რომ, იმ დროს გამოუცდელობა უფრო „მისაღები" იყო, ვიდრე გამოცდილება. იმ სამი წლის განმავლობაში ჩემს სამინისტროში ბევრი რამ გაკეთდა. ბოლო მაგალითს გეტყვით: აშენდა ქუთაისის აეროპორტი, რომლითაც დღეს ძალიან ბევრი ადამიანი სარგებლობს.

– რა იყო თქვენი შეცდომები მინისტრობის დროს?

– ვცდილობდი, საერთოდ არ მიმექცია ყურადღება ამ ხმებისთვის; რაღაცნაირად, სქელი კანი გადავიკარი და „შიგნით" არაფერს ვუშვებდი. არ ვიცი, ალბათ, ჯობდა, უფრო ახლო ურთიერთობა მქონოდა საზოგადობასთან, ჟურნალისტებთან, მაგრამ, კანადიდან ჩამოვედი თუ არა, საქმეში ჩავერთე და, ალბათ, ბევრ რამეს ვერ ვხედავდი ისე, როგორც უნდა დამენახა და ეს ფაქტორი ამოუცნობი დამრჩა. მინისტრობის პერიოდში იყო არაერთი მკაცრი „გამოცდა", რომელიც უნდა ჩაგებარებინა, რომ გაზრდილიყავი, როგორც მენეჯერი. წარმოიდგინეთ, სამი წლის განმავლობაში ერთად რომ „ჩატენოთ" ყველაფერი ის, რაც 20 წელიწადში შეიძლება გააკეთო. ჩემი ცხოვრების რეჟიმი იყო აბსოლუტურად არანორმალური.

– შეიძლება ითქვას, რომ სულზე მოგისწროთ პირადი ცხოვრების შეცვლამ.

– ისიც კი მიკვირს, სად მოვასწარი და მოვახერხე ჩემი ქმრის გაცნობა *(იცინის)*. მე და დათო ხშირად ვიცინით ხოლმე იმაზე, რომ ჩვენ სხვადასხვა წრეში სამჯერ გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ, მე ეს არ მახსოვდა გუდაურში შეხვედრამდე, როცა ჩვენი ურთიერთობა დაიწყო. ალბათ, მანამდე არ ვიყავი განწყობილი ასეთი ურთიერთობისთვის და ამაზე საერთოდ არ ვფიქრობდი. როცა მესამეჯერ გავიცანით ერთმანეთი, ეს უკვე, როგორც ჩანს, საჭირო დრო იყო. დათო ძალიან მიჭერს მხარს ყველაფერში. ვფიქრობ, რომ მეუღლე საუკეთესო მეგობარიც უნდა იყოს.

– საბოლოოდ დარჩით თბილისში? რატომ არ გადაწყვიტეთ კანადაში გადასვლა, თქვენ ხომ კანადის მოქალაქე ხართ?

– ყველას უკვირს, რატომ დავრჩი საქართველოში, მაგრამ, როცა მივიღე ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება, მაშინ გადავწყვიტე ისიც, რომ საქართველოში დავრჩენილიყავი. მე და ჩემს მეუღლეს არც კი გვიფიქრია, რომ კანადაში წავსულიყავით საცხოვრებლად. თუ მომავალში აქ გაგვიჭირდა ცხოვრება, მერე გადავწყვეტთ რა გავაკეთოთ.

– თქვენს მეუღლეს აღარ აქვს ბიზნესი?

– აქვს, მაგრამ, სარეკლამო ბიზნესი შეკვეთებსა და საქმეზეა დამოკიდებული. ახლა კარგი პერიოდი ნამდვილად არ უდგას მის ბიზნესს, ასე რომ, ჩვენი მომავალი ეკონომიკურ გარემოზეა დამოკიდებული.

– თქვენ მუშაობთ?

– დიახ, მე და მაია სიდამონიძემ ერთად დავაარსეთ ტურისტული სააგენტო და იანვრიდან ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვაპირებთ. მჯერა, რომ ტურიზმს ჩვენს ქვეყანაში დიდი მომავალი აქვს, თან, ეს ის საქმეა, რომელიც ძალიან მომწონს. მე და მაია ადრე ერთმანეთს არ ვიცნობდით, ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როდესაც ის დაბრუნდა საქართველოში და ტურისტული მიმართულების ხელმძღვანელი გახდა. ჩვენ მუშაობის პროცესში დავმეგობრდით.

– სხვა მეგობრები, მათ შორის – ექსპრეზიდენტი, რომელმაც თქვენ საქართველოში ჩამოგიყვანათ?! დღემდე გაქვთ ურთიერთობა მიხელ სააკაშვილთან?

– მე დღესაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს მიხეილ სააკაშვილთან, ის ჩემი შვილის ნათლიაა. მიშა ჩემთვის იყო ადამიანი, ვის გამოც მე დავბრუნდი საქართველოში და ვინც მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება – ამას მე ვერასდროს დავუვიწყებ. ჩვენ დღემდე დავრჩით მეგობრებად. დღეს, შესაძლოა, არ მაქვს ხშირი კონტაქტი, რადგან, ის ამერიკაშია, მაგრამ, სანამ წავიდოდა, ჩვენ ხშირად ვნახულობდით ერთმანეთს, ბოლო პერიოდში მის მრჩევლადაც ვმუშაობდი ადმინისტრაციაში.

– როგორი იყო ნათლობის ცერემონიალი და როგორია ნათლიის როლში მიხეილ სააკაშვილი?

– კარგი ნათლიაა. მიშაც და სანდრაც ძალიან ძვირფასები არიან ჩემთვის, სანდრას ძალიან ვაფასებ. დღეს ანასტასიას ფოტოები გავუგზავნე. დიდი ხანია, არ მინახავს და როგორ გა-

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

– ბატონო შალვა, ვიცი, რომ ბაზალეთში ყოფნა ძალიან გიყვართ და იქაურობა წალკოტად აქციეთ, სულ უვლით და ალამაზებთ სახლ-კარს, ბაღს. ალბათ, ყველაზე კარგად დროს იქ ატარებთ.

– ბაზალეთში მაქვს არაჩვეულებრივი ბაღი, რომლითაც ძალიან ვამაყობ. გვიდგას 200 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, ღვია და მარადმწვანე მცენარეები. ეს ბაღი არასდროს ჭკნება და, როგორც ილია ამბობდა, იქ მუდამ გაზაფხულია. რაც შეეხება დროის გატარებას, ტრადიციული ქართული წესით დროს საერთოდ ვერ ვატარებ – რესტორანში მე არ დავდივარ და სადმე სხვაგან. ყველაზე კარგად დროის გატარება და დასვენება ჩემთვის ბაზალეთში ყოფნაა.

– მოდი, ჭორებზეც ვისაუბროთ. რას ამბობენ თქვენზე, რა ჭორი მოსულა თქვენს ყურამდე.

– ის, რომ 2003 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამაფინანსა – პირდაპირ სახლში მომიტანა რვაასი ათასი ევრო, რომ ბუშისთვის ვარდების რევოლუციის მოწყობასა და სააკაშვილის გაპრეზიდენტებაზე ნებართვა მიმეცა.

– და, როგორი რეაქცია გქონდათ ამაზე?

– რეაქცია იყო ძალიან ამაღლებული – რომ ამერიკის პრეზიდენტს, თურმე, ჩემი ნებართვა და მოქრთამვა დასჭირდა.

– ისე, სააკაშვილი ახსენეთ და, სულ მინდოდა მეკითხა: ერთ დროს თანამოაზრეები იყავით, მეგობრობდით კიდეც. როდიდან აღარ მოგივიდათ თვალში?

– იმ მომენტიდან, როდესაც შევარდნაძემ ჩამოიყვანა ამერიკიდან და აირჩიეს ჩემს ადგილზე, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავჯდომარედ. პირველი გადაწყვეტილება, რაც მან მიიღო, საკუთარი ძმის იურიდიული კომიტეტის აპარატში მოწყობა იყო. მაშინვე მივხვდი, რომ ეს კაცი მხოლოდ საკუთარი თავის მეგობარია. იქიდან არ მომივიდა თვალში, თუმცა, მისი პოლიტიკური შეხედულებები არც ადრე მომწონდა. ასე რომ, ჩვენ შორის მენტალურად იმდენი განსხვავებაა, შეუძლებელი იყო ჩვენი მეგობრობა, ურთიერთობა; ოპონენტობა – კი.

– თქვენ ყოველთვის ძალიან ღიად ლაპარაკობთ იმაზე, რაც იცით, რა ინფორმაციასაც ფლობთ, არ ერიდებით არაფრის თქმას, მაგრამ, რეალურად, ამას არანაირი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. არის რამე ისეთი, რაც გინდათ, თქვათ და ვერ ამბობთ?

– ეს ართქმის მომენტები ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება, როცა ვიცი, რომ რაღაც ხდება, რაღაც გადაწყვეტილებაა მიღებული ქვეყნის გარეთ, რაღაც მზადდება. ამ დროს მინიშნებებს ვაკეთებ, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ვლაპარაკობ და ეს ძალიან მაწუხებს, მაგრამ, საგარეო პოლიტიკა ისეთი სფეროა, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება. ქვეყნის შიგნით რაც ხდება იმას ყველაფერს ვამბობ და არანაირი თვითცენზურა არ მაქვს. რაც შეეხება შედეგებს, სამწუხაროდ, ჩვენმა ოპონენტებმა აქცენტი გააკეთეს იმაზე, რომ ჩემი ქარიზმისთვის დაერტყათ, ანუ ისე გამოვიდა, რომ, ეს წლები, თურმე, ძირითადად, ვხუმრობდით და ჩვენ არ გვიბრძოლია მიტინგებზე, ჩვენ არ დაგვიკანონებია უფასო საშუალო განათლება, არ გვიბრძოლია უცხოური კომპანიების წინააღმდეგ და არ გაგვინახევრებია დენის ტარიფი, ჩვენ არ შეგვინარჩუნებია ამდენი სიმდიდრე, ბაღები, სკოლები, ინსტიტუტები... ფაქტობრივად, ერთადერთი პარტია ვართ, რომელიც არ იმართება არც რუსეთიდან, არც ამერიკიდან და არც ევროპიდან.

– ისე, მართლა კარგად ხუმრობთ ხოლმე.

– იუმორის თუ ორატორობის ნიჭი, ალბათ, ფშავიდან მომდევს. წარმოშობით ფხოვიდან ვართ, ჩვენი ძველი გვარი უძილაურია, რომელსაც ჩვენი შტო გამოეყო. მოგეხსენებათ, ფშაფში კაფია, შარი ყოველდღიური და ყოველწამიერი მოვლენაა და, ალბათ მეც იქიდან მომდევს ეს ნიჭი. ისე კი, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც

ბრძოლა პოლიტიკურ რინგზე საქართველოს პრეზიდენტობისთვის დასრულდა. შალვა ნათელაშვილისთვის კი, რომლისთვისაც ეს მცდელობა ამჯერადაც უშედეგო აღმოჩნდა, პრიორიტეტად და ნომერ პირველ ამოცანად კვლავ საქართველოს გამთლიანება და აღორძინება რჩება. ვინც ამ ადამიანს მხოლოდ შორიდან იცნობს, გეტყვით, რომ ცხოვრებაში ის საკმაოდ უბრალო, უშუალო, თავისთავად საინტერესო და, რაც მთავარია, ალალმართალია. ვფიქრობ, ის ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსია, რომლის გამოჩენაც ხალხს არასდროს აღიზიანებს და მისგან მოუთმენლად ელის რაღაც ისეთს, რაც მათ გაამხიარულებს და ამ მხიარულების ტემპერატურას უფრო მაღლა ასწევს. მაშ, ასე, ექსკლუზიურად ჩვენი მკითხველისთვის, შალვა ნათელაშვილი – ნაკლებად პოლიტიკური და თავისი ცხოვრებისეული ამბებით!

როგორ წერდა ზღაპრებს შალვა ნათელაშვილი და ვის უთვლიდა ის ლუკმას

იუმორი ნაკლად ითვლება და, შეიძლება, კომპრომატად დაგიდონ. მალე, ალბათ, ჟანგბადსაც დამითვლიან, რამდენს შევისუნთქავ. ყველა სხვა ქვეყანაში, ისტორიულად, პოლიტიკოსი,

ამერიკის პრეზიდენტს, თურმე, ჩემი ნებართვა და მოქრთამვა დასჭირდა

რომელსაც კარგი იუმორის გრძნობა არ აქვს, ვერანაირ წარმატებას ვერ აღწევს.

– ისიც კარგად გამოგივიდათ, ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ რომ თქვით. ვიცი, ყოველთვის, როცა ამას გიხსენებენ, არ გსიამოვნებთ, მაგრამ, არ გეწყინოთ, ბატონო შალვა, საზოგადოებამ ეს თქვენი ინგლისური არა უვიცობად და სერიოზულად, არამ-

ჩემი პირველი პოპულაროზის პრეცედენტი შედგა მეხუთე კლასში. მაშინ იყო ასეთი გაზეთი – „ნორჩი ლენინელი", რომელსაც, მგონი, „ნიშ-იორკ თაიმსზე" მეტი ტირაჟი ჰქონდა და იქ დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა-ზღაპარი „მაპატიე, თოვლის პაპა"

ედ, სიყვარულით მიიღო და კიდევ ერთი ქულა დაგიწერათ იუმორში.

– სკოლაში ფრანგულს ვსწავლობდით და ასპირანტურაშიც ფრანგული იყო, თუმცა, დრო რომ გადის და ყოველდღიური შეხება არ აქვთ, ფრანგული კი არა, მშობლიური ენა ავიწყდებათ. შესაბამისად, ინგლისურზე პრეტენზია არ მქონია, მაგრამ, ის, რაც ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ ვთქვი, იყო სუფთა ინგლისურით ნათქვამი, ოღონდ, ქართული აქცენტით. რა თქმა უნდა, მეწყინა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის უმადურობა, რომელიც, ჟარგონით რომ ვთქვა, ფინთი გოიმივით ავარდა სააკაშვილის და ივანიშვილის შავ პიარზე. ერთდროულად ავრცელებდნენ მათი პიარ-სტუდიები იმ ჩემს ნათქვამზე კლიპებს, მაგრამ, ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ, მსოფლიო იმპერიის იმპერატორის კაბინეტის ფანჯრებთან, ქართულ ენაზე მიტინგი არასდროს ჩატარებულა და ჩემს ბიოგრაფიაში ეს ოქროს ფურცელია. მაშინ მე მივმართე ამერიკას, რომ ჩვენ გვინდა ჯეფერსონის, ვაშინგტონის, რეიგანის, კენედის ამერიკა, მაგრამ, არ გვინდა მაკკეინისა და დიქტატორ სააკაშვილის მომხრე ძალების ამერიკა და ესენი მოგვაშორეთ-მეთქი. პირველად იქნა მოხსენიებული თეთრი სახლის წინ ილია, მერაბი, ზვიადი. მიტინგის დასასრულს საჭიროდ ჩავთვალე, მასპინძელი ქვეყნის პატივსაცემად ორი სიტყვა მეთქვა მათ ენაზე და გადავძახე იქვე მდგარ ჩვენს მეგობარს, სახელოვან მამულიშვილს, ლოტბარ ნიკო ნადირაშვილს: თუ კაცი ხარ, მითხარი, როგორ არის ინგლისურად „ძირს დიქტატურა"-მეთქი და, როგორც მიკარნახეს, ზუსტად ისე გავიმეორე.

– მართალია, რომ ლაპარაკი ორი წლისას დაგიწყიათ?

– დიახ, პირდაპირ ორატორობით დავიწყე. მახსოვს ასეთი შემთხვევა: დათვლას მასწავლიდნენ. მოხუცი ბებია გვესტუმრა, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. დედა ამ დროს ხინკალს ამზადებდა (მთაში, მოგეხსენებათ, სულ ხინკალია) და, რა თქმა უნდა, მიიპატიჟა. მე იქვე დავრბოდი, ვთამაშობდი. დედაჩემი ბებოს ეხვეწებოდა: გადაიღე, კიდევ გადაიღეო. სამი ხინკალი მივირთვი უკვე, დარეჯან, აღარ მინდაო. მოვუტრიალდი და ვეუბნები: რატომ იტყუები, ბაბო, სამი კი არა, ცამეტი ხინკალი ჭამე-მეთქი – თურმე, ვითვლიდი. ბებიას რეაქცია არ გაინტერესებს?! – ეს დიდი ოხერი ვინმე გაიზრდებაო.

– ბავშვობაში რა გინდოდათ გამოსულიყავით?

– რომ გითხრათ, ცეკას მდივნობა მინდოდა ან პრეზიდენტობა-მეთქი, ასეთი ოცნება არ მქონია. ჩემი მიზანი იყო, მომეწყო მოგზაურობა ამაზონის ჯუნგლებში და შემეგროვებინა ეგზოტიკური ცხოველ-ფრინველები ზოოპარკებისთვის – ეს იყო ჩემი ბავშვობის ოცნება და, ამის ნაცვლად, პოლიტიკურ ორფეხათა ზოოპარკში მოვხვდი.

– ძალიან კარგად ხართ გარკვეული ასტრონომიაში. კიდევ რა საგანი გიყვარდათ სკოლაში?

– გეომეტრია და ალგებრა არ მიყვარდა. გამოყენებითი მეცნიერებებიდან, ერთადერთი, ასტრონომია იყო ჩემი გატაცება, რომლისადმი სიყვარული დღემდე დამრჩა. ჩემი დილა როგორ იწყება, იცით? არც პოლიტიკა, არც პარტია არც არაფერი, შეიძლება, ტელევიზორიც არ ჩავრთო. შევდივარ სიახლეების საიტზე და ვნახუ-

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲐ ᲚᲘᲝᲜᲔᲚ ᲛᲔᲡᲘᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲖᲣᲠᲐ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲘᲡ ᲛᲐᲘᲙᲚ ᲓᲣᲒᲚᲐᲡᲡ

ახალგაზრდა და ნიჭიერი ქართველი მსახიობი ზურა მაჭარაშვილი დიდი ხანია, ნიუ-იორკში ცხოვრობს და ამერიკულ კინოინდუსტრიაში ცდილობს თავის დამკვიდრებას. ზურა მსახიობობასთან ერთად რეჟისურითაც არის გატაცებული და მის ანგარიშზე რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმია. ამჟამად ზურა ახალ პროექტებზე მუშაობს, რომელთა შესახებ ამ მცირე ინტერვიუდან შეიტყობთ.

ᲖᲣᲠᲐ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ: რამდენიმე პროექტზე ვმუშაობ – სრულმეტრაჟიანი ფილმებია. ამჟამად სცენარზე ვმუშაობ, რომლის სამუშაო სახელია: „ჩუმი მეომარი". სცენარის დაახლოებით 25 პროცენტი მზად მაქვს, დეკემბერში ვფიქრობ გადაღებების დაწყებას. უფრო ამერიკელ მაყურებელზე გათვლილი ფილმი იქნება. ჩემთვის ეს პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომლის რეჟისორიც მე ვიქნები. ვფიქრობ, ფილმი ამერიკული კინოთეატრების დიდ ეკრანებზე გამოვა. თუმცა, ეს უფრო შორეული პერსპექტივაა. ამას გარდა, მონაწილეობა მივიღე კომედიურ ფილმში და ასევე, სრულმეტრაჟიან ფილმში სახელწოდებით „გრეკო ფაილი". ფილმი ბერძენ ემიგრანტებზეა გადაღებული, რომლის პრემიერა წელს იგეგმება. ეს არის პირველი კომედია ჩემს კარიერაში. ამ ფილმში მთავარ როლს ვასრულებ და გადაღებები ლონგ-აილენდში მიმდინარეობდა. ასევე, დავასრულე გადაღებები კრიმინალურ დრამაზე „მი ამერიკა". ფილმის სიუჟეტში დიდი დრო აქვს დათმობილი ფეხბურთს და ერთ-ერთ სცენაში ნაჩვენებია ფეხბურთის მატჩი, სადაც მე ვმონაწილეობ. გუნდის კაპიტნის როლს ვასრულებ, აღნაგობით რეჟისორმა ლიონელ მესის მიმასგავსა – მისი სიმაღლე გაქვს, იერითაც ჰგავხარ და თამაშის სტილითაცო და დამარქვა „პატარა მესი". ამ სახელით ვარ ნახსენები ტიტრებში *(იცინის)*. ფილმი წელს გამოვა ეკრანებზე, მთავარ როლს არიან რაინარტი ასრულებს. ახალგაზრდა მსახიობია, რომელიც ასევე ერთ-ერთ როლს ასრულებს დარენ არონოფსკის ეპიკურ ბლოკბასტერში „ნოე". ფილმში ბიბლიური პერსონაჟის, ნოეს როლს რასელ ქროუ ასრულებს.

აღნაგობით რეჟისორმა ლიონელ მესის მიმამსგავსა, მისი სიმაღლე გაქვს, ჰგავხარ იერით, თამაშის სტილითო და დამარქვა „პატარა მესი". ამ სახელით ვარ ნახსენები ტიტრებში

– 2013 წლის ბოლოსთვის ლოს-ანჯელესში გამგზავრებას გეგმავდი, რა ეტაპზე ხარ ამჟამად?

– ახალი პროექტების გამო ლოს-ანჯელესში წასვლა დროებით გადაიდო. სავარაუდოდ, უახლოესი ერთი წელი ისევ ნიუ– იორკში ვიქნები. ძალიან მიყვარს ნიუ-იორკი, შევეჩვიე აქაურობას და ალბათ, გამიჭირდება წასვლა. მაგრამ, ლოს-ანჯელესში გადასვლა კარიერისთვისაა კარგი, ამიტომ დღის წესრიგში დგას ეს საკითხი.

– ნიუ-იორკში ვარსკვლავური ცხოვრება როგორ მიმდინარეობს, თუ შეხვდი რომელიმე მათგანს?

– „მერსედეს-ბენცის" „ფეშენ-ვიქზე" ვიყავი ამას წინათ, დამპატიჟეს და იქ შევხვდი მაიკლ დუგლასს, მიკი რურკს, რომელსაც კარგად ვიცნობ. ასევე, პოპულარული ახალგაზრდული სერიალის „ჭორიკანას" („Gossip Girl") ვარსკვლავები – ბლეიკ ლაივლი და პენ ბეჯლი გავიცანი. წელიწადში ორჯერ იმართება ეს „ფეშენ-ვიქი", უკვე მომივიდა მოწვევა იანვრის ლონისძიებებზე და სავარაუდოდ, იქაც ვნახავ ცნობილ სახეებს.

ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ლობ, კოსმოსში რა იპოვეს ახალი – ადამიანი ხომ კოსმოსის ნაწილია...

– ბატონო შალვა, თქვენს ოჯახში ყველა წერს, თან, ძალიან კარგად. თქვენ?

– ჩემი პირველი პოპულარობის პრეცედენტი მეხუთე კლასში შედგა. მაშინ იყო ასეთი გაზეთი – „ნორჩი ლენინელი", რომელსაც, მგონი, „ნიუ-იორკ თაიმსზე" მეტი ტირაჟი ჰქონდა. იქ დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა-ზღაპარი „მაპატიე, თოვლის პაპა". წამოვიდა წერილები თანატოლებისგან საქართველოს ყველა კუთხიდან. ბევრი წერილი დღემდე მაქვს შენახული. ერთმა ბავშვმა, რომელიც კახის რაიონის სოფელ ითითალადან იყო, ფერეიდნელები რომ ინერებიან მონატრებულ და სიყვარულით სავსე წერილებს, ასეთი თბილი წერილი გამომიგზავნა და პასუხი არ გავუგზავნე, რასაც ახლაც კი ვნანობ. ამის კომპენსირება იმით გავაკეთე, რომ, როგორც კი საშუალება მომეცა, დიდი ბიბლიოთეკა შევაგროვე და საინგილოს ერთ-ერთი სოფლის სკოლას ჩემი ხელით ჩავუტანე.

– ბავშვობაშიც ასეთი მტკიცე ხასიათი გქონდათ თუ მორჩილი იყავით?

– არასდროს ვუცემივარ მშობლებს, სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლებოდნენ – უბრალოდ, მეტყოდნენ, – თუ ამას გააკეთებ, იცოდე, კისერს მოიტეხო და, მეც, დავფიქრდებოდი, დამეჯერებინა თუ არა. მე და ჩემს ძმას კონკურენცია გვქონდა კაკლის მურაბაზე. დედაჩემს ვპარავდით. უფრო სწორად, ჯერ ის იპარავდა, მერე ფაქტზე ამხილეს – ჯიბის დანა დარჩენია კაკლების ამოსაღებად რომ იყენებდა. მერე მე დავიწყე მოპარვა და იმას ბრალდებოდა. მე უფრო ცივილიზებულად ვაკეთებდი: კოვზით ვიღებდი, მაგრამ, კოვზს იქ არ ვტოვებდი და, ქილას რომ აკლდებოდა, წყალს ვასხამდი. მაგრამ, მერე ის მურაბა მჟავდებოდა. ბოლოს გავიშიფრე.

– მშობლები ადრე გარდაგეცვალნენ. წარმომიდგენია, რა ძნელი იქნებოდა თქვენთვის მარტო ყოფნა, თუმცა, გზა მაინც გაიკვლიეთ ცხოვრებაში.

– 14 წლის ვიყავი მამა რომ გარდამეცვალა. მამაჩემი სასწაული ფიზიკური შესაძლებლობების კაცი იყო – ერთ დარტყმაზე ათ კაცს აქცევდა. საოცრად დიდი ხელები ჰქონდა. 1953 წელს, როდესაც ლავრენტი ბერია დააპატიმრეს, ჩვენი ოჯახი ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდა. მე ჯერ არ ვიყავი დაბადებული. როგორც იცით, სტალინმა თავის დროზე ჩეჩნები შუა აზიაში გადაასახლა. ბუნებრივია, ამ ხალხს წყენა ჰქონდა ქართველებზე და იქ შეეცადნენ თავდასხმას ქართველებზე. მამაჩემმა გადაარჩინა მთელი დასახლება. 21 წლის ვიყავი დედა რომ გარდაიცვალა. ათი წლის განმავლობაში გუდამაყრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. რომ მოვიზარდე, ვხედავდი, რომ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კარგი სახლი, მანქანა, კარგი ცხოვრება ჰქონდა და დედას ვეუბნებოდი: კოლმეურნეობის თავმჯდომარე შენც ხომ იყავი, ფული რატომ ვერ იშოვე-მეთქი. მახსოვს, მითხრა: დღისით რომ ვმუშაობდი, ღამით წითელარმიელებს წინდებს ვუქსოვდი და მოსაპარად არ მეცალაო.

– დედასაც კარგი იუმორი ჰქონია. ალბათ, მას ჰგავხართ. იცით, კიდევ რა მაინტერესებს? სულ პოლიტიკა, პოლიტიკა... და, რომანტიკა?! თუ, საერთოდ არ ხართ რომანტიკული?

– რომანტიკული ყოველთვის ვარ, მაგრამ, ზედმეტად ყურადღებიანი არც შეყვარებულობის დროს ვყოფილვარ და არც ახლა ვარ, რადგან, მთიული ვარ, ასეთი ვიყავი და ასეთად დავრჩები. მთიული კაცი საკუთარ გრძნობებსა და ემოციებს მალავს.

– სიმპათიური რომ ხართ, იცით? უფრო სწორად, ქალებს რომ მოსწონხართ?

– ქალების ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი და, რომ იცოდეთ, ესეცაა ჩემი პოლიტიკური წარმატებების საფუძველი. ქალების მხარდაჭერისა და მათი ყურადღების გარეშე ერთი წამითაც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა.

– პირადი გრძნობების გარეშე ერთი წუთითაც ნუ მაცოცხლა ღმერთმა, – არა, ბატონო შალვა? არადა, ეს ოხერი პირადია თავგზას რომ უბნევს ამ ცოლშვილიან კაცებს.

– არა, ცოლის მოტუება არასდროს მიცდია, არასდროს დამჭირვებია ტყუილი. ბელას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს კარიერულ წინსვლაში, წარმატებაში, ის ჩემთვის ყველაფერია.

ᲔᲙᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

ᲨᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲛᲔᲕᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

„ᲛᲐᲪᲜᲔ" – 214-39-06;
„ᲞᲚᲐᲜᲔᲗᲐ" – 251-75-21;
„ᲔᲚᲕᲐᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ" – 238-80-02;
„ᲘᲜᲤᲝᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ" – 234-11-40, 234-09-35;
„ᲯᲔᲝᲛᲔᲓᲘᲐ" – 295-51-70;
Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, „ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ" – 294-32-32

ამდენი ხნით ერთმანეთს არასდროს დასცილებიან, მაგრამ, თუკი ქართულ სატელევიზიო-საკონკურსო ცხოვრებას გადავხედავთ, ამ მსხვერპლზე წასვლა ნამდვილად ღირდა. გოჩა ჩერტკოევმა სერიოზული კვალი დაამჩნია ქართულ „მოტკბო“ შოუ-ბიზნესს – თავისი დამოკიდებულებით საქმისადმი, პროფესიონალიზმით, სტილით, ვიზუალით, მეტყველებით მან შეძლო, დაემსხვრია უამრავი სტერეოტიპი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. გოჩას გამოჩენისთანავე გაჩნდა ძალიან დიდი ინტერესი მისი მეუღლის მიმართ და, აი, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის ბოლოს შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევი, ჯადოქარი მოცეკვავე ჟიურის წევრებს შორის აღმოჩნდა.

როგორ გაატარეს ახალი წელი საქართველოში პირველად 23 წლის შემდეგ გოჩა ჩერტკოევმა და შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევმა

– მომიყევით თქვენი გაცნობის ისტორია, ალბათ, ეს ცეკვას უკავშირდება, ხომ?

გოჩა ჩერტკოევი: დაწყებითი სკოლის მოსწავლეები ვიყავით, როცა ერთმანეთი გავიცანით, ასე, 7-8 წლის. ერთად ცეკვა ცოტა მოგვიანებით დავიწყეთ, 11-12 წლის ასაკში. ერთმანეთი, რა თქმა უნდა, ცეკვის სამყაროში გავიცანით სტუდია „თელაში“. არაფერი დაგეგმილი არ ყოფილა – ცხოვრება მიდიოდა, ბავშვები ვცეკვავდით, წყვილები იცვლებოდნენ და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად აღმოვჩნდით ერთად... ახლა აღარც კი ვიცი, უკვე რამდენი წელია, ერთად ვართ.

განა მხოლოდ ერთად ვცხოვრობთ და ერთად ვცეკვავთ, ფიზიკურადაც სულ ერთად ვართ

– და, ცეკვიდან სიყვარულამდე შორი ნამდვილად არ არის.

შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევი: ნამდვილად არ არის შორი, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა წყვილის შემთხვევაში ასე ხდება. მინახავს მსოფლიო დონის მოცეკვავეები, რომლებსაც ერთმანეთთან სასიყვარულო ურთიერთობა არ აკავშირებთ და, ასევე, შეყვარებული წყვილი, რომელთა ცეკვა არცთუ ისე ეფექტურია. გრძნობები კარგია, მაგრამ, თვითონ წყვილს გააჩნია, ცეკვის დონეს. მოცეკვავეები, მინიმუმ, ერთმანეთის ახლო მეგობრები უნდა იყვნენ. ვცეკვავდით და ეს ურთიერთობები ძალიან ბუნებრივად განვითარდა.

– რა იყო ის ძირითადი ფაქტორი, რამაც მიგიყვანათ გადაწყვეტილებამდე, წასულიყავით ოკეანის მეორე მხარეს?

გოჩა: ცეკვა იყო მთავარი. უფრო სწორად, უპირველესად ის მენტალიტეტი, რომელიც უმაღლეს დონეზე ცეკვას „გიშლიდა“, ზოგადად არა საზოგადოების, რომლის არცთუ სერიოზული დამოკიდებულება სამეჯლისო-სპორტული ცეკვების მიმართ რადიკალურად შეცვალა „ცეკვავენ ვარსკვლავებმა,“ არამედ, ჩვენი წრის, ცეკვის სამყაროში არსებული მენტალიტეტი გახდა აქედან ჩემი წასვლის მიზეზი. აქ არ არსებობს ამბიცია, ჩარჩოში ცხოვრობენ და ლოკალური მიღწევები ახარებთ. საერთაშორისო ტურნირებზე ჩავდიოდი, ვიგებდი და მაინც მხოლოდ მე მჯეროდა, რომ მათზე უკეთესი ვიყავი, დანარჩენები ჩემ გარშემო მხოლოდ იმას ამბობდნენ სად ჩვენ და სად გერმანელი, სად ჩვენ და სად იაპონელიო. უმცირესი მასშტაბებით შემოიფარგლებოდნენ და ასეა დღესაც. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის ძირითადი მიზეზი სწორედ ეს იყო – მომეხდინა გარღვევა ამ მენტალობაში და საქართველოში მცხოვრებ ბავშვებს დაეჯერებინათ, რომ მათ მსოფლიო მწვერვალების დაპყრობა შეუძლიათ; რომ საჭიროა მონდომება და მუდმივი შრომა და მიზანს აუცილებლად მიაღწევენ.

შორენა: სამყაროში არაფერი იკარგება, მჯერა კოსმოსური ენერგიის. რა ენერგიასაც უშვებ სამყაროში, რაც მთელი არსებით გინდა, ის, ადრე თუ გვიან, გიბრუნდება და ყველა შენი სურვილი სრულდება. წარმოიდგინეთ, როგორი რთული იქნებოდა ჩემთვის გოჩასთან ცხრა კვირით განშორება. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პირველ სეზონზე მონაწილეობის მისაღებად რომ წამოვიდა (არადა, უკვე ათწლეულებია, ერთმანეთს რამდენიმე დღეზე მეტხანს არ დავშორებივართ), იმდენად დიდი იყო ჩვენი სურვილი ამ გარდატეხის მოხდენის, ამ მენტალიტეტთან ბრძოლის, რომ ამას გავუძელით.

– ზოგადად, ქვეყანაში დამოკიდებულების ცვლილებას ამჩნევთ? – თითქმის ყოველ მეორე ოჯახში ბავშვი სამეჯლისო ცეკვებზე შეიყვანეს.

გოჩა: ნამდვილად არ ველოდი, თუ ერთი შოუ ასეთ რადიკალურ ცვლილებას მოახდენდა.

შორენა: ერთი სიტყვა უნდა ვთქვა, რომელიც არასდროს დამავიწყდება და რომელიც კარგად გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რაც ჩვენი პროფესიის მიმართ ჩემს ბავშვობაში ჰქონდათ: სკოლაში ამ ცეკვებს „ჭიპხახუნას“ ეძახდნენ და ყოველთვის არასერიოზული, ოდნავ ირონიული დამოკიდებულება იყო.

გოჩა: ჩემი პრობლემა ეს არ იყო, მე მხოლოდ მასშტაბების სიმცირე მზღუდავდა და ჩემი გარემოცვის დამოკიდებულება.

– სამაგიეროდ, ჩახვედით ამერიკაში, სადაც მასშტაბების სიმცირე ნამდვილად არ შეგზღუდავდათ.

– იქ, პირიქით, ყველაფერი გიგანტური იყო – ქვეყანა, შესაძლებლობები...

– შიში არ გქონდათ?

შორენა: არავითარი შიში და ეს, ეტყობა, იმის ბრალია, რომ ბავშვები ვიყავით. სამთვიანი კონტრაქტით ჩავედით პირველად, ერთ-ერთ სტუდიაში მასწავლებლები უნდა გადაგვემზადებინა, შემდეგ კი უკვე – ბავშვები. ჩვენი ლევანი მაშინ სულ პატარა იყო, ბავშვით ჩავედით ამერიკაში და განვაგრძეთ ცეკვა.

გოჩა: სულელი ბავშვები...

შორენა: არც მეგონა თავი სულელი.

გოჩა: ეს იმიტომ, რომ არ ვიცოდით *(იცინიან).*

შორენა: ახლა რომ მახსენდება ჩვენი აზრები... იქ თუ მასწავლებლების გადასამზადებლად მიგვიწვიეს, ესე იგი, არ მოგვეწონება, ძალიან დაბალი დონე იქნება-მეთქი. უბრალოდ, ვცადეთ. ის კი არც ერთი ნამით არ გვიფიქრია, რომ ჩვენ ვიყავით მაგრები.

გოჩა: ეს ისევ და ისევ იმ მენტალიტეტიდან მომდინარეობს. მასშტაბურ ტურნირებს ვიგებდით, საქართველოს წარმომადგენელი კი გიყურებს და მაინც ვერ აღგიქვამს. ის კი არა, ამერიკაში ჩასვლიდან სამ თვეში, ეს წარმოუდგენელი მიღწევაა, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ძალიან პრესტიჟულ ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავეთ, როცა ქართველები იქ მესამასე ადგილს არ გასცილებიან. ამას შორენას მამა აქ რომ ყვებოდა, არ იჯერებდნენ – რაღაცეებს იგონებს; ალბათ, სადღაც ერთი შტატის რაღაც პატარა ტურნირზე ლაპარაკობსო. მოლოცვის უნარიც კი არ ჰქონდათ.

შორენა: ყველაფერი იმდენად კარგად აეწყო, რომ ერთხელაც კი არ მოგვიხედავს უკან და, რომ არა ეს პროექტი, ალბათ, კიდევ დიდხანს არ ჩამოვიდოდი. ჩასვლიდან სამ თვეში, როგორც გითხარით, გავაკეთეთ განაცხადი და ამერიკის პროფესიონალური ჩემპიონატი მესამე ადგილიდან დავიწყეთ, რაც ისტორიაში არ მომხდარა.

გოჩა: ამერიკის ექვსეულში რომ მოხვდე, უკვე ოცდაათ წელს უნდა იყო გადაცილებული. ძალიან ბევრ წელს ხარჯავენ წარმატების მისაღწევად. მთელი მსოფლიოდან ჩადიან წყვილები, ძალიან მაღალი დონის ტურნირია. უცნობი და ყველაზე პატარა მონაწილეების მესამე ადგილი ბომბის გავარდნას ჰგავდა, მით უფრო, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან სულ რამდენიმე წყვილი იყო ნამყოფი ამ ტურნირზე და სადღაც მესამასე ადგილზე რჩებოდნენ. ასე დაიწყო ჩვენი კარიერა.

– და, რას ნიშნავდა ეს მოცეკვავისთვის, რას ნიშნავდა ეს ტიტული მაშინ თქვენთვის?

შორენა: ამაზე არც ვფიქრობდით. დღემდე არც ერთ ტურნირზე არ გავსულვართ ტიტულისთვის, მედლისთვის, თასისთვის... ჩვენ გვინდოდა ცეკვა და მოგვწონდა შეჯიბრის მომენტი, ძალიან გვქონდა გამძაფრებული სპორტული ჟინი და, ტურნირს მოვიგებდით თუ არა, იმ საღამოსვე მეორეზე ფიქრს ვიწყებდით.

გოჩა: ჩვენი კონკურენტები არ იყვნენ სხვა წყვილები. ჩვენ საკუთარ თავს ვეჯიბრებოდით, საკუთარ თავს ვუმტკიცებდით, რომ რაღაც შეგვეძლო.

შორენა: სიგიჟემდე მიყვარს ცეკვა, მართლა უზომოდ და, სულ ვამბობ, ოთხმოცდახუთ წლამდე უნდა ვიცეკვო-მეთქი...

გოჩა: სხვა მენწყვილე ეძებე *(იცინიან).*

შორენა: ეს არის ის, რაც სიამოვნებას მანიჭებს, მხოლოდ ცეკვით ვცოცხლობ. წარმოიდგინეთ, ოცდაოთხი წლის ვიყავი, პირველად კინოთეატრში რომ წავედი. არა იმიტომ, რომ ოცდაოთხი საათი რეპეტიციები გვქონდა და სხვა არაფრისთვის დრო არ მრჩებოდა, არამედ, ფსიქოლოგიურად ვმუშაობდი, სულ ცეკვაში ვიყავი, მასზე ვფიქრობდი, სიახლეებს ვეძებდი, რა კოსტიუმი ჩავიცვა, რა მუსიკა შევარჩიო, როგორი სტილი შევქმნა. ახლა უფრო მივხვდით, რომ ეს სპორტული ჟინი და ფანატიკური დამოკიდებულება ცეკვის მიმართ ერთნაირი გვქონდა. მაშინ ამაზე არც ვფიქრობდით, ბუნებრივად ხდებოდა, ბუნებით ორივე მაქსიმალისტები ვართ.

გოჩა: თავიდანვე ძალიან „ფოკუსედ“ ბავშვები ვიყავით: სწორი აზროვნება და სწორი მიზნები აღმოგვაჩნდა ისე, რომ ეს არც ვიცოდით. ერთნაირი მიზანი გვქონდა.

– თქვენი განმასხვავებელი ნიშანი რა იყო – რაღაც მარკა, „ფიშკა“ როგორც რუსები იტყვიან, რითაც ასე აჯადოებდით მსოფლიოს?

შორენა: ინდივიდუალიზმი, განსხვავებულობა, უნიკალურობა.

გოჩა: არავის არ ვბაძავდით. გვყავდა კუმირები, რომლებიც ძალიან მოგვწონდა და უცებ მათ გვერდით აღმოვჩნდით, მათთან შეჯიბრი მოგვინია. თან, ჩვენზე ათი-თხუთმეტი ნლით უფროსები იყვნენ. გავედით, შევეჯიბრეთ და თითქმის ყველას მოვუგეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ჩვენი იდეალები არიან და ეს აუცილებელია ჩვენი პირადი ზრდის გამო – ვილაცას უნდა ეტოლებოდე, ვილაცისგან უნდა სწავლობდე. რაც შეეხება ჩვენს წყვილს, მათთვის ჩვენ მაინც ეგზოტიკურები ვიყავით, უნიკალური, განსხვავებული კულტურიდან. თა-

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

რა უნდა ვიცოდეთ უსაფრთხო სტომატოლოგიის შესახებ და როგორ მოიპოვა „კუზანოვ დენტმა“ პაციენტების უსაზღვრო ნდობა

თანამედროვეობა ახალ მოთხოვნებს გვიყენებს – წარმატებისთვის, პროფესიონალიზმთან ერთად, შესაფერისი გარეგნობაც გვჭირდება, ანუ, სულ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ვიზუალურ მხარეს, რომელიც სრულყოფილი ვერ იქნება ჯანმრთელი, ლამაზი კბილების გარეშე. დღეს კბილებმა, ფუნქციური მნიშვნელობის გარდა, სხვა დატვირთვაც შეიძინა. ესთეტიკა არანაკლებ მნიშვნელოვანია. სულ უფრო იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ სტომატოლოგიურ კლინიკებზე, სადაც, უახლოეს ტექნოლოგიებთან ერთად, მომსახურების მაღალ ხარისხსა და აბსოლუტურ უსაფრთხოებას შემოგვთავაზებენ.

სტომატოლოგიურმა კლინიკა „კუზანოვ დენტმა,“ რამდენიმეწლიანი წარმატებული პრაქტიკით, დამსახურებულად მოიპოვა პაციენტების ნდობა და სრულად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც თანამედროვეობა სტომატოლოგიას უყენებს. კითხვებზე, თუ როგორია ოცდამეერთე საუკუნის სტომატოლოგია და რა უნდა მოვითხოვოთ კლინიკაში პროფესიონალი სტომატოლოგისგან „თბილისელების“ შეკითხვებს უპასუხებს „კუზანოვ-დენტის“ დამფუძნებელი და მთავარი სპეციალისტი რობერტ აბამირიანი.

– ბატონო რობერტ, მინდა, თქვენი კლინიკის მაგალითზე მითხრათ, შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება სტომატოლოგიის მიმართ ბოლო პერიოდში?

– ძალიან შეიცვალა. დავიწყოთ იმით, რომ პაციენტებს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ სტომატოლოგიის შესახებ. როცა ჩვენთან მოდიან, თითქმის ზუსტად იციან, რა სურთ და რა უნდა მოითხოვონ. ბევრს აქვს ინფორმაცია იმ უახლესი ტექნოლოგიების შესახებ, რომლებსაც თანამედროვე სტომატოლოგია მათ სთავაზობს. გაიზარდა მოთხოვნილება ესთეტიკურ მხარეზე, ანუ, პაციენტები გაცილებით მომთხოვნები გახდნენ და ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ვიზუალს. აღარ არის საუბარი მხოლოდ იმაზე, რომ კბილი არ უნდა გტკიოდეს და საიმედოდ იყოს დაბჟენილი. ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს თეთრი, ქათქათა კბილები – „ჰოლივუდის ღიმილი“. საქართველოშიც შეიძინა აქტუალურობა მომხიბვლელმა, თვალშისაცემმა ღიმილმა, რომლის მთავარ ეფექტს ჯანსაღი, თეთრი კბილები ქმნის.

– არის თუ არა „კუზანოვ დენტი“ მზად ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?

– რა თქმა უნდა. ეს ჩვენმა პაციენტებმაც იციან და იმათაც, ვინც საგანგებოდ უცხოეთიდან ჩამოდის „კუზანოვ დენტში“ კბილების გასაკეთებლად. ყველაზე ხშირად ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები ქართველები გვაკითხავენ. აფხაზეთიდანაც იყვნენ პაციენტები. „კუზანოვ დენტი“ მათ მაქსიმალურ ხარისხს, ესთეტიკურად სრულყოფილ, მაღალი სტანდარტების მომსახურებას მაქსიმალურად მოკლე დროში სთავაზობს. თანამედროვე სტომატოლოგიას დღეს ყველაზე რთული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებებიც აქვს. გეტყვით, რას ვგულისხმობ: მაგალითად, თუ პაციენტს არ აქვს კბილები და არ ხერხდება პროთეზის დამაგრება, ამ შემთხვევაში, იმპლანტაციის გზით ვუგვარებთ პრობლემას; თუ პაციენტს არ მოსწონს თავისი კბილების ფორმა, მაგრამ უნდა, მათი შენარჩუნება და მხოლოდ ვიზუალურად გაუმჯობესება – ასეთ დროს საუკეთესო ვარიანტია ცერეკი; მინიმალური დაქლიბვით, რის შედეგადაც კბილი ცოცხალი რჩება, ვიღებთ „ჰოლივუდის ღიმილს“ – ლამაზ, ჯანმრთელ, ქათქათა კბილებს; „კუზანოვ დენტი“ მუშაობს ცირკონის მაღალი ხარისხის გვირგვინებით, რომლებიც, ასევე, საუკეთესო შედეგს იძლევა. „ცირკონის“ კბილების შემთხვევაში ღრძილს არანაირი პრობლემა აღარ ექმნება. არ იცვლის ფერს და ძალიან ეფექტურია. იქ, სადაც ვერ კეთდება ცირკონის კბილები, ვაკეთებთ ლითონ-ფაიფურის კბილებს. ყველაფერი დამოკიდებულია პაციენტის პირის ღრუს მდგომარეობაზე. ჩვენმა პაციენტებმა იციან, რომ მათ საუკეთესო ვარიანტს შევურჩევთ, ამიტომ, ბოლომდე გვენდობიან.

– დღეს, თანამედროვე სტომატოლოგიას ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად უსაფრთხოებას უყენებენ.

– გეთანხმებით, უსაფრთხო სტომატოლოგია ძალიან მნიშვნელოვანია.

– ბატონო რობერტ, ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ცუდად ნამკურნალევი კბილი საკმაოდ ადრეულ ასაკში ხდება ამოსაღები.

– სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევა ბევრია. დაკარგული კბილის აღდგენის საუკეთესო, მე ვიტყოდი, უალტერნატივო საშუალება არის იმპლანტაცია. ამ ოპერაციაზე მოთხოვნა სამჯერ გაიზარდა. პაციენტებისთვის ეს, ფაქტობრივად, ბუნებრივი კბილია. კლინიკაში ვმუშაობთ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ევროპული იმპლანტებით. „კუზანოვ დენტში“ მაღალ დონეზეა ორთოდონტია. ვისაც აქვს ორთოდონტული პრობლემა, 45 წლის ასაკამდე შეიძლება მისი ეფექტურად მოგვარება. ზოგჯერ კბილის „დგომა“ ისეთია, ორთოდონტული ჩარევის გარეშე სასურველი ეფექტის მიღება არ ხერხდება. ჩვენ ვმუშაობთ პროფესიონალ ორთოდონტებთან ტანდემში და გამოსავალსაც ერთად ვპოულობთ.

კიდევ ერთხელ მინდა გკითხოთ უსაფრთხო სტომატოლოგიის შესახებ. ჯანდაცვის სამინისტრომაც კი გააკეთა ამაზე აქცენტი.

– იმიტომ, რომ ეს თემა საკმაოდ სენსაციურია. წარმოიდგინეთ, მოდის სტომატოლოგთან ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც იქიდან დაავადებული და ინფიცირებული არ უნდა წავიდეს, საფრთხე კი რეალურია. ისეთი დაავადებები, როგორიც არის C ჰეპატიტი, B ჰეპატიტი და შიდსი, ძალიან ადვილად გადადის სტომატოლოგიური ჩარევის გზით. მთელ მსოფლიოში დგას ეს პრობლემა. მე არავის ვაშინებ, მაგრამ, როცა სტომატოლოგიურ კლინიკაში მიდიხარ, მაქსიმალურად უნდა იყო დარწმუნებული იმაში, რომ იქ, სტერილიზაციის თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგშია. ნებისმიერ პაციენტს აქვს უფლება, მოითხოვოს და ნახოს, როგორ ხდება ხელსაწყოების სტერილიზება. ჩვენი პაციენტები ძირითადად გვენდობიან, თუმცა, ჩვენთვის პრობლემა არ არის, თითოეულ მათგანს კიდევ ერთხელ ავუხსნათ, ვაჩვენოთ ჩვენი სასტერილიზაციო კაბინეტი და ნახონ, რა ხსნარებით ხდება ხელსაწყოების დამუშავება. პაციენტი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული. „კუზანოვ დენტში“ ეს პრიორიტეტულია და უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა აყვანილი, ისევე, როგორც ხარისხი.

– ამბობენ, რომ 2014 წელს სტომატოლოგიურ კლინიკებს კიდევ უფრო მაღალ სტანდარტებს წაუყენებენ.

– დიახ და ეს იქნება ძალიან კარგი. ჩვენ მზად ვართ, მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ეს სტანდარტები. სტომატოლოგია, რა თქმა უნდა, არის ბიზნესი, მაგრამ ხარისხისა და პაციენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოების ხარჯზე ეკონომიის გაკეთება არ შეიძლება. ჩვენი კლინიკა ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი ადამიანისთვის გახადოს ხელმისაწვდომი უსაფრთხო და უმაღლესი სტანდარტების სტომატოლოგია. ამისთვის, ბანკებთან ერთად, დავნერგეთ უპროცენტო განვადების სისტემა, ხშირად ვაწყობთ აქციებს. ჯობია, ერთხელ გაიკეთო და გაიკეთო კარგად, ვიდრე ეჭვქვეშ დააყენო როგორც კბილის, ისე საკუთარი თავის უსაფრთხოება და სიცოცხლე.

დალი მიქელაძე

P. S. „კუზანოვ დენტი“ თქვენთვის მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა.

ტელ.: 2-33-33-01; მობ.: 571 277-181;
www.kuzanovdent.ge

ადვოკატი გირჩევთ

რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.
ანატოლ ფრანსი

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სასჯელია გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, პირის უკანონოდ დაკავების ან დაპატიმრებისთვის?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ განზრახ უკანონო დაკავება ისჯება თავისუფლების შეზღუდვით, ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 5-დან 8 წლამდე; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით 3 წლამდე ან უამისოდ. რაც შეეხება პირის განზრახ უკანონო დაპატიმრებას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 7-დან 10 წლამდე, ხოლო, თუ ამგვარმა ქმედებამ მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 9-დან 12 წლამდე.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სასჯელია გათვალისწინებული იმ თანამდებობის პირისთვის, რომელიც უდანაშაულო პირს განზრახ წარუდგენს უკანონო ბრალს ქმედებისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია?

პასუხი: გაცნობებთ, რომ უდანაშაულო პირის მიმართ განზრახ უკანონო ბრალის წაყენება ითვლება უდანაშაულო პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში განზრახ მიცემად და ისჯება: თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 5 წლამდე; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით 3 წლამდე ან უამისოდ. ხოლო, იგივე ქმედება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 4-დან 7 წლამდე.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რა ვადით შეიძლება ჩამოერთვას მსჯავრდებულ პირს ეს უფლება და რა შემთხვევებში ენიშნება პირს ამგვარი სასჯელი?

პასუხი: განგიმარტავთ: თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება, ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ანდა, ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ინიშნება 1-დან 5 წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად – 6 თვიდან 3 წლამდე ვადით. ამასთან, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელად არაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს, შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, კონკრეტულად რა დროიდან ხორციელდება დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადის ათვლა სასჯელად?

პასუხი: გაცნობებთ, რომ ძირითად სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას, აგრეთვე, პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან, ასევე, ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს სასჯელის სახე – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და რა მაქსიმალური ვადით ინიშნება ის?

პასუხი: გაცნობებთ, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნება 40-დან 800 საათამდე ვადით. ამასთან, ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ფაქტს, თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს მისთვის სასჯელად შეფარდებულ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე?

პასუხი: გაცნობებთ, რომ, თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის 5 საათი შეესაბამება თავისუფლების შეზღუდვის 1 დღეს ან თავისუფლების აღკვეთის 1 დღეს.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა კატეგორიის მსჯავრდებულ პირებს არ ენიშნებათ, როგორც წესი, სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა?

პასუხი: გაცნობებთ, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, დაისჯება თუ არა ის პირი, რომელიც ინვალიდ ადამიანს უარს ეტყვის მისთვის კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე? ასევე, მაინტერესებს, რა სახის პასუხისმგებლობაა ამგვარი დისკრიმინაციისთვის კანონით დადგენილი?

პასუხი: გაცნობებთ, რომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონით, ანდა საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე ინვალიდობის მოტივით უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით, ვადით 3 წლამდე, ანდა, თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სასჯელის რა სახესა და ზომას ითვალისწინებს კანონი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის – კანაფის პირადი მოხმარების მიზნით დათესვისა და მოყვანისთვის?

პასუხი: გაცნობებთ, რომ ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 5 წლამდე. ამ დანაშაულს აქვს, ასევე, მაკვალიფიცირებელი გარემოებები.

ინტიმური საუბრები

ძვირფასო „თბილისელებო“!

მე ვარ თქვენი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მკითხველი. სწორედ თქვენი წყალობით დამიბრუნდა ზუსტად შარშან ამ დროს შეყვარებული, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა. უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს და, ამის გამო, კიდევ უფრო მეტად შემიყვარდით.

მინდა, შობა-ახალი წელი მოგილოცოთ მთელ კოლექტივს და წარმატებები, ბარაქა, ჯანმრთელობა და მშვიდობა გისურვოთ.

პატივისცემითა და სიყვარულით

თეონა, 24 წლის.

ყველას ჩემნაირ ბედნიერებას გისურვებთ!

დღესასწაულებიდან ყველაზე მეტად შობა-ახალი წელი მიყვარს და უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ სწორედ ახალი წლის ღამეს გავხდი ტყუპი ქალ-ვაჟის ბებია. ეს განსაკუთრებით იმით არის ჩვენი ოჯახისთვის სასიხარულო, რომ ჩემს შვილს შვიდი წელი არ ჰყავდა შვილი, ახლა კი ასეთი სასწაული მოგვევლინა.

მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი და ისეთი სიხარული და ბედნიერება ვუსურვო, როგორსაც მე და ჩემი ოჯახი განვიცდით.

ყველას გილოცავთ!

თინათინი, 67 წლის.

შეყვარებულმა მიმატოვა

შობა-ახალი წლის დღეებში ყველა გახარებული და ბედნიერია; ყველა ელის (გულში მაინც) რაიმე სასწაულს, რომელიც უკეთესობისკენ შეცვლის მის ცხოვრებას, მაგრამ მე ასეთი რამეების აღარ მწამს, რადგან, სწორედ 30 დეკემბერს დამირეკა ჩემმა შეყვარებულმა (უკვე ყოფილმა) და მითხრა, აღარ უნდა შევხვდეთო; ცოტა ხნის მერე კი თავის ახალ გოგოსთან ერთად დავინახე, ხელგადახვეულები მიდიოდნენ. მე მეგონა, საშობაოდ ჩვენს ოჯახში მოვიდოდა და დედაჩემს და მამაჩემს ოფიციალურად სთხოვდა ჩემს ხელს (ასე ვიყავით შეთანხმებულები), ამის ნაცვლად კი რა გამიკეთა – საერთოდ მიმატოვა, თანაც, ყოველგვარი მიზეზისა და ახსნა-განმარტების გარეშე! არ ვიცი, ამას როგორ გადავიტან. უკვე მეოთხე წელი დაიწყო, რაც ერთმანეთს ვხვდებოდით და, ახლაც, მიუხედავად იმისა, რაც ჩაიდინა, ისევე სიგიჟემდე მიყვარს. მეშინია, არ გავაფრინო. თან, მშობლებთანაც არ მინდა ვთქვა, უმიზეზოდ მიმატოვა-მეთქი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ყველა მხიარული და ბედნიერია ჩემ გარშემო, მხოლოდ მე ვარ უბედური. მარტო ჩემმა დაქალმა იცის ჩემი ამბავი და მამშვიდებს. – აი, ნახე, ძალიან მალე თუ არ დაგიბრუნდესო, მაგრამ, რატომღაც, არ მჯერა.

ძალიან მიჭირს. როგორ გავძლო უმისოდ?

ნინა, 23 წლის.

სასწაული არსებობს

ორი თვის წინ ჩვენი სამსახური დაიხურა და, რომ იტყვიან, ქუჩაში დავრჩით 30 კაცი. კინაღამ გავგიჟდი (სხვებიც ჩემს დღეში იყვნენ): ცალკე – ბანკის ვალები, ცალკე – ოჯახის პრობლემები (დიდი ოჯახი მაქვს და ყველა ჩემი სარჩენია), ცალკე – დედა მყავს ახალი ნაოპერაციევი (სიმსივნე აღმოაჩნდა), ცალკე – ახალი წელი ახლოვდებოდა... მოკლედ, კინაღამ მართლა გავრეკე.

ჩემი ცოლი ძალიან მორწმუნე ქალია. რაც სამსახური დავკარგე, იმ დღიდან ევედრებოდა ღმერთს, რამე ახალი სამუშაო მეშოვა და, მართლაც, შეისმინა უფალმა მისი ვედრება: 2 იანვარს, ბედობა დღეს, მამაჩემის მეგობარმა დამირეკა (საკმაოდ სერიოზული ბიზნესი აქვს) და ისეთი სამსახური შემომთავაზა, როგორზეც ვერც კი ვიოცნებებდი. მართალია, ეს ორი თვე ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა გაცილებით უკეთ ვიქნებით, ვიდრე აქამდე.

ვისაც საშობაო სასწაულების არ სჯერა, მათ გასაგონად ვამბობ: შეევედრეთ უფალს ის, რაც მართლა გულით გსურთ, აუცილებლად აგიხდებათ!

გურიკო, 32 წლის.

დედინაცვალს ბოროტების დაძლევას ვუსურვებ

მე და ჩემი ძმა პატარები ვიყავით, დედა რომ გარდაგვეცვალა. წელიწად-ნახევარში მამამ მეორე ცოლი მოიყვანა – ბავშვებს მოვლა სჭირდებათო. იმ ქალს თავისი შვილიც (ბიჭი) მოჰყვა, დაახლოებით ჩვენი ტოლი. ბავშვები კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს და პირველი სამი-ოთხი წლის განმავლობაში დედინაცვალიც კარგად გვექცეოდა, მაგრამ, რომ წამოვიზარდეთ, ჩვენ მიმართ ძალიან შეიცვალა – ლამის ლუკმას გვითვლიდა და სულ შარზე იყო. შიშით მამას ვერაფერს ვეუბნებოდით, თანაც, არ დაგვიჯერებდა, რადგან, მანამდე პრობლემები არ გვქონია.

ერთხელ კი, ისე მოხდა, რომ შინ დაბრუნებულმა მამამ შემთხვევით გაიგონა, როგორ ეუბნებოდა ჩვენი დედინაცვალი სტუმრად მოსულ თავის დას, ეს ბინა ამ ნაბიჭვრებს (ბოდიშს გიხდით უცენზურო სიტყვისთვის) რატომ უნდა დარჩეთ. ესენი რომ დაოჯახდებიან, მე და ჩემი შვილი ქუჩაში უნდა აღმოვჩნდეთო? მამას არაფერი უთქვამს ცოლისთვის, ვითომ არც გაუგონია მისი სიტყვები, მაგრამ, მეორე დღესვე ბინაც და აგარაკიც ჩვენს სახელზე გადმოაფორმა, წინასწარ ანდერძიც დაწერა (ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული) და მამიდაჩემს მისცა შესანახად.

არც ჩვენ და არც ჩვენმა დედინაცვალმა ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, მხოლოდ მამას მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ შევიტყვეთ ყველაფერი და გაოცებულები დავრჩით (სანყალი, ალბათ, გრძნობდა, რომ მალე მოკვდებოდა), მაგრამ, გაოცება ის სიტყვა არ არის, რაც ჩვენს დედინაცვალს დაემართა: საერთოდ დაავიწყდა, რომ ქმარი ორი დღის დასაფლავებული ჰყავდა და ისეთი სცენები მოაწყო, მისიანებმაც კი იუხერხულეს და შენიშვნა მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ ანდერძით მამამ მას და მის შვილს ძალიან ძვირფასი მანქანა, საკმაოდ სოლიდური თანხა და ოროთახიანი ბინა (თბილისის გარეუბანში) დაუტოვა, მაინც იცოტავა ეს ყველაფერი და ახლა იმისთვის იბრძვის, რომ მე და ჩემს ძმას ბინა და აგარაკი წაგვართვას, თუმცა, ადვოკატმა გვითხრა, არაფერი გამოუვაო.

მამა ახლახან გარდაგვეცვალა და მთლად ობლები დავრჩით, ის კი გლოვის საშუალებასაც არ გვაძლევს. სულ გვლანძღავს, გვწყევლის და, ცდილობს, რომ ჩვენივე ბინიდან გაგვყაროს, მაგრამ, მამიდაჩვენი მაგრად დაუდგა და ისე დაემუქრა და შეაშინა, რომ, იკადრა და თვითონ აიკრა გუდა-ნაბადი ჩვენი ბინიდან, ოღონდ, რაც ძვირფასი და ღირებული იყო, ისიც თან წაიღო. მხოლოდ დედას სამკაულების წართმევა მოახერხა მამიდამ. რომ გვეგონა, დაასრულა ჩვენთან ბრძოლა, ზუსტად ახალი წლის ღამეს დაგვირეკა, დაგვწყევლა და დაგვემუქრა, ისეთ დღეში უნდა ჩაგყაროთ, შობის დილა შავად უნდა გაგითენოთო. ჩვენ არაფერი ვუპასუხეთ, მხოლოდ ის ვუთხარი, შენთვის ვილოცებ, რომ მაგ ბოროტებამ გაგიაროს-მეთქი.

შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ასეთ კონტექსტში რომ მოიხსენიებს, ამისთანა ადამიანს რაღაზე უნდა ელაპარაკო?!

მე მაინც მინდა, მივულოცო შობა და ვუსურვო, რომ სიავე, სიხარბე და სხვებისთვის ბოროტების ჩადენის სურვილი სიკეთითა და სათნოებით შეეცვალოს.

თინანო, 17 წლის.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

ორწლიანი პაუზის შემდეგ ლევან მდინარაძე, იგივე დიჯეი რემბო, კვლავ დავითანხმე ინტერვიუზე, თან ისე, რომ მის კარიერაში საინტერესო სიახლის შესახებ პირველად სწორედ ჩვენ მოგვიყვება. ოდნავ შეცვლილი იმიჯით და ყელზე ბაფთით – DJ Rembo იწყებს ახალ, ნახევრად რეალითი შოუს. ოცდახუთწუთიან გადაცემას ყოველკვირეულად ვნახავთ, რომელიც იანვრიდან გავა GDS-ის ეთერში. გადაცემის პიარს არხი და თავად წამყვანი იანვრიდან იწყებენ, პირველი მარცვალი კი ექსკლუზიურად, როგორც თავად დაგვპირდა, „თბილისელებში“ ჩააგდო.

რატომ ვერ შეძლეს სხვა „რემბოებმა“ და „ჩაკ ნორისებმა“ ლევან მდინარაძის ჩანაცვლება

– რემბო, მომიყევი რატომ გქონდა ასეთი გრძელვადიანი პაუზა. რას აკეთებდი იმ დროის განმავლობაში, როცა არც მედიაში ჩანდი აქტიურად და არც კლუბებში?

– აქტიურად დავუბრუნდი ჩემს საქმიანობას. ალბათ, გახსოვთ, წინა მთავრობის პერიოდში როგორ მოხდა ჩემი დაკავება. მაისურების დარიგებისთვის დამიჭირეს. როცა გამათავისუფლეს, ბერამ შემომთავაზა მასთან მუშაობა. აქტიურად ჩავერთე „ქართული ოცნების“ საქმიანობაში. წინასაარჩევნო აქციებისა და კონცერტების ერთ-ერთი ტექნიკური ორგანიზატორი გახლდით. გამოვიდა ისე, რომ ჩემი საქმიანობა გავაგრძელე უფრო დიდი მასშტაბით. იმ პერიოდში ძალიან რთული იყო რაიმეს შოვნა, მაგრამ მე ისეთი ვარ – თუ საქმისთვის საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებ. იყო ფინანსური რესურსი, მაგრამ პრობლემა იყო ამ აპარატურის შეძენა, რადგან ეშინოდათ ჩვენთან საქმიანი ურთიერთობის. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ და საკმაოდ დიდი თანხის აპარატურა შევიძინეთ, როგორც ადგილზე ისე ქვეყნის გარეთ და ამის შემდეგ აქტიურად დავიწყეთ მასშტაბურ აქციებზე მისი გამოყენება. ჯერ თავად შევისწავლე ბევრი რამ და მერე სხვის ვასწავლე. ამაში, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო წავიდა, სამაგიეროდ, დაზღვეულები ვიყავით. ერთ ადამიანზე აღარ იყო ამა თუ იმ ტექნიკური გამართულობის ბედი დამოკიდებული და შეგვეძლო, საქმიანობის მშვიდად გადანაწილება, პროცესების მართვა.

იქნება ინტრიგაც, ექსცესები, გართობა, მომწოდებლებთან ჩხუბი – ყველაფერი ის, რაც რეალურად ხდება

– როგორ მოგეწონა ეს საქმე, რომელიც ნაკლებად შემოქმედებითია? თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მუზებს აყოლილი ხელოვანი არასდროს ყოფილხარ და ყოველთვის აკადემიურად უდგებოდი შენს საქმეს.

– ეს ყველაფერი ბიზნესია – საქმიანობა, რომელსაც არასდროს ვაკეთებ სპონტანურად და დაუგეგმავად. სტუდენტი ვიყავი, როცა ერთ-ერთ კლუბში დავიწყე მუშაობა იმის გამო, რომ სწავლის საფასური გადამეხადა. ბილეთებს ვყიდდი და ფეის-კონტროლზე ვმუშაობდი. ჩემი შემოსავალი ღამეში თხუთმეტი-ოცი ლარი იყო. მიუხედავად ძალიან მცირე ანაზღაურებისა, უამრავი რამ ვისწავლე, შიდა სამზარეულოში ჩავიხედე. სულ ვცდილობ, განვითარებას და იმაზე მეტი შედეგის დადებას, ვიდრე მოელიან. ძალიან ბევრი დიჯეია თბილისში და მათთან შედარებით ცოტა ძვირად ღირებული ბიჭი ვარ *(იცინის)*. როცა ერთი წლით ჩამოვშორდი ამ სფეროს, სხვებს შეეძლოთ, გამოთავისუფლებული ნიშა დაეკავებინათ, მაგრამ საერთოდ არ უზრუნიათ არც ჰონორარის და არც ხარისხის გაზრდაზე. ზოგზოგიერთს გაუხარდა კიდეც უცებ რომ გავქრი, თუმცა საერთოდ არ გამოუყენებიათ ეს ამბავი. ჩემდა გასაკვირად, როცა დაბრუნდი კიდევ უფრო დაბალი დონე დამხვდა, ვიდრე მაშინ, როცა ამ საქმეს დროებით ჩამოვშორდი. ზუსტად ვიცი, რომ თუ ყოველდღიურად არ ვისწავლი, ხვალ გამოჩნდება სხვა „რემბო“ ან „ჩაკ ნორისი“ და ჩემს ადგილს დაიკავებს. მიღწეული არასდროს არის ჩემთვის საკმარისი, მინდა, რომ კიდევ უფრო ღრმად განვვითარდე ამ მიმართულებით... როცა დიჯეი რემბოს ქირაობენ, იქ მუსიკის და გართობის გარდა, ადამიანები გაცილებით მეტს იღებენ. კლიენტებს ვეხმარები ღონისძიებების სწორ დაგეგმვასა და გამართვაში – ხარჯების ოპტიმიზაციით დაწყებული, ტექნიკითა და აპარატურით დამთავრებული. ვიცი, სად და რა შეიძლება, იშოვო თბილისში იაფად და რაც მთავარია, ამაში დამატებით ანაზღაურებას არ ვითხოვ. ისე გამოდის, რომ ადამიანი მქირაობს მე და იღებს მთელ ივენთ-კომპანიას *(იცინის)*. ამ ერთმა წელმა გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება მასწავლა, რასაც ადრე დიდ დროს ვანდომებდი. ერთი წლის შემდეგ გამოვჩნდი სრულიად ახალი რემბო, ახალი იმიჯითა და საფუძვლიანი გამოცდილებით...

ბავაკეთე ორი ქორწილი, მრთი დაჯდა 50 000 ლარი, ხოლო მეორე – 15 000. 15-ათასიანში უფრო მაგრად გაერთნენ ადამიანები, ვიდრე 50-ათიათასიანში.

– რაც შეეხება ახალ გადაცემას, GDS-ის გახსნის დღიდან მაყურებლები ელოდებიან, რომ შენ ამ არხზე გადაცემას გააკეთებ. მით უმეტეს, რომ ამ სტუდიის თანამშრომელი იყავი.

– უკვე ერთი წელია, მათი თანამშრომელი აღარ ვარ. დადიოდა ჭორები, რომ მე, რემბო, ბერას ძმაკაცი, არჩევნების შემდეგ რაღაც თანამდებობას დავიკავებდი... ბევრ ეგეთ სისულელეს ამბობდნენ. ამაზე ძალიან ვხალისობ. თანამდებობები ჩემგან შორსაა. სტუდიიდან წამოსვლის შემდეგ, ბერამ დამირეკა, ყველანაირად ცდილობდა, ჩემი გრაფიკისთვის ხელი შეეწყო, რომ ჩემი საქმეც მეკეთებინა და თან, ტელევიზიაშიც ვყოფილიყავი. მუსიკალური გადაცემის წაყვანა შემომთავაზეს, დავჯექი და მოვიფიქრე იგივე გადაცემის ჩემებური ვარიანტი, რომელიც შევთავაზე არხის გენერალურ პროდიუსერს, თემურ გოგოლაძეს (ობობას), მაგრამ მან უკეთესი იდეა შემომთავაზა. აქედან გაჩნდა ამ გადაცემის პროექტი.

– რა ფორმატის გადაცემაა?

– ეს არის ჩემი რეალითი. კლიენტი მოდის, მიკვეთავს ივენთს. ამ გადაცემაში გამოჩნდება ყველაფერი – როგორ იქმნება ესა თუ ის წვეულება, რამდენ რამეში ვმონაწილეობ – დეკორაციიდან დაწყებული, განათებით დამთავრებული და თუ სიტუაცია მოწყენისკენ მიდის, ხშირად წამყვანობასაც ვითავსებ. იქნება ინტრიგაც, ექსცესები, გართობა, მომწოდებლებთან ჩხუბი – ყველაფერი ის, რაც რეალურად ხდება. ჩემი აზრით, ნებისმიერ პროდუქტს სჭირდება სწორად მიწოდება. ჩვენს შემთხვევაში, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხარისხიანად გადაღებული ვიდეომასალა. გპირდებით, რომ ძალიან საინტერესო და სანახაობრივ ოცდახუთ წუთს გაგატარებინებთ ტელევიზორებთან. მინდა, გავაკეთო ისეთი გადაცემა, რომელიც კომერციულად საინტერესო იქნება. რემბო ისეთია, როგორიც ცხოვრებაში. იმედია, გადაცემის რეიტინგი პროდუქციის ხარისხთან ერთად გაიზრდება.

– რა დონეზეა საქართველოში გართობა და რას გულისხმობენ, როცა ამბობენ თბილისში გართობის კულტურა არ აქვთო?

– ეს ერთი პატარა ბაზარია სხვადასხვა მოთამაშით. გავაკეთე ორი ქორწილი, ერთი დაჯდა 50 000 ლარი, ხოლო მეორე – 15 000. 15-ათასიანში უფრო მაგრად გაერთნენ ადამიანები, ვიდრე 50-ათიათასიანში. გართობა, ბევრი ფული დაიხარჯა თუ არა, იმაზე არ არის დამოკიდებული. მთავარია, ვისი ქორწილი, ან დაბადების დღეა, ვისი ივენთიცაა, მისი მეგობრების, კომპანიის, იმ ადამიანების გართობა, რომლებისთვისაც კეთდება ეს ყველაფერი. მიხარია, რომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი მაგარი „აზრზე მოსული“ ტიპია. მათთან ურთიერთობა მსიამოვნებს და ამას ნახავთ კიდეც. მინდა მათ რაც შეიძლება მეტად ისიამოვნონ, გაერთონ და კმაყოფილები დარჩნენ. რაც მთავარია, ამ გადაცემით მე მათ ვუტოვებ პროფესიონალურად გადაღებულ მათი ცხოვრების ბედნიერ წუთებს. ისეთი ივენთებიც იქნება, სადაც გართობა შეიძლება, ვინმეს „გოიმურად“ მოეჩვენოს, მაგრამ ცხოვრება ხომ ასეთია – ჭრელი და მრავაფეროვანი. სწორედ ამიტომ, ტრადიციულისა და თანამედროვის ისეთი მიქსი შეგიძლია გააკეთოთ, რომ ყველასთვის მისაღები იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებულია და თქვენზეც, მაყურებელზე, რომელიც იმედია, ამ გადაცემაში აქტიურად ჩაერთვება... ზოგადად გადაცემა იქნება ჩემნაირი... რემბო იქნება, რა *(იცინის)*.

სალომე გველესიანი

გასული წელი უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, მომღერალ ნუცა შანშიაშვილისთვის ნამდვილად იღბლიანი აღმოჩნდა – დიდი ლოდინის შემდეგ, ის პატარა ნიკოლას დედა გახდა; გველის წელიწადი შემოქმედებითადაც ნაყოფიერი იყო მისთვის, სულ ახლახან კი ამერიკის პოლიციამ ის სპეციალური დიპლომით დააჯილდოვა.

თუ როგორ შეხვდა ის ცხენის 2014 წელს დედის ამპლუაში, რატომ დადის ყოველ ღამით ოჯახთან ერთად მანჰეტენზე და რატომ არ დგამდა ათი წლის განმავლობაში სახლში ნაძვის ხეს შობა-ახალ წელს, ამაზე თავად გვესაუბრება.

რის გამო დადგა ნუცა შანშიაშვილისთვის განსაკუთრებულად ბედნიერი შობა-ახალი წელიწადი და რატომ შეხვდა ის ამ წელს კასტილიის მთებში

ნუცა შანშიაშვილი: პირველი ახალი წელი და შობაა, როცა დედის ამპლუაში ვხვდები და, ხომ წარმოგიდგენიათ ეს რა განცდაა ჩემთვის?! ამიტომ, ეს წელი ყოველთვის განსაკუთრებულად გასახსენებელი მექნება. ბოლო ათი წელია, ნაძვის ხე არც დამიდგამს და არც მომირთავს სახლში, ახლა კი, ნიკოლას გამო, თავდაყირა დავდექი, ულამაზესი წითელი ნაძვის ხე მოვურთე და უბედნიერესი ადამიანი ვარ. თან, ისეთი მონდომებით და სიხარულით ვაკეთებდი ამას, უნდა გენახათ *(იცინის)*. ასტროლოგები კი ამბობენ, ნაძვის ხე ლურჯ და მწვანე ფერებში მორთეთო, მაგრამ, მე წითელი ნაძვის ხე მიდგას, ლურჯი და თეთრი სათამაშოებით მორთული. რაც მთავარია, ნიკოლას უხარია მისი ყურება და გრძნობს, რომ ჩვენს სახლში ზეიმია.

მე ამ ახალ წელს ოჯახთან ერთად, სამოთხეში შევხვდი

– წითელი ნაძვის ხე რატომ დადგი?

– წითელი ფერი სიყვარულთან, ცეცხლოვანებასთან და დადებით ენერგეტიკასთან ასოცირდება. ჰოდა, მეც ამ ფერის ნაძვის ხე დავდგი – სწორედ ასეთი ენერგეტიკა მინდა ჩემს სახლში ტრიალებდეს მთელი წელი. თან, სახლში არ ვხვდებოდი ხოლმე შობა-ახალ წელს, სულ კონცერტი მქონდა. წელს შობას სახლში ვხვდები, ახალ წელს კი კასტილიის მთებში შევხვდი. ულამაზესი ზამთრის კომპლექსია მთებში, თავისი აუზებითა და სათხილამურო ბილიკებით. ამ ადგილს „სამოთხეს" ეძახიან. ასე რომ, მე ამ ახალ წელს, ოჯახთან ერთად, სამოთხეში შევხვდი *(იცინის)*. ახალ წელს კასტილიის მთებში კონცერტი მქონდა და 12 საათზე ერთ ხელში მიკროფონი მეჭირა, მეორეში კი – ბავშვი *(იცინის)*. ხომ ამბობენ, რომ ამერიკაში უფრო შობას აღნიშნავენ, ვიდრე ახალ წელსო?

– ჰო, მეც ასე ვიცი, რომ შობას უფრო გრანდიოზულად ხვდებიან ამერიკელები.

– მე კი გავარკვიე, რომ ამერიკაში, შობაც და ახალი წელიც ოფიციალურ დღესასწაულებში შედის, თუმცა, რასაკვირველია, შობას უფრო აღნიშნავენ. მთელი ნიუ-იორკი ისეა გაჩახჩახებული, მორთული და მოკაზმული, თავი ნამდვილ ზღაპარში გეგონებათ. მანჰეტენზე უდიდესი ნაძვის ხე დგას და ისეა მორთული, ეს აუცილებლად უნდა ნახო. ბავშვი წავიყვანე მის სანახავად და დიდხანს გაოცებული უყურებდა, იღიმებოდა და სიხარულისგან თვალები უციმციმებდა. უამრავი ადამიანი მოდის მანჰეტენზე ამ ნაძვის ხის სანახავად და ყველას სიხარულისგან უბრწყინავს სახე. ამერიკაში შობა-ახალ წელს ულამაზესია არა მარტო ქუჩები და მოედნები არამედ, ყველა სახლი, კორპუსი და ეზო. ჩვენი კორპუსის სადარბაზოში უდიდესი და ულამაზესი მორთული ნაძვის ხე დგას. ვხუმრობ ხოლმე, ეს რომ მოსკოვის ნებისმიერ კორპუსში დადგა, ბომჟები სათამაშოებს არყის ჭიქებად გამოიყენებენ და ტოტებს მიაყოლებენ – ისე დაღეჭავენ წიწვებს, პირიდან ვერ გამოაცლი-მეთქი *(იცინის)*. აქ კი საკუთარ ეზოებში ისეთ სანახაობრივ რეკვიზიტებს აწყობენ, გაოცდებით. ამერიკელების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ჩემ წინ, ეზოში, დგას მთაწმინდის პლატოზე რომ არის „ეშმაკის ბორბალი," ზუსტად ისეთი და მასზე სხედან თოჯინები. ბორბალი ღამით ანათებს, ტრიალებს და თან მუსიკას უკრავს. მთელი ღამე ვდაგვარ ფანჯარასთან და ვუყურებ ამ სილამაზეს. ზოგი ეზოს წინ ელექტრონული ლაზერებია დამონტაჟებული და ფიფქები დაფრინავენ სახლის გარშემო, ზოგან დიდი თოვლის ბაბუა დგას და მღერის... ზღაპრული სამყაროა ამერიკა ამ დღეებში.

** წითელი ფერის ნაძვის ხე დავდგი და, მინდა, სწორედ ასეთი ენერგეტიკა ტრიალებდეს მთელი წელი ჩემს სახლში**

– ნიკოლას რა მოუტანა თოვლის ბაბუამ?

– ნიკოლას მარტო ტელეფონი და კომპიუტერი უყვარს. არც ნაძვის ხისკენ იხედება სახლში და არც მანქანებისკენ. ასე რომ, თოვლის ბაბუამ მოუტანა პატარა კომპიუტერი, ანუ, ოცდამეერთე საუკუნის ბავშვს ოცდამეერთე საუკუნის სათამაშო მოართვა. ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, შობას, ბებიები მირთავდნენ პატარა ნაძვის ხეს, რომელზეც კიდებდნენ ტკბილეულს და ცომისგან გამომცხვარ ფიგურებს. ეს ჩემი ტკბილი მოგონებაა დღემდე და, ვფიქრობ, ასეთი შობა დღის ტრადიცია ყველა ოჯახში უნდა იყოს. იცით, მე ბავშვობაში თოვლის ბაბუის არ მჯეროდა, ის ყოველთვის გამოგონილი პერსონაჟი იყო ჩემთვის და, როგორც სათამაშოს, ისე ვუყურებდი. ამიტომ, არასდროს ველოდებოდი მას, მაგრამ, ყოველთვის ვიცოდი, რომ ნაძვის ხის ქვეშ საჩუქრებს მშობლები აუცილებლად დამახვედრებდნენ. ნიკოლას კი, მინდა, რომ სჯეროდეს მისი არსებობის და ელოდებოდეს სასწაულებს – ეს ყველა ბავშვის სულიერი სამყაროს განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. ასე რომ, თოვლის ბაბუის ილუზია მე არა, მაგრამ, ჩემს ბავშვს აუცილებლად ექნება. ისე, ახალი წელი ჩემთვის სულ სუფრასთან, ქეიფთან და დროსტარებასთან ასოცირდება. ამ დღეებში რაც შეიძლება მეტი პოზიტივი უნდა მიიღო და გასცე, რაც შეიძლება მეტი იმხიაურლო და გაერთო, მეტი რა შეგვრჩება *(იცინის)*, ამაზე კარგი რა არის? ჩემი აზრით, ჩვენი პატარა და უნიკალური ერი სწორედ იმით მოვიდა დღემდე, რომ გენეტიკაში აქვს ჩადებული სულის სუფთა ველი და ენერგეტიკა. ამიტომაც, ვინ არ გვეომა, მაგრამ, ვერავინ შეძლო ჩვენი დამარცხება. ზოგადად კი ჩემთვის ყველა ახალი წელი მრავალფეროვანია, მიჭირს რომელიმე გამოვყო. ამ წელს კი, როგორც დედა, პირველად ვხვდები და, მგონია, ახალი და უფრო ბედნიერი და მრავალფეროვანი ცხოვრება სწორედ ამ წელიწადს დაიწყო ჩემთვის. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ასე ჩახჩახებს, ლამაზადაა ქუჩები მორთული და ბედნიერება მხვდება ყოველ ნაბიჯზე, მე მაინც ჩემი საქართველო, მანდ გატარებული დღეები და ახალი წლები მიყვარს და მენატრება. ჩემი საკუთარი მშობლიური ბედნიერება მანდ არის. აქ სხვა ენერგეტიკით ვიმუხტები, თბილისს კი სხვა სული და სილამაზე აქვს, სხვანაირი ემოციითაა დატვირთული.

– გასული წელი მართლაც განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი იყო შენთვის – დედაც გახდი და ამერიკის პოლიციამ სპეციალური სიგელითაც დაგაჯილდოვა, რაც დიდ პატივად ითვლება მანდ. კონკრეტულად რა ჯილდოა ეს?

– მართალია, ასეთი ჯილდო ერთეულებს აქვთ. ამერიკის პოლიციამ დამაჯილდოვა როგორც ამ ორგანოს მხარდამჭერი და გვერდში მდგომი ხელოვანი და, ასევე, ნიუ-იორკში, ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის. ძალიან კარგი საღამო გამოვიდა. ადრე პოლიციის ზეიმზე მიმიწვიეს და ვიმღერე „ნიუ-იორკ, ნიუ-იორკ". მითხრეს, ქართველი ასეთი ამერიკული აქცენტით რომ მღერი, ძალიან გვიკვირსო.

ნონა დათეშიძე

არის თუ არა დამნაშავე ქალი ლაღატში, როცა რომანტიკული ურთიერთობის მოთხოვნილება უჩნდება

როგორ უნდა მოიქცეს ცოლი, რომელსაც ოჯახურ ურთიერთობაში იმის დეფიციტი აქვს, რის გარეშეც არსებობა არ შეუძლია?! მაგალითად, რომანტიზმის. შეიძლება, ვიღაცას გაეღიმოს კიდეც და თქვას, რა დროს რომანტიზმია, რა ბავშვობაა, მაგ ქალებს საქმე აქვთ გამოლეულიო, მაგრამ მთლად ასე მარტივადაც არ არის საქმე. არსებობენ ქალები, რომლებიც, უბრალოდ, ვერ „სუნთქავენ“ კომპლიმენტების, მამაკაცის ყურადღების, ელემენტარული სითბოს გარეშე. ღიზიანდებიან, უჩნდებათ აგრესია... ან იპყრობთ სევდა და აპათია, რაც ისევე არასასურველია, როგორც პირველი ვარიანტი. მამაკაცები დიდ და სერიოზულ შეცდომას უშვებენ, როცა არ ცდილობენ, გაუგონ ცოლს და ჩასწვდნენ მისი უგუნებობის ჭეშმარიტ მიზეზს. ჩვეულებრივ, ეს პირდაპირპროპორციულად აისახება ხოლმე ოჯახურ ურთიერთობებზე, თანაც, ნეგატიურად.

თიკო *(29 წლის):* ოთხი წლის წინ გავთხოვდი. ორი წლის შვილი მყავს. ჩვენი დაქორწინება ლოგიკური დასასრული იყო იმ ურთიერთობისა, რომელიც მე და ჩემს მეუღლეს თითქმის წალიწად-ნახევრის განმავლობაში გვქონდა. ეს იყო თავბრუდამხვევი რომანი. ქარიშხლისებური და მასშტაბური. საოცარი შეყვარებული იყო. ისეთ რაღაცეებს იგონებდა, გაოგნებული ვიყავი მისი ფანტაზიის უნარით. ყველას შურდა ჩემი. გოგოები გიჟდებოდნენ, – როგორ უყვარხარო, მეუბნებოდნენ, – ასეთი რა გაუკეთეო. ამაყი და ბედნიერი დავდიოდი. ვფიქრობდი, ისეთი ქმარი მეყოლება, მის გვერდით ყოველი დღე დღესასწაული იქნება-მეთქი. გაგონილი მქონდა, რომ ადამიანები ქორწინების შემდეგ იცვლებიან, მაგრამ ისეთ რადიკალურ ცვლილებებს ნამდვილად არ ველოდი, როგორიც მერე მივიღე. დღეს აქეთ აქვს პრეტენზიები და არაფრით არ უნდა იმის გაგონება, რომ ამ ზომამდე თავად მიმიყვანა.

– ხშირად ამბობენ, კაცების მთავარი პრობლემა ის არის, რომ საერთოდ არ იცნობენ ქალს, რომელიც გვერდით ჰყავთო.

– აბსოლუტური სიმართლეა. უკვე დავწმუნდი, რომ ჩემი ქმარი საერთოდ არ მიცნობს, მიუხედავად იმისა, რომ წელიწად-ნახევარი შეყვარებული იყო და ენაგადმოგდებული დამდევდა უკან. რომ ჰკითხო, საკუთარ თავზე უკეთ მიცნობს. არადა, წარმოდგენა არ აქვს, რა მწყინს, რა მიხარია... თუმცა, ესეც არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მასში მომხდარი ცვლილებები.

– ანუ, ის რეალურად შეიცვალა?

– დიახ. ეს პირველივე წელს გახდა თვალშისაცემი. თუმცა, მაშინ ძალიან მტკივნეულად არ აღმიქვამს. მაინც ეიფორიაში ვიყავი... სხვათა შორის, თავიდან კარგად, მშვიდობიანად აეწყო ჩვენი თანაცხოვრება. არ ვჩხუბობდით. მშვიდად ვცხოვრობდით და მე ძალიან ვცდილობდი, ჩემი საყვარელი ქმრისთვის კომფორტი შემექმნა. ამით იქამდე ვიყავი გართული, სანამ ერთ დღეს დისკომფორტი არ ვიგრძენი. უცებ აღმოვაჩინე, რომ რაღაც ძალიან მაკლდა, ისე ძალიან, რომ ეს ჩემს განწყობაზეც უარყოფითად მოქმედებდა.

– ეს ბავშვის შეძენამდე იყო?

– არა. მერე. დისკომფორტს უკვე ძალიან მწვავედ ვგრძნობდი და მერე მივხვდი – ჩემი ცხოვრებიდან რომანტიზმი თოვლივით გაქრა. ისეთი ურთიერთობა გვქონდა, თითქოს ერთად სამი კი არა, ოცდასამი წელი ვიყავით. არავითარი ყვავილები... არანაირი სიურპრიზები და სპონტანური აღერსი... კომპლიმენტები მხოლოდ ასეთი ტიპის შემოგვრჩა: „ყოჩაღ, კარგი კატლეტი იყო“; „ამ წვნიანში მარილი დაგენანა? თუმცა, მაინც არა უშავს“; „როგორც იქნა ისწავლე ღვეზელის გამოცხობა“. ჯერ ვიფიქრე, რომ ამ ყველაფერში დამნაშავე მე ვიყავი. ტყავიდან ვძვრებოდი, რომ მისი ყურადღება მიმეპყრო. ხან თმის ფერი შევიცვალე... გამომწვევად დავიწყე ჩაცმა... სიურპრიზებს თვითონ ვუწყობდი. არაფერმა არ გაჭრა... სახლში მოვიდოდა და დივანს ვერ ააგლეჯდი. რა უნდა მეთქვა, რომ მოესმინა ან შევემჩნიე საერთოდ.

> **ისეთი ურთიერთობა გვქონდა, თითქოს ერთად სამი კი არა, ოცდასამი წელი ვიყავით**

– ძალიან ბევრი ქალისთვის ეს პრობლემა არ არის.

– ეტყობა, მე არ მივეკუთვნები ამ ტიპის ქალების კატეგორიას, იმიტომ რომ, საშინელი დეპრესია დამეწყო. არ ვიცი, რამდენად კარგად გადმოვცემ ამ ყველაფერს... ვნერვიულობ. გარემოებები ისეა, თითქოს მე ვარ მოღალატე და ორგული.

– ანუ, ქმარი აქეთ გდებთ ბრალს ამ ყველაფერში?

– წარმოიდგინეთ, რომ ასეა. თუმცა, საერთოდ არაფერში ვარ დამნაშავე. მე იმ დეფიციტის შევსებას ვცდილობდი, რომელიც ქმართან ურთიერთობაში გამიჩნდა. ვცდილობდი, ისევ იმიტომ, რომ ჩვენი ოჯახი გადამერჩინა. შეიძლება, გიკვირთ, რასაც ახლა გეუბნებით, მაგრამ თავს ისე საშინლად ვგრძნობდი, რაღაც რომ არ შემეცვალა, ყოველდღიური ჩხუბი და სკანდალი აუცილებლად მიგვიყვანდა გაყრამდე. ლამის გადამყლაპა ყოველდღიურმა ერთფეროვნებამ და რუტინამ. უცებ, ჩემი ცხოვრება შეიცვალა, გამოჩნდა ადამიანი – მამაკაცი, რომელმაც ყურადღება მომაქცია... ძველი ნაცნობი, რომელიც ლამის დავიწყებული მყავდა. სოციალურ ქსელში მიპოვა და მომწერა, არაჩვეულებრივად გამოიყურები, მოხიბლული ვარ შენითო.

– სულ ეს არის?

– არა. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. ჯერ მიწერ-მოწერით სოციალურ ქსელში, მერე მესიჯებით და ბოლოს შევხვდით კიდეც. ყავაზე დამპატიჟა. ჩემი მხრიდან ეს იყო სრულიად გააზრებული ფლირტი და მეტი არაფერი. გულწრფელად გეუბნებით ამას. არანაირი შორსმიმავალი გეგმები არ მქონია.

– ჰო, მაგრამ ამ ტიპის ურთიერთობა ხომ არ არის ცალმხრივი.

– გეთანხმებით, მაგრამ მე იმის გრძნობებზე და გეგმებზე საერთოდ არ მიფიქრია. ალბათ, ჩემი მხრიდან ეს არ იყო სწორი საქციელი, მაგრამ ცოტა ეგოისტურად მივუდექი საკითხს. რა მოხდა, მამაკაცები სულაც ასე, ეგოისტურად არ იქცევიან?! იმას აკეთებენ, რაც მარტო თვითონ უნდათ და სიამოვნებთ. რამდენიმე კვირა ეს მარტივი, თბილი და სასიამოვნო ურთიერთობა ძალიან მახალისებდა და მავსებდა. რაღაც სტიმული გამიჩნდა. მიხაროდა, რომ კიდევ ინტერესდებოდნენ მამაკაცები ჩემით, როგორც ქალით.

– ამის საჭიროებას გრძნობდით და თქვენი დეპრესიაც ამისი მიზეზი იყო?

– დიახ. რა თქმა უნდა. რატომ გიკვირთ?

– არა. არ მიკვირს. უბრალოდ, პირდაპირ რომ გეთქვათ თქვენი ქმრისთვის, რაც განუხებდათ?!

– ვინ მომისმინა. აბა, რას გიხსნით ამდენი ხანი. ვცადე, მაგრამ ერთხელაც არ მათქმევინა ბოლომდე. არ მომცა საშუალება, გული გამეხსნა მისთვის. ახლაც რომ ვფიქრობ, როგორი გაფანტული მზერით მომაჩერდებოდა ხოლმე და ხელს აიქნევდა – ახლა არ მაქვს ამისი თავიო, ნერვები ხელახლა მეშლება. რა უფლება აქვს, რამეში დამადანაშაულოს, როცა მე იმ კაცის ყურადღებით ვცხოვრობდი და ვსულდგმულობდი. დილით მომდიოდა მესიჯი: „როგორ ხარ, როგორ გეძინა. დღეს ხომ შეეცდები, კარგი განწყობა შეიქმნა და არაფრით მოიშხამო გუნება. ისეთი კარგი დღეა, მზე ანათებს... შენც ისეთი ლამაზი ხარ...“ – მორჩა, ეგრევე ღიღინს ვიწყებდი. მინდა, სწორად გამიგოთ – ელემენტარული ყურადღება მჭირდებოდა.

– თქვენს მეგობარს ცოლი ჰყავს?

– არა. თუმცა ამას არა აქვს არსებითი

რუსეთში მცხოვრები ქალბატონი დეიდაშვილს წყალტუბოში ეძებს

67 წლის ლუდმილა ნიკოლაის ასული პიმენოვა ეძებს 63 წლის ნატალია წულუკიას.

ისტორია: ვეძებ ჩემს დეიდაშვილს, 1950 წელს დაბადებულ ნატალია წულუკიას. ბოლოს მისგან წერილი წყალტუბოდან 1992 წელს მივიღეთ, რომელშიც იწერებოდა, რომ ომის გამო მათი ევაკუაცია უნდა მომხდარიყო. მის შემდეგ ჩვენ შორის კავშირი გაწყდა. ძალიან გთხოვთ, გვაპოვნინოთ ერთმანეთი. მთელი ამ წლების გა-

ნმავლობაში ნატალიას უშედეგოდ ვეძებდით. იმედია, სასწაული მოხდება და ჩვენ მას თქვენი დახმარებით ვიპოვით, ან, ბოლოს და ბოლოს, გავიგებთ, რა ბედი ეწია ჩემს დეიდაშვილს.

ჟურნალისტის შენიშვნა: რუბრიკა „დაკარგულებს“ საკმაოდ ბევრი ისტორია ახსოვს, როდესაც ომის შედეგად დაშორებული ადამიანები ერთმანეთს ეძებენ. დღევანდელი ჩემი რუბრიკის სტუმარი სწორედ ომის გამო დაკარგულ დეიდაშვილს ეძებს. იმედი გვაქვს, რომ ნატალია წულუკია ცოცხალია და ის გამოგვეხმაურება, დეიდაშვილებს შორის 1992 ნლიდან დაკარგული კავშირი კი აღდგება.

– გვიამბეთ ყველაფერი, რაც ნატალიას შესახებ იცით და რაც მის მოძებნაში დაგვეხმარება.

– ნატალია ჩემი დეიდაშვილია, ის გათხოვდა საქართველოში. მისი ქალიშვილობის გვარი არის სერიაგინა, მაგრამ, მეუღლის გვარზე უნდა იყოს, ანუ, ამჟამად წულუკიაა. ნატალიასთან ჩვენი კავშირი 1992 წელს შეწყდა. ბოლო წერილი წყალტუბოდან მივიღეთ. საქართველოში იმ დროს არეულობა იყო და ნატალია იწერებოდა, რომ ევაკუაცია უნდა მოეხდინათ და მშვიდობიანი მოსახლეობა სხვაგან გადაეყვანათ. სამწუხაროდ, ეს იყო ბოლო წერილი, შემდეგ კი კავშირი შეწყდა. როგორ აღარ ვეძებდით მას, მაგრამ, უშედეგოდ. ბოლოს გადავწყვიტე, „ჟდი მენიაში“ მიმეწერა წერილი და ჩემი განაცხადი განმეთავსებინა. გავიგეთ, რომ საქართველოში ახლობლების პოვნაში თქვენ ბევრს დაეხმარეთ და, გვინდა,

რომ ჩვენც დაგვეხმაროთ. ყველაზე რთული ცხოვრებაში გაურკვევლობაა. ჩემი ნატალიას ბედი კი ჩემთვის დღემდე გაურკვეველია. გიგზავნით მის ფოტოებს. სამი ფოტო მაქვს და, მინდა, შეძლებისდაგვარად სამივე გამოაქვეყნოთ. იქნებ, ვინმემ იცნოს ნატალია, ან, იქნებ, თავად წაიკითხოს თქვენი სტატია და გამოგვეხმაუროს.

– მანამდე სად ცხოვრობდა თქვენი დეიდაშვილი?

– ის წყალტუბოში ცხოვრობდა. ვერ წარმომიდგენია, სად უნდა გადასულიყო საცხოვრებლად ევაკუაციის დროს. შეიძლება, ისევ დაბრუნდა წყალტუბოში თავის ოჯახთან ერთად (ერთ-ერთ ფოტოზე ის შვილებთან ერთადაა, ერთზე – მეუღლესთან ერთად). ამდენი წლის განმავლობაში ის ჩვენ არ დაგვკავშირებია და, შეიძლება, მას ამის მიზეზი აქვს. ჩვენ მაინც გვინდა, კარგზე ვიფიქროთ და ცუდ ფიქრებს თავს ვარიდებთ. მინდა, ვისარგებლო თქვენი რუბრიკით და მივმართო ნატალიას: ძალიან გთხოვ, გამოგვეხმაურე, ჩვენ ძალიან განვიცდით შენთან ამდენი წლის განმავლობაში კავშირის არქონას. ყველას ძალიან გვენატრები და გვახსოვხარ!

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.

ნატალია მახარაშვილი

მნიშვნელობა. მე ხომ საერთოდ არაფერს მოვითხოვდი მისგან, აბსოლუტურად არაფერს. ორჯერ ყავაზეც იმიტომ შევხვდი, რომ ძალიან შემეხვეწა და უარის თქმა მომერიდა.

– ანუ, ეს ურთიერთობა რომანი არ ყოფილა?

– არავითარ შემთხვევაში. ეს იყო ურთიერთობა, რომელიც მამხნევებდა და საკუთარი თავის რწმენას მმატებდა. გარეგნულადაც დამეტყო. ვიცვამდი განსაკუთრებულად, ვარცხნილობაც ყოველთვის ფორმაში მქონდა...

– იმის მოლოდინით ხომ არა, რომ შეიძლებოდა, მას შეხვედროდით...

მაინტერესებდა, კიდევ ინტერესდებოდნენ მამაკაცები ჩემით, როგორც ქალით, თუ არა

– შეიძლება, არ გამოვრიცხავ. რა არის ამაში განსაკუთრებული, თუნდაც ასე ყოფილიყო, ვაშავებდი რამეს? მე მიმაჩნია, რომ არა... ყველაზე განმაცვიფრებელი ის იყო, რომ ჩემმა ქმარმა, როგორც იქნა, შეამჩნია ჩემში მომხდარი ცვლილება... ეტყობა, უკვე „ვყვაოდი“. მეცინება, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, ფაქტია, რომ ერთ დღესაც ეჭვით შემოხედა და მკითხა: რა ხდება?! რა ხდებამეთქი. რა ვიცი, საეჭვოდ შეიცვალეო. მე სულ ასეთი ვარ, უბრალოდ, შენ არ შეგიმჩნევივარ, ძალიან დიდი ხანია-მეთქი. თავი გადაალენია და გაჩუმდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეჭვის ჭია ძალიან ღრმად შეუჩნდა... უსიტყვოდ გადაწყვიტა, შევემოწმებინე... გადაჩხრიკა ჩემი მობილური, გამიტეხა სოციალური ქსელი, წაიკითხა მესიჯების ის ნაწილი, რისი წაშლაც ვერ მოვასწარი და გაგიჟდა. აი, თურმე, რით ხარ დაკავებული. მე კი შენი ისე მჯეროდა, თვალდახუჭული გენდობოდიო. თვალდახუჭული რომ იყავი, ფეხებზე გეკიდე და ყურადღებას არ მაქცევდი, იმიტომაც დავიწყე გართობა სხვასთან-მეთქი.

– აღიარეთ, რომ ერთობოდით?

– ჰო. არაფერი მქონდა დასახული. ეს არ იყო ღალატი და ყველაფერი მოვუყევი ვაუბატონს. ამჯერად დიდი ყურადღებით მომისმინა. თვალს არ მაცილებდა და ოხრავდა. ვუთხარი ისიც, რომ ძველი რომანტიკის დაბრუნება მინდოდა, იმ კაცის დაბრუნება, რომელიც მიყვარდა და ახლაც მიყვარს.

– გაიგო, ეს ყველაფერი თქვენმა ქმარმა?

– უჭირს გაგება, ძალიან უჭირს. სულ დაძაბულია და შემართული. მაგრამ, მიუხედავად ასეთი დამუხტული სიტუაციისა, მე მაინც კმაყოფილი ვარ. ინერვიულოს, არაფერი მოუვა. მომაქციოს ყურადღება. დიახ, უნდა ახსოვდეს, რომ თუ არ გამოფხიზლდება, დამკარგავს.

დალი მიქელაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

შეყვარებულმა თავისი ოჯახის წევრები გამაცნო. ამისთვის მზად არ ვიყავი, მაგრამ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ცუდი ის არის, რომ ახლა დედამისი თითქმის ყოველდღე მირეკავს და ლამის დაკითხვას მიწყობს. უამრავი წვრილმანი აინტერესებს. ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი კანდიდატურა მიღებულია, მაგრამ ჯერ ცოლად გაყოლას არ ვაპირებ. ასე, გამომძიებელივით რატომ იქცევა? ურთიერთობა არ გამიფუჭოს თავის შვილთან. როგორ მოვიქცე?!

გამოხმაურება: ასეთ ურთიერთობას ცოტა სიფრთხილით უნდა მიუდგეთ. ეტყობა, უნდა თავის მომავალ რძალზე ყველაფერი იცოდეს და ჩვენს საზოგადოებაში ეს ნორმალურია. თუ აპირებთ რომ ცოლად გაჰყვეთ თქვენს შეყვარებულს, მაშინ აიტანეთ დედამისის „დაკითხვებიც“. თუ არა, უბრალოდ, თავაზიანად მიანიშნეთ, რომ ასეთი „ჩაძიება“ უხერხულია.

ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე

ჯანეტ ქერდიყოშვილი ცოტა ხნის წინ ავად გახდა და დღემდე ხარკოვის ჰოსპიტალში განაგრძობს მკურნალობას. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ მალე გამოჯანმრთელდება და საქართველოში დაბრუნდება.

რატომ არ ელოდება ახალ წელს არასდროს ჯანეტ ქერდიყოშვილის თოვლის ბაბუა და ვისგან მიიღო მან ყველაზე მნიშვნელოვანი შემოთავაზება

ჯანეტი: ამჟამად ისევ ხარკოვში ვარ, მაგრამ, შეიძლება, ოჯახთან ერთად წავიდე პეტერბურგში, ოღონდ, მატარებლით, რადგან, თვითმფრინავით ფრენა არ შეიძლება – ეს გარკვეული რისკია და ამიტომ ვერიდები. საერაბილიტაციო კურსი მინდა გავიარო ან ევროპაში, ან საქართველოში, ან აქ, ხარკოვში. იმდენ წამალს ვსვამ, ორგანიზმი უკვე ინტოქსიკაციას განიცდის. თავიდან ხომ ცუდად ვიყავი, მერე, ერთი თვის შემდეგ, ჯანზე მოვედი და ვეხვეწებოდი, გამიშვით აქედან-მეთქი. მაგრამ, დაახლოებით ერთ კვირაში მივხვდი, რომ წამლები მოქმედებს ორგანიზმზე და ძალიან სუსტად ვარ – გარეთაც კი ვერ გავდივარ დიდი ხნით, დედაზე ვარ ჩამოკიდებული.

– საავადმყოფოში წევხარ?

– ჰოსპიტალში ვარ. ექიმებმა პიელონეფრიტის დიაგნოზი დამისვეს, ამას კი ხშირად იწვევს არასწორი დღის რეჟიმი, კვება, გადაღლა, სტრესი და ბევრი სხვა ფაქტორი. ბოლო ორი-სამი თვე ეს ყველაფერი ერთად დაგროვდა ჩემს ცხოვრებაში: იქ კონკურსისთვის სამზადისი, „იმედში“ მუშაობა, სწავლა... მთელი დღე დავრბოდი წინ და უკან, რომ ყველაფერი მომესწრო. პარალელურად, „მის სამყაროსთვის“ ვიდეორგოლებს ვაკეთებდით – მოკლედ, ეს ყველაფერი დაგროვდა, ვეღარ გაუძლო ორგანიზმმა და შეტევით შემახსენა თავი. იმ დროს ხარკოვის გავლით მოსკოვში მივდიოდი, ხარკოვში რომ ჩამოვფრინდი, ცუდად გავხდი და დარჩენა მომიწია. თან, მარტო ვიყავი. როგორც კი საავადმყოფოში მოვხვდი, დილას მშობლები უკვე ჩემთან იყვნენ.

– ახლა როგორ ხარ?

– სტაბილურად ვარ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ უკვე კარგად ვგრძნობ თავს. მპირდებიან, რომ თვის ბოლოს უკეთ უნდა გავხედე – მკურნალობის კურსი მთავრდება და უკვე რეაბილიტაციის პერიოდი უნდა დავიწყო. სულ გადარბენებზე ვიყავი, ბევრს დავდიოდი და ახლა, აქ ციხესავით არის, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი პირობაა. ჩემთვის რთული იყო იმასთან შეგუება, რომ დღე და ღამე უნდა ვიწვე და არაფერი არ უნდა ვაკეთო, გასვლა არ შეიძლება, თან, ამის ძალაც არ მაქვს. სამაგიეროდ, ამ ყველაფრისგანაც ბევრი კარგი რამ მივიღე: უამრავ წიგნს ვკითხულობ – ადრე ამის დრო არ მქონდა. დედა დარჩა ჩემთან და მივლის პატარა ბავშვივით. არ მინდა, უფრო მეტად ვანერვიულო, ისედაც განერვიულებულია. პირიქით, ვამხნევებ, ვიღიმი, ვეუბნები, რომ კარგად ვარ. წუწუნა ტიპიც არ ვარ, რომ ვთქვა: როგორი ოთახია, როგორ საწოლზე ვწევარ-მეთქი. გამიმართლა: კარგი პალატა მაქვს, კარგი ექიმები მივლიან და, შემიძლია ვთქვა, რომ საავადმყოფოს პირობებიდან გამომდინარე კომფორტულად ვარ. მეც მივხვდი, რომ, სანამ ახალგაზრდები ვართ, ბევრ რამეს არ ვუკვირდებით, თუნდაც ჩვენს ჯანმრთელობას. ვფიქრობთ: განა რა უნდა მოხდეს, ორი საათი თუ არ დავიძინე, ან ეს გავაკეთეო. მივხვდი, რომ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი არაფერია ცხოვრებაში. ახლა უფრო ფრთხილი ვიქნები და, როცა რაღაცის გაკეთებას გადავწყვეტ, მანამდე ბევრს ვიფიქრებ.

– წასვლამდე საკმაოდ აქტიური პერიოდი გქონდა, თან, „იმედის“ გადაცემის – „შუა დღის“ წამყვანი გახდი და, მახსოვს, ძალიან გიხაროდა.

– ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი შემოთავაზება იყო, თან, მოკლე პერიოდში შევეჩვიე ყველას. სულ მირეკავენ, როდის ჩამოხვალო. პალატაში კაბელიც კი გამიკეთეს, „იმედს“ რომ ვუყურო. ასე რომ, თითქმის ყოველდღე ვიყურებ და საქმის კურსში ვარ, რას აკეთებენ, როგორ არიან.

– „ფეისბუქზე“ რომ დებ ფოტოებს, სულ დადებით კომენტარებს გიწერენ, გგულშემატკივრობენ და გამოჯანმრთელებას გისურვებენ.

– ბევრი წერილი მომდის, გამოჯანმრთელებას მისურვებენ და, მინდა, ამისთვის ყველას მადლობა გადავუხადო. სრულიად უცხო ადამიანი რომ მწერს, არ ინერვიულო, კარგად იქნებიო, ეს ძალიან დიდ ძალას მმატებს, მეხმარება. ვიცი, ხალხს ვუყვარვარ და იზიარებენ ჩემს მდგომარეობას. მინდა, ყველას მივწერო ხოლმე, მაგრამ, არ გამომდის. თუმცა, ყველა ძალიან მიყვარს და მადლობელი ვარ მათი მხრიდან გამოვლენილი ამხელა სითბოსთვის.

ჩემთვის რთული იყო იმასთან შეგუება, რომ დღე და ღამე უნდა ვიწვე, არაფერი არ უნდა ვაკეთო, გასვლა არ შეიძლება, თან, ამის ძალაც არ მაქვს. სამაგიეროდ, ამ ყველაფრისგანაც ბევრი კარგი რამ მივიღე: უამრავ წიგნს ვკითხულობ, ვსწავლობ

ჟვავილები მოდის ხოლმე ვიღაცეებისგან. ვხვდები, ვინ შეიძლება იყოს, მაგრამ ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული

– საჩუქრებსაც ხომ არ გიგზავნიან?

– ყვავილები მომდის ხოლმე. ვხვდები, ვინ შეიძლება იყოს, მაგრამ, ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული.

– ახალ წელს როგორ ხვდები ხოლმე?

– ახალ წელს ერთი რამ მაქვს ტრადიციად, არაერთხელ გამოვცადე და ყოველთვის ამიხდა: დაახლოებით 12 საათზე ფურცელზე ვწერ წერილს, თავისი სამი სურვილით, ვწვავ, ფერფლს შამპანურში ვყრი და ზუსტად 12 საათზე ვსვამ. მახსოვს, იმ წელს, როდესაც „მის საქართველოში“ ვმონაწილეობდი, ახალი წლის ღამეს ჩავიფიქრე გამარჯვება და გავიმარჯვე კიდეც. შარშან ჩავიფიქრე: იქნებ ტელევიზიაში გამოვჩნდე, დავიწყო ჩემი კარიერა-მეთქი და ესეც მოხდა. ზოგადად, როცა რაღაც ხდება ან გეგმები მაქვს, მიყვარს წინასწარ ბევრი ლაპარაკი და მერე ის რაღაც არ გამოდის ხოლმე. ამიტომ, ჯობია, წინასწარ არ თქვა, რას აკეთებ, რა გეგმები გაქვს. თან, ცხოვრება ისეთი რამ არის, არ იცი, როდის რა მოხდება. თუნდაც, „მის სამყაროზე“ რამდენი გეგმა იყო, რამდენს ვლაპარაკობდით, ხალხი გველოდებოდა და, უცებ, სულ სხვანაირ გარემოში აღმოვჩნდი, სხვანაირად წავიდა ჩემი ცხოვრება.

– თუ გაქვთ ოჯახში ახალ წელთან დაკავშირებული განსაკუთრებული ტრადიცია?

– მაგალითად, საახალწლო სუფრისთვის მე ვაცხობ ხაჭაპურს, ვამზადებ საცივს. მეგრული სუფრა გვაქვს ხოლმე. თუმცა, იშვიათად ვაკეთებ, რადგან, დედას არ უნდა, რომ გავაკეთო. მგონი, კარგი ხელი მაქვს. ნაძვის ხესაც ყოველთვის მე ვრთავ. პატარა ბავშვივით მიხარია მისი მორთვა.

– დღემდე მოდის შენთან თოვლის ბაბუა? თუ, შენი თოვლის ბაბუა არასდროს ელოდება ახალ წელს და ისედაც განებივრებს საჩუქრებით?

– ჰო, ახალ წელს არ ელოდება, უსეზონო თოვლის ბაბუა მყავს – როცა უნდა, მაშინ მოდის. მამაჩემია ჩემი თოვლის ბაბუა. მეც მიყვარს ახალ წელს ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის პატარ-პატარა საჩუქრების გაკეთება.

– „მის სამყაროზე“ გამგზავრების გადაწყვეტამდე მუსიკალურ კონკურსში – „Хочу в ВИАГРУ“-ში მონაწილეობდი, ბევრი ეტაპი გაიარე, მაგრამ, საბოლოოდ უარი თქვი. რა იყო ამის მიზეზი?

– იქ წასვლა და დარჩენა სერიოზულ მიზნად არ მქონია, ჩემი ოჯახის წევრებიც წინააღმდეგები იყვნენ. მაგრამ, მე საკუთარ თავს და ყველას დავუმტკიცე, რა შემიძლია – ბოლომდე გავედი და შემდეგ ვთქვი უარი. გარდა იმისა, რომ არ მინდოდა მასში მონაწილეობა, კონკურსის თარიღი „მის სამყაროს“ ემთხვეოდა. ამაზე კი ვერ ვიტყოდი უარს.

– უარის თქმის გამო ხომ არ დაგაჯარიმეს?

– არა, რადგან, ადრევე ვთქვი უარი, სანამ შოუ დაიწყებოდა. უბრალოდ, შოუს მესამე კვირას ისე გამოაცხადეს, რომ თითქოს მე ბოლო წუთებში აღარ მომინდა მონაწილეობა და წამოვედი. ეს იყო აბსურდი, რადგან, მე თავიდანვე, წინასწარ გავაფრთხილე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. უბრალოდ, ცუდი ის იყო, რომ ბოლო წუთებამდე იმ ორ გოგოს, ვინც ჩემთან ერთად იყო, ჩემი გადაწყვეტილების შესახებ არაფერი უთხრეს. მესმის, ეს შოუა და, ამიტომ, არაფერია გასაკვირი. გოგონებს ძალიან დასწყდათ გული, რადგან, ჩვენს სამეულზე დიდ იმედებს ამყარებდნენ – გამოკვეთილად ჩანდა, ვინ გავიდოდა ფინალში.

ნათია უტიაშვილი

მსახიობი მაშო მელქაძე, უკვე რამდენიმე სეზონია, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში" მონაწილეობს და თავს იქ ძალიან კარგად და კომფორტულად გრძნობს. რამდენიმე თვის წინ მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა – მაშო დედა გახდა. ბავშვის დაბადების თითქმის ბოლო დღემდე გადასაღებ მოედანზე იყო და აქტიურად განაგრძობდა თავისი პერსონაჟის განსახიერებას. მართალია, ჩვენი რესპონდენტი თავისი პერსონაჟისგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნა, მათ საერთო მაინც აქვთ.

ვისთვის არის მაშო მელქაძე შტერი და ცანცარა გოგო და რატომ არის ის სხვა განზომილებაში

იქიდან გამომდინარე, რომ ოთხი დღის ბავშვს არ ეტყობა, გოგოა თუ ბიჭი, მთხოვეს, იქნებ, გვათხოვო ცოტა ხნითო და, მეც, კატო ერთი დღით „ჩემი ცოლის დაქალებს" ვათხოვე. ასე გადაიქცა პატარა კატო ამადეუსად

– მაშო, მთელი ფეხმძიმობა მაყურებლის თვალწინ გაატარე.

– ეთერში გავიდა თუ არა ის სერია, როცა მუცელი ამტკივდა, მეორე დღეს მართლა სამშობიაროში მივედი. რომ დამინახეს, სრული ქაოსი და პანიკა ატყდა, ხუმრობდნენ: სერიალიდან პირდაპირ სამშობიარო ბლოკში მოვიდაო.

– შენი შვილი სერიალშიც გამოჩნდა, ხურცილავასა და ლიკუნას ახალშობილის – ამადეუსის როლში. ახლაც ის არის?

– სერიალში ხურცილავას და ლიკუნას ბიჭი უნდა ჰყოლოდათ, ჩემი კი გოგო იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ოთხი დღის ბავშვს არ ეტყობა, გოგოა თუ ბიჭი, მთხოვეს, იქნებ, გვათხოვო ცოტა ხნითო და მეც

საშოგზიაროში რომ მივედი, სრული ქაოსი და პანიკა ატყდა – სერიალიდან პირდაპირ საშოგზიარო ბლოკში მოვიდაო

კატო ერთი დღით „ჩემი ცოლის დაქალებს" ვათხოვე.

– და, ასე გადაიქცა პატარა კატო ამადეუსად.

– ჯერ მე არ მითამაშია მამაკაცის როლი, კატომ კი პირველივე ჯერზე შეასრულა, შვილმა დამასწრო.

– ალბათ, დამეთანხმები, რომ დედობა ქალის ყველაზე მთავარი მისიაა. როგორ გაითავისე ეს ყველაფერი?

– არ ვიცი, ჯერ ისევ შოკში და შეგუების პროცესში ვარ. ძალიან საინტერესო ბავშვია და, ვცდილობ, ამოვიცნო მისი ფენომენი. ერთი, რაც ვიცი, ყველას და ყველაფერს მირჩევნია და საკუთარი თავი გვერდზე გადავდე ავტომატურად. კი ვიცოდი, რომ დედობა ძალიან მაგარი რამ იყო, მაგრამ, რომ მეუბნებოდნენ, საკუთარ თავზე მეტადაც კი გეყვარებაო, ვერ წარმომედგინა. ახლა ვხვდები, რომ მართლა ასეა, საერთოდ სხვა განზომილებაში ვარ.

– მაშო, შენს სამსახიობო კარიერას თუ გადავავლებთ თვალს, არაერთ პროექტში გაქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის იყო „ქლაბ შოუ," თუმცა, მასზე საბოლოოდ უარი თქვი. რატომ?

– უარი არ მითქვამს, ისე მოხდა, რომ „ქლაბ შოუ" დაიხურა, ხოლო, რაც შეეხება „კომედი შოუს," მე თვითონ ვერ ვგრძნობდი იქ თავს კარგად. არ ვიცი, როგორ გამოვიყურებოდი ეკრანზე, მაგრამ, მე პირადად, არ მომწონდა, რასაც ვაკეთებდი. მიუხედავად იმისა, რომ იუმორის გრძნობა მაქვს, ამ პროექტს ვერ მოვერგე. საკუთარ თავს რომ ვუყურებდი ეკრანზე, მრცხვენოდა, მეგონა, რომ ძალიან ცუდი ვიყავი. ისე არ მომხდარა, რომ, ერთ დღესაც, წამოვედი და უკან აღარ მივედი, უბრალოდ, რამდენჯერმე აღარ დამიძახეს გადაღებაზე, ამასობაში სხვა პროექტიც გამოჩნდა და თავისთავად ჩამოვშორდი მათ. ასე რომ, უმტკივნეულოდ დავშორდით ერთმანეთს მე და „კომედი შოუ."

– მიუხედავად იმისა, რომ შენი პერსონაჟისგან რეალურ ცხოვრებაში რადიკალურად განსხვავდები, მაყურებელი ხშირად მაინც ნინისთან გაიგივებს.

– რაც არ უნდა ელაპარაკო მაყურებელს, რომ მაშო ვარ მელქაძე, მისთვის მაინც ნინიდ ვრჩები. ამაზე არც მაქვს რეაქცია, ვინც მიცნობს, მათთვის ჯერ მაშო ვარ და მერე ნინი, ხოლო, ვინც მაყურებელია და სერიალის გულშემატკივარი, დაე, მათთვის ვიყო შტერი, ცანცარა გოგო.

– მიუხედავად ამისა, რამე საერთო თუ გაქვს ნინისთან?

– კი, რა თქმა უნდა, რაღაც თვისებებით ვგავართ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, თითქოს მიამიტი არ ვჩანვარ, რეალურად მაინც ასეთი ვარ, ვაღიარებ.

– მაყურებელი ქუჩაში, ალბათ, უყურადღებოდ არ გტოვებს.

– ძალიან თბილად მხვდებიან ჩემთვის უცნობი ადამიანები და ბევრ თბილ სიტყვას მეუბნებიან. გულწრფელად გეტყვით, ამით ძალიან ბედნიერი ვარ და მიხარია მათი ასეთი ყურადღება. ძალიან თამამად და ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ვიფერებ. როგორ შეიძლება, არ გსიამოვნებდეს, როცა ადამიანები შენ მიმართ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებენ?! ძალიან მსიამოვნებს და ძალიან მაგარია.

– დრამის მსახიობებს, ხშირ შემთხვევაში, კამერასთან ურთიერთობა უჭირთ, შენთან როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

– მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებული მაქვს კინოსა და დრამის მსახიობის ფაკულტეტი, კამერა თვალით არ მინახავს სტუდენტობის დროს. თუმცა, მქონდა ბედნიერება, მყოლოდა ყველაზე მაგარი პედაგოგი, ეს იყო შალვა გაწერელია, მუმუშა, რომლის წყალობითაც მართლა ძალიან მაგარი სკოლა გავიარე. კამერასთან გამოცდილების არქონის გამო „კომედი შოუში" მუშაობის დროს დისკომფორტი არ მქონია, რადგან, იქ შემეძლო, საერთოდ არ შემეხედა მისთვის; აი, სერიალში რომ დავიწყე გადაღება, სულ იმის გამო იყო ჩხუბი, კამერაში ნუ იხედებიო. არ ვიცოდი კამერასთან ურთიერთობა და რა მექნა? ყველაფერი უნდა მოზომო. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ძალიან პატარა იყო ჩემი როლი, კამერასთან მუშაობა, ვაღიარებ, მაინც საკმაოდ გამიჭირდა. ასე რომ, ეს საქმე, შემიძლია ვთქვა, თეატრალურში კი არა, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში" ვისწავლე.

– არ მიეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებსაც წარმატება თავში უვარდებათ?

– როგორ შეიძლება, თავში ამივარდეს ხალხის სითბო და სიყვარული? პირიქით, ძალიან მიხარია, რადგან ეს ძალიან მაგარი გრძნობაა.

მარიკა ხიდურელი

7 იანვარს მართლმადიდებლური სამყარო კიდევ ერთხელ აღნიშნავს მაცხოვრის შობის დღესასწაულს, რომელიც ქრისტიანებს კიდევ ერთხელ უბრუნებს დაკარგულ იმედს და შობის შესახვედრად ამზადებს. თუმცა, ხშირად, 7 იანვრის დასრულებისთანავე, ადამიანები ივიწყებენ ამ დღის მნიშვნელობას. არადა, არა მხოლოდ 7 იანვარს, არამედ მთელი ცხოვრება ჩვენს გულში, გონებაში უნდა იშვას იესო ქრისტე, რომელიც კაცობრიობის სანუგეშოდ, გადასარჩენად განკაცდა დედამიწაზე. შობის დღესასწაულის ისტორიის, მნიშვნელობის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).

რა შემთხვევაში იქნება მაცხოვრის შობის დახმარებით ადამიანი გამოხსნილი საკუთარი ცოდვებისგან და როდის არ აქვს ამ დღეს ქრისტიანისთვის არანაირი მნიშვნელობა

– მამაო, რით გამოირჩევა შობის დღესასწაული სხვა საუფლო დღესასწაულებისგან?

– მაცხოვრის შობის შესახებ სწავლება გადმოცემულია სარწმუნოების სიმბოლო „მრწამსში“, რომელიც ყველა ქრისტიანმა ყოველ დილას, დილის ლოცვების წაკითხვისას, უნდა წარმოთქვას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იესო ქრისტე მოვიდა არა ანგელოზებისთვის, ფრინველებისთვის, პირუტყვებისთვის, არამედ ჩვენთვის, ადამიანებისთვის და ჩვენი ცხონებისთვის. ქრისტეს შობის დღესასწაული ერთ-ერთი უძველესი საეკლესიო, საუფლო დღესასწაულია და, როგორც ცნობილია, უკვე მეორე საუკუნიდან, ყველა ქრისტიანულ თემში აღინიშნებოდა, თუმცა, სხვადასხვა დროს. 25 დეკემბერს, ანუ ახალი სტილით 7 იანვარს, ქრისტეშობის დღესასწაულის დაარსება უკავშირდება ასტრონომიულ „მზის დაბადებას“, ანუ დღის მომატებას, რომელიც დეკემბრის მიწურულს, ზამთრის მზებუდობის შემდეგ იწყება. ესე იგი, 21 დეკემბრის შემდეგ, როდესაც ღამე მაქსიმალურად გრძელია. ქრისტეშობის დღესასწაულის „მზის დაბადებასთან“ დამთხვევას საღვთისმეტყველო საფუძველი აქვს. ძველი აღთქმის საღვთო წერილში ნახსენები „სიმართლის მზე“ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ქრისტეს მომასწავებლად არის მიჩნეული. შობა, ეს არის უდიდესი საღვთო საიდუმლო, ამ დღეს მოხდა ღმერთის განკაცება და მან კაცთა მოდგმა გამოგვიხსნა საუკუნო ცოდვებისგან და გაგვიხსნა ბჭე ჭეშმარიტი ღმერთის შემეცნებისა, საუკუნო ცხოვრებისა და ცათა სასუფევლის მკვიდრობისა.

ადამიანი ეჩვევა იმას, რომ თითქოს იცის, რა არის შობა. მაგრამ, ასეთი მდგომარეობით ის სცილდება ჭეშმარიტებას და მისი საზეიმო განწყობა მხოლოდ და მხოლოდ ბაგეებით, გარეგნული ხდება

– რატომ იშვა მაცხოვარი მაინცდამაინც ბეთლეემში, ბაგაში – პირუტყვების სადგომში?

– მაცხოვარი თავმდაბლობით იშვა ბეთლეემში, უბრალო მღვიმეში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანის გულიც ამ მღვიმესავით დაბინძურებულია გარკვეული ცოდვებით. პირუტყვიც ცოდვის სიმბოლოა. მაცხოვრის შობით უნდა განიწმინდოს ადამიანი და მაცხოვრის შობა უნდა გახდეს მისთვის მაცხოვნებელი. თქვენ გინახავთ, როგორ ზეიმობენ ადამიანები შობას და შემდეგ ისევ წარმართულ ცხოვრებას აგრძელებენ. ანუ, მაცხოვარი შობიდანვე მიტოვებული იქნება, ის ადამიანებისგან განიდევნება. ამიტომაც, ადამიანისთვის მაცხოვრის შობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კალენდარული მარხვის შენახვით, აღსარებითა და ზიარებით, არამედ „ღმერთმა ღმერთი ღვთიმშვენიერად შვა, ღმერთი კაც იქმნა, რათა კაცი განეღმრთოს“. ასე რომ, მთავარია, როგორაა ჩვენი გული გამზადებული მაცხოვრის შობის მისაღებად. ადამიანში ღვთის სამყოფელი გულია და არა გონება. საკურთხეველი ღვთისა არის გული. ამიტომაც, მთელი მარხვისა და არა მხოლოდ მარხვის განმავლობაში, ადამიანმა უნდა განიწმინდოს გული, გონება, რომ მასში მაცხოვარი იშვას. ჯერ კიდევ საღმრთო წერილში, მიქეას წიგნში, იყო ნაწინასწარმეტყველები, რომ მაცხოვარი, ზეციური პური, სწორედ ბეთლემში უნდა მოსულიყო. თვით სახელი „ბეთლემი“ ებრაულად „პურის სახლს“ ნიშნავს. ბეთლემში დაბადებულ ჩვილს კი უწოდეს იესო ქრისტე. „იესუ“ ებრაულად ნიშნავს მაცხოვარს, მაცოცხლებელს, არსებობის გამცემელს, „ქრისტე“ კი მოდის ბერძნული სიტყვიდან – „ხრიძო“ და ნიშნავს „ვაცხებ“ „ცხებულს“. ანუ, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, „იესო ქრისტე“ ნიშნავს მესიას, რომელიც არის ცხებული. ის ისეთივე სრულ ღმერთად დარჩა, როგორიც მანამდე იყო. მან მხოლოდ შეიძინა სრული კაცობრივი ბუნება, ისეთივე, როგორიც თითოეულ ადამიანს აქვს, იმ განსხვავებით, რომ ქრისტე უცოდველია. ანუ, ვინც აღიარებს, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი, იშვა ქალწული მარიამისგან და ირწმუნებს ყოვლადწმიდა სამებას, ის იქნება გამოხსნილი, გათავისუფლებული ყოველგვარი ცოდვისგან. ყველა ადამიანს შეუძლია, აღიაროს, ირწმუნოს, მიიღოს ჭეშმარიტი სარწმუნოება, მართლმადიდებლობა და მისი გულიც განათდება მაცხოვრის შობით, რის გარეშეც ადამიანი ვერ ცხონდება და ვერ დაიმკვიდრებს ზეციურ იერუსალიმს, ანუ ზეციურ სასუფეველს. სწორედ ამიტომაც, მაცხოვრის შესახებ პირველად ეუწყათ არა ამ სოფლის თავადთ, დიდებულებს, ბრძენთ, არამედ უბრალო მწყემსებს, მეთევზეებს, ანუ მათ, ვისაც გარეგნული და შინაგანი სიგლახაკე გააჩნდათ.

ადამიანში ღვთის სამყოფელი გულია და არა გონება. საკურთხეველი ღვთისა არის გული. ამიტომაც, მთელი მარხვისა და არა მხოლოდ მარხვის განმავლობაში, ადამიანმა უნდა განიწმინდოს გული, გონება, რომ მასში მაცხოვარი იშვას

– დღეს ბევრი ადამიანი იფიქრებს, რომ სწავლება ღმერთზე, ეს წინა საუკუნეების გადმონაშთია, მოძველდა რელიგია.

– ასეა დღესაც და მალე მაცხოვარი, განკაცდება და მათთვის თანამედროვე ტექნოლოგიები დაიკავებს მოძღვრის, ეკლესიისა და ღმერთის ადგილს. დღეს აშკარად არა, მაგრამ შეფარულად უკვე არის ამის ნიშნები. იესო ქრისტე გუშინ, დღეს, ხვალ და ყოველთვის ერთი და იგივეა. თუ ის საჭირო იყო პირველ საუკუნეებში, შუა საუკუნეებში, გასულ საუკუნეებში, ასევე საჭირო იქნება მომავალ საუკუნეებშიც, სანამ უფლის ნებით არსებული სამყარო არ შეწყვეტს არსებობას. ჩვენ თანმიმდევრულად უნდა ვამხილოთ ის ცრუ სწავლება, ცრუ იდეოლოგია, რომელიც, სამწუხაროდ, შემოსულია თანამედროვე რეალობაში. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში პავლე მოციქული ეუბნება ტიმოთეს: დადგება დრო, როცა საღ მოძღვრებას აღარ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისთქმებით ამოირჩევენ გულის მომქავებელ სწავლებას. ეს არის პირველ საუკუნეში ნათქვამი და ბუნებრივია, ოცდამეერთე საუკუნეშიც გრძელდება. თანამედროვე, „დიდებულ“ ადამიანებს, როცა ვესაუბრებით და ვეუბნებით, საჭიროა მარხვის შენახვა, აღსარება-ზიარება, ისინი მხრებს იჩეჩენ და აცხადებენ: რომ მათ ეს არ სჭირდებათ, ეს მასების საქმეა, მათ ისედაც კარგად იციან საეკლესიო და სასულიერო სწავლებანი. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა. ერთ-ერთი მოაზროვნე ამბობს ასეთ სიტყვებს: ათიათასჯერ რომ დაიბადოს იესო ქრისტე ბეთლემში, თუ ის ჩვენს გულსა და სულში არ დაიბადება, მაშინ ცხოვრებას არანაირი აზრი არ ექნება, ისევე, როგორც მაცხოვრის შობას არ ექნება არანაირი აზრი.

– შობას ადამიანები ხშირად განსაკუთრებული ზეიმით აღვნიშნავთ. თან, ამ დღეს მარხვა მთავრდება, ისევ ახალი წლის დღეებია და ეს ემოციები 7 იანვარსაც გაგვყვება.

– ყველა ქრისტიანმა ეს დღე უნდა იზეიმოს გულით, ცოდნით, დოგმატით და არა მხოლოდ გემრიელი კერძებით, მორთულობებითა და ფოიერვერკებით. 40-დღიანი მარხვით ჩვენ ვემზადებით იმისთვის, რომ ჩვენს გულშიც იშვას მაცხოვარი და მას ჩვენი გული ისეთი დაბინძურებული არ უნდა დავახვედროთ, როგორც ის მღვიმე იყო, სადაც 20 საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ იშვა მაცხოვარი. ამიტომაც, უნდა შევინახოთ მარხვა, ვთქვათ აღსარება, ვეზიაროთ, განვიწმინდოთ, რომ შობას ჩვენი გული და ცნობიერება განიწმინდოს და ღირსეულად შეხვდეს მესიის შობას, რომ კიდევ ერთხელ არ გვამხილოს, თუ როგორ არის იმ ბაგასავით დაბინძურებული ჩვენი გული და ცნობიერება. ადამიანი ეჩვევა იმას, რომ თითქოს იცის, რა არის შობა, მაგრამ ასეთი მდგომარეობით ის სცილდება ჭეშმარიტებას და მისი საზეიმო განწყობა მხოლოდ და მხოლოდ ბაგეებით, გარეგნული ხდება. ჩვენი ცნობიერება, გული უნდა გასცდეს შობის მხოლოდ გარეგნული დიდებით აღნიშვნას და რწმენით უნდა ვიზეიმოთ ქრისტეს შობა. მაშინ უფრო მეტი სიხარულითა და მოლოდინით აღივსება ჩვენი გული და სული. მერე კი, უკვე ერთმანეთს მივულოცავთ ამ დიდი დღის დადგომას.

ნათია უტიაშვილი

ლანჩანოს სასწაული

ქრისტეშობიდან მერვე საუკუნეში იტალიის ერთ-ერთ ძველ ქალაქში, სან-ლუგონციაში ევქარისტიის საიდუმლო სრულდებოდა. მაგრამ ერთ მღვდელმსახურს, რომელიც იმ დღეს ლიტურგიას აღასრულებდა, უეცრად ეჭვი გაუჩნდა, მართლა ხდებოდა თუ არა პურისა და ღვინის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გადაქცევა. ქრონიკებმა არ შემოგვინახა ამ მღვდელმონაზვნის სახელი, მაგრამ მის გულში ჩასახული ეჭვი გახდა საბაბი ევქარისტიული სასწაულისა, რომელიც დღემდე გამოუცნობია.

მღვდელი ეჭვების გაფანტვას ცდილობდა, მაგრამ დაჟინებით უკან უბრუნდებოდა. შიშით წარმოთქვამდა ევქარისტიული კანონის სიტყვებს, მაგრამ ეჭვები ისევ სტანჯავდა. რა თქმა უნდა, მას, სამსხვერპლო ტარიგს, შეეძლო თავისი ძალაუფლებით ღვინო სისხლად ექცია, პური კი – ხორცად. მას ყველაფერი შეეძლო, მამაზეციერის ნებით იყო ამქვეყნად მოვლენილი, მაგრამ ის უკვე დიდი ხანია, დაგვშორდა, დატოვა ეს ცოდვილი სოფელი. ნუგეშად კი დაგვიტოვა წმიდა სიტყვები და თავისი ლოცვა-კურთხევა... მაგრამ, ნუთუ, თავისი სისხლი და ხორციც? ნუთუ ეს შესაძლებელია? განა წმიდა ევქარისტია მხოლოდ ნესჩვეულება არ არის? – გულმოდგინედ ცდილობდა მღვდელი საკუთარ სულში მშვიდობისა და რწმენის აღდგენას. ლოცვის სიტყვებთან ერთად, მან გატეხა ევქარისტიული პური და მღვდელმონაზვნის თითებში განტეხილი პური უეცრად შეიცვალა. ბარძიმშიც უკვე ღვინო აღარ ესხა, იქ ბლანტი წითელი სითხე იყო, რომელიც საოცრად წააგავდა სისხლს. გაოგნებული მღვდელი უცქერდა პურის ნატეხს, რომელიც ძალიან წააგავდა ადამიანის სხეულის კუნთის ქსოვილს. ბერ-მონაზონები გარს შემოეხვივნენ, სასწაულით შეძრულნი და გაოცებას ვერ მალავდნენ. წმიდა ლიტურგიის დასრულებისთანავე, მღვდელმონაზონი მუხლებზე დაემხო და ლოცვა დაიწყო. რაზე ლოცულობდა? არავინ უწყის. ამას ვერც ვერასდროს შევიტყობთ. მაგრამ ერთი რამ დღემდე ცხადია: მას შემდეგ ქალაქ ლანჩანოში 12 საუკუნის განმავლობაში ინახება მაცხოვრის სასწაულებრივი სისხლი და ხორცი.

გავიდა საუკუნეები და სასწაულებრივი ძღვენი სწავლულთა ყურადღების საგანი შეიქნა. 1574 წლიდან მრავალი ცდა და დაკვირვება ტარდება. 1970-იანი წლებიდან კი ისინი ექსპერიმენტულ დონეზე მიმდინარეობს.

სიენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი – ოდიარდო ლინოლი, რომელიც ანატომიის, პათოლოგიური ჰისტოლოგიის, ქიმიისა და კლინიკური მიკროსკოპიის ცნობილი სპეციალისტია, თავის კოლეგებთან ერთად, ატარებდა გამოკვლევას 1970 წლის ნოემბერსა და 1971 წლის მარტში. ის ასეთ დასკვნამდე მივიდა: წმიდა ძღვენი, რომელიც ლანჩანოში მერვე საუკუნიდან ინახება, ნამდვილად ადამიანის სისხლი და ხორცია. ხორცი არის გულის კუნთოვანი ქსოვილის ნაწილი, შეიცავს მიოკარდს, ენდოკარდს და ცდომილ ნერვს. შესაძლოა, ხორცის ნაწილი შეიცავდეს, აგრეთვე მარცხენა პარკუჭს. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა მიოკარდის შესამჩნევი სიფართოვე, რომელიც ხორცის ქსოვილებშია. ხორცი და სისხლიც ერთსა და იმავე ჯგუფის სისხლს განეკუთვნება. სწორედ ამავე სისხლიც, რომელიც ტურინის სუდარაზეა აღბეჭდილი. სისხლი შეიცავს პროტეინებს, მინერალებს, ადამიანის სისხლისთვის ნორმალური პროცენტული შესაბამისობით. მეცნიერებმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნეს: ყველაზე მეტად გასაოცარი ისაა, რომ სისხლი და ხორცი 12 საუკუნის განმავლობაში ინახება ფიზიკური, ატმოსფერული და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედების ქვეშ, ხელოვნური დაცვისა და სპეციალური კონსერვაციის გამოყენების გარეშე. ამის გარდა, სისხლს, რომელიც თხეკად მდგომარეობაში გადაყვანის შემთხვევაში, გადასხმისთვის ვარგისიანია, სისხლის ყველა თვისება გააჩნია. სიენის უნივერსიტეტის ადამიანის ნორმალური ანატომიის პროფესორი – რუჯერო ბერტელი ატარებდა გამოკვლევებს ოდიარდო ლინოლის პარალელურად, და მანაც იმავე შედეგებს მიაღწია.

განმეორებითი ექსპერიმენტების შედეგად, 1981 წელს, უფრო სრულყოფილი აპარატურის გამოყენებითა და ანატომიასა და პათოლოგიაში მეცნიერების ახალი მიღწევების გათვალისწინებით, ეს შედეგები ისევ დადასტურდა.

თანამედროვეთა მოწმობით, სისხლი მოგვიანებით 5 სხვადასხვა ფორმის ბურთულად იქცა, შემდეგ კი გამკვრივდა. საინტერესოა, რომ ყოველი მათგანი, ცალკე აღებული, იმდენსავე იწონის, რამდენსაც ხუთივე ერთად. ეს ენინააღმდეგება ფიზიკის ელემენტარულ კანონებს, მაგრამ ფაქტია, რომლის მისი ახსნა მეცნიერებს არ ძალუძთ.

ჭეშმარიტი სარწმუნოება

როგორ მწყემსავდა მგელი ზიომღვიმის მონასტრის ვირებს

შიო მღვიმელმა ცხოველთა მორჩილების სასწაულებრივი მადლი გამოავლინა. ერთხელ მისი ლავრის ბერები მხეცებმა შეაწუხეს, ხშირად თავს ესხმოდნენ მონასტრის ვირებს და ჭამდნენ. მამა შიომ ილოცა, მხეცებს უბრძანა, სამალავებიდან გამოსულიყვნენ და მის წინაშე შეკრებილიყვნენ. მართლაც, იქაურობა მხეცებით გაივსო, მორჩილად იდგნენ და ელოდნენ წმიდა მამის ბრძანებას. მამა შიომ მოსთხოვა მათ, რომ იქაურობას გასცლოდნენ, რადგან ის ადგილები ბერებს ეკუთვნოდათ. მათთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კი, ერთი მხეცი დაეტოვებინათ, რომელიც მონასტრის ვირების მწყემსი იქნებოდა. წმიდა მამამ ისიც მოითხოვა მხეცებისგან, რომ გზად არავისთვის მიეყენებინათ ზარალი. მხეცები გაიფანტნენ, მხოლოდ ერთი მათგანი დარჩა, რომელიც მორჩილად იდგა და მამა შიოს შეჰყურებდა. წლების განმავლობაში ეს მგელი, წმიდა მამის ბრძანებით, მონასტრის ვირებს ერთგულად მწყემსავდა და იკვებებოდა იმავე საზრდოთი, რითაც ბერები. ღამით კი წმიდა შიოს მღვიმესთან ეძინა. ასე გაგრძელდა 6 წლის განმავლობაში.

ერთხელ ერთი ვირი ხრამში გადაიჩეხა და მოკვდა. როდესაც მგელმა დანარჩენები ლავრაში მორეკა, მას დაკარგული ვირის შეჭმა დაბრალეს. მგელი წკმუტუნებდა და ერთ-ერთ ბერს ექაჩებოდა. მამა შიოს ბრძანებით, ბერები მგელს გაჰყვნენ და გადაჩეხილი ვირი იპოვეს. მაშინ წმიდა მამამ ერთგული მსახურებისთვის მგელი გაათავისუფლა.

მხსნელი ანგელოზი

წმიდა ანგელოზის განსაკუთრებული მფარველობის ღირსი გახდა ბერი გერასიმე მენაგი (1957). ეს მოხდა მაშინ, როცა ის ათონის წმიდა მთაზე მოსაგრეობდა.

ერთხელ მოძღვარმა ის სასწრაფო საქმეზე გაგზავნა ლავრაში. ბერმა კურთხევა აიღო და ნავიდა. ფეხით სამი-ოთხი საათის სავალი ჰქონდა, მაგრამ მკაცრი ზამთრის გამო, გზა თოვლით იყო დაფარული. მორჩილს გზის ნახევარიც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ საშინელი ქარბუქი ამოვარდა. სიბნელეში გერასიმემ გზა ვეღარ გაიგნო. თავისი მდგომარეობის სირთულემ გულმხურვალე ვედრება დააწყებინა უფლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ. ათი წუთიც არ გასულა, რომ ზეციდან ხსნა გამოჩნდა: მოსაგრეს ათი წლის ყრმა გამოეცხადა.

– დამლოცე, ხუცესო! – მიმართა მან მლოცველს.

– ღმერთმა დაგლოცოს.

– საით გაგიწევია ასეთ ამინდში? ტყეში გზა აგებნევა და თოვლის ნამქერში აღმოჩნდები.

– მაშ, რა ვქნა, შვილო, ხუცესმა ლავრაში გამგზავნა.

– წავიდეთ, მე გზის გაკვლევაში დაგეხმარები.

ყრმამ ბერი გარკვეულ ადგილამდე მიაცილა და უთხრა:

– ახლა ამ გზას ქვევით ჩაუყვები და ლავრისკენ მიმავალ ბილიკზე გახვალ.

მამა გერასიმემ ბავშვს გულწრფელი მადლობა გადაუხადა და გზას გაუყვა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გონს მოეგო: როგორ აღმოჩნდა ეს ბავშვი აქ, ამისთანა თოვლში? – გაიფიქრა მან. ხუცესი შებრუნდა, მაგრამ ვეღარავინ დაინახა. ყრმა ისე გაქრა, რომ თოვლზე კვალიც არ დაუტოვებია. გერასიმე მიხვდა, რომ ეს ღვთის ანგელოზი იყო.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: ვცდილობ, ეკლესიურად ვიცხოვრო: მარხვის დროს ვმარხულობ და ჩემს მოზარდ შვილსაც ვამარხულებ. ზოგიერთი ახლობელი მსაყვედურობს, ბავშვს აშიმშილებო. სწორად ვიქცევი თუ არა?

პასუხი: თუ ეკლესიის მრევლი ხართ, მარხვასა და შიმშილობას შორის განსხვავება გეცოდინებათ. მარხვა არა მხოლოდ ბავშვებში, უფროსებშიც ზომიერებას მოითხოვს. ასაკისა და ჯანმრთელობის მიხედვით, თქვენს შვილსაც მოძღვარმა უნდა შეურჩიოს მარხვის სიმკაცრე. ამასთან, უნდა გახსოვდეთ, რომ მოზარდის ქრისტიანად აღზრდა მხოლოდ საკვების შეზღუდვას არ გულისხმობს. ესაუბრეთ მას ქრისტიანული ცხოვრების წესზე და მიეცით საკუთარი მაგალითი ქრისტიანული ცხოვრებით.

კითხვა: როდესაც აღსარებას ვამბობ, ვფიქრობ იმაზე, რომ, შესაძლოა, დავინყებული

მქონდეს მრავალი ცოდვა, რომლებსაც ადრე ყურადღებას არც ვაქცევდი. რა ვუყო ამ პატარ-პატარა ცოდვებს?

პასუხი: იმისთვის, რომ აღსარებაზე სრულად გავთავისუფლდეთ ცოდვებისგან, ვთხოვოთ უფალს, რომ აგვიხილოს თვალი ყველა ჩვენს ცოდვაზე. ამასთანავე, უნდა შევიძინოთ საგანგებო საღვთისმეტყველებო გამოცემები ცოდვათა ზედმინევნით სრული ჩამონათვალით და შევუსადაგოთ მათ ჩვენი ცოდვები. განსაკუთრებით აუცილებელია ქრისტიანისთვის დიდმარხვაში შვიდგზის ზეთისცხებაზე დასწრება, როცა ადამიანს ეპატიება ის ცოდვები, რომლებიც დავიწყებული აქვს.

კითხვა: ძალიან მინდა ჩემი პატარა შვილის ზიარება, მაგრამ, ცოტა ჭირვეულია და, მეშინია, ვაითუ, არ მიიღოს უფლის სისხლი (ღვინო) და ხორცი (პური). როგორ მოვიქცე?

პასუხი: სულ პატარა ბავშვს, შეგიძლიათ, მიაღებინოთ მხოლოდ ერთი წვეთი ქრისტეს სისხლისა, უფრო მოზრდილებს კი არ დაადალოთ.

კითხვა: ტაძარში ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები იმის გამო, რომ ზოგიერთი მლოცველი თავისი ქცევითა და ლაპარაკით მღვდელმსახურებს ხელს უშლის და მეც გონებას მიფანტავს. უნდა მივცეთ თუ არა ასეთ დროს მათ შენიშვნა?

პასუხი: წმიდა იოანე ოქროპირი ასეთ დროს შენიშვნის მიცემის უფლებას თვით პატარა ბავშვსაც კი აძლევდა.

რით არიან დაკავებული ფეხბურთის ვარსკვლავები კარიერის დასრულების შემდეგ

ფეხბურთის ვარსკვლავები, კარიერის დასრულების შემდეგ საფეხბურთო სისტემაში არ რჩებიან და ხშირად უჩინარდებიან. მათ შესახებ ნაკლებად მოიპოვება ინფორმაცია. დღეს სწორედ ასეთი ვარსკვლავების შესახებ მოგაწვდით ცნობებს.

გაბრიელ ბატისტუტა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა, არგენტინელმა „ბატიგოლიმ" სპორტული კარიერა 2005 წელს დაასრულა და მისი უკანასკნელი კლუბი ყატარული „ალ არაბი" იყო. თუმცა, სახელი ბატისტუტამ „ფიორენტინასა" და „რომაში" გაითქვა. ის ასევე, არგენტინის ნაკრების უპირობო ლიდერი იყო, რომლის შემადგენლობაში ჩატარებულ 78 მატჩში 56 გოლი გაიტანა. კარიერის დასრულების შემდეგ ბატისტუტა საცხოვრებლად ავსტრალიაში, ქალაქ პერტში გადავიდა, სადაც ორი წელი გოლფს თამაშობდა და ისვენებდა. 2007 წელს „ბატიგოლი" სამმობლოში დაბრუნდა, წამოიწყო სამშენებლო ბიზნესი და დაიწყო სამწვრთნელო კურსებზე სწავლა. 2011 წლიდან ბატისტუტა არგენტინულ კლუბ „კოლონში" მოეწყო სამუშაოდ, სადაც ორი წელი გაატარა და ამჟამად მისი სურვილია, სამწვრთნელო მუშაობას შეუდგეს ევროპაში.



როგერტო ბაჯო

„ცხენის კუდად" წოდებული ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბაჯო „ინტერის", „მილანის", „იუვენტუსის" და სხვა იტალიური კლუბების ქომაგებს ახარებდა თავისი ფენომენალური თამაშით. ბაჯომ კარიერა 2004 წელს დაასრულა „ბრეშაში" და გარკვეული ხნით ფეხბურთს ჩამოშორდა. ბაჯომ მუშაობა გაეროში დაიწყო და კეთილი ნების ელჩი გახდა. 2010 წელს 6-წლიანი პაუზის შემდეგ, ბაჯო ფეხბურთში დაბრუნდა. ის იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა და მისი პირდაპირი მოვალეობა ახალგაზრდა ტალანტების მოძიება გახდა. 2012 წელს რობერტო ბაჯომ წარმატებით ჩაბარა სამწვრთნელო გამოცდები და ამჟამად მას მთავარ მწვრთნელად მუშაობა შეეძლება სერია A-ს ნებისმიერ კლუბში.

ლუიშ ფიგუ

ლუიშ ფიგუმ თავისი კარიერის საუკეთესო წლები მსოფლიოს ტოპ-კლუბებში „ბარსელონაში", „რეალსა" და „ინტერში" გაატარა. აქტიური სპორტული კარიერა ფიგუმ 2009 წელს დაასრულა და მას შემდეგ ჩრდილში მოექცა. ახლა ფიგუ „ინტერის" ელჩი გახდა მსოფლიოში და ასევე, სხვადასხვა პროექტის მონაწილე, რომელთაც „ფიფა" და „უეფა" ერთად მართავენ. სამშობლოში ფიგუმ ელიტური ბარ-რესტორანი გახსნა, ასევე გახდა სპორტსმენებისთვის განკუთვნილი სოციალური ქსელის „Network 90-ის" თანაავტორი. საფეხბურთო სამყაროში ფიგუს „საფეხბურთო ცუკერბერგსაც" კი უწოდებენ.

პატრიკ კლუივერტი

2013 წლამდე „ბარსელონას" და „აიაქსის" ვარსკვლავი, ჰოლანდიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად ითვლებოდა, სანამ მისი რეკორდი რობინ ვან პერსიმ არ დაამხო. ოფიციალურად კლუივერტმა კარიერა 2008 წელს დაასრულა, თუმცა რეალურად, დიდი ფეხბურთიდან 2004 წელს წავიდა, როცა „ბარსელონასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. კარიერის დასრულების შემდეგ კლუივერტმა სამწვრთნელო განათლების მიღება დაიწყო და 2008-2009 წლების სეზონში „ალკმაარის" მწვრთნელის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ამჟამად მსოფლიოს ერთ დროს საუკეთესო თავდამსხმელი ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ლუი ვან გაალის ასისტენტია და მას მოახლოებულ მუნდიალზე ვიხილავთ ბრაზილიაში.

დავორ შუკერი

ხორვატი დავორ შუკერი 1990-იანი წლების ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ვარსკვლავური თავდამსხმელი იყო, რომელმაც ხორვატიის ნაკრებთან ერთად ფურორი მოახდინა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო „რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. სპორტული კარიერა შუკერმა 2003 წელს დაასრულა „მიუნჰენ 1860-ში" და მას შემდეგ რაღაც პერიოდი, ფეხბურთის გარეშე ცხოვრობდა. თუმცა, გულმა მაინც ვერ მოუთმინა და მშობლიურ ზაგრებში ბავშვთა საფეხბურთო აკადემია გახსნა, რომელიც ბალკანეთში ერთ-ერთი საუკეთესოა. დავორ შუკერი ამჟამად ხორვატიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტია.

„მაიკროსოფტი" „ჭკვიანი" ლიფების კოლექციას მვთავაზობს

„მაიკროსოფტი" არა მარტო ოპერატიულ სისტემებსა და კომპიუტერულ პროგრამებზე ფიქრობს, არამედ, ქალებზეც – კომპანია მუშაობს ახალი, „ჭკვიანი" ბიუსტჰალტერის შექმნაზე, რომელიც თავის პატრონ ქალბატონს მკერდით მიანიშნებს – მეტი აღარ ჭამო, ზედმეტი მოგივაო...

ახალი გამოგონების ავტორია „მაიკროსოფტის" კვლევითი პროექტების ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი მერი ჩერვინსკი. განყოფილება შეისწავლის კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს, აღმოაჩინოს სტრესი და ებრძოლოს მას. მისი შექმნილია ლიფები, რომლებშიც ჩადგმულია ელექტროკარდიოგრაფისა და მოძრაობის გადამცემი სენსორული მოწყობილობები. ასეთი ლიფები პატრონს მობილურ ტელეფონებზე აწვდიან ინფორმაციას მათი ემოციური მდგომარეობის შესახებ. ახლა ჯგუფის წევრები მუშაობენ იმაზე, რომ, რაც შეიძლება საიმედოდ და შეუმჩნევლად ჩაამაგრონ სენსორები ბიუსტსჰალტერში, რათა ის არა მარტო მოსახერხებელი საცვალი, არამედ, ერთიანი მაღალტექნოლოგიური პროდუქტი იყოს. „ცნობილია, რომ მუდმივად ჭამის მოთხოვნილებასა და ჯანმრთელობისთვის სხვა საზიანო ჩვევებს სტრესი იწვევს. მისი სიმპტომების მომენტალურად აღმოჩენა და ამ ინფორმაციის პატრონისთვის მიწოდება საშუალებას მისცემს ქალს, გააკონტროლოს თავისი ქცევა. ლიფი კი ამ მოწყობილობის ტარების მოსახერხებელი და საუკეთესო საშუალებაა... ალბათ, კაცებისთვისაც მოვიფიქრებ რამეს, თუმცა, მათ აქვთ სტრესის წინააღმდეგ ბრძოლის თავიანთი მეთოდი – ლუდი..." – განაცხადა მერიმ.

„მუნდიალ 2014-ის" მონეტები

ბრაზილიის ცენტრალურმა ბანკმა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მონეტების სპეციალური სერიის მოჭრა გადაწყვიტა. ოქროს მონეტაზე, რომელზეც მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლო – ფულეკო იქნება გამოსახული, გამარჯვებულ ნაკრებს გადასცემენ. სულ კი ბანკის მიერ მოიჭრება 12-20 ათასი ცალი მონეტა, 5 და 10 რეალის ნომინალით. მონეტებზე გამოსახული იქნება ფულეკო, მსოფლიოს რუკა და ბრაზილიის ის 12 ქალაქი, რომლებიც უმასპინძლებენ მუნდიალს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს 2014 წლის 12 ივნისს აიღებს და 12 ივლისს დასრულდება.

„რაიო ვალეკანოს" ყველაზე ცნობილი ქომაგი

გარდა იმისა, რომ 25 წლის კრისტინა პედრიჩე წარმატებული მოდელი და ტელეწამყვანია, ის ფეხბურთის დიდი ქომაგია, თანაც, არა რომელიმე გრანდის, არამედ, მოკრძალებული „რაიო ვალეკანოს" გულშემატკივარია – კლუბის, რომელიც არაფრით გამოირჩევა ესპანეთის ჩემპიონატში. კრისტინა ხშირად პოზირებს ცნობილი პრიალა ჟურნალებისთვის. ის რამდენჯერმე მოხვდა ჟურნალ FHM-ის გარეკანზე გულახდილ სამოსში გამოწყობილი. წარსულში კრისტინა მადრიდის „რეალის" ერთ-ერთ ფეხბურთელს ხვდებოდა, თუმცა, რომანის დასრულების შემდეგ, კრისტინამ გადაწყვიტა, აღარ დაეჭირა მხარი მადრიდული გრანდისთვის და დედაქალაქის ყველაზე მოკრძალებული კლუბის – „რაიო ვალეკანოს" ქომაგი გახდა.

ჯორდანი სახლს ვერ ყიდის

მაიკლ ჯორდანის სახლის გაყიდვა კვლავ გაჭიანურდა. „დეილი მეილის" ცნობით, ჯერ კიდევ არ მოიძებნა მყიდველი, რომელიც ლეგენდარული კალათბურთელის სახლში 13 მილიონ დოლარს გადაიხდის. ჯორდანი 2012 წლის დასაწყისიდან ყიდის სახლს. თავდაპირველად ის 29 მილიონ დოლარად აფასებდა ილინოისის შტატში, ჰაილენდ პარკში მდებარე უზარმაზარ სახლს, რომელიც 3 ათას კვადრატულ მეტრზეა გაშენებული. სახლი შედგება 9 საძინებლის, 15 აბაზანა-საპირფარეშოს, 5 ბუხრის, სპორტული დარბაზისა და ღვინის სარდაფისგან; აღჭურვილია საკალათბურთო დარბაზით, ჩოგბურთის კორტით, აუზით, გოლფის მოედნითა და 15 ავტომობილზე გათვლილი ავტოფარეხით. ვარაუდობენ, რომ მაიკლ ჯორდანი 2014 წელს კვლავ დაუპირებს სახლის გაყიდვას და, შესაძლოა, ფასიც დააკლოს.

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

ფარელ უილიამსი: 2013 წლის ნომერ პირველი ვარსკვლავი მსოფლიო შოუ-ბიზნესში

ფარელ უილიამსი 2013 წლის ყველაზე ტირაჟირებული შემსრულებელია. მისმა თანამშრომლობამ მეგა-პოპულარულ ჯგუფ „დაფტ პანკთან" და პროექტმა „ჰეფი," მისი პოპულარობის მასშტაბები კიდევ უფრო გააფართოვა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფარელი 2013 წლის ნომერ პირველი მომღერალია.



* ფარელ უილიამსი 1973 წლის 5 აპრილს დაიბადა ქალაქ ვირჯინია-ბიჩში – ვირჯინიის შტატი. მისი მშობლები კეროლინ და ფარა უილიამსები არიან. ფარელს ჰყავს ოთხი ძმა – ფარა უილიამს მესამე, დევიდი, კატო (პროფესიონალი სკეიტბორდისტი) და სოლომონ უილიამსები.

* ფარელის სიმაღლე 175 სანტიმეტრია.

* 1990-იან წლებში, ბავშვობის მეგობრებთან: ჩედ ჰუგოსთან, შეი ჰეილისთან და მაიკ ეტერიჯთან ერთად, ფარელმა დააარსა „არენბი" ჯგუფი „ნეპტუნეს", რომელიც უფროსკლასელთა მუსიკალურ კონკურსებში მონაწილეობდა. იქ დამწყები მუსიკოსები შეამჩნია პროდიუსერმა ტედი რაილმ. რაილისთან ერთად „ნეპტუნესმა" საპროდიუსერო საქმიანობა დაიწყო და სხვადასხვა დროს ფარელი და მისი გუნდის წევრები თანამშრომლობდნენ ბრიტნი სპირსთან, კელისთან და 2000-იანი წლების დასაწყისის სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილ პოპ-შემსრულებლებთან.

* 2004 წელს ფარელმა, პოპულარულ რეპერ სნუპ დოგთან ერთად, ჩაწერა ჰიტური კომპოზიცია „დროფ ით ლაიკ ითს ჰოთ".

* 2005 წელს ფარელმა გამოუშვა სადებიუტო სოლო-ალბომი „ინ მაი მაინდ", რომლის ჩაწერის დროს ის გვენ სტეფანისთან, სნუპ დოგთან და კენი უესტთან თანამშრომლობდა.

* ფარელის მუსიკალური კერპები მაიკლ ჯექსონი, მარვინ გეი და დონა ჰეთეუეი არიან.

* ფარელი ანიმაციური პერსონაჟის „სპანჯბობის" მოყვარულია და კონცერტებზე ხშირად გამოდის თავისი საყვარელი გმირის მაისურით.

* ფარელი ფლობს ტანსაცმლის საკუთარ ხაზს სახელწოდებით „ბილიონერ ბოი ქლაბს" და ასევე, ბუტიკს ნიუ-იორკში, დასავლეთ ბროდვეიზე. ის თანამშრომლობს „ლუი ვიტონის" სამოდელო სახლთან და ქმნის აქსესუარების მოდელებს.

* ფარელი სამეცნიერო ფანტასტიკის მოყვარულია, განსაკუთრებით, ტელესერიალი – „სტარ ტრეკი" უყვარს.

* ფარელს მსოფლიო შოუ-ბიზნესში ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებიანად ჩამცმელ ვარსკვლავად იცნობენ.

* ფარელი პირველი შემსრულებელია მსოფლიოში, რომელმაც 24-საათიანი კლიპი გადაიღო თავის სიმღერაზე „ჰეფი". კლიპის გადაღებებში მასთან ერთად მონაწილეობდნენ კალათბურთელი: მეჯიქ ჯონსონი, მსახიობი სტივ კარელი და კომიკოსი ჯიმი კიმელი.

* 2013 წლის ოქტომბერში ფარელი თავის დიდი ხნის მეგობარ გოგონაზე, მოდელ ელენ ლასიჩანზე დაქორწინდა, რომელთანაც 2008 წელს დაბადებული ვაჟი – როკეტ მენ უილიამსი ჰყავს.

2013 წლის მილიარდერების ტოპ-ათეული

ამერიკულმა კვლევითმა ორგანიზაცია Wealth-X-მა 2013 წლის ბოლოს ამერიკელი მილიარდერების ტოპ-ათეულის პრეზენტაცია მოაწყო, რომლის სათავეში ცნობილი ფილანტროპი და ინვესტორი უორენ ბაფეტი მოექცა. კვლევის თანახმად კი მილიარდერების უმეტესობამ 2013 წელს საკუთარი კაპიტალი IT სეგმენტის ხარჯზე გაზარდა.

უორენ ბაფეტი

ინვესტორმა და საინვესტიციო კომპანია „ბერკშაირ ჰეთეუეის" მფლობელმა უორენ ბაფეტმა 2013 წელს 12,7 მილიარდი ამერიკული დოლარი გამოიმუშავა და საკუთარი კაპიტალი 72,6 მილიარდ დოლარამდე გაზარდა.

ბილ გეითსი

„მაიკროსოფტის" დამაარსებელმა და ქველმოქმედმა ბილ გეითსმა თავისი კაპიტალი 11,5 მილიარდი ამერიკული დოლარით გაზარდა და 72,6 მილიარდი დოლარით ბაფეტს გაუტოლდა.

შელდონ ადელსონი

Wealth-X-ის ვერსიით, სამორინეების ქსელის მფლობელი შელდონ ადელსონი 2013 წელს გამომუშავებული თანხით მესამე პოზიციაზე განთავსდა. მისი ქონება 11,4 მილიარდი დოლარით გაიზარდა და საერთო ჯამში 23,9 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ჯეფ ბეზოსი

საქართველოში პოპულარული ინტერნეტ-მაღაზია „ამაზონის" მფლობელმა ჯეფ ბეზოსიმ 11,3 მილიარდი დოლარით გაზარდა თავისი კაპიტალი და ამჟამად 34,4-მილიარდიან ქონებას ფლობს.

მარკ ცუკერბერგი

„ფეისბუქის" ავტორმა 2013 წელს 10,5 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა და ამჟამად პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი 24,7-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელია.

მასაიოში სანი

იაპონური მობილური ოპერატორის – „სოფტბანკის" დამფუძნებელმა მასაიოში სანმა 10,3 მილიარდი დოლარის აკუმულირება მოახდინა და ამჟამად 19,1 მილიარდიან კაპიტალს განაგებს.

სერგეი ბრინი

„გუგლის" აქციონერმა სერგეი ბრინმა 2013 წელს 10 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა და ამჟამად 30-მილიარდიან კაპიტალს ფლობს.

ლარი პეიჯი

„გუგლის" კიდევ ერთმა აქციონერმა, ლარი პეიჯმა, ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი კაპიტალი და, ბოლო მონაცემებით, 29,9-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელი გახდა.

ლუი ჩენ ვუ

2013 წლის ბოლო მონაცემებით, კორეელი ლუი ჩენ ვუს კაპიტალმა 19,6 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა.

კარლ აიკანი

ამერიკელმა კარლ აიკანმა თავისი კაპიტალის გაზრდა 2013 წელს 7,2 მილიარდი დოლარით მოახერხა და ამჟამად 22,1-მილიარდიან კაპიტალს ფლობს.

ყველა დროის ყველაზე ლამაზი პირველი ქალბატონები

ისინი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე სექსუალური და ლამაზი პირველი ქალბატონები არიან. მათი შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმი კი გარეგნობა, საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობა და ოჯახი იყო.

რანია ალ-აბდულა

იორდანიის მეფის, აბდალა იბნ ჰუსეინის მომხიბლავი მეუღლე, ნამდვილი დედოფალი რანია ალ-აბდულაა. ულამაზესი შავთმიანი ქალბატონი მეფეს ოთხ შვილს უზრდის და საზოგადოებრივი საქმიანობაც არის დაკავებული. დედოფალი რანია თანამედროვე არაბი ქალის ნამდვილი სახეა და მისი გემოვნება და ქალურობა ნამდვილად მისაბაძია არაბულ სამყაროში.

კარლა ბრუნი

საფრანგეთის 23-ე პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მეუღლე, კარლა ბრუნი, ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ პირველ ლედიდ მიიჩნევა მსოფლიოში. ნამდვილი ლედისთვის დამახასიათებელი გარეგნობა, ხასიათი, ქცევის მანერა, ჩაცმულობა და მიღწევები მსოფლიო შოუ-ბიზნესში. თუკი არსებობს ფრანგებისთვის მიზეზი, რის გამოც შეიძლება ენატრებოდეთ ნიკოლა სარკოზის პრეზიდენტობის პერიოდი, ერთ-ერთი სწორედ კარლა ბრუნი იქნება.

მეჰრიბან ალიევა

აზერბაიჯანის პირველი ლედი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი და ულამაზესი ქალბატონი მეჰრიბან ალიევა, წლებია, პირველი ქალბატონების მსოფლიო ტოპ-ათეულის უცვლელი წევრია. მეჰრიბანის სილამაზეზე აზერბაიჯანში და მის გარეთ ლეგენდები დადის. დახვეწილი, არისტოკრატული მანერების მქონე მეჰრიბანი ქალურობისა და სილამაზის ჭეშმარიტი განსახიერებაა.

ჟაკლინ კენედი

ჯონ კენედის მეუღლე, ჟაკლინ კენედი, მავანთა აზრით, ყველა დროის ყველაზე ცნობილ ამერიკელ პირველ ლედიდ ითვლება, რომელიც ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ უმძიმეს დროს, კენედის მკვლელობის მომენტში, მეუღლის გვერდით იმყოფებოდა. ამბობენ, რომ ჟაკლინი საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდშიც გვერდში ედგა ქმარს და, რომ არა მისი თანადგომა, შესაძლოა, ჯონ კენედის ხელი ჩაექნია პრეზიდენტობაზე.

ასმა ასადი

იმის მიუხედავად, რომ სირიის ლიდერი ბაშარ ალ-ასადი პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის „პერსონა ნონ-გრატად" არის გამოცხადებული, მისი მეუღლე, ასმა ასადი, ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და მომხიბლავ პირველ ლედიდ ითვლება მსოფლიო ისტორიაში. 2008 წელს გავლენიანმა ფრანგულმა ჟურნალმა „ელმა" ასმა პლანეტის ყველა დროის ყველაზე დახვეწილ პირველ ლედიდ გამოაცხადა.

გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ

როგორ მოქმედებს ალკოჰოლი მამაკაცის სქესობრივ ლტოლვაზე

ალკოჰოლი ქალსა და მამაკაცში სექსუალური ლტოლვის შესუსტებას იწვევს. ღვინო და სექსი ერთად ძალიან მავნებელი „ტანდემია".

სექსოლოგიაში ცნობილია, რომ ჭარბი დოზით მიღებული ალკოჰოლი მამაკაცებში უარყოფითად მოქმედებს სქესობრივ ლტოლვაზე, ერექციაზე. სპირტიანი სასმელების ხშირმა და ჭარბად მიღებამ, შეიძლება, ცვლილებები გამოიწვიოს მამაკაცის სასქესო ჯირკვლებშიც და უარყოფითად იმოქმედოს შთამომავლობაზე.

ქრონიკული ალკოჰოლური ინტოქსიკაცია ჯანმრთელ მამაკაცებში სათესლე ჯირკვლების ჰორმონული ფუნქციის დაქვეითებას იწვევს.

მამაკაცის ორგანიზმში სასქესო ჰორმონების მაქსიმალური გამომუშავება 26-დან 36 წლამდე ასაკში ხდება, შემდეგ მათი რაოდენობა თანდათან მცირდება. ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებლებში მსგავსი ცვლილებები უფრო ახალგაზრდა ასაკში იწყება.

კვლევით დადგენილია, რომ ჭკუასუსტი და დაუნის სინდრომით დატანჯული ადამიანების დიდი ნაწილი დღესასწაულების დღეებშია ჩასახული, ანუ, იმ პერიოდში, როცა ადამიანი ალკოჰოლიანი სასმლის გადაჭარბებულ დოზას იღებს.

ცივ სეზონზე ორგანიზმს გამყარება სჭირდება

ცივ სეზონზე, განსაკუთრებით კი ზამთარში, ორგანიზმის ბუნებრივ ძალებს გამყარება სჭირდება. თუ იმუნური თავდაცვისთვის მას საკუთარი ინტერფერონი არ ჰყოფნის, შეიძლება მისი დამატებით უზრუნველყოფა. აუცილებელია, პროცესის სწორად წარმართვა, რათა ვირუსებმა საკმაოდ ღრმად არ შეაღწიოს ორგანიზმში და მთელი რიგი პრობლემები არ წარმოქმნას. C ვიტამინი ხელს უწყობს ინტერფერონის გამომუშავებას და ნიორი, ხახვი და ლიმონი ამაში ნამდვილად დაგეხმარებათ. ნიორი და ხახვი, C ვიტამინის გარდა, დიდი რაოდენობით შეიცავს ბაქტერიოციდულ ეთერზეთებს. მიკრობებს მისი სპეციფიკური სუნის „ეშინიათ". საკმარისია ნივრის შეყნოსვა, რომ ვირუსი უკან იხევს.

A ვიტამინი ლორწოვანი გარსის აღდგენას და იმუნური სისტემის გაძლიერებას უზრუნველყოფს.

იმისთვის, რომ დააჩქაროთ ორგანიზმიდან მიკრობების გამოდევნა, უნდა მიიღოთ დიდი რაოდენობით სითხე, სასურველია მასში ლიმონის დამატება.

რინოვირუსები ბინადრობენ თვალებსა და ცხვირის ლორწოვანაში, პირის ღრუში კი არცთუ კარგად გრძნობენ თავს. ისინი ხელისგულებშიც გროვდებიან. ამიტომ, ხელით თვალების მოსრესა ან ცხვირზე ხელის მოკიდება მიზანშეწონილი არ არის. ის ნივთები კი, რომელსაც სურდოიანი ადამიანი ხელით ეხება, სპირტით უნდა გაწმინდოთ.

სურდო არ ხვდება მას, ვინც დღეში ორ გრამ C ვიტამინს იღებს და ბევრ ხილ-ბოსტნეულს ჭამს.

თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსენით 3 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი, 2 ჩაის კოვზი თაფლი და ყელში გამოივლეთ. გაიკეთეთ ნივრის ინჰალაცია: დანაყილი სამი კბილი ნიორი მოათავსეთ დოლბანდზე და ხუთი წუთი ისუნთქეთ მისი მძაფრი არომატი.

რომელი ვიტამინია აუცილებელი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად

სიცოცხლის გასახანგრძლივებლად აუცილებელია, ორგანიზმი მომარაგებული იყოს რიბოფლავინის, ანუ, B_2 და თიამინის, ანუ, B_1 ვიტამინების საჭირო რაოდენობით. რიბოფლავინი საჭიროა იმისთვის, რომ კანი ჯანმრთელი და გადატკეცილი იყოს. ეს ვიტამინი აუცილებელია კარგი მხედველობისთვის. თვალების ანთების დროს მიიღეთ სამი მილიგრამი რიბოფლავინი, დღეში სამჯერ, ჭამის წინ. ხშირად ხდება, რომ ადამიანი მოიხმარს რიბოფლავინის შემცველ ბევრ პროდუქტს, მაგრამ, მაინც განიცდის ამ ვიტამინის დეფიციტს. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. მაგალითად, ეს ვიტამინი ძალიან მგრძნობიარეა სინათლის მიმართ. თუ რძეს ინახავთ შუშის ჭურჭელში, სინათლეზე ის კარგავს რიბოფლავინის მნიშვნელოვან რაოდენობას. ზოგჯერ B_2 ვიტამინის უკმარისობა წარმოიქმნება იმის გამო, რომ ორგანიზმი არ შეითვისებს ან ცუდად შეითვისებს მის რომელიმე პროდუქტს.

რიბოფლავინის დეფიციტი იწვევს საჭმლის მონელებისა და ნერვული სისტემის აშლილობას, ქრონიკულ კოლიტსა და გასტრიტს. ასევე, სისუსტეს, კანის სხვადასხვა დაავადებას. აქვეითებს წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაავადების მიმართ. B_2 ვიტამინის ძირითადი საკვები წყაროებია: კომბოსტო, ახალი ბარდა, ვაშლი, ნუში, მწვანე ლობიო, პომიდორი, თალგამი, ხორბალი, ლუდის საფუარი, ღვიძლი, საქონლის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები.

თიამინი, ანუ B_1 ვიტამინი, განსაკუთრებით საჭიროა ორგანიზმისთვის როგორც რიბოფლავინის თანამგზავრი, რადგან, B ჯგუფის ყველა ვიტამინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ერთ-ერთი მათგანის მიღებით თქვენ ზრდით ორგანიზმის მოთხოვნილებას დანარჩენზე. თუ ორგანიზმს არ ჰყოფნის B ჯგუფის ერთ-ერთი ვიტამინი, კვების რაციონში ჩართეთ ლუდის საფუარი. თიამინი აუცილებელია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ამ ვიტამინის დეფიციტის დროს წარმოიქმნება ნერვული სისტემის აშლილობის სხვადასხვა ნიშანი, მაგალითად, პოლინევრიტი.

თუ გაწუხებთ საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები, გაქვთ გაუვალობა, ეს არის B_1 ვიტამინის არასაკმარისი შემცველობის სიმპტომი. მიირთვით დაცეხვილი ხორბლის პური ან დაუფქვავი ბურღულის ფაფები. ასევე, B_1 ვიტამინის ძირითადი წყაროებია: ჭვავი, შვრია, ლობიო, სატაცური, კარტოფილი, ღვიძლი, ქატო.

ინფექციური ნევრიტი გართულებული გრიპის შედეგია

სახის ნერვის ნევრიტი ყველაზე ხშირად გრიპის შემდეგ ვითარდება, რაშიც გარკვეულ როლს ასრულებს თავის ქალის ძვლოვანი არხის თანდაყოლილი ანომალია, მისი სივიწროვე, ასევე, ვენური შეგუბება.

სახის ნერვის ანთება ზოგჯერ მეორეულად ვითარდება შუა ყურისა და საფეთქლის ძვლის ანთების, თავის ქალის ფუძის მოტეხილობის ან სხვაგვარი ტრავმის, პაროტიტის, ანუ ყბაყურა ჯირკვლის ანთების, ქვედა ყბის ძვლის ანთების, ტუბერკულოზური ლიმფადენტის, ანუ, ლიმფური ჯირკვლების ანთების, რევმატიზმის, წითელი ქარის ფონზე. სახე ამ დროს ასიმეტრიულია, გამოხატულია მიმიკური კუნთების დამბლა ან პარეზი სახის ნახევარზე. დამბლის მხარეს სახე ნიღბისმიერია, წარბი – დაშვებული, ქუთუთო დახამხამების უნარს კარგავს, ძილის დროს თვალი არ იხუჭება. ეს უფრო აშკარა ხდება ღიმილის დროს. ავადმყოფს უჭირს ბაგისმიერი ბგერების წარმოთქმა.

ინფექციური ნევრიტის დროს აუცილებელია ანთების საწინააღმდეგო თერაპია ანტიბიოტიკებით, სალიცილატებით, B ჯგუფის ვიტამინებით. ინიშნება მინისებრი სხეული, იოდის პრეპარატები. მწვავე პერიოდში კი მკურნალობენ ულტრამაღალი სიხშირის დენით ან კვარცით. კარგ შედეგს იძლევა პარაფინისა და ტალახის აპლიკაციები. ერთი კვირის შემდეგ კი ავადმყოფს ენიშნება იონოგალვანიზაცია ქლორიანი კალციუმით; ასევე, საჭიროა მასაჟიც. მედიკამენტურ თერაპიასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიოთერაპიულ პროცედურებს.

მხედველობადაქვეითებულმა ადამიანმა ნიგოზი და ჭარხალი ყოველდღიურად უნდა ჭამოს

მხედველობადაქვეითებულმა ადამიანებმა ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად უნდა ჩართონ ის საკვები, რომლებიც თვალებს სჭირდება:

* ***გოგრა*** შეიცავს დასუსტებული თვალებისთვის აუცილებელ ნივთიერებას – კაროტინს. მისი დამატება აუცილებელია სუპებსა და პიურეებში, ასევე, სასარგებლოა გოგრის სალათა.

* ***გარგარი***, ცოცხალი ნაყოფი იქნება ეს, წვენი თუ ჩირი, დადებითად მოქმედებს თვალის სისხლძარღვებზე.

* სასარგებლოა ***შავი ქლიავი*** ნებისმიერი სახით.

* ***შვრიისა*** და ***წიწიბურას*** ფაფები განსაკუთრებით მდიდარია ვიტამინებით, რომლებიც კარგად შეითვისება ორგანიზმის მიერ და აუცილებელია თვალებისთვის.

* ***თევზის*** ქონი განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია მათთვის, ვისაც თვალის დაავადებები აწუხებს. მიიღეთ ის წელიწადში ერთხელ, ერთი კვირის განმავლობაში, ძილის წინ, თითო ჩაის კოვზი.

* ***ნიგოზი, მზესუმზირა*** და ***გოგრის*** თესლი შეიცავს დიდი რაოდენობით თუთიას, რაც თვალისთვის მეტად საჭირო ნივთიერებაა.

*ასევე, ყოველდღე უნდა მიირთვათ მოხარშული ***ჭარხალი*** ან დალიოთ მისი წვენი, დღეში 30 მილილიტრის ოდენობით.

დეპრესიასა და სტრესს ლიმონით აიცილებთ

იმისთვის, რომ სტრესი და დეპრესია აიცილოთ თავიდან, საკუთარი ქმედებები უნდა აკონტროლოთ და ქვემოთ მოცემული რჩევები გაითვალისწინოთ. კერძოდ:

*შეამცირეთ ყავისა და სპირტიანი სასმელების დოზა. მათი დიდი რაოდენობით მიღება გუნება-განწყობაზე უარყოფითად აისახება. სადილის შემდეგ მიირთვით ყურძნის ნატურალური წვენი – ის კარგი მატონიზებელი საშუალებაა.

*ამინომჟავა ტროპტოფანი განწყობაზე დადებითად მოქმედებს. ამ ნივთიერებებს დიდი რაოდენობით შეიცავს ფრინველის ხორცი, თევზეული, კვერცხი, ნიგოზი, ნუში, ხაჭო და ბანანი.

*ყოველ დილით ივარჯიშეთ, რათა მთელი დღე მხნედ იგრძნოთ თავი.

ასევე, გუნება-განწყობის გამოსასწორებლად, მიირთვით ერთი ნაჭერი ლიმონი (კანიანად). ლიმონის ცედრაში შემავალ ეთერზეთს საოცარი მატონიზებელი უნარი გააჩნია.

როგორ დავიმშვიდოთ აფორიაქებული გული

მცენარე ბარამბო ხალხურ მედიცინაში იხმარება როგორც საგულე, შარდმდენი, ტკივილგამაყუჩებელი, მუცლის შებერვის, ღებინებისა და კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალება. ასევე, ის რეკომენდებულია უძილობის, მომატებული სქესობრივი აღგზნების, კუჭის ნევროზების, გულის არეში ტკივილის, ტაქიკარდიის შეტევების, ქოშინის დროს. ბარამბოს ნაყენი დაბლა სწევს წნევას.



ბარამბოს ფოთოლს ახასიათებს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედებაც. იყენებენ გამოსავლებად პირის ღრუში და ღრძილების ანთებითი პროცესების დროს.

ბარამბო შეიცავს ჰერანოლს, ეთეროვან ზეთს, C ვიტამინს, კაროტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს. მისი თესლი კი შეიცავს ცხიმოვან ზეთს.

ბარამბო აფთიაქში უნდა შეიძინოთ და შემდეგი წესით მოამზადოთ მისი სამკურნალო ნაყენი:

100 გრამ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 6 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე ნახევარი საათი. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ დილა-საღამოს, ჭამის წინ ნახევარ-ნახევარი ჩაის ჭიქა.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

ექიმის რჩევები

კითხვა: ორსულობის საწინააღმდეგო კონტრაცეპტივი უშუალოდ სექსის წინ უნდა მივიღო თუ რეგულარულად უნდა ვსვა?

პასუხი: ამჟამად კონტრაცეფციის რამდენიმე მეთოდი არსებობს: არის როგორც რეგულარულად მისაღები, ისე უშუალოდ სქესობრივი ურთიერთობის წინ ან შემდეგ გამოსაყენებელი. შესარჩევად, აუცილებელია, გინეკოლოგს მიმართოთ.

კითხვა: „მშრალი თვალის" სინდრომის სამკურნალოდ რაიმე ხალხური საშუალება თუ არსებობს?

პასუხი: ყურადღებით მოეკიდეთ მშრალი თვალის სინდრომს, რადგან, მკურნალობა მნიშვნელოვანია არა მარტო კომფორტის მისაღწევად, არამედ, რქოვანას ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ამიტომ, თუ მოწოდებულ რჩევებს შედეგი არ ექნება, მიმართეთ ოფთალმოლოგს. ხშირად მდგომარეობას აუმჯობესებს ხელოვნური ცრემლის (თვალის წვეთების სახით) რეგულარული გამოყენება (უპირატესობა ენიჭება ხელოვნურ ცრემლს, რომელიც არ შეიცავს კონსერვანტებს). ასევე, რეკომენდებულია უბრალო, მარტივი ღონისძიებები, მაგალითად:

დღის განმავლობაში უფრო მეტი სითხის მიღება – 8-10 ჭიქისა დღეში (თუ არ აღინიშნება გულ-სისხლძარღვთა ან სხვა პათოლოგია); პერიოდულად თვალების ხშირი ხამხამი, განსაკუთრებით – კითხვისა და ტელევიზორის ყურების დროს.

კითხვა: მანდარინის ჭამა თუ შეიძლება მეძუძური ქალისთვის?

პასუხი: ზოგადად, ლაქტაციის პერიოდში მეძუძურმა დედამ არ უნდა მიიღოს ალეგიული თვისებების მქონე ხილი და ციტრუსები. ექიმები ერთმნიშვნელოვნად კრძალავენ ტროპიკული ხილისა და ციტრუსების მიღებას, მაგრამ, შეიძლება, სცადოთ და ცოტაოდენი ფორთოხალი ან მანდარინი მიირთვათ და დააკვირდეთ ბავშვის რეაქციას.

კითხვა: შეიძლება თუ არა ქალმა ივარჯიშოს კრიტიკულ დღეებში?

პასუხი: მენსტრუაციის დროს ინტენსიური ვარჯიშისგან თავი შეიკავეთ, რადგან, არსებობს სისხლდენის გაძლიერების ალბათობა. ციკლის მეოთხე-მეხუთე დღიდან შეგიძლიათ, განაგრძოთ მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა.

კითხვა: ერთი კვირაა გავიკეთე ნაღვლის ბუშტის ოპერაცია. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელი საკვების მიღება მეკრძალება და რამდენი ხანი უნდა ვიყო დიეტაზე?

პასუხი: სასურველია, დიეტა დაიცვათ 3 თვის განმავლობაში, ისე, რომ რაციონი თანდათანობით გააფართოვოთ და მიუახლოვოთ ჩვეულებრივ კვების რეჟიმს. მკაცრად გეკრძალებათ ცხიმიანი, მჟავე, ცხარე, მწარე და კონსერვირებული საკვები.

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე

ვინ სტანჯავდა რევაზ ლაღიძეს და როგორ გახდა ბურთზე შეყვარებული ბიჭი კომპოზიტორი

„ეთერ პაიკიძე „მოგონებებში გაცოცხლებული“: „მიყვარს ჩემი ქვეყანა, მისი ყველა კუთხე-კუნჭული, მშობლიური იმერეთი, ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო... აქედან მოდის ხალხური სიმღერების სიყვარულიც. ჩემი სისხლია ეს. სიმღერა ნოტებით არასდროს მისწავლია. ღმერთმა ნურც მასწავლოს. ნოტით ვერ ისწავლი ხალხურ სიმღერას, უნდა ბევრი იწანწალო, უნდა შეგეყოს შენი მიწა-წყლის ეკალი. ექსკურსანტად შენს ქვეყანას არ უნდა მოევლინო. ექსკურსიით შენს ხალხს ვერ გაიცნობ... დიდი მომღერალი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, თითქმის ყველა კუთხის სიმღერა ვიცი.

ძალიან ბევრი მიწანწალია, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მიწანწალია თოფით, ძაღლით, ბადით. საქართველოს ყველა მდინარეზე მაქვს ნასროლი ბადე. წყლის გიჟი ვარ. წყალი საოცრად მიყვარს, ალბათ, იმიტომ, რომ ლაღიძე ვარ...

მუსიკის სიყვარული ჩვენს ოჯახს ტრადიციულად მოსდგამდა. დედაჩემი ქართული ხალხური სიმღერის დიდი მოტრფიალე იყო. ელენე მამიდას ქმარი, ვასო გოგაძე არაჩვეულებრივად უკრავდა ინსტრუმენტებზე: გიტარაზე, ბალალაიკაზე, ვიოლინოზე. სწორედ მან მაჩუქა თავისი ვიოლინო. მე ვიოლინოზე დაკვრა უნდა მესწავლა. მიმაბარეს მუსიკალურ სკოლაში... არდადეგებს სოფელში, ოფჩაში, ვატარებდი. ვბანაობდით, ვთევზაობდით, ვცელქობდით. ხშირად სოფლის სკოლის ეზოში ვთამაშობდით. ერთხელ, რეპროდუქტორიდან შემომესმა ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ შესავლის ჰანგები. დაუვიწყარია ის მღელვარება, რაც მაშინ განვიცადე. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მუსიკასთან. აქედან დაიწყო მისი მოწონება, შეგრძნება. არც კი ვიცი, საიდან მქონდა მუსიკის აღქმის, მით უფრო – შეფასების უნარი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ზაქარია ფალიაშვილი დღესაც ჩემი კერპია, სიამაყეა... მშობლებმა მიმაბარეს თბილისის მეშვიდე მუსიკალურ სკოლაში, რომელიც კალინინის ქუჩაზე მდებარეობდა. ძალიან უცხო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ვცხოვრობდი სტადიონთან. ბურთის თამაშით ვიყავი გატაცებული და, უცბად, სხვა გარემოში მოვხვდი. ვიოლინოზე დამაწყებინეს დაკვრა. ძალიან კარგი პედაგოგი მყავდა, თუმცა, საშინელი პედანტი იყო. როგორც კი როლში შევიდოდი, მეტყოდა: „სკრიპკუ ვიშე!“ ამის თქმა და ჩემი გათიშვა ერთი იყო. ასე მეგონა, მაწამებს-მეთქი. ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. სამჯერ ვუგანე „სკრიპკას“, არ მინდოდა ვიოლინოთი სიარული. ამ ასაკის ბიჭებს ეთაკილებათ ხოლმე ზედმეტი ყუთის ტარება, მით უმეტეს, უკვე შერქმეული მქონდა მეტსახელი „სკრიპაჩ-ტრიპაჩ“. მეოთხედ კი ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. ერთ დღეს ჩვენს სკოლაში მოეწყო თვითშემოქმედებითი კონცერტი. აქ გამომადგა ჩემი სავიოლინო გამოცდილება: დავიხურე ძველი „შლიაპა“ და სცენაზე მოხეტიალე მუსიკოსის როლში გამოვედი. ამ დროს მოდაში იყო ასეთი სიმღერა – „პარახოდი მოდის, არ ჩერდება“... მეც სწორედ ამ „პარახოდს“ ვუკრავ ვიოლინოზე. დიდი წარმატება მქონდა. დამთავრდა კონცერტი. მგონია, რომ ყველა – დირექტორი, მასწავლებლები – შემაქებდნენ და მეტყოდნენ: „ყოჩაღ, რეზო!“ ნაცვლად ამისა, მითხრეს – ერთი ქალი გიბარებსო. მივედი, შემეკითხა: რა გვარი ხარ, რომელ მუსიკალურ სკოლაში სწავლობდიო, – უკვე იცოდა, რომ მუსიკის სწავლას თავი დავანებე. მუსიკალურ სკოლაში რომ მესწავლა, ცხადია, ასეთი „რეპერტუარით“ არ გამოვიდოდი. ხვალვე მამაშენი ჩემთან მოვიდეს ამა და ამ მისამართზეო. სკოლის დირექტორმა გამამფრთხილა: მამას გადაეცი, თორემ, ხვალ მე თვითონ შეგამოწმებო. გადავეცი მამას. მივედით, ეს ქალი აღმოჩნდა ჩვენი სასიქადულო ლარისა ქუთათელაძე. მაშინ ის თბილისის მეოთხე სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი იყო. სწორედ ამ ბედნიერმა დღემ გადაწყვიტა ჩემი მუსიკოსობა... ცოტა ხნის შემდეგ მოსწავლეთა სიმებიანი კვარტეტისთვის დავწერე სამი მინიატურა: „მგზავრული“, „იავნანა“ და „აღმოსავლური ცეკვა“. ამ კვარტეტში მეც ვმონაწილეობდი – პირველ ვიოლინოზე ვუკრავდი. სასწავლებლის კონსულტანტი იყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, დიდებული ადამიანი. ბატონმა დიმიტრიმ მითხრა: „ჩემო შვილო! შენს მომავალზე უნდა იფიქრო, საკომპოზიტორო ფაკულტეტზე უნდა ისწავლო“. ჩემი მინიატურები მოსწონებია. ასე გადაწყდა ჩემი ბედი. ჩავირიცხე კონსერვატორიაში პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში. ბატონმა ანდრიამ დამაყენა სწორ გზაზე. ანდრია ბალანჩივაძე ძალიან მომთხოვნი პედაგოგი იყო. კონსერვატორიაში დიდი დატვირთვით ვმეცადინეობდი, ამასთან ერთად ორ ადგილას ვმუშაობდი – ომის პერიოდი იყო, უჭირდა ხალხს, ყველა ვმუშაობდით. დილაობით სიმფონიურ ორკესტრში ვუკრავდი, მერე რადიოკომიტეტში მივდიოდი. მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, შესვლისთანავე, პირველივე წელს, დავწერე სიმებიანი კვარტეტი, ვარიაციები, „ორი სიმღერა“. დროის უკმარისობას ვერ ვგრძნობდი. ყველაფრისთვის მოიძებნება დრო, თუ კაცი მოინდომებს – ამაში შემდეგშიც არაერთხელ დავრწმუნდი. სიმფონიურ ორკესტრში მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი ჩემს პროფესიულ მომწიფებას. გაფორმებული ვიყავი კონცერტმაისტერის დამხმარედ, ეგრეთ წოდებულ, „პოდრუჩიკად“. მერე დამსვეს ბოლო პულტზე. წინ პარტიტურა მედო, ვუკრავდი: ბეთჰოვენს, ვაგნერს, ბერლიოზს, შუმანს, ლისტს, ჩაიკოვსკის... ასე დავეუფლე პარტიტურის კითხვას, საორკესტრო ხელოვნებას. ბევრი ნაწარმოები ასე შევისწავლე... დაწყებით სკოლაში ვასასი ძაგნიძე მიყვარდა ჩემი მასწავლებლებიდან, შემდეგ – დავით ბახტაძე. თბილისის მეექვსე სკოლა დავამთავრე. მერვე კლასამდე ხუთოსანი ვიყავი. განსაკუთრებით მათემატიკა მიტაცებდა. მერვე კლასში მათემატიკის ტურში გავიმარჯვე, სიგელი დავიმსახურე. მათემატიკის გაკვეთილზე კარნახად ვიყავი ქცეული, რისთვისაც ჩემი დატუქსვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მახსოვს, დაფასთან კარადა იდგა და ერთხელ იმ კარადაში შევძვერი, რომ იქიდან მეკარნახა ბავშვებისთვის, რისთვისაც გარეთ გამაბრძანეს. დღესაც ვფიქრობ, სად კომპოზიტორი და სად – მათემატიკა. ჩემი მეგობრები შვილებს რომ ვერ ამოუხსნიან სასკოლო ამოცანებს, ეუბნებიან: დამანებე, შვილო, თავი, რომელი რევაზ ლაღიძე მე ვარ, ეს ამოცანები რომ ამოვხსნაო და ჩემთან გამორბიან დახმარებისთვის. ქიმია და გეოგრაფიაც ძალიან მიყვარდა... საფო-

მეგობრებთან ერთად

მეუღლესთან

მეგობართან ერთად

არის თუ არა შობის ვარსკვლავი ასტროლოგიის გამართლება

ზოგიერთი თანამედროვე ვარსკვლავთმრიცხველი სახარებისეულ შობის ვარსკვლავს ასტროლოგიის გამართლებად მიიჩნევს, რასაც დიდი გულმოდგინებით ავრცელებს ხალხში. როგორია ამის თაობაზე წმიდა ეკლესიის შეხედულება, წარმოგიდგენთ წმიდა იოანე ოქროპირის მიერ მათეს სახარების განმარტებას. ასევე, ამ საკითხის მეცნიერულ ახსნას, რომელსაც ეკლესია არ უარყოფს.

***

ქრისტეშობისას ვარსკვლავის გამოჩინება ზოგიერთისთვის ვართსკვლავთმრიცხველობის ჭეშმარიტების დასტურია. ამგვარი აზრი ეშმაკის შთაგონებით ჩნდება. თუ ქრისტე ვარსკვლავთმრიცხველთა წესის თანახმად იშვა, მაშინ, რატომ ამხილა ისინი წინასწარმეტყველთა პირით და რისთვის უწოდა მათ საცდური და სიცრუე.

„აბა, წარდგნენ ცათა მზომელნი, ვარსკვლავთმჭვრეტელნი, ახალ მთვარეთა მცნობელნი და გახსნან მოწევნადისაგან! აჰა ჩალასავით არიან, ცეცხლმა გადაბუგა ისინი, საკუთარი თავიც ვერ იხსნეს ალისაგან; ნაკვერჩხალიც არ დარჩა გასათბობად, არც ცეცხლი მას წინ დასაჯდომად“ (ისაია 47, 13-14). განა ციური მნათობები ღმერთმა არ გააჩინა? ან მისი ბრძანებით არ მოძრაობენ ეს უკანასკნელნი? თუ ყველაფერს ვარსკვლავები წყვეტენ, მაშინ არც კაცის მკვლელს მოეკითხება დანაშაული, არც მეძავს – სიძვა. თუკი ცოდვაც და სათნოებაც ცის მნათობთა მიერაა განსაზღვრული, მაშ, როგორაა, რომ ადამიანმა შეიძლება, ხანგრძლივად სცოდოს და სიცოცხლის მიწურულს მიიდრიკოს სანთოებისკენ, ან პირიქით – მრავალ კეთილ საქმეთა აღმასრულებელი ბოლოს ცოდვაში ჩავარდეს? როგორ ხდება, რომ ერთი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ შეიძლება იშვას მეფეცა და მაცხოვარიც?

რაც შეეხება ვარსკვლავს, რომელმაც მოგვებს უმეგზურა, იგი ჩვეულებრივი არ იყო. მნათობები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრაობენ, ხოლო ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადაადგილდებოდა. ვინაიდან სპარსეთი, საიდანაც მოგვები მოემართებოდნენ და პალესტინა, ერთმანეთის მიმართ სწორედ ამგვარადაა განლაგებული. საკვირველი ვარსკვლავი დღისით, მზის ბრწყინვალების დროს ჩნდებოდა ხოლმე, რაც ჩვეულებრივი ვარსკვლავისთვის შეუძლებელია. საოცარია ისიც, რომ მნათობი სპარსეთიდან პალესტინამდე მგზავრობისას ჩანდა, ხოლო იერუსალიმში შესვლისას კი – არა. როცა საჭირო იყო, ჩნდებოდა, როცა არა – თვალს ეფარებოდა; საჭიროება მოითხოვდა – მოძრაობდა, და თუ – არა, ადგილზე დგებოდა. ეს ვარსკვლავი თავს დაადგა გამოქვაბულს, რითაც ზუსტად მიუთითა საკვირველი ყრმის შობის ადგილი. ამრიგად, ეს ვარსკვლავი კი არა, სახეცვლილი გონიერი ძალა (ესე იგი ანგელოზი) იყო. ღმერთმა წარმართთაგან ყველაზე ურჯულონი, ვარსკვლავთმრიცხველი მოგვები არჩია ამ საქმისათვის, რითაც ებრაელები ამხილა, ვინაიდან მათ, ჭეშმარიტი რჯულის მიმდევრებს, უპირველესად, უნდა ეცნოთ ღმერთი.

***

ამ მოვლენის მეცნიერულ ახსნას გვთავაზობს ცნობილი ასტრონომი იოჰანეს კეპლერი. ის ამტკიცებდა, რომ მოგვების მიერ დანახული ვარსკვლავი შეიქმნა ყველაზე კაშკაშა პლანეტების – იუპიტერისა და სატურნის ერთ ნერტილში იშვიათი დამთხვევის შედეგად. თავისი გამოთვლები კეპლერმა იმაზე დააფუძნა, რომ 1603 წლის 17 დეკემბერს ამ ორი პლანეტის მსგავსი დამთხვევა მოხდა, ხოლო შემდეგ გაზაფხულს მათ მესამე პლანეტა – მარსი შეუერთდა. კეპლერის გამოთვლების თანახმად, თევზების თანავარსკვლავედში პლანეტების – იუპიტერისა და სატურნის ასეთივე დამთხვევა უნდა მომხდარიყო რომის დაარსებიდან 747 წელს, ხოლო შემდეგ 748 წელს (ანუ დაახლოებით მაშინ, როცა იშვა იესო ქრისტე), ამ პლანეტებს უნდა შეერთებოდა ასევე მარსიც. ვინაიდან ვარსკვლავი, რომელიც მოგვებმა სამშობლოში იხილეს, გაუჩინარდა მათი მგზავრობისას და კვლავ გამოჩნდა, როდესაც ისინი იერუსალიმიდან ბეთლემში მიდიოდნენ. ეს კი ქრონოლოგიურად, ზუსტად ემთხვევა მარსის შეერთების ჟამს. ეს ციური მოვლენა ასტრონომიაში ცნობილია სახელწოდებით „პლანეტების შეერთება“.

აღსანიშნავია, რომ ეკლესია არ უარყოფს ამ უცნაური მოვლენის სხვადასხვაგვარ განმარტებას. შობის ვარსკვლავი კი არის სიმბოლო იმისა, რომ უფალთან კერპთაყვანისმცემლები მიდიან, მიდიან სხვადასხვა ერის შვილები და დღესაც შობის ვარსკვლავი მოუწოდებს თანამედროვე კაცობრიობას, მივიდეთ ქრისტესთან და თაყვანი ვსცეთ მას.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

პეტრე გრუზინსკისთან ერთად



ერტეპიანო ვარიაციები ჩემი პირველი ნაწარმოებია. ახლა კარგად მესმის ავიც და კარგიც, მაგრამ, მაინც, რამხელა სიხარული იყო ჩემთვის. ის დღე რად ღირს, როცა კონსერვატორიის მცირე დარბაზში საკუთარი „სიმებიანი კვარტეტი“ მოვისმინე. ახლა ტაშით ვამოწმებ ახალი ნაწარმოებების შეფასებას...

... თუ რაიმე გამიკეთებია მუსიკაში, სულ ნადირობის პარალელურად. ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ, რეზოს რომ უთხრა, ცუდი კომპოზიტორი და კარგი მონადირე ხარ, გაუხარდება, მაგრამ კარგი კომპოზიტორის და ცუდი მონადირის სახელი რომ შეჰკადრო – ეწყინებაო. ერთხელ, ჩემი მეგობრები – ბიძინა კვერნაძე და დავით ცერცვაძე მახლდნენ ღორზე სანადიროდ. გადავწყვიტე, შემემოწმებინა და დარიგება დავუწყე: გამოქანებულ ღორს უნდა მოერიდო, ჩაუსაფრდე, არ შეიძლება პირდაპირ შეხვედრა-მეთქი. უცებ ძაღლების ყეფა გაისმა, ჩამოვრჩი და ვიყვირე: ღორი მოდის-მეთქი. იმ გზას, რომელსაც მივუყვებოდით, ნაკრძალის მაღალი ღობე გასდევდა გვერდით. შეშინებულმა დავითმა დაჰკრა ბიძინას მხარზე ხელი და ღობის მეორე მხარეს აღმოჩნდა, მას ბიძინაც მიჰყვა. სიცილი ვეღარ შევიკავე და ისინიც მიხვდნენ ჩემს ხუმრობას, მაგრამ, ნაკრძალიდან გამოსვლა არც ისე იოლი საქმე იყო. სად უნდა მეშოვა ღორი, რომ ამჯერად ღობის აქეთ მხარეს გადმოესროლა ჩემი მეგობრები?! დიდ მანძილზე მოუხდათ ეკალბარდებში სიარული“.

მეგობრებთან ერთად



მურმან ლეგანიძე: „ერთ-ერთი ნადირობის დროს რეზომ ტყეში დაჭრილი დათვის ბელი იყიდა მონადირეებისგან. წაიყვანა შინ. გადაწყვიტა, გამოეჯანმრთელებინა და ისევ ტყეში დაებრუნებინა. დაჭრილი ბელი დაბა ეზოს „საკუჭნაოში.“ ერთ ღამეს ბელს აუხდია სახურავი, გადმომხტარა და დილით თავისივე თოკზე დაკიდებული იპოვეს. რეზომ საშინლად განიცადა ეს ამბავი. გააკეთებინა ფიტული და თავის სამუშაო ოთახში დადგა...”

გიორგი ნატროშვილი: „მახსენდება ერთი შეხვედრა კომპოზიტორთან. ეს იყო სუფრაზე, ოქროყანის ზემოთ რესტორანში. სუფრაზე თავი მოიყარეს მწერლებმა, მუსიკოსებმა, მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა და ცხადია, ყურადღების ცენტრში ყველასთვის საყვარელი რევაზ ლაღიძე იყო. ტკბილ საუბარს დროდადრო გვაწყვეტინებდა დამკვრელთა დასტა, რომელიც უფრო ხშირად, გასაგებია, რომ რევაზ ლაღიძის სიმღერებს მიმართავდა... „დალოცვილი კახური, მაგ ტუჩების ფერია. ღვინოს დავლევ წყალს არა, შენ გაკოცებ სხვას არა, ადანდალი დანდალი...” ყველა სულგანაბული უსმენდა მომაჯადოებელ მელოდიას. სიმღერა რომ დამთავრდა, ერთმა ცნობილმა მწერალმა (გვარს არ დავასახელებ) მიმართა რევაზ ლაღიძეს: „ბატონო რეზო, ნუ მიწყენ შენი ჭირიმე, თქვენი დაწერილი სიმღერა ვის არ დაატყვევებს, მაგრამ ხალხის გენია მაინც სულ სხვაა, ამ წუთას რომ მოვისმინეთ!” ყველას გაეცინა. იმ მწერალმა არ იცოდა, რომ ის ხმატკბილი მელოდია სწორედ რევაზ ლაღიძეს ეკუთვნოდა. გაწბილებულმა მწერალმა სიტყვა თავიდან ითხოვა და რევაზის სადღეგრძელო მეორედ წარმოთქვა.



ეკა პატარაია

ყოველდღიურად ადამიანის ორგანიზმი არის უამრავი მისტიკური მოვლენის მოწმე. თუმცა, ამას, ხშირ შემთხვევაში, ვერც კი ამჩნევს. ორგანიზმიც კი გვაძლევს ზოგჯერ მინიშნებას მოსალოდნელ ბედნიერებასა და უბედურებაზე, მაგრამ, მისი ამოცნობა და გაგება გაგიჭირდებათ, თუ მისი ამოხსნა არ იცით.

რატომ არ შეიძლება ცუდი განწყობით საჭმლის გაკეთება და რისგან ვიცავთ თავს სარკის ჯიბით ტარებისას

ლელა: ალბათ, ბევრი თქვენი ახლობლისგან გსმენიათ: წარბი ან თვალი მითამაშებს და ალბათ, სასიხარულო ამბავი მელის; საკუთარ თავზე მინიშნება ცუდად მაქვს დაცდილი ახალმთვარეობაზე აღებულ ფულს შემდეგ ბევრი ფული მოსდევს; არ მაქვს კარგად დაცდილი ცხვირსახოცის ან სარკის სხვაზე გაჩუქებაო და ასე შემდეგ.

– და, ამაში სიმართლის მარცვალი დევს?

– ყოველივე ამაში სიმართლის მარცვალი დევს კი არა, ეს დიდი სიმართლეა. თუმცა, მთავარია, ამ და სხვა მოვლენების სწორად ახსნა შეგეძლოთ. სხეულის ენის გაგება, თუ მინიშნებების სწორი აღქმა, ძნელი არ არის, მაგრამ ამისთვის დაკვირვებული თვალი და გარკვეული ცოდნაა საჭირო. მაგალითად, დედაჩემს მარცხენა ხელისგული რომ მოეფხანებოდა, იტყოდა, დღეს ფული შემომივაო; თუ მარჯვენა ხელი მოეფხანებოდა – დღეს აუცილებლად შევხვდები დიდი ხნის ნაცნობს, გამარჯობას ვეტყვი და მარჯვენა ხელს ჩამოვართმევო. მისი ცხვირის მოფხანა და სტუმრის მოსვლა, ხომ ერთი იყო. მეც არ მივაქცევდი ყურადღებას მსგავს რამეებს, რომ არა დედაჩემი. შეიძლება, ბევრს ჩემი ნათქვამი სისულელედ მოეჩვენოს, მაგრამ, დაფიქრდით, გააანალიზეთ საკუთარ თავზე დაცდილი მინიშნებები და მისი შედეგები და მიხვდებით, რომ სიმართლეს ვამბობ. ახლა კი ისეთ ეზოთერიკულ დარიგებებს მოგცემთ, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ნამდვილად დაგეხმარებათ. მაგალითად, თუ ახალ ჭურჭელს შეიძენთ, ვთქვათ, ვედროს, ჯამს, ფიალას, ლარნაკს და ასე შემდეგ, სახლში შეტანისთანავე სამჯერ წარმოთქვით: „ეს სავსე იყოს, მე კი სიღარიბეს დავავიწყდე". თუ მიიჩნევთ, რომ თვალს ადვილად იღებთ, როცა ადამიანი დაჟინებით გიყურებთ, რომ არ გაგთვალოთ, გულში გაიფიქრეთ: „კი მიყურებ, მაგრამ ვერ მხედავ". ასევე, როცა ტანსაცმელს იცვლით, ეცადეთ, არ მიმოფანტოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათში ბოროტი სულები იბუდებენ. კატეგორიულად იკრძალება მაგიდაზე ხელჩანთისა და ქუდის დადება. ორშაბათობით ნუ გაასესხებთ ფულს, რადგან გამსესხებელი ხეირს ვერ ნახავს მთელი კვირის განმავლობაში, მსესხებელს კი ყველაფერში გაუმართლებს. კარგია, თუ ფულს სავსემთვარეობისას ისესხებთ. პარასკევს ნუ დაალაგებთ სახლს

სველი წესით. ცოცხი კი ყოველთვის თავდაყირა, ტარით ქვევით დადეთ. ასე, ბარაქას და მატერიალურ კეთილდღეობას დაიბედებთ. აგრეთვე, არ ვარგა ცხვირსახოცისა და სარკის გაჩუქება, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვისაც აჩუქებთ, მასთან დაშორება გარდაუვალია. ადამიანები თავად ვქმნით ცხოვრებაში ჩვენი წარმატების კოდს.

– იმასაც ხომ ამბობენ, გზიდან დაბრუნება და საკუთარ თავზე მინიშნება არ ვარგაო. ასეთ შემთხვევაში რა საფრთხე გველის?

– დიახ, არ ვარგა გზიდან დაბრუნება. ამ დროს ამბობენ, კეთილი გზა არ გექნებაო. თუ მაინც მოგიწევთ შინ მიბრუნება, ცოტა ხანს ჩამოჯექით – ასე, სახლის ენერგიას აიღებთ და სარკეშიც ჩაიხედეთ, რადგან სარკეში თქვენი გამოსახულების არეკვლისას ენერგია ორმაგდება. ხოლო, რაც შეეხება საკუთარ თავზე მინიშნებას, თითით ჩვენებისას ვგზავნით ენერგეტიკულ მუხტს. თუ

როცა ტანსაცმელს იცვლით, ეცადეთ, არ მიმოფანტოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში, მასში ბოროტი სულები იბუდებენ

სხვის დაავადებაზე საუბრობთ, საკუთარ სხეულზე ნუ მიანიშნებთ იმ დაავადების ლოკალიზების ადგილს, რაც სხვას სჭირს. ამით იმ ადამიანის დაავადების მუხტს თქვენკენ მიმართავთ. ასევე, აქვე გეტყვით, რომ სახლის კუთხე ყველაზე წარუმატებელი პოზიციის ადგილია ბინაში. კუთხე ადამიანისგან ენერგიას ისრუტავს, ანუ, ის სახლის ერთგვარი ვამპირია. თუ ზურგს უკან ახლობელი ადამიანი დგას, სასწრაფოდ მიბრუნდით მისკენ პირისახით. სხვათა შორის, არ ვარგა, თუ ვინმე უკან გიდგათ და დაჟინებულად გაკვირდებათ ზურგზე. საქმე ისაა, რომ დაუცველი ზურგი ყველაზე სუსტი ენერგეტიკული არეა. ასევე, საშიშია დანაწევრებული, გატეხილი და ნახატებიანი სარკის ქონა. თუ სარკე მთელი და დაუნაწევრებელი არ არის, ის არღვევს ადამიანის ენერგეტიკას, ეს კი ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია. მაგრამ, თუ, ჩვეულებრივ, სარკეს ჯიბით ატარებთ, ეს კარგია, რადგან ის მტრისგან გიცავთ. ჩვენს წინაპრებს მიაჩნდათ, რომ, თუ სარკეს ჯიბით ატარებდნენ, ის დაიცავდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობებისას, კერძოდ, შემხვედრის უარყოფითი ენერგიისგან. სარკე ჯიბეში ამრეკლავი ზედაპირით პატრონის სხეულისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ის მის უარყოფით აზრებსა და ჩანაფიქრს აირეკლავს. არის შემთხვევები, როცა რაღაც მოვლენა მიგვანიშნებს შესაძლო მოსალოდნელ საფრთხესა თუ სასიამოვნო ფაქტზე. მაგალითად, როცა ადამიანს ეწყება უნებლიე მოუსვენრობა, უნდება ტირილი, უნდა მიხვდეს, რომ რაღაცაშია საქმე. უეცრად გულის აჩქარებაც კი მოსალოდნელი საფრთხის მიმანიშნებელია. ამ დროს ქვეცნობიერი რაღაცაზე მიგანიშნებთ, მაგრამ ადამიანი ამას ვერ ხვდება.

– მართალია, რომ ამბობენ, ცუდ განწყობაზე თუ გააკეთა ადამიანმა საჭმელი, ეს სხვაზეც უარყოფითად აისახებაო?

– დიახ, და ასე მომზადებული კერძის ჭამის შემდეგ, შესაძლოა თავი, მთელი დღე ცუდად იგრძნოთ. კერძის მომზადება ერთგვარი რიტუალია და რა განწყობასაც ჩააქსოვთ მასში, იმასვე მიიღებთ მისი ჭამისას. საკვები ისრუტავს ირგვლივ არსებულ ენერგიას, ჩვენ კი ამ საკვების ჭამის დროს, კალორიებთან ერთად, ამ ენერგეტიკასაც ვიღებთ და „ვიტუმბებით". იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი ფორმის მაგიდაზე დევს ჭურჭელი, რომლიდანაც საკვებს მიირთმევთ. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ადამიანისკენ მიმართული მაგიდის კუთხე, უარყოფით ენერგიას „ისვრის" მისკენ. ეს კი მას წარუმატებელს ხდის სიყვარულში, კარიერასა და ფინანსებში. ამიტომ, თუ გსურთ, თავიდან აიცილოთ უიღბლობა, უფულობა, გაუთხოვრობა თუ უცოლობა, უნდა მოერიდოთ იმ ადგილს, საითაც მაგიდის კუთხეა მიმართული.

ნონა დათეშიძე

ქალური სპეცეფექტები

არსებობენ ქალები, რომლებსაც შესწევთ უნარი, თავის გარშემო მუდმივად სადღესასწაულო განწყობა შექმნან. იყვნენ მუდამ გამორჩეულები, ეფექტურები და შესამჩნევნი. ეს მათი თანდაყოლილი ნიჭია, თუ, უბრალოდ, შეძლეს, ესწავლათ, როგორ მოახდინონ პოზიტიური ზეგავლენა ძლიერ სქესზე.

სხვათა შორის, ფსიქოლოგებიც კი გამოარჩევენ ქალის რამდენიმე ტიპს, რომლებიც, მართლაც რომ, მისაბაძნი და ჭეშმარიტად ქალურები არიან, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში.

ქალი – „ახალი წელი“: ეს არსება დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში. მას სწამს, რომ ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე მთავარი და ყველაზე კარგია... ამით არ კმაყოფილდება და უნდა, რომ ამის შესახებ პარტნიორისგანაც მოისმინოს. თანაც, რაც შეიძლება, ხშირად. ამასთან ის ყოველთვის ფორმაშია და ყოველთვის აძლევს მამაკაცს მისით აღფრთოვანების საბაბს. თავიდან ეს ყველაფერი მოსწონს მამაკაცს, მაგრამ მერე იღლება... წარმოიდგინეთ, რა მოგვივიდოდა, ახალი წელი თავისი თანმხლები მოვლენებით კვირაში ერთხელ რომ გვქონდეს?!

ამიტომ, ასეთ ქალებს ურჩევენ „სპეცეფექტები“ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის შემოინახონ, რათა არ დაკარგონ ის ხიბლი, რაც დღესასწაულს აუცილებლად უნდა ახლდეს თან.

ქალი – „კარნავალი“: ამ ტიპის ქალი ისეთი თვალშისაცემი და „კაშკაშაა“, რომ შეუძლებელია, ყურადღების მიღმა დარჩეს. აქტიურია, კომუნიკაბელური და თითქმის ყველას უნდა მის გვერდით ყოფნა, ქალებსაც და კაცებსაც. თუმცა, ერთი მინუსი აქვს – ასეთი ქალის გვერდით აუცილებლად დაიღლებით. დაიღლება, მით უფრო, მამაკაცი, რომელიც ბუნებით მიდრეკილია ერთ ადგილზე ყოფნისკენ: „დავრჩეთ რა, დღეს სახლში. ვიყოთ მშვიდად და უბრალოდ,“ – ადრე თუ გვიან, ქალი – „კარნავალის“ მეუღლე ამ ფრაზას იტყვის, მაგრამ ქალი ვერ გაუგებს. მას ავიწყდება, რომ კაცი ნაკლებად აქტიურია და ნაკლებად უყვარს ხმაურიანი გართობა. ურჩევნია, დივანზე იწვევს გაუნძრევლად და არაფერი აკეთოს. თუ ქალი – „კარნავალი“ ამას არ გაითვალისწინებს, აუცილებლად ექნება პრობლემები პარტნიორთან ურთიერთობაში.

ქალი – „დაბადების დღე“: სასიამოვნოა, როცა ყველაფერი ჩემთვის კეთდება... – ეს არის მისი ცხოვრებისეული კრედო. უყვარს ყურადღება, ალერსი, თბილი სიტყვები, საჩუქრები და თუ ამ ყველაფერს არ იღებს, ძალიან ნაღვლობს. ამიტომ, უყურადღებო მამაკაცისთვის ასეთი ქალი ნამდვილი სტრესია. მამაკაცს ხომ თვითონაც ძალიან უყვარს ყურადღება. მოკლედ, თუ ქალი-„დაბადების დღე“ ხართ და სული გთხოვთ, მუდმივად ვიღაც გეფერებოდეთ, კუდს გიქიცინებდეთ... შეიძინეთ ლეკვი – მას მამაკაცზე გაცილებით მყარი ნერვები აქვს და არასოდეს დაიღლება თქვენი ალერსით.

ქალი – „გაზაფხული“: ერთი მხრივ, ყველას ახარებს და ახალისებს, მეორე მხრივ – შფოთიანი, ცვალებადი და ამოუცნობი ბუნება აქვს. გუნება-განწყობაც ძალიან ხშირად ეცვლება. მომთხოვნია, თუმცა, თავად არასოდეს ამბობს, რა სჭირდება კონკრეტულად. მაგრამ, თუ ვერ მიიღებს იმას, რაც უნდა, ანჩხლობს. თუ კაცი ჭეშმარიტად შეყვარებულია, კიდევ იტანს პარტნიორის ხუშტურებს, მაგრამ, შეიძლება, ისიც გაღიზიანდეს. „გაზაფხულმა“ უნდა თქვას, რას ითხოვს ოჯახის წევრებისგან, მაშინ, არც თვითონ ინერვიულებს და არც სხვებს შეუქმნის პრობლემებს.

პლუსები და მინუსები

ღირს თუ არა, გათხოვდე, შექმნა ოჯახი გრძნობის კარნახით – სიყვარულითა და დიდი ემოციებით... ჩვენს პრაგმატულ ეპოქაში ეს უკვე ამჩატებად, ქარაფშუტობად მიიჩნევა. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. ანუ, არსებობს პლუსებიც, თანმხლებ მინუსებთან ერთად.

დავიწყოთ პლუსებით: ჯერ ერთი, როცა გრძნობა ნათელი და უანგაროა, ის აღაფრთოვანებს წყვილს და ზოგჯერ შეუძლებელს შეძლებენ ხოლმე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადვილად აგვარებენ თანაცხოვრებისას წარმოქმნილ პრობლემებს. ყურადღებას არ აქცევენ ერთმანეთის ნაკლსაც. გულწრფელი სიყვარული ადამიანებს ტოლერანტულს ხდის და ეს ძალიან კარგია. მათ აქვთ დიდი შანსი, უმტკივნეულოდ გადალახონ ფსიქოლოგიური თანაშეწყობის ბარიერები. სწრაფად ეგუებიან ერთმანეთს და იშვიათად კინკლაობენ. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ – საუბარია ჭეშმარიტ სიყვარულზე.

მინუსები: სამწუხარო რეალობაა, მაგრამ სიყვარული გადის... ის ისეთი მძაფრი და მასშტაბური აღარ არის, როგორც თავიდან იყო – მით უფრო, თუ თავიდანვე სიყვარული ლტოლვაში აერიათ და ურთიერთობა ასე დაიწყო. ასეთ დროს კრახი გარდაუვალია. თუ საქმეში გონება არ ჩაერთვება, შედეგი აუცილებლად სავალალო იქნება. პრობლემათა უწყვეტი ჯაჭვი წყვილის კავშირისგან აღარაფერს დატოვებს. ნამცეცებად აქცევს და გაანადგურებს. ჩხუბი, სკანდალი და აყალ-მაყალი ყოველდღიურობად იქცევა.

ანუ, თქვენ უნდა ეცადოთ, გამოიყენოთ პლუსები და მონახოთ მინუსების პრევენციის გზები. მაშინ, ყველაფერი კარგად იქნება.

ნუ მაანაწყენებთ ქალს

08.00 კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"ხენკოკი" 10.00** ეკი ვოკი **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** მხ/ფ **"არ დაიდარდო" 15.30** "ნანუკას შოუ" ბესტი გ/ჩ **18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** რა? სად? როდის? **00.00** მხ/ფ **"სიტჩის მეთოდი" 02.00** მხ/ფ **"სასოწარკვეთილნი" 04.00** მხ/ფ **"ცისფერი ლაგუნა" 06.00** მხ/ფ **"თეთრი ვარიკები"**.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"საბუდარელი ჭაბუკი" 13.30** საუფლონი **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"გერი" 18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"** I სერ.

7.00 ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.45, 0.30, 2.30, 4.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 21.45, 1.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.00 სერიალი "მომავლის გაელვება" 6.00** ფარული კამერა.

კვირა 12 იანვარი

08.00 საბ. ან/სერიალი: "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** საბ. მხ/ფ **"ჰარი პოტერი და სიკვდილის ძლვენი" 11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** ქართ. მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები" 16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** დ/ფ "უჩვეულო ნაძვის ხეები" **18.00** მხ/ფ **"ცხოვრება ისეთი, როგორიც არის" 20.30** "ტელებლოგი" **21.00** | არხი წარმოგიდგენთ – რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: **"შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ახალი ხელი" 00.00** მხ/ფ **"დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე"** (ბ.აფლეკი).

12.01.14 08.00 ან/ფ "სპანჯბობი" **2-3** სერ. **09.00** მხ/ფ **"ლონიერი სანტა" 11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 7** სერ. (გ/ჩ) **13.00** კულინარიული დუელი **14.30** "იმედის გმირები" (გ/ჩ) **15.00** ქ.მხ/ფ **"შეხვედრა მთაში" 17.40** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **20.00** პანორამა. **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 8** სერ. (გ/ჩ) **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **23.30** მხ/ფ **"ტრანსპორტერი"** (ჯ.სტეტჰემი).

08.00 კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"ჰელბოი" 10.00** მხ/ფ **" ბრილიანტის ხელი" 12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**28** დეკემბრის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **20.00** გააცინე და მოიგე ბესტი **21.00** P.S ბესტი **22.00** კომედი შოუ **2013** საახალწლო კონცერტი გ/ჩ **00.00** მხ/ფ **"სოლტი" 02.00** მხ/ფ **"მწვანე კრაზანა" 04.00** მხ/ფ **"დაბრუნება ცისთვრ ლაგუნაში" 06.00** მხ/ფ **"ქორწილით გამოცდა"**.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.45** დოკ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"აურზაური სალხინეთში" 13.20** საუფლონი **13.40** ქრისტიანული ხელოვნება **14.15** ქრისტეს მახარობლები **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.15** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.35** დროის ჩანაწერები **19.30** მხ/ფ **"რაც გინახავს,ველარ ნახავ" 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.40** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"** II სერ.

7.00 ფარული კამერა (საბავშვო) **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 10.30** გადაცემა "პულსი" **11.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **18.30, 0.30** "მონიტორის გამოძიება" (გამ.) **21.45, 1.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.00 სერიალი "მომავლის გაელვება" 0.00, 2.30, 4.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **0.00, 2.00, 4.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **6.00** ფარული კამერა.

ვერძი

თანამოაზრეებთან შეთანხმებისა და მონაწილეობის გარეშე, ნუ დაიწყებთ რადიკალურ ცვლილებებს. პირად ცხოვრებაში კი ჯობია, სიახლეები მოგვიანებით დაგეგმოთ. ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ყველა პრობლემას დაგავიწყებთ.

კურო

იშრომეთ მეტი და წარმატებებს ადვილად მიაღწევთ, როგორც პროფესიულ, ასევე ფინანსურ საკითხებში. არ აჰყვეთ ცდუნებებს და არ დაუშვათ შეცდომები. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან, რათა ამან თქვენს პირად ცხოვრებაზე არ მოახდინოს ნეგატიური გავლენა.

ტყუპები

ნუ იფიქრებთ ძველზე და იყავით ოპტიმისტი. მეგობრებს გადაუშალეთ გული და გაანდეთ თქვენი პრობლემები. ნუ გარისკავთ საქმეში. ახალი სასიყვარულო კავშირი კი გარშემო მყოფებისგან დამალული გქონდეთ, რათა ზედმეტ მითქმა-მოთქმას აარიდოთ თავი.

კირჩხიბი

ფსიქოსომატური მდგომარეობა ხელს შეგიწყობთ, მოაგვაროთ სასიყვარულო და საოჯახო პრობლემები. კარგი პერიოდია გავლენიან პირებთან ურთიერთობისთვის. ახალ პერსპექტივებს გპირდებათ პროფესიულ სფეროში სიახლეებიც.

ლომი

გაიზრდება გადაადგილებებისა და კონტაქტების რაოდენობა. კარგად გაანალიზეთ ყოველი ნაბიჯი. საქმეში კი რადიკალურ ცვლილებებს ერიდეთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და ხშირად ესაუბრეთ საყვარელ ადამიანს თქვენს გრძნობებზე.

ქალწული

საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობებში, სჯობია დათმობებზე წახვიდეთ, რომ ჰარმონია დაიბრუნოთ. დაასრულეთ ძველი საქმეები და შემდეგ წამოიწყეთ – ახალი. დასაშვებია მცირეოდენი რისკიც. კარგია მოგზაურობა.

სასწორი

არ გირჩევთ ახალი საქმის წამოწყებას და იდეების განხორციელებას ამ პერიოდში. პირად ურთიერთობებში დროულად მიიღეთ გადაწყვეტილებები, რათა არ დაძაბოთ საყვარელ ადამიანთან სიტუაცია. ახლობლებთან ურთიერთობა კი სითბოს მოგგვრით და ენერგიას შეგმატებთ.

მორიელი

ნუ დაიწყებთ დაუგეგმავად საქმეს და მოერიდეთ უეცარ კონტაქტებს. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე და გარეგნობის მოწესრიგებაზე. უეცრად წამოწყებული სასიყვარულო კავშირი საქმეში შეგიშლით ხელს. უსმინეთ ინტუიციას, რომ ადვილად აიცილოთ პრობლემები.

მშვილდოსანი

სტაბილური პერიოდია, რომელიც აღსავსე იქნება რომანტიკულობითა და ფინანსური კეთილდღეობით. ეცადეთ, მხიარულად და საინტერესოდ გაატაროთ ეს კვირა. ახალმა სასიყვარულო ურთიერთობამ კი, არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან დაგაშოროთ. არ გირჩევთ მოგზაურობას.

თხის რქა

გაიზრდება თქვენი პოპულარობა. იურიდიული და საკონსულტაციო საქმიანობა კარგ შემოსავალს გპირდებათ. ოჯახში კამათს მოერიდეთ და იყავით მეტად ყურადღებიანი. თავისუფალი დრო ოჯახის წევრების გვერდით გაატარეთ. კარგია ცოდნის ამაღლება.

მერწყული

ნუ იქნებით ზედმეტად ემოციური. სასიყვარულო კავშირი მოარიდეთ გარშემო მყოფების თვალს, რათა კიდევ არ დაძაბოთ სიტუაცია. მოერიდეთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარებას და შეინარჩუნეთ ფინანსური სტაბილურობა.

თევზები

კარგია ძველი ჩანაფიქრების განხორციელება და ახალი საქმეების დაწყება. შესაძლებელია მცირეოდენი რისკიც. ნუ გამოიყენებთ მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად და ერიდეთ ფარულ სასიყვარულო შეხვედრებს. შეამცირეთ გადაადგილებებიც.

ახალმთვარეობა – 1 იანვარი, 11 სთ: 05 წთ.

კვირის დღეების ასტროპროგნოზი

ორშაბათი

აქტიურად გაატარეთ ეს დღე. მოერიდეთ კონფლიქტებს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან. კარგად გაიაზრეთ ყველაფერი, სანამ ნაბიჯს გადადგამთ. ატარეთ მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, შავი გიაცინტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო ან მარჯანი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს. კარგია იურისტებთან კონტაქტი, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, კანი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.

სამშაბათი
გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

იყავით ფრთხილი და წინდახედული. ნუ აჩქარდებით, აკონტროლეთ ემოცია და უყაირათობა. დაუთმეთ მეტი ყურადღება ახლობლებს. აკონტროლეთ სიტყვები. დაიცავით ტრადიციები. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ იკამათოთ. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, საფინანსო ოპერაციებს, წესების დარღვევას. სუსტდება თავი, მხედველობა, ყურები, სისხლძარღვები, ცხვირი.

პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.

ოთხშაბათი
გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ახალი გეგმების დასახვას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ლალი, წითელი იასპი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგია მოგზაურობა, ვაჭრობა. სუსტდება თავი, კბილები, თვალები, ცხვირი, ყურები.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.

ხუთშაბათი
გეომაგნიტური დღე

ნუ მიმართავთ თხოვნით ზემდგომ ორგანოებს. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. აკონტროლეთ აზრები და სიტყვები. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მარგალიტი, ზურმუხტი, ყვითელი იასპი, გიშერი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ რისკს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა. არ ვარგა ასევე, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.

ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.

პარასკევი

გამოავლენეთ თოთმინება, მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ონიქსი, რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, საყიდლების გაკეთება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.

შაბათი

კარგია დასვენება და ხელოვნებასთან კონტაქტი. იყავით მშვიდი და მომთმენი. აჩქარების გარეშე გადაწყვიტეთ საკითხები. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, სარდიონი, ჯესპილიტი ან ამაზონიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფილტვები, ბრონქები.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.

კვირა
გეომაგნიტური დღე

ნურაფერს დაგეგმავთ. გამახვილდება ინტუიცია. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან. ატარეთ ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ლაბრადორი, აკვამარინი, ნეფრიტი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყუდვა-გაყიდვა. კარგია მშენებლობა, სწავლა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.

ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.

გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მალალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

გოგაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი – **გოგა**. მეცნიერთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ **გოგა** მომდინარეობს **გიორგისგან**, ნაწილს კი მიაჩნია, რომ **გოგი** დამოუკიდებლად გაჩენილი სახელია და მისგან მომდინარეობს მოფერებით-კნინობითი სახელი **გოგა**. ასეა თუ ისე, **გოგა** ქართულ წიაღში გაჩენილი სახელია და მასზეა დაშენებული ქართველთა გვარი – **გოგაშვილი**.

გოგა იხსენიება მოწმეთა შორის დაწერილ ფრაგმენტში მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში.

„გოგა ლეონ მეფემ, სხვა ოცდაათ კომლთან ერთად, გაუთარხნა ქიზიყის ეპისკოპოს მაქსიმე ჩოლოყაშვილს და მის ძმას, ჭიაურთ მოურავ ზაალს“ (1566 წელი).

„გოგაშვილი ოქრუა, ესტისს მცხოვრები, ვარაზა ბარათაშვილის მკვიდრი ყმა. ჰყავს ძმები: ივანა, ბერა და თევდორა. ვარაზა ბარათაშვილმა ის ძმებთან ერთად შესწირა სვეტიცხოველს“ (1690 წელი).

საქართველოში 814 **გოგაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 228, გურჯაანში – 123, სიღნაღში – 86. არიან სხვაგანაც.

სეფიაშვილი

გვარში ფუძედ გამოყენებულია სიტყვა **სეფა**. აქედან გვხვდება გვარები: **სეფაშვილი, სეფედაური, სეფერთელაძე, სეფერიძე, სეფისკვერაძე, სეფიაშვილი.**

გვაქვს საკუთარი სახელები: **სეფე, სეფედავლე, სეფია, სეფიყული, სეფო, სეფენია.**

მნიშვნელობით იტყვიან: **სეფა** – გრძელი კარავი, **სეფე** – სამეფო დარბაზი.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში მოიხსენიება გვარი **სეფედავლესშვილი, სეფირყელი, სეფიყული, სეფიყულიბეგი, სეფოსშვილი, სეფონიასშვილი, სეფუაშვილი.**

სეფიაშვილები ძირითადად არიან ქართველები, ასევე, არიან ქართველი ებრაელებიც.

საქართველოში 1 182 **სეფიაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 477, თბილისში – 268, დედოფლისწყაროში – 141. არიან სხვაგანაც.

გვენეტაძე

გვარში ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **გვენე**. დაფიქსირებულია სვანეთში.

ქართული გვარების საშენ მასალად ხშირადაა გამოყენებული ასო **ტ**. **გვენეს** დაემატა ასო **ტ** და მიღებული იქნა **გვენეტაძე**, ამავე ძირისაა გვარი **გვეტაძე**.

ქართულ სამართლის ძეგლებში აღმოჩენილია სამი დოკუმენტი, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ, თუ რომელი წლიდან მოიხსენიებიან **გვენეტაძეები**, სად ცხოვრობდნენ და როგორი სოციალური მდგომარეობის იყვნენ.

„წყალწითელას მცხოვრებ როსტევანა **გვენეტაძეს** მართებს ბეგარა ორი ლიტრი სანთელი, ორი გვერდი ღომი, ერთი გვერდი პური, სამი კოკა ღვინო, ათი საკლავი, ორი ძღვენი“ (1570 წელი).

„ხუცია **გვენეტაძე** მოწმეა კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ კანდელაკ ქავთარისათვის მიცემული ბიჭის წყალობის წიგნისა“ (1673-1696 წლები).

1840-იან წლებში იმერეთში **გვენეტაძეები** ცხოვრობენ სოფლებში: დაბაძველი, ეწერი, მუხაყრუა, სუფოთი, სიმონეთი.

ვარაუდით, **გვენეტაძე** და **გვეტაძე** ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს. მათ სოფლებში: ქუთაისში, ციხიასა და ჭოგნარში უნდა ეცხოვრათ. როცა იქიდან გასულან

დასახლებულ სოფლებში, გვარში ინფიქსი **ნ** ჩაუმატებიათ.

გვენეტაძეები სასულიერო პირები და საეკლესიო გლეხები იყვნენ.

25 000-ზე მეტ გვარს შორის, **გვენეტაძეებს** 253-ე ადგილი უჭირავთ.

საქართველოში 2 750 **გვენეტაძე** ცხოვრობს. ქუთაისში 817, ტყიბულში 671, თერჯოლაში 557. არიან სხვაგანაც.

პაჭკორია

გვარის ფუძედაა გამოყენებული საკუთარი სახელი **პაჭკორი**, იგივე **პაპაშჭკორი.** მეგრულად ის მღვდლის ყმას ნიშნავს. არსებობს, ასევე, სახელები: **პაჭიკა, პაჭიკო** და ასე შემდეგ.

საპაჭკორიო უბანია ციზეთში, ზემო ქვალონის საზღვართან. იქ **პაჭკორიების** ორიოდე კომლიღა დარჩა. ასევე, არის უბანი ხეცერაში, უმპიასა და უჩაღალს შუა, სადაც პირველმოსახლენი გიორგი გვათუა და კირიბა **პაჭკორია** ერთად მოსულან ხორშიდან. ხორშიდან შემდეგაც მოსულან **პაჭკორიები**. მათ „ნაეკოხონარ“ **პაჭკორიებს** ეძახიან. **საპაჭკორიო** არის, აგრეთვე, უბანი ბიაში, საცხვიტაოში, საადამიოში. ისტორიულად ყოფილ დასახლებულ უბანში – გამოღმა, პატარა ხორგაში, **პაჭკორიებიც** ყოფილან.

ნაპაჭკორუ არის სახნავი, მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირას.

1733 წელს შედგენილ ერთ საბუთში გვხვდება გვარი **პააჭკორია**. ამ გვარით მოიხსენიებიან „ხობის საცხომარიოს“ მცხოვრებლები – გიორგი **პააჭკორია** და მისი ძმისწული – მასტიშია.

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ **პაჭკორიებს** ზანთაში უცხოვრიათ მეჩვიდმეტე საუკუნეში, ხოლო შემდეგ გადასულან საწულეისკიროში.

საქართველოში არსებულ 25 000-ზე მეტ გვარში **პაჭკორიას** 736-ე ადგილი უჭირავს.

ეს გვარი გვხვდება აბასთუმანში, ციაში, ლიაში, წალენჯიხაში, ინგირში, ეკში, ზემო ჭალადიდში, ახალსოფელში (ზუგდიდის რაიონი), ურთაში, ხორშში...

საქართველოში 1 373 **პაჭკორია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 526, სენაკში – 181, ფოთში – 164.

არიან სხვაგანაც.

ლაბაური

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი – **ლაბა**. ამავე ძირისაა გვარი **ლაბაძე**. ამ გვარიდან სიმონ **ლაბაძე** მოხსენიებულია კაცხის ტაძრის მეთერთმეტე საუკუნის წარწერაში.

ამავე ძირისაა გვარები: **ლაბაიძე, ლაბაშია, ლაბახუა, ლაბუჩიძე, ლაფაური, ლაფაჩი, ლაფაჩიშვილი.**

„ლაბაური იანვარა ცოლ-შვილით, მაგრამ უმამულოდ, უწყალობა ზურაბ ერისთავის შვილმა საამ კობიაშვილს, რომელმაც ამ წლებში მიართვა ზურაბს 41 მარჩილის ფეშქაში“ (1698 წელი).

„ბერი **ლაბაური**-მახისასშვილი შვილითა და მამულით, ბაინდურ ერისთავმა უწყალობა საამ კობიაშვილს“ (1700 წელი).

თუშეთიდან მთისწინეთში (იკოთი) გადასულებად ჩანან **ლაბაურები. ლაბაურთა** გვარიდან კი გამოსულნი არიან ჩიხაშვილები, რომლებიც ბაზალეთში, სოფელ ჩიხაანებში ცხოვრობდნენ. ორივე გვარი, **ლაბაური** და ჩიხაშვილი, საგურამოშიც ჩანს. 1781 წლის აღწერაში **ლაბაურების** წინაპრები **ლაბაურიშვილებად** არიან ჩაწერილები. იმავე აღწერიდან ირკვევა, რომ უფრო ადრე გვარის თავდაპირველი ფორმა ყოფილა **ლაფაური.**

საქართველოში 272 **ლაბაური** ცხოვრობს: მცხეთაში – 186, თბილისში – 69, დუშეთში – 6. არიან სხვაგანაც.

აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა
ნონა დათეშიძემ

რით მიიქცია რუსული საზოგადოების ყურადღება ქართველმა „პრინცესამ," - უმცროსმა ნანული შევარდნაძემ, მოსკოვის ყველაზე გლამურულ საღამოზე, ჟურნალ „ტატლერის" მიერ გამართულ მეჯლისზე

2013 წლის 21 ოქტომბერს ერთ-ერთმა რუსულმა სოლიდურმა გამოცემამ, ჟურნალმა „ტატლერმა" მოსკოვში, ძველი, ისტორიული სასახლის თაღებიან დარბაზში, ყოველწლიური მეჯლისი ჩაატარა. ეს გახლავთ სპეციალური პროექტი რუსული ელიტისთვის (იგივე ბომონდისთვის), რომელშიც ცნობილი მსახიობების, მოცეკვავეების, მომღერლების, მუსიკოსების, მხატვრების, ჟურნალისტებისა და ბიზნესმენების ოჯახებიდან ყველაზე ახალგაზრდა წევრები მონაწილეობენ. პირველივე წელს რუსულმა მედიასაშუალებებმა პროექტი წლის სოციალურ მოვლენათა სეზონის საუკეთესო პროექტად აღიარეს. წლევანდელმა დებიუტანტებმა მეჯლისისთვის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყეს, რაც თითქმის ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ეს დრო

საკმარისი იყო იმისთვის, რომ გოგონებს კლასიკური „ვალსი" შეესწავლათ და მათთვის შეკერილიყო კაბები. დებიუტანტები მოსკოვის კავშირთა სახლთან „Maserati"-ის ტიპის მანქანებით, მსოფლიოს წამყვანი მოდის სახლების – „Haute Couture" და „Chanel"-ის ძვირფასეულობითა და ბრილიანტებით მორთულები მივიდნენ. დარბაზის შესასვლელამდე მათთვის გაფენილი იყო დიდი წითელი ხალიჩა. პატარა ქართველ „პრინცესას," ედუარდ შევარდნაძის უმცროს შვილიშვილს, ნანულის, რომელზეც ყველა ლაპარაკობდა, Oscar de la Renta-ს ულამაზესი ვარდისფერი საღამოს კაბა ამშვენებდა. გოგონების გარეგნობაზე ზრუნავდნენ, აგრეთვე, მოსკოვის წამყვანი ვიზაჟისტები და სტილისტები.

ორი წლის წინ მეჯლისზე ვალერი მელაძის ქალიშვილი – ინგა მელაძე და მსახიობ არჩილ გომიაშვილის შვილიშვილი – ანასტასია გომიაშვილიც იღებდნენ მონაწილეობას. წლევანდელ მეჯლისზე 11 დებიუტანტი შეირჩა. ქართველებიდან გამოდიოდნენ მხატვარ კონსტანტინე თოთიბაძის 17 წლის ქალიშვილი და როგორც უკვე აღვნიშნე, ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, 15 წლის უმშვენიერესი ნანული შევარდნაძე. საღამოს მთავარი მასპინძლები იყვნენ ჟურნალ „ტატლერის" მთავარი რედაქტორი ქსენია სოლოვიოვა და დირიჟორი ვლადიმირ სპივაკოვი. მეჯლისის მთავარი გმირი გოგონები ოცდამეერთე საუკუნის ცეკვას მეცხრამეტე საუკუნის მეჯლისის ტრადიციის ზუსტი დაცვით ასრულებდნენ. საღამოს დასასრულს დებიუტანტებმა თავიანთ მამებთან და ახლობლებთან ერთად ჩაიკოვსკის „ყვავილების ვალსი" იცეკვეს.

ტრადიციულად, დებიუტანტებს პარტნიორობას უწევდნენ დიდი თეატრის მსახიობები. წყვილებმა შეასრულეს ყველასათვის ცნობილი შტრაუსის „ვალსი" და ნაწყეტი ოპერიდან „ევგენი ონეგინი." საღამოს მუსიკალურად აფორმებდა რუსეთის ეროვნული ფილარმონიული ორკეტრი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, დირიჟორ ვლადიმირ სპივაკოვის ხელმძღვანელობით. ეს მართლაც მშვენიერი საღამო გალა ვახშამით დასრულდა.

ნანული შევარდნაძე საფრანგეთში დაიბადა, რუსული არ იცის და, ამიტომ, საღამოზე კომენტარი ფრანგულად გააკეთა: „წარმოდგენაც არ მქონდა, რა მეჯლისი იყო. როდესაც მივხვდი, რომ მაინც მომიწევდა მოსკოვში გამგზავრება, დავიწყე ინფორმაციის ინტერნეტით მოძიება. ყველაფერი მომეწონა და წამოვედი. ბედნიერი ვარ, რომ აქ აღმოვჩნდი."

ნანული პარიზში სწავლობს. უფროსი დის, სოფოს მსგავსად, მასაც იტაცებს ჟურნალისტიკა. წელს მან სტაჟირება საფრანგეთში, „ევროპა 1-ზე" გაიარა, თუმცა, ზუსტად ასევე იზიდავს მსახიობის პროფესიაც. მისი სამომავლო გეგმები ნიუ-იორკში გამგზავრებასა და ჯულიარდის სკოლაში ან ლონდონში ხელოვნების სამეფო აკადემიაში სწავლას უკავშირდება. ჩვენ გულით ვუსურვებთ ნანული შევარდნაძეს გულის წადილის ასრულებას და ბედნიერ მომავალს!

ეკა პატარაია

როგორ გაიტაცეს და გადამალეს ტონა-ნახევარი ოქრო ქართველმა პარტიულმა ჩინოვნიკებმა

პუბლიკაციის მთავარი გმირების ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

ძალიან საშიში საიდუმლო ინფორმაცია

1987 წლის 1 აპრილს, 48 წლის ნოდარ კიკაბიძეს ზუსტად ერთი წელი გაუვიდა იმ ცამეტწლიანი სასჯელიდან, რომელიც მას პარტიული დისციპლინის დარღვევისა და გაფლანგვისთვის საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა. ნოდარი საქართველოს მთავრობის საკმაოდ მაღალჩინოსანი პერსონა გახლდათ, მსხვილ თანხებთან ჰქონდა შეხება და ის და მისი უშუალო უფროსი – კაკო ხვადაგიანი მოსკოვიდან ჩამოსულმა „კაგებეს“ ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა დააპატიმრეს, მოსკოვში ჩაიყვანეს და ყველა საგამოძიებო მოქმედება იქვე ჩაუტარეს. ხვადაგიანს თვითმფრინავში გაუსკდა გული და გარდაიცვალა, რომლის ცხედარიც, სათანადო საექსპერტო დასკვნით, სამი დღის მერე დააბრუნეს თბილისში დასასაფლავებლად. ნოდარს კი ერთთვიანი გამოძიების შემდეგ ცამეტწლიანი სასჯელი შეუფარდეს და ცენტრიდან მოშორებით, შუა აზიაში, უზბეკეთის დაბა ლენინსკში, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში უკრეს თავი. კოლონიის უფროსი პოლკოვნიკი კირილ პავლოვი იყო. ის წარმოშობით თბილისელი, დედით ქართველი გახლდათ, რუსულზე კარგად, ქართულს ფლობდა. პატიმრობის ერთი წლის თავზე, ანუ 1987 წლის 1 აპრილს, ნოდარმა კირილ პავლოვთან შეხვედრა მოითხოვა. მის კაბინეტში რომ შეიყვანეს, ქაღალზე რაღაც დაუწერა და უჩვენა, თან თითი ტუჩზე მიიდო. ქაღალდზე ქართულად ეწერა: „შეიძლება, კაბინეტი ისმინება და უსაფრთხო ადგილზე გავიდეთ“. ნოდარმა ბარათი გადაყლაპა. პავლოვმა კი პატიმარი კაბინეტის ტერასაზე გაიყვანა, სადაც დეკორატიული მცენარეები ჰქონდა და უთხრა:

– რაშია საქმე?

– კაკო ხვადაგიანი გახსოვს?

– პირადად ვიცნობდი. კარგი კაცი იყო და როგორც ვიცი, თვითმფრინავში გაუსკდა გული.

– კი. ჩემ თვალწინ მოკვდა, როცა მოსკოვში მივყავდით. კაკოს ტონა-ნახევარი პარტიული ოქრო უნდა გადაეტანა შვეიცარიის ბანკში, რომელიც თბილისში, სპეცსაცავში ინახებოდა. ჩვენ კი ის მოვტეხეთ და ძალიან საიმედოდ გადავმალეთ. პერესტროიკა ბლეფია და ის საბჭოთა კავშირის დასაშლელადაა მოფიქრებული. ამიტომ, მთელი პარტიული ოქრო და სხვა ქონება უცხოეთში გაავქვთ. ამისთვის სპეციალური საიდუმლო ორგანიზაცია შექმნეს და კაკოც მისი წევრი იყო. მე რომ ეს ამბავი ვიცი, არავინ იცის შენ გარდა. სროკზე კი იმიტომ გამიშვეს, რომ ცენტრს მომაშორეს, ყოველი შემთხვევისთვის. რომ იცოდნენ, ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილია, მაშინვე გამაქრობდნენ.

– რას როშავ?

– არაფერს. ახლა შენც დარტყმის ქვეშ ხარ. ამიტომ, აქედან უნდა გამაქციო. „პოლნი ნილში“ ხარ და 750 კილოგრამი ოქრო შენია.

– რაებს როშავ, თბილისელი მაინც არ იყო. როგორ ფიქრობ, დამაბოლებ?

– არანაირი დაბოლება. უკვე ერთ უღელში

ვართ. შენ ისეთი საშიში საიდუმლო ინფორმაცია იცი, რომ გაგანადგურებენ. ამიტომ, ენას კბილი დააჭირე და არავისთან არაფერი თქვა, ჩემი სიტყვების დასტურად კი, თბილისში ჩადი ამა და ამ მისამართზე, ეს ჩემი სათადარიგო სახლია და საიდუმლო სეიფში ორი ცალი ათკილოგრამიანი ზოდი დევს. ზოდებს საბჭოეთის ღერბი აქვს და 148 ცალი ასეთი ზოდი გადავმალეთ მე და კაკომ. ოქროს ხელი არ ახლო, რომ შემთხვევით არ დაიწვა, ან რად გინდა თან. იქ 100 ათასი მანეთიცაა და ნახევარი დატოვე, რომ როცა აქედან გამიყვან, სამოძრაო ფული მქონდეს, მეორე ნახევარი კი შენია.

ორგანიზაცია „სოიუზი“

საიდუმლო ორგანიზაცია „სოიუზის“ (კავშირი) შესახებ პირველი მწირი ცნობები 2006 წელს გამოჩნდა რუსულ პრესაში. შემდეგ კი მასზე უფრო ფართომასშტაბიანი ინფორმაცია გავრცელდა და ახლა უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სწორედ ამ ორგანიზაციამ გადამალა ეგრეთ წოდებული პარტიული ოქრო სხვადასხვა ადგილზე, რომ შემდგომ კვლავ ძველი მიზნებისთვის, საბჭოთა კავშირის აღდგენისთვის გამოეყენებინათ. საქმე კი ის იყო, რომ უკვე 1986 წელს, ანუ გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ დაწყებიდან ერთი წლის თავზე, „კაგებეს“ ეგრეთ წოდებულმა „საბჭოთა პატრიოტთა“ ჯგუფმა უკვე ზუსტად იცოდა, რომ გორბაჩოვი ქვეყანას ძლიდა და პარტიული ქონების გატანა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ 1987 წელს საბჭოთა კავშირი საკმაოდ მყარად იდგა ფეხზე, „სოიუზელებმა“ გადაწყვიტეს, ხელი არ შეეშალათ ამ პროცესისთვის და მომავლისთვის დაეჭირათ

გაქცეულებს დღემდე უშედეგოდ ეძებს „ფემესი“ და მათ კვალს ვერსად მიაგნეს

თადარიგი. ერთ-ერთ საიდუმლო შეკრებაზე, რომელიც 1987 წლის იანვარში შედგა, „სოიუზის“ ერთ-ერთმა მთავარმა წევრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ივან მატიუშკინმა თანამოაზრეებს უთხრა:

– ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია გორბაჩოვისა და შევარდნაძის ლიკვიდაცია და ამ პროცესის შენელება, მაგრამ მხოლოდ შენელება. საბჭოეთი მაინც დაიშლება და ჩვენ რომ ამ პროცესის ხელის შეშლას შევუდგეთ, შეიძლება, ქვეყანა ვეღარ აღდგეს. ამიტომ, პერესტროიკა, დაე, გაგრძელდეს, საბჭოთა კავშირი დაიშალოს და მართლა ამას ბევრი გლობალური მასშტაბის უბედურება მოჰყვება, მაგრამ, სწორედ ეს ფაქტი ითამაშებს უმთავრეს როლს ყოფილი საბჭოთა სივრცის აღდგენაში და მომავალში უფრო ძლიერი, სუპერმოდერნიზებული სივრცე გვექნება, რომელსაც უკვე ვეღარაფერი დაშლის.

მატიუშკინი 1993 წელს გარდაიცვალა მოსკოვში და დიდი პატივით დაკრძალეს. თუმცა, ამ პროცესს არც ერთი იმჟამინდელი მოქმედი ხელისუფალი არ დასწრებია. „სოიუზი“ 1986-1993 წლებში იყო სახელმწიფო სახელმწიფოში და სწორედ მათ შეუშალეს ხელი ამერიკელებს და მათ მოკავშირეებს რუსეთი მიწასთან რომ არ გაესწორებინათ. სწორედ ორგანიზაცია „სოიუზის“ მითითებით იქნენ დაპატიმრებულები კაკო ხვადაგიანი და ნოდარ კიკაბიძე.

კორექტირებული გეგმა

1987 წლის 12 აპრილს კირილ პავლოვი თბილისში გადაფრინდა, 15 აპრილს კი უკან დაბრუნდა და ნოდარს უთხრა:

– დავრწმუნდი, რომ აბსოლუტურ სიმართლეს ამბობ. თანახმა ვარ, ვიჩალიჩოთ, მაგრამ ეს საქმე ძალიან დახვეწილად უნდა ჩავატაროთ, რომ თავები არ ნაგვაცალონ.

– გეთანხმებით. აბა, გისმენთ.

– მოკლედ ასე, ნოდარ – მე ცოლი და ორი შვილი მყავს, შენც – ასევე. გეგმის პირველ ეტაპზე ჩვენი ცოლ-შვილი უნდა გავხიზნოთ უცხოეთში. ახლა ტურისტული ვოიაჟები ძალიან ადვილია და ჩვენებს საგზურებით გავუშვებთ ერთდროულად, შეიძლება, ერთადაც კი. შემდეგ შენ აქედან გაგიყვან და ისე მოვაწყობ, რომ ერთი კვირა ეს არავის ეცოდინება. შენ ამ პერიოდში ოქრო უნდა გაიტანო ქვეყნიდან, ჩემი გაქცევის ხაზი გაჭრა და ყველანი სამშვიდობოზე შევხვდებით ერთმანეთს.

– გეგმის პირველი ნაწილი კარგია, მეორე ნაწილის მეორე ნახევარი კი არ ვარგა. გამორიცხულია, რომ ტონა-ნახევარი ოქრო ერთდროულად გაიტანო ქვეყნიდან. ამიტომ, ჩვენს გეგმაში კორექტივები უნდა შევიდეს.

– რა კორექტივები?

– ოთხივემ გარეგნობები უნდა შევიცვალოთ.

– კონკრეტულად?

– ჯერ ჩვენმა ცოლებმა უნდა გაიკეთონ პლასტიკური ოპერაციები, შემდეგ კი მე და შენ. წინაალმდეგ შემთხვევაში, „კაგებე“ მინიდან ამოგვთხრის.

– საიმედო ქირურგს იცნობ?

– კი. უცხოეთში მყავს ასეთი. მე და კაკოს ანალოგიური გეგმა გვქონდა შემუშავებული და თადარიგი წინასწარ დავიჭირეთ. უბრალოდ, მას ცოლ-შვილი არ ჰყავდა და მხოლოდ სამს გვიწევდა ოპერაციის გაკეთება.

– ბავშვები?

– ბავშვებს ისეთ საიმედო ადგილზე გადავმალავთ, რომ ოპერაცია არ დასჭირდებათ. 4-5 წელიწადში კი თავადვე, ბუნებრივად შეიცვლიან გარეგნობას.

– თანახმა ვარ. ახლა ვადები დავაზუსტოთ.

– ჯერ მოიცა. ახლა ოქროზე ვთქვათ: ერთ ჯერზე, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, ოთხი ზოდის, ანუ 40 კილოზე მეტის გატანა არ შეგვიძლია და ეს არცაა საჭირო. ამიტომ, ზოდები ნელ-ნელა უნდა ვზიდოთ.

– ვზიდოთ. ახლა თარიღზე მოვილაპარაკოთ.

– თარიღიც მოფიქრებული მაქვს. ჩვენები სამთვიანი მსოფლიო კრუიზით სოჭიდან გავლენ საოკეანო ლაინერით – 4 მაისს. 18 მაისს კი ისინი აი, ამ ქვეყანაში ჩავლენ და დაიმალებიან. 19 მაისს მე გავდივარ ციხიდან და 26-მდე ვაგვარებ გასასვლელი ხაზის ამბებს. 26-ში კი ღამით აი აქ, ვხვდებით ერთმანეთს და გავრბივართ.

– გასაგებია.

დიდი გაქცევა

ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა და კიკაბიძემ და პავლოვმა თავიანთი ოჯახები უცხოეთში გაიყვანეს. შემდეგ, 1987 წლის 19 მაისს, ვითომ და კარცერში ჩასმული ნოდარ კიკაბიძე, პოლკოვნიკმა პავლოვმა ზონიდან გააპარა. იმ პერიოდში „კაგებე“ ჯერ კიდევ თითქმის ყოვლისშემძლე იყო და მას „სოიუზი“ აკონტროლებდა. ამიტომ 30 მაისს, უშიშროების ანალიტიკურმა სამსახურმა დაასკვნა, რომ კიკაბიძე და პავლოვი შეთანხმებულები იყვნენ და ჯერ ოჯახები გააპარეს ქვეყნიდან, შემდეგ კი თავადაც გაიქცნენ. თუმცა, რაში იყო საქმე, მხოლოდ „სოიუზელი” გენერალი მატიუშკინი მიხვდა, რომელსაც იმ დროს „კაგებეში“ მაღალი თანამდებობა ეკავა. ამიტომ, სასწრაფოდ დაავალა ძებნის სამსახურს კიკაბიძისა და პავლოვის მოძებნა.

ნოდარ კიკაბიძე და კირილ პავლოვი „კაგებემ“ ვერ იპოვა და დიდი ალბათობით მათ „ფეეესბეეც“ ეძებს. თუმცა, მათი აღმოჩენა ვერ მოხერხდა...

P.S. როგორც თანამედროვე მსოფლიო მედია იუწყება, საიდუმლო ორგანიზაცია „სოიუზი“ დღესაც ფუნქციონირებს. თუმცა, გავლენა შეუმცირდა, რადგან მისი წევრების დიდი ნაწილი ამჟამინდელი რუსეთის მმართველ ელიტაშია და უკვე ლეგალურად ახორციელებენ თავიანთ მიზნებს.

ნიკა ლაშაური

ეჭვიანობის გამო ცოლმა ქმრის დანაშაულებები გამოააშკარავა

თბილისის და ერთ-ერთი რეგიონალური პოლიციის ერთობლივმა ოპერატიულმა ჯგუფმა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ოთხკაციანი, კარგად ორგანიზებული და ღრმად კონსპირირებული დანაშაულებრივი ბანდა დააპატიმრა. ბანდის არც ერთი წევრი არ ყოფილა წარსულში ნასამართლევი, თითოეულ მათგანს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული და საკმაოდ მაღალანაზღაურებად სამსახურებში მუშაობდნენ. შეიარაღებული ბანდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში ყაჩაღობდა და თითქმის ორი წლის განმავლობაში მოუხელთებელი იყო. ისინი, კარგად შემუშავებული, წინასწარი გეგმით მოქმედებდნენ და ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩებოდნენ მოუხელთებელნი, რომ არა ანზორ ყ-ძის ეჭვიანი ცოლი, ჟანა, რომელმაც დახმარებისთვის უბნის ინსპექტორს, უმცროს ლეიტენანტს კობა ა-ძეს მიმართა. პოლიციელმა კობა ა-ძემ თბილისელებთან კონფიდენციალურ საუბარში შემდეგი განაცხადა: „ყ-ძეების ოჯახი, ჩემდამი რწმუნებულ უბანზე სამაგალითო იყო და მათთან საკმაოდ თბილი ურთიერთობები მქონდა დამყარებული. მე და ქალბატონი ჟანა წარმოშობით ერთი რაიონიდან ვართ და ამან უფრო დაგვაახლოვა. ერთხელ, ჟანამ დამირეკა, ოჯახში მისვლა მთხოვა და რომ მივედი, მითხრა:

– იცი, კობა, რომ ანზორი მღალატობს? ამ ბოლო დროს უკიდურეს ცვლილებებს ვატყობ. თვე ისე არ გავა, მანქანას არ მოაჯდეს და 2-3 დღით სადმე არ გაქუსლოს. უკან რომ ბრუნდება, ყოველთვის კარგ ხასიათზეა და დარწმუნებული ვარ, საყვარელთან ატარებს დროს. თუ ჩემი ძმა ხარ, იქნებ მისი საყვარლის ვინაობა დამიდგინო. მივალ, ვნახავ და შევევედრები, ოჯახი არ დამინგრიოს.

ჟანა, შემეცოდა და დავპირდი, რომ რამეს მოვიფიქრებდი, თუმცა ჯერ არ ვიცოდი, რა უნდა მომემოქმედა. იმავე საღამოს, უკვე სამსახურიდან წამოვედი და ჩემს საცოლეს უნდა შევხვედროდი, რომ მანქანაში მჯდომი ანზორ ყ-ძე დავინახე. შუქნიშანთან იყო გაჩერებული და კიდევ სამი მამაკაცი ეჯდა მანქანაში. შეიძლება, ამ ფაქტისთვის ყურადღება არც კი მიმექცია, რომ არა ერთი საეჭვო გარემოება. ანზორი „ფოლკსვაგენ გოლფს“ მართავდა, თავად კი „მერსედესი“ ჰყავდა. თანაც, ჟანას თქმით, ის ბათუმში უნდა ყოფილიყო. დამაეჭვა მისმა კომპანიონებმაც, რადგან, თუ ის ცოლს ატყუებდა და მართლაც საყვარელი ჰყავდა, მაშინ კაცებთან ერთად რა უნდოდა. ერთი სიტყვით, მე „ფოლკსვაგენის“ ნომერი დავიმახსოვრე, იმავე დღეს გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ მანქანა გატაცებული იყო. იმავე ღამეს, ყაჩაღობა მოხდა ერთ-ერთი მოქალაქის ბინაში, საიდანაც 11 ათასი ევრო და ძვირფასი სამკაულები წაიღეს. ჩემმა კოლეგებმა კი დაადგინეს, რომ მძარცველები სწორედ იმ „ფოლკსვაგენით“ მიიმალნენ, რომელსაც ანზორ ყ-ძე მართავდა და შემდგომ მიაგდეს. ამის მერე, ანზორ ყ-ძეზე ოპერატიული თვალთვალი დაწესდა და შეიარაღებული ბანდა ერთი გასროლის გარეშე აიყვანეს“.

კრიმინალური დაჯგუფების დაკავების სპეცოპერაციის ზოგიერთ დეტალზე ამ სპეცოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პოლიციის კაპიტანი გივი ჯ-აძე მოგვითხრობს: „როდესაც ჩვენმა უწყებამ ანზორ ყ-ძეზე მიიღო ინფორმაცია კობა ა-ძისგან, ყ-ძე ოპერატიულ დამუშავებაში მოჰყვა. ანუ, ჩვენ მისი პიროვნების შესწავლას მივყავით ხელი და მასზე თვალთვალი დავაწესეთ. სიმართლე რომ გითხრათ, როცა ყ-ძის დოსიეს ვსწავლობდით, ეჭვიც კი შევიტანეთ ჩვენი კოლეგის ა-ძის ინფორმაციაში. რადგან ანზორ ყ-ძეს უმწიკვლო რეპუტაცია, ბრწყინვალე ბიოგრაფია ჰქონდა და ყველა საუკეთესოდ ახასიათებდა. გარდა ამისა, ყ-ძე ერთ-ერთი სამშენებლო შპს-ს თანამფლობელი იყო, სამი საცხოვრებელი სახლი ჰქონდა აშენებული, გადასახადებს დროულად იხდიდა და ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. მოსამართლემ, რომელსაც ყ-ძეზე ფარული მოსმენის და თვალთვალის სანქცია ვითხოვეთ, თავიდან უარის თქმაც კი დააპირა სანქციის გაცემაზე, როდესაც ამ კაცის დოსიეს გაეცნო, მაგრამ შევიტყვეთ, რომ მეწარმე იური პ-შვილის ოჯახზე აპირებდნენ თავდასხმას. იქ 100 ათასი ევრო ეგულებოდათ. ყაჩაღური თავდასხმა საკმაოდ კარგად იყო მოფიქრებული და ბანდიტები პ-შვილის ოჯახში „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომლების სახელით უნდა შესულიყვნენ, ვითომ მოსალოდნელი ავარიის პროფილაქტიკის მიზნით. პ-შვილი, რა თქმა უნდა, წინასწარ გავაფრთხილეთ და მისი ოჯახი სახლიდან გავიხიზნეთ. როდესაც ბანდიტები დღის 2 საათზე, კარგად შეიარაღებულები ეწვივნენ მეწარმე იური პ-შვილის სახლს, იქ ჩვენ დავხვდით და ერთი გასროლის გარეშე, ადგილზევე განვაიარაღეთ"...

ორთვიანი გამოძიების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის წევრებს, საქართველოს 16 სხვადასხვა ადგილზე 30 დანაშაულებრივი ეპიზოდი დაუმტკიცდათ. თუმცა, ისინი მხოლოდ მეწარმე იური პ-შვილზე ყაჩაღობის მცდელობას აღიარებენ და დანარჩენს უარყოფენ. მიუხედავად ამისა, ბანდიტები 50-ზე მეტმა დაზარალებულმა ამოიცნო, რომელთა ოჯახებშიც ისინი ყაჩაღურად მოქმედებდნენ. ბანდამ, დაყაჩაღებულ მოქალაქეებს 650 ათასი დოლარის ზარალი მიაყენა. მაგრამ, საქმეში არც ერთი გაძარცვული ნივთი არაა და სავარაუდოდ, ეს ნივთები მძარცველებმა ჯერ ფულად აქციეს, შემდეგ კი სამშენებლო შპს-ში ჩადეს, რომლის ერთ-ერთი თანამფლობელიც ანზორ ყ-ძეა.

ანზორ ყ-ძის ადვოკატი, თამაზ კ-ია კატეგორიულად უარყოფს თავის დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაულს და ამბობს: „ანზორი დანაშაულში ჩაითრიეს, თანაც უნებლიედ, მოტყუებით. მას უთხრეს, რომ ნაძლევი ჰქონდათ დადებული და პ-შვილი უნდა გაეშაყირებინათ. სწორედ ამიტომ ჩაიცვა უნიფორმა, ხოლო ავტომატი კი სათამაშო ეგონა. რაც შეეხება შპს-ში მისი წილის გაყიდვას და გაძარცვულთა ზარალის ანაზღაურებას, ეს არნახული რამაა. არსად არ ჩანს, რომ ყ-ძეს ეს წილი კრიმინალური ფულით აქვს მოპოვებული...“

ერთ-ერთი სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, ათიოდე დაზარალებულმა ყ-ძის ადვოკატი თამაზ კ-ია სცემა და ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, თუკი ის კვლავაც განაგრძობდა ყაჩაღის დაცვას. ამ შემთხვევას ორი დაზარალებულის დაკავება მოჰყვა, რომლებიც გირაოს შედეგად გაათავისუფლეს...

დაზარალებულთა ადვოკატი, ნონა კ-ძე ისევე, როგორც ყ-ძის ადვოკატი, სასამართლოზეა განაწყენებული და ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ბანდიტების დანაშაული სრულადაა დამტკიცებული და აშკარაა, რომ სამშენებლო შპს, რომლის წილი ყ-ძეს ეკუთვნის, ნაძარცვი ფულითაა ნაყიდი, მოსამართლეები არც კი ფიქრობენ მის კონფისკაციას და ზარალის ანაზღაურებას. ამით ქართული თემიდა ბოროტმოქმედებს შპს „კრიმინალის“ შექმნაში უწყობს ხელს, რაც ამ ბანდიტებმა მშვენივრად განახორციელეს“.

მოსამართლე ნინო ქ-ავამ კომენტარზე უარი განაცხადა, რაც პროცესის მსვლელობით ახსნა და გვირჩია, მის დასრულებას დაველოდოთ.

ნიკა ლაშაური

რა მოხდა ამ დღეს

6 იანვარი

1389 – დაარსდა კიოლნის უნივერსიტეტი, დღესდღეობით უდიდესი გერმანიაში.

1681 – პირველად აღწერეს კრივის მატჩი ინგლისში.

1838 – სამუელ მორზემ პირველად წარადგინა თავის ტელეგრაფის აპარატი.

1929 – პირველად მაღაზიებში გასაყიდად გამოვიდა რძე ქაღალდის პაკეტებით.

1939 – ბერლინში ოტო ჰანმა და ფრიც შტრასმანმა განაცხადეს მათ მიერ თბერი ნეიტრონებით ურანის ბირთვების გახლეჩის აღმოჩენის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო ბირთვული ბომბის ტექნოლოგიას.

1964 – ინგლისმა და საფრანგეთმა მიაღწიეს შეთანხმებას ლა-მანშის ქვეშ გვირაბის მშენებლობის დაწყებაზე.

7 იანვარი

1610 – გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის პირველი თანამგზავრები: იო, აგინმედე და ევროპა.

1887 – სანფრანცისკოელმა თომას სტივენსმა დაასრულა პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო ველოსიპედით, დაწყებული 1884 წლის აპრილში.

1914 – პირველმა გემმა გაცურა ჯერ კიდევ ოფიციალურად გაუხსნელ პანამის არხში.

1949 – გამოქვეყნდა გენების პირველი ფოტოსურათი.

8 იანვარი

1958 – 14 წლის ბობი ფიშერი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ჭადრაკში.

9 იანვარი

1799 – ინგლისში მსოფლიოში პირველად შემოიღეს მოგების გადასახადი.

1816 – ქვანახშირის მაღაროებში პირველად გამოიყენეს უსაფრთხო ნათის სანათები.

1951 – ნიუ-იორკში გაიხსნა გაეროს შტაბ-ბინის შენობა.

10 იანვარი

1966 – გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი: „ლენინის მოედანი – დიდუბე“.

1993 – იტალიაში სპეციალური კანონით აიკრძალა სექსი ავტომობილის ტარებისას.

11 იანვარი

1798 – გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე.

1879 – დაიწყო ინგლის-ზულუსების ომი სამხრეთ აფრიკაში.

1909 – ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა ქალთა პირველი ავტორბოლა.

1963 – ლოს-ანჯელესში გაიხსნა მსოფლიოში პირველი დისკოთეკა – Whisky-A-Go-Go.

1984 – პირველად მუსიკის ისტორიაში ალბომის გაყიდვამ გადააჭარბა 10 მილიონ ეგზემპლარს – ეს იყო მაიკლ ჯექსონის The Triller.

12 იანვარი

1910 – წყვილი ჩინეთიდან გახდა ყველაზე ახალგაზრდა დედ-მამა: ბიჭი იყო 9 წლის, გოგო – 8-ის.

1928 – რუს სანიდერი გახდა პირველი ქალი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ელექტრულ სკამზე.

1932 – არკანზასელი ჰეტი კარაუეი იყო პირველი ქალი, რომელიც გახდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრი.

1970 – შედგა სილვესტერ სტალონეს კინოდებიუტი... პორნოგრაფიულ ფილმში.

ვეტერინარის რჩევები

რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

კითხვა: ბეწვის ცვენასთან თუ აქვს რაიმე საერთო ძაღლის ბანაობის სიხშირეს?

პასუხი: რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, რა სიხშირითა და რა საშუალებებით ხდება ცხოველის დაბანა, გაწმენდა და დავარცხნა. დღევანდელ პირობებში არსებობს ბეწვის მოვლისა და დამუშავების უამრავი საშუალება, მაგრამ, ამ საშუალებებიდან უნდა შეირჩეს ისეთები, რომლებიც ხარისხიანია და არ გამოიწვევს ალერგიულ რეაქციებს, კანის გამოშრობასა და ბეწვის დაზიანებას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძაღლის დასაბანად ადამიანის შამპუნის გამოყენება. ბეწვის ცვენა ხშირად გამოწვეულია ჰორმონული დისბალანსის დროს. ჰორმონული პრეპარატების ხშირმა გამოყენებამ, შეჯვარების პერიოდის გამოტოვებამ, არასწორმა კვებამ, შეიძლება, გამოიწვიოს ჰორმონული დისბალანსი, რაც, თავის მხრივ, აისახება ბეწვის საფარველზე და იწვევს მის ცვენას. ბეწვის ცვენა ახასიათებს ძაღლებს, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ იმუნიტეტი. ასეთებს განეკუთვნებიან ისინი, რომლებმაც გადაიტანეს მძიმე ინფექციური დაავადებები, მათ შორის – ვირუსული; ასევე, მძიმე ოპერაციები; ასევე, ის ჯიშები, რომლებიც გამოყვანილია ახლონათესაური შეჯვარებით. როცა ბეწვის ცვენა ლინკის პერიოდს არ ემთხვევა და ხასიათდება ბუდობრიობით, აუცილებლად უნდა მიიყვანოთ ძაღლი ვეტერინართან. გახსოვდეთ, მკურნალობისთვის აუცილებელია იმის მიზეზის დადგენა, რაც ცვენას იწვევს. უმეტეს შემთხვევაში, საჭიროა დაზიანებული უბნიდან აღებული კანის ანაფხეკის ლაბორატორიული გამოკვლევა, რისი საშუალებითაც დაისმევა სწორი დიაგნოზი. იმისათვის, რომ თქვენს ძაღლს თავიდან ააცილოთ ბეწვის ცვენა, აუცილებელია, მისი სწორად კვება, საჭირო ვიტამინებისა და მიკროელემენტები მიცემა. გარდა ამისა, ის აუცილებლად უნდა დაამუშაოთ პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატებით, ხოლო, გადატანილი მძიმე დაავადების ან ოპერაციის შემდეგ აუცილებლად ჩაუტაროთ იმუნოსტიმულირების კურსი.

კითხვა: მაინტერესებს აქვს თუ არა მნიშვნელობა შამპუნის შერჩევისას ძაღლის ბეწვის ფერს?

პასუხი: რა თქმა უნდა. სასურველია შამპუნი ძაღლის ბეწვის ფერისა და ბეწვის ზომიდან გამომდინარე შეირჩეს. თუ ჩვენ შავბეწვიან ძაღლს ღია ფერის ძაღლებისთვის განკუთვნილი შამპუნით დავბანთ, ხშირ შემთხვევაში, იცის ქერტლის გამოწვევა, სიბზინვარის დაკარგვა და ასე შემდეგ. შამპუნის შერჩევისას ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოთ ცხოველის ალერგიულობას. ძაღლი, რომელსაც ალერგიისკენ აქვს მიდრეკილება, სასურველია, მხოლოდ ალერგიის საწინააღმდეგო შამპუნით დაბანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანაობის შემდეგ, შეიძლება, საკმაოდ მძიმე შედეგი მიიღოთ. არ არის რეკომენდებული ძაღლის ხშირი დაბანა, შემდეგ კი, ყოველდღე, ორ დღეში ერთხელ ან კვირაში ერთხელ ის სველი ხელსახოცით უნდა გაიწმინდოს, ან მოხდეს მისი დაბანა მშრალი შამპუნით. ეს დამოკიდებულია იმაზე, სად და რა პირობებში ცხოვრობს ძაღლი და რამდენად ხშირად ისვრება ის.

მოამზადა
მარიკა ხიდურელმა

ფლორის სამყაროში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: რთული მოსავლელია თუ არა აგავა და როგორ პირობებში შეიძლება მისი გახარება?

პასუხი: აგავა ძალიან გამძლე მცენარეა. ყველაზე კარგად ნათელსა და თბილ გარემოში ხარობს. მთელი წლის განმავლობაში სინათლე არ მოაკლოთ. ეს მცენარე ზამთრის დაბალ ტემპერატურას – 5-6 გრადუსსაც იტანს. მთავარია, მშრალ ადგილას იდგეს. აქტიური ზრდის პერიოდში მორწყეთ რეგულარულად, ზამთარში მიწა მთლიანად არ გამოაშროთ. მას განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება და პრობლემებს არ შეგიქმნით.

კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე დავდგათ ალოკაზია?

პასუხი: ეს მცენარე მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს, მაგრამ გაბნეული შუქი არ მოაკლოთ. ზამთარში ტემპერატურა მინიმუმ 15-18 გრადუსზე უნდა იყოს, ზაფხულში კი იდეალურია 20-25 გრადუსი. მას მუდმივად ტენი და სითბო სჭირდება. მოზრდილ ალოკაზიას ფოთლები სიგრილეში სცივა, თუმცა თუ ოთახის ტემპერატურა მოიმატებს, ფესურადან ახალი ფოთლები ამოუვა. მისთვის საუკეთესო ადგილი ნათელი სააბაზანოა.

კითხვა: როგორ და რა პირობებში მოვუარო ქლოროფიტუმს?

პასუხი: გაზაფხულიდან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში, მიწა ტენიანი უნდა იყოს. ამ დროს, ორ კვირაში ერთხელ, მიწის ბალანსირებული, თხევადი სასუქით განოყიერება ქლოროფიტუმს სიჯანსაღეს შეუნარჩუნებს. ზამთარში, დასვენების პერიოდში, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა – 18-24 გრადუსი მაინც უნდა იყოს, ზამთარში კი, მინიმუმ 8 გრადუსი. ფოთლების სიხასხასის შესანარჩუნებლად მცენარე დადგით ნათელ ადგილას, ოღონდ მწველ მზეს მოარიდეთ. მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა მცენარის გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავისფრებული ბოლოები წააჭერით. ქლოროფიტუმი კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

კითხვა: გამძლეა თუ არა სოლია და როგორ პირობებში ხარობს ის უკეთ?

პასუხი: სოლია გამძლე მცენარეა და 2-3 გრადუს ტემპერატურასაც იტანს. მოსწონს მზის გულზე ყოფნა. ზაფხულში საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, მორწყვაც უნდა შეამციროთ. ორ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. დიდი მცენარე კარგად უნდა გასხლათ და გაზაფხულზე გადარგოთ, რათა კომპაქტურობა და სიჯანსაღე შეინარჩუნოს. მისთვის უკეთესია, თუ საკიდ კალათში მოათავსებთ და ზამთრის ბაღში დადგამთ.

კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო სედუმი?

პასუხი: ეს მცენარე საკმაოდ იოლი მოსავლელია. თუ გსურთ, რომ კომპაქტურობა შეინარჩუნოს, დადგით მზის გულზე. ზამთარში კარგი განათება სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში. იტანს გრილ ზამთარს, ოღონდ არანაკლებ 10 გრადუსისა.

მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მეევლუდ მელაძე

კითხვა: მყავს 1998 წლის გამოშვება „ოპელ ასტრა G", 2-ლიტრიანი „ეკოტეკ-ის" ძრავით. ზოგიერთი ობივატელისა რა მოგახსენოთ, რომლებიც „ოპელის" მარკის მანქანებს აუგად მოიხსენიებენ, მე კი ჩემს მანქანაზე შეყვარებული ვარ. 2000 წელს ის პარიზიდან წამოვიყვანე და, აგერ უკვე 13 წელიწადია, არსად და არაფერში უღალატია ჩემთვის. ისე, შემიძლია, დავიკვეხნო, რომ მოვლა-პატრონობას ნამდვილად არ ვაკლებ – ყოველთვის ყველაფერს გრაფიკის მიხედვით ვცვლი და ვაკეთებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ორი-სამი თვეა, თავი იჩინა პრობლემამ, რომელიც ვერანაირად ვერ გადავჭერი. საქმე შემდეგშია: ძრავას თავისუფალ რეჟიმში მუშაობისას (ეგრეთ წოდებული „ხალასტოი ხოდ") ძალზე ხშირად ტაქომეტრზე ბრუნვათა რაოდენობა მკვეთრად ვარდება 800-დან 300-400-მდე და ძრავას ეწყება დეტონაცია. ეს მეორდება სამ-ოთხჯერ და ჩემ მიერ აქსელერატორით ბრუნვების მომატების შემდეგ ყველაფერი ნორმაში დგება. ხელოსნების მთელი არმიის მოვლისა და კონსულტაციების შედეგად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს ყველაფერი არის გამანაწილებელი მუხლანა ლილვის ამკრები ხელსაწყოს (დატჩიკის) ბრალი. ხელოსნების ამ დასკვნას არ ვეთანხმები, რადგან, „დატჩიკი" მუშაობს ან არ მუშაობს და იმ რეჟიმში, როგორც ჩემი მანქანის ძრავა იქცევა, მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ვერ მოიქცეოდა. მიუხედავად ამისა, დავიწყე აღნიშნული „დატჩიკის" მოძიება როგორც ქუთაისის ქუჩაზე მდებარე მაღაზიებში, ასევე, ელიავაზე, „დაშლილებში". ჩემი დიდი მონდომების მიუხედავად, აღნიშნული დეტალი ვერსად მოვიძიე. გთხოვთ, აღმომიჩინოთ დახმარება და გამიწიოთ კონსულტაცია, როგორ გადავჭრა ჩემი ძრავის პრობლემა?

პასუხი: თქვენი პრობლემა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს სამი სხვადასხვა ძირითადი მიზეზით, რომლებიც კიდევ ცალკე იყოფა ქვეპუნქტებად და ჭკვიანი ხელოსანი გამორიცხვის მეთოდით მას აუცილებლად მიაგნებს. დიაგნოზის დასმის სირთულეს ის წარმოადგენს, რომ ავტომობილში პრობლემა პერიოდულად, თუნდაც ხშირად, იჩენს თავს და არა მუდმივად. ძრავა რომ მუდმივად ასეთ უჩვეულო რეჟიმში მუშაობდეს, მიზეზს ხელოსნები იოლად იპოვიდნენ. რაც შეეხება მიზეზებს: პირველი მიზეზი – რაღაც მომენტებში ელექტროსისტემის რომელიღაც დეტალი არასწორ სიგნალს გადმოსცემს ან არასწორად იღებს სიგნალს. ასეთები შეიძლება იყოს: პირველი – სენსორი, რომლის შესახებაც უკვე გითხრეს და, არ არის გამორიცხული, რომ ის სიგნალს პერიოდულად კარგავდეს; მეორე – კომპიუტერი, რომელიც ათვლილ სიგნალს იღებს, ამუშავებს და გადასცემს შემსრულებელ სისტემებს; მესამე – შემსრულებელი სისტემებიდან რომელიმემ, მაგალითად, ბაბინამ ან ყველაზე პრიმიტიულმა სანთელმაც კი, შეიძლება, წარმოქმნას ეს პრობლემა; მეორე – მსგავსი პრობლემა შეიძლება გამოწვეული იყოს საწვავის მიწოდების სისტემიდან, ვგულისხმობ, როგორც სისტემაში წნევის გამანაწილებელ მოწყობილობებს („ბენზონასოსი", „აბრატნი კლაპანი" და სხვა), ისე ვაკუუმისა და ელექტრობის მეშვეობით ბრუნვათა რიცხვის მაკონტროლებლებს, როგორიცაა „ხალასტოი ხოდის" მარეგულირებელი, ვაკუუმზე მომუშავე სხვა სტაბილიზატორები; შემდეგი კი, შეიძლება იყოს წმინდა მექანიკური მიზეზი, ისეთი, როგორიცაა ძრავას ზედა ნაწილში („გალოვკა") სარქველების („კლაპნების") არაჰერმეტულად დახურვა, რისი შანსიც, ზოგადად, ნაკლებია, მაგრამ, არსებობს. პრობლემა ის არის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გადამოწმებასა და დიაგნოზის დასმას, სხვადასხვა მიმართულების ხელოსნების კომპლექსური მუშაობა სჭირდება, თან, მათ დასჭირდებათ დრო, რომ რამდენჯერმე მოახერხონ კომპიუტერზე შეერთებული ავტომობილის ბრუნვათა ვარდნის და დეტონაციის „გამოჭერა." ამის საშუალება დღესდღეობით მხოლოდ „თეგეტა მოტორსშია." თუ მიხვალთ, იკითხეთ ხელოსანი ტოლიკა და სთხოვეთ, რომ სწორედ მან დაიწყოს პრობლემის ძიება. მსგავსი პრობლემების აღმოფხვრაში მას დიდი გამოცდილება აქვს.**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

კითხვა: მსურს, შევიძინო 2005 წლის „ჰამერ H2," V8 6.0 ძრავით, იქნებ, მითხრათ, რა პლუსები და მინუსები აქვს ამ ავტომობილს; ასევე მაინტერესებს „შევროლე ტაჰო", 2008 წლის, V8 5.3 მოცულობის ძრავით. თქვენ რომლის შეძენას მირჩევთ?

პასუხი: ალბათ, მაინც უფრო „ჰამერს" გირჩევდით რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, რომ საქართველოში ის უფრო მიღებული და პრესტიჟულია. მიუხედავად იმისა, რომ „ტაჰო" უფრო თანამედროვედ გამოიყურება, ჩვენს რეალობაში „ჰამერს" თავისი ადგილი აქვს; მეორე, იმიტომ, რომ, როგორც „ჯიპი", გამავლობაში იქნება ეს თუ ნებისმიერ სხვა „ჯიპურ" თვისებებში, „ტაჰო" „ჰამერთან" ახლოსაც ვერ მოვა და, მესამე – ადრე თუ გვიან, ყველა ავტომობილს უწევს გაყიდვა და „ტაჰოს" გაყიდვა ძალიან გაგიჭირდებათ, მაშინ, როცა „ჰამერზე" მოთხოვნა სულ არის. კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი: „ჰამერს" საქართველოში ხელოსნები უკვე კარგად იცნობენ და, მიუხედავად იმისა, რომ მისი სერვისი რთულია, ის უფრო ხელმისაწვდომია.

კითხვა: მსურს, შევიძინო „მიცუბიში აირტეკი", 4x4-ზე. რომელი ძრავით აღჭურვილს მირჩევთ? არსებობს თუ არა ეს მოდელები 2.4-ლიტრიანი, ოლონდ, არა GDI სისტემით აღჭურვილი? ოჯახისთვის მინდა, შესაბამისად, იოლად შესანახი რომ იყოს; ამასთანავე, ხანდახან მიწევს მაღალმთიან სოფელში სიარული. ხომ არ მირჩევთ რომელიმე სხვა მოდელს? მომავალში ვაპირებ საჭის გადატანას, ამიტომ, „სუბარუ ფორესტერზე" თავს ვიკავებ.

ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

პასუხი: თუ ასფალტირებული გზიდან გადახვევა ერთხელ მაინც მოგიწევთ, თქვენს მოთხოვნებთან „მიცუბიში აირტეკს" არაფერი აკავშირებს, ვინაიდან, ეს ავტომობილი, რეალურად, ასფალტირებული გზისთვისაა განკუთვნილი, ოლონდ, გამოიყურება, როგორც ყველგანმავალი. ეს მოდელი თქვენი მოთხოვნების არც სხვა პუნქტს აკმაყოფილებს, რომელიც ეხება ავტომობილის იოლად შენახვას. ეს მოდელი იოლად გამოდის მწყობრიდან, აქვს სუსტი სავალი ნაწილი, საჭის მექანიზმი და კიდევ სხვა დეტალები. თუ შედარებაზე მიდგა საქმე, „სუბარუ" გაცილებით პრიმიტიულად გამოიყურება, მაგრამ, გაცილებით ძლიერი ავტომობილია. ამ კლასში გირჩევდით „ტოიოტა რავ 4-ს", რომელიც თქვენ მიერ ჩამოთვლილ მოდელებს არც შეედრება, იმდენად ამტანია და საჭის გადმოტანასაც უფრო მარტივად შეძლებთ.

მოამზადა
სალომე გველესიანმა

ბაბნოები რას შვებიან თოჯინები ფილმში?
შინაური ფრინველი
ბუკის კოლეგა
ლუდხანა
ლიტერატურის დარგი
აშშ-ს შტატი
წარმატებული
ალექსანდრია
თელაველთა ცნობილი სპექტაკლი
ქალაქი ავღანეთში
იმ დროს
ძველი ქართველი მოქიდავე, ვახტანგ... ედეში
ალბანეთის დედაქალაქი
მწვანილის სახეობა
ილილე ფოტო ნუსხა (.....) ნორილი
ყვავილი
„დარდუ“-ს შემდეგ
ერთ-ერთი მეუღლე
ძველი სომხეთის ქალაქი
ზღაპრული ცხენი
ბგერები ერთად ქართველი დრამატურგი
მომღერალი გოძიაშვილი ბატონი ბუბა
მსოფლიოს უდიდესი სტადიონი
სანიავებელი
სანათი საშუალება
ფანჯრის ნანილი
პარლამენტის ვიცე-სპიკერი
ხევსურეთის სოფელი არგენტინელი ფეხბურთელი
პატარა ძელი ხალხი, მოსახლეობა
კავკასიელი და უკვე ევროპელი
სჯობია ლონესა ნარჩენი სტროფი
მცირე ზომის ან ასაკის
1805 წ ნაპოლეონთან ბრძოლის ადგილი
რუსი კინომსახიობი, ელენა...
ჭრიჭინას ბუბია კოლუმბელი მომღერალი
გრამატიკული კავშირი
მურმანი
მეოთხე თვე
იტალიური საჭმელი
მწვერვალი ნამებუღი ....მსხეთელი
ეკლის სახეობა
დიდი ჯოხი
მრგვალი რიცხვი
ნიგნის სათავსი
ხორბლის შეკვრა
პოეტი
(.....) ფიტბჯერალდი
სტამბოლის უბანი
ოხერი
დამდგარი შუქი მზისა
კომისარი
ზოგი კოვზი ასეთია
„მოგლ“-ის ნინაა
ვიმყოფები
რამინის სატრფო
კავკასიელი
ბრაზილიური ცეკვა
კორეული ფირმა
საუკუნის სიმეტრა
ლოურენს ოლივიეს ცოლს ერქვა
ტიბეტური პირუტყვი
აშშ-ს კოსმოსური ცენტრი
ჩვენი მხარე
ჯადოსნობა
ოთხია ესტრადაზე
ქალაქი ავსტრიაში
ბატონი გორდეზიანი
ჩირიკის მეტოქე გიორგი ლეონიძის მოთხრობაში
ფანტომასის როლშია
რუსი მოგზაური ათანასე...



სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

ადვილი ამოცანა

	4	9		3	1	8		7
1		8	6	7		5	9	
	7		9	4	8		1	2
	5	4		1		6	2	
	6		2		9		3	1
3		1		6	4	7		9
		6	1		5		7	
7		3		2	6		8	5
5	8		3	9	7	1		6

რთული ამოცანა

			8		6		5	
9		7		2				8
		5			1	2		
	7		3	4		8	1	
	9				7			5
2		8	9					6
		9			3	5	4	
	5			7		6		2
	2		4		8			

ისწავლეთ ხატვა ზღვიერთან ერთად

1. ქუდით და წვეთით დაიწყეთ ჯაცის ხატვა

2. მიახატეთ თვალები და ყური

3. ცხვირი და უღვაშიც ახ დაგავიწყდეთ

4. თავს მიახატეთ ნაბადი

5. გამოჯვეთეთ ტანი

6. დასხილეთ ნახატი

7. გააფერადეთ

ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თბილისი №36
ტელ.: 272 9191

იპოვეთ ათი განსხვავება





დაეხმარე თოვლის ბაბუას გზის გაკვლევაში

დაითვალე ჩიტები

კუ და კურდღელი

(იგავ-არაკი)

კუ და კურდღელი დანაძლევდნენ, ვინ უფრო სწრაფად დადის, გავეჯიბროთო. ადგილი დათქვეს და გასწიეს. კურდღელს თავის იმედი ჰქონდა, იფიქრა, კუს მაინც გავასწრებო და დაიძინა. კუმ კი შეუსვენებლად იარა, იარა და ნაძლევი მოიგო.

მშრომელი კაცი ზარმაცს ყოველთვის დასჯაბნისო.

რიცხვრებუსი

,10, 2,, ,,3, 10,,



გამდიდრდებით ახალ წელს?!

მოდი, შევამოწმოთ, შესძლებთ თუ არა წელს მაინც გამდიდრდეთ. ტესტის ყოველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში დაწერეთ თითო ქულა და დაითვალეთ.

1. გონებაში სწრაფად ანგარიში შეგიძლიათ?

2. ეკონომიური თუ ხართ?

3. თქვენი ყოველდღიური საქმიანობა დაგეგმილია?

4. გაგიმართლათ პროფესიის არჩევაში?

5. გაქვთ სურვილი, გქონდეთ თქვენი ბიზნესი?

6. შეგიძლიათ, უხელმძღვანელოთ ადამიანებს?

7. არასოდეს იმართლებთ თავს?

8. შეგიძლიათ, საკუთარი თავის რეკლამირება?

9. გიყვართ იშვიათი, ძვირფასი ნივთები?

10. როდესმე აგიღიათ მიწიდან დაბნეული ხურდა?

11. გჯერათ იღბლის?

12. სწრაფად დახარჯავთ მილიონ ლარს?

ნახეთ შედეგები

0-5 ქულა: თქვენ „დიდ ფულს“ მხოლოდ ტელევიზორის ეკრანზე თუ ნახავთ. ახლავე შეცვალეთ დამოკიდებულება წარმატებისა და სიმდიდრის მიმართ. სხვაგვარად, გამორიცხულია თქვენი ფინანსური წარმატება.

6-9 ქულა: თქვენ შეგიძლიათ ფულთან სწორი ურთიერთობა. ბიუჯეტის კარგად დაგეგმვა და გადანაწილება. ცხოვრებაში ფინანსები ყოველთვის საკმარისად გექნებათ, მაგრამ მილიონერი, ალბათ, ვერ გახდებით.

10-12 ქულა: თქვენ უკვე გაქვთ მილიონერის აზროვნება, წარმოსახვა და პოტენციალიც. თუ ჯერ კიდევ არ გამდიდრებულხართ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გამოგიყენებიათ საკუთარი შესაძლებლობები. იმოქმედეთ და წელს ამის შანსი გაქვთ.

ტრადიციული ტრადიციები

მსოფლიოში უამრავი მაგების, ჯადოქრების, კეთილი ფერიების კორპორაცია არსებობს, რომელთა გარეშეც ახალი წელი, უბრალოდ, არ დადგება...

* ***ჰოლანდიაში***, ქალაქ როტერდამში ზღვით შემობრძანდება სინტერკლასი. თავის ერთგულ მსახურ „შავ პიტთან“ ერთად. ჰოლანდიაში საახალწლოდ საუკეთესო საჩუქრად მიიჩნევა ლამაზი და ორიგინალური საახალწლო ღია ბარათები, დეკორისთვის განკუთვნილი ნვითები, წიგნები, საახალწლო კანფეტები.

* ***ნორვეგიაში*** მთავარი თოვლის ბაბუა ვერაფერს გახდება გნომების – იულენსანის და ნისეს გარეშე. ისინი შედიან ყველა ოჯახში და იციან, რა სურთ პატარებს. კარგი საჩუქრებია ლამაზად შეფუთული კანფეტები. გნომებს კი ფაფა და ლუდი უნდა დაახვედრო.

* ***ფინეთი*** – პატარებს ამ ქვეყანაში საჩუქრებს იოულუპუკები ურიგებენ. ისინი თხებზე ამხედრებული კეთილი გნომები არიან და ტანზეც თხის ტყავი მოსავთ. ურჩი ბავშვების შესაშინებლად როზგებიც აქვთ, წესიერ, დამჯერ პატარებს კი ტკბილეულს ურიგებენ.

* ***ამერიკაში***, დიდ ბრიტანეთში დღემდე შეუცვლელია წითლებში გამოწყობილი სანტა კლაუსი, ისევე, როგორც „კოკა-კოლა“. ტრადიციული საახალწლო საჩუქრებია საახალწლო სუვენირები. ინგლისში საუკეთესო საჩუქრის მოსაპოვებლად ოჯახში კონკურსიც კი იმართება.

* ***საფრანგეთი*** და კეთილი პიერ ნოელი. მისი ძმა პიერ ფუეტარია. ჰყავს ბაბუაც როზგებით, რომელიც ურჩებს სჯის. ყურადღებით აკვირდება, როგორ იქცევიან ბავშვები მთელი წლის განმავლობაში. საახალწლო საჩუქრებად საფრანგეთში საუკეთესოა სუვენირები, ძირითადად, პრაქტიკული დანიშნულების; საახალწლო წარმოდგენების ბილეთები და ასევე ევროები.

* ***იტალიელი*** თოვლის ბაბუა მდედრობითი სქესის არის და მას ბეფანა ჰქვია. პატარა, ბუთქუნა ცხვირით და დახეული წინდებით. მისი ტრანსპორტი ცოცხია. იტალიაში საახალწლო საჩუქარი აუცილებლად წითელი ფერის უნდა იყოს. წითელი იტალიაში განახლების სიმბოლოა. ცდილობენ, შოკოლადიც კი წითელ ქაღალდში შეფუთონ.

* ***შვეიცარიელ*** თოვლის ბაბუას ბაბუა ტომტე ჰქვია. გირჩის ცხვირი აქვს და დამხმარედ გნომი იუპნისაარი ჰყავს. ასევე, ეხმარება თოვლის კაცი დასტი და მხიარული თაგუნიები. საუკეთესო საჩუქარია ხის ფერებად შეღებილი ცხენი.

საშობაო ბაზარი

მსოფლიოში ყველა ხალხს უყვარს ახალი წელი და დადგენილია, რომ წინაასაახალწლოდ ყველაზე მეტ ფულს ხარჯავს მოსახლეობა. ყველაზე აღიარებულია ხუთი საშობაო ბაზარი ევროპაში:

1. ნიურნბერგი (გერმანია). ამ ქვეყანას საშობაო ბაზრობების სამშობლოსაც ეძახიან. ბაზრობები ნოემბრის ბოლოდან იწყება და დეკემბრის ბოლომდე გრძელდება. ქუჩებზე, მოედნებზე, გაცხარებული ვაჭრობაა გაჩაღებული. საშობაო ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი გულის ფორმის ტკბილეული და შავი ქლიავის ფიგურებია.

2. კოპენჰაგენი (დანია). საშობაო ბაზრობა აქ ქალაქის ყველაზე დიდ პარკში – ტივოლში იმართება. უზარმაზარი ბაზრობა საგანგებოდ ირთვება და ძალიან ლამაზია. ბავშვებისთვის იდგმება ატრაქციონები. ადგილობრივი თოვლის პაპა – იულემანდენა პატარებს ტკბილეულს ურიგებს.

3. ვენა (ავსტრია) აქ საშობაო ბაზრობა ვენური ვალსების თანხლებით ტარდება. საახალწლო ღონისძიებებში ჭარბობს კლასიკური მუსიკის კონცერტები. იყიდება სუვენირები და ტკბილეული. ვენური ვაფლი – საგანგებოდ დაფარული შაქრითა და შოკოლადით.

4. სტრასბურგი (საფრანგეთი). საახალწლოდ ბაზრობების მოწყობის ტრადიცია ამ ქალაქში სათავეს 1570 წლიდან იღებს. ათასგვარი ნუგბარი და სუვენირებით ვაჭრობა 12 მოედანზეა გაშლილი. მთავარი ბაზრობა, უზარმაზარი, საშობაო ნაძვით შუაგულში, ქალაქის ცენტრში, კათედრალური ტაძრის წინ იმართება.

5. ნეაპოლი (იტალია). საშობაოდ ქალაქში ყველაზე პოპულარული ადგილია. სან-გრეგორიოს ქუჩა. ყოველ წელს ნეაპოლიტანელები აქ მიდიან, რათა ერთი ფიგურა მაინც აუცილებლად იყიდონ, სახლში ქრისტეს შობის დეკორაციის მოსაწყობად. ეს ტრადიციაა. პატარა ჯიხურებში ჭეშმარიტად დიდი ოსტატობით შესრულებული პატარა შედევრები იყიდება.

გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ

განგების ხელით

სტენლი ელინი

ზოგიერთი ადამიანი თავად წერს საკუთარი ბედისწერის წიგნს. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ეს საშინელი ამბავი მოხდა... მკვლელობის შესახებ, სრულიად შემთხვევით, დილის გაზეთში ამოვიკითხე. ყავას ვსვამდი... ჩემს ცოლს თავისი საყვარელი, ორად გაკეცილი გაზეთი ედო წინ და დეტექტივის გაგრძელებას კითხულობდა. ჩემი ყურადღება ფოტოსურათმა მიიქცია. პირველ გვერდზე დაებეჭდათ და პირდაპირ ცხვირწინ მქონდა... გული უსიამოვნოდ შემიქანდა.

– ერთი წუთით მათხოვე ეგ გაზეთი, რაღაც ინფორმაცია მინდა, წავიკითხო, – ვთხოვე ჩემს ძვირფას მეუღლეს. ის უსიამოვნოდ შეიჭმუხნა.

– ვერ მოგცემ. შენ სადღაც მიაგდებ, მე კი ჩემი დეტექტივი ბოლომდე არ ჩამიკითხავს. როდის იყო, დილის გაზეთებით ინტერესდებოდი.

– კონკრეტული ინფორმაცია მაინტერესებს, მოკლეს, მგონი, ვიღაც.

სილვიამ ცხვირი აიბზიკა.

– რად გინდა, დილაუთენია უარყოფითი ინფორმაციით რომ იღლი ტვინს. ვიღაც ბუტლეგერი მოუკლავთ, რატომ უნდა გაინტერესებდეს?

მისთვის აღარაფერი მითქვამს. გაზეთი გამოვართვი და გადავშალე. ფოტო მართლაც სულის შემძვრელი იყო: შუბლგახვრეტილი მამაკაცი – სისხლის გუბეში... ტყვია პირდაპირ თვალებს შუა ჰქონდა მოხვედრილი. სათაურიც ბევრს არაფერს მეუბნებოდა: „მოკლულია რეკეტიორების მეთაური“, – მაინც დავინტერესდი და „ნიუსის“ ბოლომდე წაკითხვა გადავწყვიტე. თუმცა, ჩემს ცოლს შინაგანად ვეთანხმებოდი იმაში, რომ ტორტსა და ყავაზე მისაყოლებლად მართლაც შეუფერებელი ტექსტი იყო... ნიუსში ეწერა... იგნეს კოვაკის გვამი წუხელ ღამით თავის სახლთან, მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს... იგნესი... ჩემი მეგობარი... კანი დამიბუსუსდა.

ბოლოს ის თორმეტი წლის წინ ვნახე. მაშინ ორივე თექვსმეტი წლის ვხდებოდით. ბავშვობიდან ვმეგობრობდით. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ. მაშინ ჩემი ოჯახი ჯერ კიდევ ბრუკლინში ცხოვრობდა. ის, რაც მკვლელობის ამბავმა გამახსენა, ჩვენი მანჰეტენზე გადაბარგების წინა დღეებში მოხდა... ფიქრებიდან სილვიას ხმამ გამომარკვია.

– რა მოხდა, ხომ არ იცნობდი, მაგ ბანდიტს? – მკითხა ირონიული ხმით.

– შენ წარმოიდგინე, ვიცნობდი... ბავშვობა ერთად გავატარეთ... ბრუკლინში...

– მაშინაც ბანდიტი იყო?

– სილვია... ის კარგი, წესიერი ბიჭი იყო. არასოდეს არაფერს ვაშავებდით... მგონი, ვიცი, ვინ შეიძლება იყოს მკვლელი.

სილვიამ გაიცინა და გაზეთი გამომტაცა... გუნება საშინლად მომეშხამა... ყველაფერი ფოტოგრაფიული სიცხადით გამახსენდა... მე და იგნეს კოვაკი ვმეგობრობდით... იგნესი შეყვარებული იყო გოლფზე და ოცნებობდა, როგორმე იმდენი ფული მოეგროვებინა, გოლფის ჯოხი შეეძინა... ხშირად დავდიოდით საღამოობით იქ, სადაც ბრუკლინის რჩეული საზოგადოება – ძირითადად კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები გოლფს თამაშობდნენ. მე გოლფზე არ ვგიჟდებოდი, მაგრამ იქ, არხში ჩაცვენილ ბურთებს ვაგროვებდით, ვწმენდდით და მერე ისევ კლუბის წევრებზე ვყიდდით ხუთ ცენტად. კვირის ბოლოს მე ოცდაათ ცენტამდე მიგროვდებოდა და კრემიან ფუნთუშებს ვყიდულობდი მე. იგნესი კი ყულაბაში ინახავდა. ის ხომ გოლფის ჯოხისთვის აგროვებდა ფულს. მე მხოლოდ მეღიმებოდა ამაზე... ერთხელაც, საღამოს შარვლის ტოტებაკაპიწებულები არხში ვიყავით ჩასულები და დაკარგულ ბურთებს ვეძებდით. უცებ გზაზე ორი მანქანა გამოჩნდა. ერთი მაშინვე ვიცანით, ჩვენი მეზობლის იყო, ვინმე მისტერ როუზის „პაკარდი“. ასეთი დიდი მანქანა მაშინ ჩვენს სამეზობლოში არავის ჰყავდა და ბიჭებს ძალიან გვაინტერესებდა. ერთხელ კარის გაღება და შიგ ჩაჭვრეტა ვცადეთ. თითქოს დადარაჯებული იყო, როუზი მაშინვე გამოგვივარდა სახლიდან. იგნესს ეცა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელი ძალით აჯანჯღარა... მახსოვს მისი მკვლელის მზერა და იგნესის სიძულვილით აღსავსე გამოხედვა... ორივე სწრაფად ამოვძვერით არხიდან და იქვე, ბუჩქებში დავიმალეთ. „პაკარდიდან“ თვით როუზი გადმობრძანდა. მეორე მანქანიდან კი ორმა ზორბა ტიპმა ტანდაბალი, ძალიან შეშინებული კაცი გადმოათრია და არხთან მიათრია. არც ისე შორს ვიყავით, ყველაფერს გარკვევით ვხედავდით და თითოეული სიტყვა გვესმოდა... კაცი როუზის წინ დააჩოქეს... მისტერ როუზმა ხელზე კასტეტი ჩამოიცვა და მთელი ძალით დაუწყო ცემა სახეში, თან მთელი ხმით ყვიროდა: ჩემთვის გადაწყვიტე, ფული მოგეტეხა? ჩემთვის? როგორ გაბედე, ჭიაყელავ და არარაობავ, იცი, რა გელოდება ამისთვის?! – კაცის სახე ნელ-ნელა დაემსგავსა წითელ ბურთს... საზიზღარი სანახავი იყო... შიშმა ფეხები წამართვა... მგონი, არც ჩემი მეგობარი იყო უკეთეს დღეში... ბოლოს როუზი დაიღალა... მისმა დამქაშებმა კაცს თავი არხში ჩააყოფინეს, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ...

როცა გონს მოვეგეთ, ერთადერთი, რისი სურვილიც გამიჩნდა, რაც შეიძლება, შორს გავქცეულიყავი. მაგრამ, იგნესმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: პოლიციაში უნდა წავიდეთ და ყველაფერი უნდა განვაცხადოთო.

– გაგიჟდი? წავიდეთ სახლებში და დავივიწყოთ, რაც ვნახეთ.

– არა, – მტკიცედ გაიმეორა იგნესმა, – ეს ჩვენი ვალია. თანაც როუზს სამაგიერო უნდა გადავუხადოთ. დაგავიწყდა, რა გააკეთა, როცა მანქანასთან დაგვიჭირა.

ამოვიოხრე... მესმოდა მისი და ამ საქმეში მარტო ვერ დავტოვებდი. მივედით ჩვენი უბნის პოლიციის განყოფილებაში. უფრო სწორად, აქოშინებულებმა მივირბინეთ... სერჟანტმა ირონიული სახით მოუსმინა იგნესს, ეტყობოდა, ან არ სჯეროდა, ან არ აინტერესებდა. მაგრამ, როგორც კი როუზის გვარი გაიგონა, შეხტა და ოთახიდან გავარდა... ცოტა ხნის შემდეგ განყოფილების უფროსთან ერთად დაბრუნდა... მან იგნესს სთხოვა, ყველაფერი თავიდან მოეყოლა და სერჟანტს, ცოტა არ იყოს, დამფრთხალმა გადახედა.

– დაურეკე როუზს, აქ მოვიდეს. ამ ბიჭის მამასაც დაურეკეთ და აქ მოიყვანეთ.

არ მომეწონა ეს ამბავი, მაგრამ უკან დახევა გვიანი იყო...

როუზი განყოფილებაში იქაურობის ბატონ-პატრონივით შემოვიდა. სიგარას მედიდურად ეწეოდა და იღიმებოდა. სულაც არ ჰგავდა დამფრთხალს ან შეშინებულს.

– აბა, ბიჭი, სად მნახე დღეს?

– გოლფის მოედნის უკან, არხთან... თქვენ იქ ანგარიში გაუსწორეთ ერთ საცოდავ კაცს, – შეუპოვრად გაუსწორა თვალი იგნესმა.

როუზმა გაიცინა.

– მე ვიცი, რატომ მოიგონა ამ ბიჭმა ეს ამბავი. ერთხელ ჩემს მანქანაში ძვრებოდა და ცოტა დავტუქსე. ხომ არ გინდა, ეს ფაქტი ახლა გავიხსენო და შენზე, პატარა ხულიგანზე, საქმე აღვძრა?!

იგნესის მამას სახე მოებრიცა. მისტერ როუზთან მიიჭრა და ხვეწნა დაუწყო, შეებრალებინა მისი შვილი. როუზმა მედიდურად გაიცინა და უნცაური რამ გააკეთა... ჯიბიდან ათდოლარიანი კუპიურა ამოიღო და იგნესს ხელში ჩაუკუჭა... აქაოდა, შემომხედეთ, როგორი დიდსულოვანი ვარ. ვაპატიე და თანაც, ვასაჩუქრებო... იგნესმა ფულს დახედა. დააფურთხა, დაკუჭა და როუზს სახეში ესროლა. მერე უკანმოუხედავად გავარდა პოლიციის განყოფილებიდან. მეორე დღეს ჩემი ოჯახი მანჰეტენზე გადავიდა... იგნესი აღარ მინახავს, მაგრამ, ფაქტია, მისი და მისტერ როუზის გზები სადღაც კიდევ გადაიკვეთა, რაც საწყალი იგნესისთვის საბედისწეროდ დასრულდა.

თარგმნა
ნინო წულუკიძემ

ქალური შურისძიება

დიმიტრი ჩაჩავა სავარძელში იჯდა და უაზროდ მიშტერებოდა თავისი კაბინეტის თეთრად შეღებილ კედელს. თავი უსკდებოდა, მუცელში კი თითქოს ცეცხლი ეკიდა. არც ასპირინმა უშველა, არც „ბორჯომმა“. ისე ცუდად გრძნობდა თავს, სახლში წასვლაც კი გადაიფიქრა.

მდივანი გოგონა გააფრთხილა, ვინც არ უნდა დარეკოს ან მოვიდეს, ყველას უთხარი, რომ ქალაქიდან გავედიო. მერე კაბინეტის

კარი ჩაკეტა, ტელეფონები გამორთო და დივანზე წამოწვა. არაფერი გამოუვიდა. დაწვებოდა თუ არა, გული ყელში ებჯინებოდა და თავბრუ ეხვეოდა. წამოჯდა და დივანის საზურგეს მიეყუდა. მაინც ვერ მოისვენა. მერე უცებ საკუთარ თავზე გაბრაზდა.

– მართლა ლაწირაკივით ვიქცევი! ამ დათკამ ხომ ტვინი წალეკა თავისი დიშოვკა პუტანკებით! – ჩაილაპარაკა და მობილურით მდივანს დაურეკა, უშაქრო მაგარი ყავა და თხლად დაჭრილი ლიმონი შემომიტანეო. ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ მის წინ ყავიანი ფინჯანი და ლიმონის ნაჭრებით სავსე ლამბაქი ედგა. დიმიტრიმ ერთი ნაჭერი ლიმონი მთლიანად ჩაიდო პირში, დაღეჭა და ცხელი ყავის დიდი ყლუპი დააყოლა. მართალია, პირი ცოტათი დაეფუფქა, მაგრამ, მაინც ესიამოვნა მკვეთრად განსხვავებული არომატები. ოდნავ უკეთ იგრძნო თავი. სავარძელში გადაწვა და, რატომღაც, მოუნდა, თავისი საკმაოდ აღვირახსნილი ცხოვრებისთვის გადაევლო თვალი. ნანიტა გაახსენდა, მასთან ბოლო ჩხუბის მიზეზები: 18 წლის პუტანა – ლიზა, იგივე „ქალი გამოძახებით“ და 35-ს გადაცილებული, საკმაოდ კარგად „შენახული“ შინაბერა – მარინა, რომელმაც, რატომღაც, გადაწყვიტა, ცოლშვილიანი კაცისთვის ჩაებარებინა წლების განმავლობაში საკმაოდ მყარად და საიმედოდ დაცული ქალწულობა. საიდან გაიგო ნანიტამ მათ შესახებ, დიმიტრიმ დღემდე არ იცოდა; ვერც იმას მიხვდა, რატომ გაიგიჟა მისმა ცოლმა თავი ამ ორ „მიმალიოტნი“ ქალზე, როცა მანამდე უამრავი ღალატი და საკმაოდ სერიოზული ურთიერთობები „გადაუყლაპავს“ და უპატიებია... დიმიტრიმ იგრძნო, რომ ძალიან მოენატრა ყოფილი ცოლი და გაუკვირდა, რადგან, ასეთი რამ პირველად დაემართა.

„ისე, მე რომ ჭკუა მქონოდა, ნანიტასნაირი ქალი არ უნდა დამეკარგა. იდიოტი რომ იქნება კაცი, თორემ, მეტი რა უნდა მდომოდა: ლამაზი, მშვიდი, კარგი დედა, მზრუნველი ცოლი, უწესიერესი და უპატიოსნესი ადამიანი... მე კი ყველაფერი ფეხებზე დავიკიდე და ლამის ყოველდღე ვღალატობდი, თანაც, ვილასთან აღარ“... – დიმიტრის ფიქრი მდივანმა შეაწყვეტინა – მორიდებით შემოვიდა კაბინეტში და წინ მომცრო ზომის კონვერტი დაუდო.

– ბატონო დიმიტრი, წეღან მოიტანა კურიერმა.

– ვისგან არის? – ზანტად იკითხა დიმიტრიმ.

– არ ვიცი, მხოლოდ თქვენი სახელი და გვარი აწერია, – მხრები აიჩეჩა მდივანმა გოგონამ.

– კი მაგრამ, თუ მისამართი არ აწერია, კურიერის ხელში როგორ აღმოჩნდა?

– ოფისის კართან უპოვია და ზედ თქვენი გვარი რომ წაუკითხავს, თან წამოუღია.

– ეგეც მაგარი გამოტვინებულია! იქნებ ბომბი დევს შიგ, ან – საწამლავი, რას მოათრევდა, ვერ დახია და გადაყარა?

– თითქოს საეჭვო რამეს არ ჰგავს. გადავაგდო? – ჰკითხა მდივანმა და კონვერტს წაეტანა.

– თავი დაანებე! – შეუღრინა დიმიტრიმ, – რომელიმეს მაინც უნდა გყოფნოდათ ჭკუა და აქამდე არ უნდა მოგეტანათ, მაგრამ, რადგან მოიტანეთ, ახლა მე მივხედავ, – შემდეგ დასწვდა კონვერტს და წინ დაიდო. თვითონაც უკვირდა, რატომ მოუნდა მართლაც რომ საეჭვო კონვერტის დატოვება, მაგრამ, ისე შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ, შიში და სიფრთხილე დაავიწყდა.

მდივანი გავიდა. დიმიტრიმ აიღო კონვერტი, ფანჯარასთან მიიტანა და შუქზე კარგად დაათვალიერა. საეჭვო არაფერი ჩანდა, კონვერტში აშკარად მხოლოდ ერთი ფურცელი იდო. ჯერ იფიქრა, ხომ არ ჯობია, მართლაც დავხიო და გადავყაროო, მაგრამ, ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია და სასწრაფოდ წაახია კიდე, თითქოს ეშინოდა, არ გადაეფიქრებინა. ფრთხილად ამოიღო ორად გაკეცილი ფურცელი და კონვერტს შიგნითაც ჩახედა, მაგრამ, იქ ვერაფერი ნახა. მერე ნახევები დაუდევრად მოისროლა მაგიდაზე და ფურცელი გაშალა. რამდენიმე ხაზი ეწერა, კომპიუტერზე დაბეჭდილი. დიმიტრი ისე გააოგნა წერილის შინაარსმა, რომ თავიდან ვერც კი აღიქვა ფრაზების მნიშვნელობა და რამდენჯერმე გადაიკითხა. მერე იგრძნო, როგორ ნელ-ნელა შეიწოვა მისმა ტვინმა თითოეული სიტყვის აზრი და თითქოს გაქვავდა – მთელი სხეული ისე გაეყინა და გაუხევდა, რომ მოძრაობის უნარი მთლიანად წაერთვა. მერე თვალები გადმოუვიდა ბუდეებიდან, ყურებმა შუილი დაუწყო და გულმა ისეთი ბაგაბუგი ატეხა, მისი ხმა, ალბათ, მდივანსაც კი ესმოდა მისაღებში.

დიმიტრის არ ახსოვს, რამდენ ხანს იდგა ასე – ხუთი წამი, ხუთი წუთი თუ მთელი საათი. მერე ძალა მოიკრიბა, სავარძელთან გაჭირვებით მიბანცალდა, შენელებული კადრივით ჩაეშვა შიგ და წერილი აკანკალებული ხელით მიიტანა თვალებთან ახლოს იმ იმედით, რომ ამჯერად სხვა ტექსტს წაიკითხავდა, მაგრამ ფურცელზე ისევ ის რამდენიმე საშინელი, ჭკუიდან შემშლელი ფრაზა ეწერა:

„დიმიტრი! დღეიდან იწყება შენი წამება. მინდა, ბოლომდე შეიგრძნო ღალატის გემო და სურნელი. შენმა ცოლმა, რომელიც ანგელოზი გეგონა (და მაინც ყოველ ნაბიჯზე ღალატობდი), სამაგიერო გადაგიხადა და წლების განმავლობაში რქიანი გატარა – თოკო შენი შვილი არ არის, თუმცა, ჯერ ამის შესახებ ბიჭმა არაფერი იცის (დიმიტრიმ შენიშ-

ერდო ჯგუფი

როდესაც ომი დამთავრდა, ურიზისი დამთავრდა და არჩევნები დამთავრდა მაშინვე ბულბულის და ტორტოლას სტვენასავით გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მინდა 7 მილიონი მაქ
ალო,
მადაზია მინდა 1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა 500 000 მაქ
ალო.....

მარიჯა 599 24 28 31

ნა, რომ სიტყვა „ჯერ“ მუქად და დიდი შრიფტით იყო დაბეჭდილი).

ყოველ მეორე ორშაბათს მიიღებ ჩემგან ახალ-ახალ ინფორმაციას და შენი ტანჯვით დავტკბები. ტყუილად ნუ გაიწვალებ თავს ჩემი ძებნით, მაინც ვერ მიხვდები, ვინ ვარ. როცა ამას საჭიროდ ჩავთვლი, თვითონ მოვალ, წერილის გარეშე და დანარჩენი მერე ვილაპარაკოთ.

აბა, ორი კვირის შემდეგ მოწერამდე!

შენგან გამწარებული ქალებისთვის შურისმაძიებელი“.

***

... დიმიტრი არეული ნაბიჯით გამოვიდა ოფისიდან. თავი უბრუოდა. ზიგზაგებით მიდიოდა, გზაში ვიღაცას ესალმებოდა, ვიღაცას თავს უქნევდა, მაგრამ, ვერავის და ვერაფერს ხედავდა. ჰაერი რაღაცნაირი ბლანტი გამხდარიყო, ადამიანების სახეები კი – გადღაბნილი, ზუსტად ისე, აკვარელით დახატულს წყალს რომ დააწვეთებ და გამოსახულება უცნაურად დეფორმირებული ხდება.

როგორ მიაღწია ავტოსადგომამდე, არ ახსოვს. ძლივს მიაგნო თავის „მერსედესს“, წინა კარი გამოაღო და, ტყავგადაკრულ სავარძელზე კი არ დაჯდა, მოწყვეტით ჩავარდა. კარგა ხანს იჯდა გაოგნებული. აზრის მოკრება უჭირდა. ჯიბეში ის ავად სახსენებელი წერილი მოიძია, მაგრამ, ვერ იპოვა – ეტყობა, კაბინეტში დარჩა. შეეცადა, დეტალურად აღედგინა ტექსტი, მაგრამ, ვერ შეძლო, მხოლოდ ერთი ფრაზა ჰქონდა გონებაში ღრმად ჩაბეჭდილი და ექოსავით მეორდებოდა: „თოკო შენი შვილი არ არის... არ არის... არ არის... “ მერე თვალები დახუჭა და ნანიტასთან ცხოვრების პერიოდი გაიხსენა. კადრები ისე სწრაფად ცვლიდა ერთმანეთს, როგორც ძალიან სწრაფად დატრიალებული კინოფირი, ბოლოს კი ეს ყველაფერი ერთ კადრში იყინებოდა: სახვევებში შეფუთნული პაწაწინა თოკო და ნანიტას უბედნიერესი სახე.

„ნუთუ ასეთი ნიჭიერი მსახიობია?“ – გაიფიქრა ყოფილ ცოლზე.

ნანიტას სახის გახსენებამ დიმიტრის ეჭვი გაუჩინა წერილში ნათქვამის სიმართლეზე, მაგრამ, იგრძნო, რომ „შურისმაძიებლის“ მთავარი მიზანი შესრულებული იყო: გულში ეჭვის ჭია ჩაუსახლა, უზარმაზარი მახრა, რომელიც დანარჩენ საქმეს თვითონ გააკეთებდა.

დიმიტრი დაახლოებით ნახევარი საათი იჯდა მანქანაში და, ცდილობდა, აზრზე მოსულიყო. გულის არეში ძლიერი ჩხვლეტა იგრძნო და შეეშინდა, მანამდე არ მოვკვდე, სანამ სიმართლეს გავიგებო. სასწრაფოდ ამოიღო ჯიბიდან ვალიდოლის რამდენიმე აბი, ერთად ჩაიყარა პირში და დაღეჭა, რომ წამალს მალე ემოქმედა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგრძნო, რომ ნელ-ნელა უბრუნდებოდა ცნობიერება. პირველმა ელდამ ოდნავ გაუარა და ახლა უკვე იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მოქცეულიყო. იცოდა, რომ ეს არ იყო ჭკვიანური ნაბიჯი, მაგრამ, მაინც გადაწყვიტა, ნანიტას შეხვედროდა და დალაპარაკებოდა. მასთან სახლში მისვლას ვერ გაბედავდა – თოკოს გამო ვერ გაბედავდა, რადგან, ბოლოს ძალიან ცუდად დაშორდნენ ერთმანეთს. ამიტომ, გადაწყვიტა, მობილურზე დაერეკა ყოფილი ცოლისთვის და სადმე შეხვედრაზე შეთანხმებოდა. შვილებთან არც მანამდე ჰქონდა თბილი ურთიერთობა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც მეზობლის მანქანის გატაცების გამო თოკო დაიჭირეს და გაცოფებულმა დიმიტრიმ თითიც კი არ გაანძრია მის დასახსნელად, მათი მამაშვილობა საერთოდ აორთქლდა, უფრო სწორად კი, თითქოს დიმიტრი აორთქლდა ოჯახიდან: სახლში იყო და ვერ (თუ – არ) ამჩნევდნენ; რამეს ეკითხებოდა და პასუხს არ სცემდნენ, ანუ, არაფრად აგდებდნენ და ამას უბედავდნენ დიმიტრის, რომელიც ბავშვობიდან, როგორც იტყვიან, ბუზს არ ისვამდა თავზე; რომელსაც ყოველთვის სამყაროს ცენტრი ეგონა თავი და, უნდოდათ თუ არა ეს გარშემო მყოფებს, უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ მის სურვილებსა თუ ხუშტურებს.

არც ერთმა არ აპატია – არც ნანიტამ, არც თოკომ და არც ნუცამ და, სამივემ ერთად, პრაქტიკულად, გაფიცვა გამოუცხადა, მოიკვეთა, როგორც კეთროვანი; უფრო მეტიც – როგორც გამცემი, როგორც მოღალატე. მაგრამ, დიმიტრიმაც არ აპატია ცოლშვილს ასეთი საქციელი და ყოველდღიურად ცდილობდა, სამაგიერო გადაეხადა, განსაკუთრებით კი ცოლს გადაემტერა, რადგან, დარწმუნებული იყო, რომ მან განაწყო შვილები მის წინააღმდეგ. ამიტომ, ხშირად უმიზეზოდ ეჩხუბებოდა ნანიტას, შეურაცხყოფას აყენებდა, ამცირებდა და ძალიან ხშირად ეს შვილების თანდასწრებით ხდებოდა, რაც სულ უფრო აშორებდა მას ორივესთან, განსაკუთრებით კი – თოკოსთან... ეს ყველაფერი რომ გაახსენდა, კიდევ უფრო გაუჭირდა დარეკვა, მაგრამ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, აუცილებლად უნდა დალაპარაკებოდა ნანიტას. ჯიბიდან ხელის კანკალით ამოიღო მობილური და ძლივს აკრიფა ნომერი. მისდა გასაოცრად, ყურმილი თოკომ აიღო. როგორც ჩანს, იცნო მისი ნომერი და საკმაოდ უხეშად უპასუხა:

– გისმენ! რა გინდა?

– თოკო, მე ვარ! – დიმიტრი შეეცადა, თვითონაც უხეშად ეთქვა ეს სამი სიტყვა, მაგრამ, იმდენად უმწეოდ გამოუვიდა, რომ თვითონვე გაღიზიანდა.

– რა გინდა? – კითხვა გაუმეორა თოკომ. ამჯერად მისი ტონი კიდევ უფრო უკმეხი იყო.

– არაფერი, ისე დაგირეკეთ. როგორ ხართ? – დაიბნა დიმიტრი, – დედა და ნუცა როგორ არიან?

– რა იყო, ცუდი სიზმარი ნახე? როდის აქეთ დაინტერესდი ჩვენი ჯანმრთელობით? – თორნიკეს ხმა ცივი და უხეში იყო, თან, რაღაცნაირი მძიმე ირონიით გაჟღენთილი.

– უფლება არ გაქვს, ასეთი ტონით მელაპარაკო! – ხმას აუწია დიმიტრიმ. ამას სულაც არ აპირებდა, მაგრამ, მიხვდა, ამჯერადაც, როგორც ყოველი დარეკვისას, ჩხუბს თუ არა, თოკოსთან უსიამოვნებას მაინც არ ასცდებოდა. არადა, ახლა ამის თავი ნამდვილად არ ჰქონდა.

– დედაშენი დამალაპარაკე! – ოდნავ დაირბილა ხმა დიმიტრიმ.

– დედაჩემს სახელი აქვს! – წაიგესლა თორნიკემ.

– ნანიტას დაუძახე! – დაუთმო დიმიტრიმ და იგრძნო, როგორ დეძაბა მთელი სხეული. ცოტაც და, თავს ვეღარ მოთოკავდა. ისევ იგრძნო გულის არეში მწვავე ტკივილი.

– რა საქმე გაქვს ნანიტასთან, ჩემთან არ ითქმევა? მე ხომ აგიკრძალე დედაჩემთან ჩემ გარეშე ლაპარაკი!

– საქმე მაქვს, სერიოზული საქმე. ეს მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება!

– რა, შერიგებას ხომ არ აპირებ? – ისევ გესლი გაურია ხმაში თოკომ.

– ძალიან გთხოვ, გამძლეობაზე ნუ მცდი! მე ახლა ძალიან მიჭირს და ნანიტასთან დალაპარაკება მჭირდება. დაუძახე! – ისეთი ხმით უთხრა დიმიტრიმ, რომ თორნიკემ წამით რაღაც სიბრალული იგრძნო თავისი „ვითომ მამის“ მიმართ, როგორც ის დიმიტრის მოიხსენიებდა ხოლმე. თუმცა, ეს წამიერი სიბრალული ისევ შეკავებულმა აგრესიამ შეცვალა:

– ჩვენც ბევრჯერ გაგვჭირვებია, მაგრამ, არ შეგვიწუხებიხარ და არც შენ მოგიკლავს თავი ჩვენზე ფიქრითა და დარდით. ასე რომ, ბარი ბარში ვიქნებით!

– დაუძახე! – ისტერიკა გაერია ხმაში დიმიტრის, – დაუძახე-მეთქი, შენი დედაც!..

– აღარ გაბედო აქ დარეკვა და სადმე არ შემხვდე, თორემ, ყელს გამოგჭრი, შე ახვარო! – ჩაისისინა თოკომ და ყურმილი დაახეთქა.

– ვის უბედავ, შე ლაწირაკო ნაბიჭვარო! – ამოიხავლა დიმიტრიმ, მაგრამ, პასუხად წყვეტილი ზუმერი გაიგონა. სიმწრისგან მეტი რომ ვერაფერი მოიფიქრა, მობილური ტელეფონი „ბარდაჩოკს“ მიახეთქა და ფეხი გაზის პედალს დააჭირა. „მერსედესმა“ თითქოს აიწყვიტაო, ისეთი სიჩქარით გავარდა, ჩამოწეული მინიდან შემოჭრილი ქარი კი კოღოსავით უწუოდა ყურში.

– ცემით მოვკლავ, დავასახიჩრებ მაგ მართლა ნაბიჭვარს! – ღრიალებდა დიმიტრი, – მაინც, ვის დაემსგავსა ეგ ნაგლი, ეგა! როგორ გამიბედა! მერე რა, რომ მე და დედამისი დავშორდით, გადაყოლილი ვარ მაგათზე. როდის რა დამიკლია, როდის მითქვამს რამეზე უარი! სულ კუდში დავდევდი, რაზე აღარ დამყავდა, მაგრამ, ვერაფერში ივარგა და ახლა თავის ბოღმებს მე მანთხევს თავზე! არა, ეს როგორ უნდა შევარჩინო! ახლა თუ ვაპატიე, უარესად გათავხედდება! – დაასრულა თუ არა თავისი მონოლოგი, დიმიტრიმ გად-

აწყვიტა, უკან დაბრუნებულიყო და შვილისთვის ჭკუა ესწავლებინა.

– ახლავე, ახლავე! – დაიყვირა გამწარებულმა და, ისე, რომ სიჩქარისთვის არ მოუკლია, მანქანა მოაბრუნა. გაისმა საბურავების წივილი და დიმიტრიმ ცხადად დაინახა, რომ, იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც მისი „მერსედესი“ მიჰქროდა, უზარმაზარი ბოძი უახლოვდებოდა.

– როგორმე ამას უნდა ავუარო გვერდი. ღმერთო, მიშველე! – ჩურჩულით თქვა და საჭეს ორივე ხელით ჩააფრინდა. ფეხი კი მთელი ძალით დააჭირა მუხრუჭის პედალს, მაგრამ, პედალი არ დაემორჩილა და მანქანამ სვლა ოდნავადაც არ შეანელა. დიმიტრიმ მთელი ძალით მოაბრუნა საჭე – იქნებ ასე მაინც ასცილებოდა ბოძს, რომლამდეც სულ უფრო მცირე მანძილი რჩებოდა. რაღაც მომენტში მოეჩვენა, რომ მოახერხა ბოძისგან აცილება და, ის იყო, გაიფიქრა, გადავრჩიო, რომ გულის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო, ისეთი მწვავე, რომ სუნთქვა შეეკრა და თვალთ დაუბნელდა. თავისდაუნებურად, ხელი შეუშვა საჭეს, გვერდითა სავარძელზე გადაწვა და საშინელი გრუხუნის ხმა სადღაც შორიდან მისწვდა მის სმენას.

„მგონი, ჯოჯოხეთის კარი შევლეწე!“ – ესღა გაიფიქრა და წყვდიადში ჩაიძირა. მერე საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ჩავარდა კისელის მდინარეში, რომელსაც მსუბუქი ორთქლი ასდიოდა და ნისლივით გროვდებოდა ზედაპირთან; შემდეგ კი იგრძნო, როგორ ნელ-ნელა დაიწყო ჩაძირვა ამ თბილ, ბლანტ, მოწითალო კისელში.

„როგორ მიყვარდა ბავშვობისას ალუბლის თბილი კისელი და პეჩენია... მშია...“ – გაუელვა გონებაში. მერე ერთი დიდი ყლუპი კისელი გადაყლაპა, მაგრამ, ტკბილი ალუბლის წვენის ნაცვლად სისხლის საზიზღარი, გულისამრევი გემო იგრძნო და ზიდება დააწყებინა.

მერე მის ჩაძირულ მანქანასთან მოცურდა ულამაზესი ქალთევზა და დაჭეჭყილი კარი გამოაღო.

„გამოდი და წამომყევი, ნუ გეშინია“, – უთხრა ქალთევზამ და ხელი ჩაჰკიდა, რომ მანქანიდან გაეყვანა, დიმიტრის კი განძრევის თავი არ ჰქონდა, ყველაფერი სტკიოდა; ისე ძალიან სტკიოდა, რომ მთელი ხმით ბღავილი უნდოდა, მაგრამ, ამასაც ვერ ახერხებდა, რადგან, ცხვირ-პირიც, ყურებიც და თვალებიც სისხლისგემოიანი კისელით ჰქონდა ამოვსებული.

მშვენიერი ქალთევზა, ეტყობა, მიხვდა მის გასაჭირს, მაგრად ჩაეჭიდა ხელებში და, შეეცადა, მანქანიდან გაეყვანა, მაგრამ, დიმიტრის ორივე ხელი მოსძვრა.

„ღმერთო, მიშველე! – გაიფიქრა გულგახეთქილმა, – ხელები მომძვრა და აღარ მტკივა!“

ახლა ფეხებში ჩააფრინდა ქალთევზა – ძალიან უნდოდა, რომ გადაერჩინა ეს საცოდავი კაცი და სამშვიდობოს გაეყვანა, მაგრამ, ფეხებიც მოსძვრა დიმიტრის. არც ახლა უგრძნია ტკივილი და აღარც გაჰკვირვებია. მხოლოდ ის გაიფიქრა, მარტო თავი და ტანიღა დავრჩი და, ალბათ, რა საზიზღარი სანახავი ვიქნებიო. მისდა გასაოცრად, აღარც ფეხები სტკიოდა.

– სანამ მარტივ მამრავლებად არ დამიშლია ეს კაცი, დროზე უნდა გავიყვანო აქედან, – ჩაილაპარაკა ქალთევზამ. დიმიტრიმ გაიგონა მისი ნათქვამი და, რამდენადაც შეძლო, გაიღიმა. „ეტყობა, მათემატიკაც კარგად იცის და არც იუმორთან არის მწყრალად“, – გაიფიქრა სისხლიან კისელში ჩაძირულმა და უცებ მიხვდა, რომ ეს სიტყვები საიდანღაც ეცნობოდა. ამასობაში ქალთევზამ წელზე მოჰხვია ხელი, ფრთხილად გამოიყვანა მანქანიდან და ნელი ცურვით გასწია წინ. შემდეგ კი თითქოს მიმართულება შეიცვალეს – ზემოთ-ზემოთ იწყეს ცურვა და, დიმიტრიმ იგრძნო, რომ საერთოდ ვეღარ სუნთქავდა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს, აგერ-აგერ, გასკდებოდა და უჩინარ ნაწილაკებად დაიშლებოდა.

„ცოტაც კიდევ, ცოტაც და, სამშვიდობოს გაგიყვან“, – ბუნდოვნად ჩაესმა საოცრად ნაცნობი ხმა. გაჭირვებით გაახილა თვალები, რომ შეეხედა, ვინ ელაპარაკებოდა. მართალია, მოწითალო კისელი მზერას უბინდავდა, მაგრამ, ისევ ის ქალთევზა დაინახა. კარგად რომ დააკვირდა, სახეც ეცნაურა, უფრო სწორად – თვალები: სევდიანი, დაღლილი და ტკივილით აღსავსე. უცნაური გრძნობა დაეუფლა – შორეული, ნაცნობი და მონატრებული. ის იყო, უნდა ეკითხა, საიდან მეცნობიო, რომ, ამოყვინთეს კიდეც ამ საშინელი სისხლისგემოიანი კისელის მდინარიდან. დიმიტრიმ ნაპირზე ამოგდებული თევზივით დააღო პირი და ჟანგბადის უზარმაზარი ნაკადი ისეთი გრიალით შეიჭრა მის ფილტვებში, რომ კინაღამ დაუხეთქა. საშინელი ტკივილის მიუხედავად, დიმიტრიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი თავის გადამრჩენელს და, უცებ მთელი ძალით იღრიალა:

– ნანიტააა!!

***

– მგონი, დავაბრუნეთ! – დაცვარული შუბლი მოიწმინდა თეთრხალათიანმა ხნიერმა მამაკაცმა და გაიღიმა, – რაღაცის თქმას ცდილობს.

პროფესორი ირაკლი ქებაძე, დაღლილობის მიუხედავად, აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

– ჰო, გადარჩა. ახლა ისაა მთავარი, რამდენი ხანი დასჭირდება შოკიდან გამოსვლას, – თქვა ასევე თეთრ ხალათში გამოწყობილმა სიმპათიურმა ასისტენტმა ქალმა, რომელიც დიმიტრის რაღაც აპარატებთან აერთებდა.

– და, კიდევ, რამდენ ხანს იცოცხლებს შოკიდან გამოსვლის შემდეგ, – დაუმატა პროფესორმა.

– ეგ უკვე უფალზეა დამოკიდებული და არა ჩვენზე, – ღიმილით თქვა ასისტენტმა ქალმა და ავადმყოფს სასთუმალი გაუსწორა.

– უფალზე – თავისთავად, მაგრამ... – ექიმმა ეჭვიანად გაიქნია თავი და ლაბორატორიიდან მოტანილ პასუხებს ჩახედა, – როგორ მოერევა ნაინფარქტალი გული და დასახიჩრებული სხეული სიმსივნეს? ჩემი აზრით, მხოლოდ სასწაულის იმედი უნდა ვიქონიოთ.

– ხომ ხედავთ, ისევ ღმერთამდე მივედით, – თქვა ასისტენტმა და თერმომეტრი მოამზადა.

– საწყალი! სასიკვდილოდ ძალიან ახალგაზრდაა, თანაც, საკმაოდ სიმპათიური. არაფერი ეშველება? – იკითხა ექთანმა და სიბრალულით შეხედა დიმიტრის, რომელიც თვალდახუჭული იწვა და არათანაბრად სუნთქავდა.

– საიდან მოიტანე, მზია, ასეთი სისულელე? – გაბრაზდა პროფესორი.

– აბა, კიბო სჭირსო?!. – დაიბნა ექთანი.

– გირჩევნია, ენას კბილი დააჭირო და შენს საქმეს მიხედო. წვეთოვანი შეამოწმე? – საკმაოდ უხეშად დაუტატანა ექიმმა, მერე გაიფიქრა, ეს გოგო ასეთი კარგი ექთანი რომ არ იყოს, გრძელი ენის გამო ერთ დღესაც არ გავაჩერებდიო, და, ის იყო, გასვლა დააპირა, რომ მზიას ყვირილმა შეაჩერა:

– ირაკლი ექიმო, ირაკლი ექიმო! ისევ რაღაცის თქმას ცდილობს!..

ექიმი სასწრაფოდ მიუახლოვდა ავადმყოფს და სახეზე დააკვირდა. მართალია, განძრევას ვერ ახერხებდა, მაგრამ, ეტყობოდა, რომ ძალიან დაძაბული იყო და ტუჩებით ერთსა და იმავე მოძრაობას აკეთებდა, საფეთქლებთან კი კუნთები უთრთოდა და ნიკაპი უკანკალებდა.

ირაკლი დაიხარა და ყური პირთან ახლოს მიუტანა. ორიოდე წუთს ისე იდგა, მერე კი გაიმართა და თავის ასისტენტს მიმართა:

– მაია, როგორც ვიცი, ამ კაცს ცოლშვილი ჰყავს, ხომ ასეა?

– დიახ, ბატონო ირაკლი.

– ჰოდა, ჩემი აზრით, რომელიღაცას ეძახის – ნანუკას თუ ნანიკოს. ალბათ, მის ცოლს ან შვილს ჰქვია ასე. მზია, გადი დერეფანში, მისი ოჯახიდან ვინმე იქნება მოსული და შემოიყვანე. ახლა ამას ჩვენი ლაპარაკი შიგადაშიგ ესმის და, თავისი ოჯახის წევრის ხმის გაგონებამ, შესაძლოა, დააჩქაროს მისი გონზე მოსვლა.

მზიამ მაშინვე კარს მიაშურა, მაგრამ, მაიამ შეაჩერა.

– ბატონო ირაკლი, მისი ოჯახიდან არავინ მოსულა. როგორც გავიგე, გაშორებულია ცოლთან და არც შვილებთან აქვს მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა. თანაც... – მაია გაჩუმდა, თითქოს ეუხერხულებოდა, ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა.

– როგორ თუ არავინ მოსულა? – გაოცე-

ბით იკითხა ირაკლიმ, – კაცი კვდება და, რა დროს ძველი ანგარიშებია? გამაგიჟებს ეს ხალხი! მაიკო, რა თქვი წეღან, რა „თანაც“? გაბედე, ნუ გერიდება!

ასისტენტმა ღრმად ჩაისუნთქა და გაბედა:

– იქნებ, ის ნანუკა თუ ნანიკო სულაც არ არის ცოლი ან შვილი, იქნებ სხვა ვინმეა...

ექიმი ჩაფიქრდა, მერე ავადმყოფს გახედა – ის ისევ აცმაცუნებდა ტუჩებს.

– შესაძლოა, შენ მართალი ხარ, მაგრამ, მე ამის გაძლება აღარ შემიძლია. მზია, გადი და, ვინც იქნება, ის შემოიყვანე – მეზობელი, ნათესავი, მეგობარი – მნიშვნელობა არ აქვს! – თითქმის იყვირა ირაკლიმ.

მზია მაშინვე გავარდა პალატიდან.

– ხალათის მიცემა არ დაგავიწყდეს! – მიაძახა მაიამ.

ხუთი წუთის შემდეგ მზია მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს შემოუძღვა.

– გამარჯობა, ბატონო ირაკლი, მე ძმა ვარ...– დაბნეულად თქვა შემოსულმა და ავადმყოფისკენ შეშინებულმა გაიხედა, – დავიღუპეთ თუ?..

– მე მგონი, გადავრჩით, მაგრამ... თქვენი სახელი, პატივცემულო?

– გიორგი. რა „მაგრამ“, ექიმო?

– ბატონო გიორგი, ამ ეტაპზე თქვენი ძმის მდგომარეობა, როგორც იტყვიან, დამაკმაყოფილებელია, თუმცა... – ირაკლი გაჩუმდა. ცოტა არ იყოს, დაიბნა – არ იცოდა, როგორ ეთქვა ავადმყოფის ჭირისუფლისთვის, თქვენს ძმას დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ უწერიაო.

ექიმი კარგა ხანს იყო ჩუმად. გიორგი ჯერ მოთმინებით ელოდა, მაგრამ, პაუზა ძალიან რომ გაიწელა, ვეღარ მოითმინა და ჩაეკითხა:

– თუმცა?

ირაკლიმ ამოიოხრა. უჭირდა თქმა, მაგრამ, იცოდა, ვალდებული იყო, ძმისთვის არაფერ დაემალა.

– ბატონო გიორგი, თქვენთან სალაპარაკო მაქვს. თუ არ შეწუხდებით, ჩემს კაბინეტში წამობრძანდით!

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! – აფორიაქდა გიორგი და სახე ქაღალდივით გაუთეთრდა – ეტყობა, გულმა ცუდი უგრძნო.

– გთხოვთ, – წინ გაუძღვა ირაკლი, პალატის კარი გამოაღო და გასვლისას ასისტენტს დაუბარა:

– ავადმყოფი ერთი წუთითაც არ დატოვოთ მარტო, მე მალე მოვალ!

***

– ბატონო გიორგი, ძალიან მიმძიმს, მაგრამ, უფლება არ მაქვს, ყველაფერი არ გითხრათ, – მიმართა ექიმმა საკმაოდ დაბნეულ მამაკაცს და სავარძელზე მიუთითა.

გიორგიმ შეშინებული თვალები მიაპყრო და სახეზე წითელმა ლაქებმა დააყარა.

„ესეც მოსაბრუნებელი არ გამიხდეს“, – გაიფიქრა პროფესორმა და კარადიდან კონიაკი და სიგარეტი გამოიღო. მერე სასმელი პატარა სირჩაში ჩამოასხა და სიგარეტთან და საფერფლესთან ერთად წინ დაუდგა:

– დალიეთ, ცოტა სიმხნევეს შეგმატებთ. თუ გნებავთ, მოწიეთ კიდეც. როცა მზად იქნებით მოსასმენად, მითხარით.

გიორგიმ კონიაკი გადაკრა და სიგარეტს მოუკიდა. ხელები უკანკალებდა. ორი ღრმა ნაფაზის შემდეგ კიდევ დაისხა კონიაკი. მერე კიდევ. რამდენიმე წუთში ხელების კანკალმა გაუარა, სახეც შედარებით დაუწყნარდა და მიხვდა, რომ უკვე ნებისმიერი ინფორმაციის მოსმენა შეეძლო. სავარძელში გასწორდა და მოლოდინით მიაჩერდა ექიმს.

– მზად ხართ? – ჰკითხა ირაკლიმ და თვითონაც დაისხა კონიაკი.

– დიახ... კიბო სჭირს? – ვეღარ მოითმინა და თავად დაასწრო შეკითხვა.

– დიახ, თირკმელის. მაგრამ, მარტო ეს რომ იყოს... – პროფესორი გაჩუმდა და გიორგის შეხედა.

– ანუ, კიდევ არის რამე? – დაძაბულად იკითხა გიორგიმ.

– კიდევ არის ინფარქტისგან დაფლეთილი გული, ავარიის შედეგად დამტვრეული სხეული და სერიოზულად დაზიანებული შინაგანი ორგანოები.

– ესე იგი, გადარჩენის შანსი ნულია? – სახე გაუფითრდა გიორგის.

– როგორ გითხრათ... ავარია რომ არ მოსვლოდა, დიდხანს ისედაც ვერ გასტანდა – ინტენსიური მკურნალობით, შესაძლოა, ერთი წელი, მაქსიმუმ, წელიწად-ნახევარი ეცოცხლა, ახლა კი, ყველაფერ დანარჩენთან ერთად, გულია გადასარჩენი.

– თუ ამჯერად გამოძვრა, მაშინ?

– მაშინ, ექვსი თვე თითქმის გარანტირებული ექნება, ოღონდ, მკურნალობის კურსის გაგრძელების შემთხვევაში. არ იცოდით, სიმსივნე რომ ჰქონდა?

– არა. თვითონაც არ იცოდა, თორემ, მეტყოდა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... – გაოგნებული სახით იმეორებდა გიორგი, – ყველაფერს მოველოდი, ამის გარდა!..

– ბატონო გიორგი, ერთი დელიკატური შეკითხვა მაქვს თქვენთან, – უხერხულად შეიშმუშნა ექიმი.

– გისმენთ, ბატონო ირაკლი!

– ვინ არის ნანიკო თუ ნანუკა?

– ალბათ, გინდათ თქვათ – ნანიტა. დიმიტრის ყოფილი ცოლია.

– ასეც ვფიქრობდი...

– რაშია საქმე? რა შუაშია აქ ნანიტა? – გაუკვირდა გიორგის.

– არაფერ შუაში არაა. საქმე ისაა, რომ გონზე მოსვლის წუთიდან თქვენი ძმა მხოლოდ ამ სახელს იმეორებს – ნანიტას ეძახის.

– ლაპარაკი შეუძლია? – გაუხარდა გიორგის.

– არა, მთლად ასეც არაა საქმე, მაგრამ, ტუჩების მოძრაობით მივხვდი. ოდნავ გასაგონი ხმით ჩურჩულებს, თვითონ კი აშკარად ჰგონია, რომ მთელი ხმით ყვირის – ალბათ, ეძახის.

– ექიმო, – დაძაბულობის გამო გიორგის ხმა აუკანკალდა, – არ დამიმალოთ, მართალი მითხარით, არის რამე შანსი, თუნდაც თეორიული, რომ... რომ... ჩემი ძმა გადარჩეს?

– თეორიული შანსი ყოველთვის არსებობს, ჩემო კარგო. ამ ეტაპზე თქვენი ძმა, პრაქტიკულად, გადარჩენილია. მაგრამ, მე ვერაფერს გეტყვით, რა მოხდება თუნდაც უახლოესი ორი-სამი თვის, უფრო მეტიც – ორი-სამი კვირის განმავლობაში.

– საავადმყოფოში რამდენ ხანს უნდა იწვეს?

– ზუსტად ვერ გეტყვით. მთავარია, კრიზისულმა პერიოდმა მშვიდობიანად ჩაიაროს და მერე ვნახოთ. ჰო, მართლა, აქედან სად გადაიყვანთ, თქვენთან თუ...

– ცხადია, ჩემთან. თვითონ მარტო ცხოვრობს და ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს. როგორც გითხარით, ცოლთან გაყრილია, თან, არც შვილებთან აქვს მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა. მეც მარტო ვცხოვრობ – ქვრივი ვარ. ჩემი ქალიშვილი გათხოვილია, ბინა დიდი მაქვს, მატერიალურად არ მიჭირს, ასე რომ, მომვლელს ავიყვან და პრობლემა არ იქნება. თუმცა...

– თუმცა?..

– თუმცა, ეჭვი მეპარება, ადვილად ვიპოვო მომვლელი. ბატონო ირაკლი, იქნებ, თქვენ დამეხმაროთ ამ საქმეში და თქვენი მედპერსონალიდან დაითანხმოთ ვინმე? კარგად გადავუხდი. თანაც, მედმუშაკს უკეთ ეცოდინება, როგორ უნდა მოუაროს ასეთ ავადმყოფს...

– შევეცდები, ბატონო გიორგი. ორ-სამ თვეში ჩვენი კლინიკა რემონტის გამო იკეტება და პერსონალის ნაწილი დროებით უმუშევარი რჩება. აქ ერთი კარგი ექთანი გვყავს, მზია ჰქვია. ახალგაზრდა ქალია, თავისი საქმის კარგი მცოდნე, თან, რამდენადაც ვიცი, მატერიალურადაც მაინცდამაინც არ ულხინს. რატომღაც, მგონია, რომ უარს არ გვეტყვის. თუმცა, ეს მომავლის საქმეა. მართალია, ახლო მომავლის, მაგრამ, მაინც...

– ძალიან კარგი. მაშინ, თქვენს იმედზე ვიქნები.

– ბატონო გიორგი, კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს.

– ბრძანეთ.

– მის ყოფილ ცოლს არ უნდა გავაგებინოთ? როგორც წესი, ოჯახს ჩვენ ვატყობინებთ ხოლმე, მაგრამ, ახლა, სიმართლე გითხრათ, აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ.

ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-53(679)

„დეჭავუ“

ნატო პირდაღებული უსმენდა ქეთის. ყავის დალევაც კი დაავიწყდა. ლელაც შედარებით მშვიდი და რაციონალური იყო.

– კარგია, რომ შენი პრობლემა მოგვარდა. აშკარად ძალიან ცუდად აისახებოდა შენი შრომის ნაყოფიერებაზე. ისე, მე წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ, ნატომ არ მოისვენა. მობილურს რომ არ პასუხობდი და არც გამოჩნდი, ინერვიულა.

ქეთის თვალები უციმციმებდა:

– რომ ვერ წარმოვიდგენდი, ისე მოიქცა... გოგოებო, ეს ვახოს არ ჰგავდა. საერთოდ არაფერი უთქვამს და არც მე მომცა რამის თქმის საშუალება. ძალიან მაგარი იყო.

– ახლა სად არის? – ეჭვით იკითხა ნატომ და ბინა მოათვალიერა.

– წავიდა. გიგისგან თავისი ნივთები უნდა მოიტანოს. მთელი ეს პერიოდი იმასთან ცხოვრობდა, თურმე... საყვარელი...

– ძალიანაც ნუ დაიჯერებ მაგ ამბავს, – წამოსცდა ნატოს და ლელამ მაშინვე წაჰკრა მაგიდის ქვეშ ფეხი, თვალებიც გამაფრთხილებლად დაუბრიალა.

– რატომ არ უნდა დავუჯერო? – ღიმილით იკითხა ქეთიმ, – იცით, რას გეტყვით? ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, დაუჯერებელს დავიჯერებ.

– ჰო, რა თქმა უნდა, – სწრაფად დაეთანხმა ლელა და ნატოს ანიშნა, ადექი, წავიდეთო, – მოკლედ, ხვალ გელოდებით სამსახურში. აბა, შენ იცი, აღარ გავიგო შენი ცუდი. მორჩით ამ კინკლაობას და პრობლემებიც აღარ გექნებათ. ხომ ფაქტია, რომ უერთმანეთოდ ვერ გაძელით, ამიტომ, ცოტა დათმე ხოლმე.

– გიჯერებ. მართალი ხარ და, შეუძლებელია, არ დაგეთანხმო. ამ დღეებში იმდენი ვინერვიულე... სულელი ვიყავი, სიტუაცია ასე რომ გავამწვავე. დებილი ვარ, რა... ვერ ვისწავლე, როდის უნდა ვიჩხუბო და როდის გავჩუმდე.

– მაგაშია საქმე, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ნატომ და წამოდგა, – მით უმეტეს, ახალი წელი მოდის... რად გინდა, ჩხუბი და აყალ-მაყალი დაგებედოს? თანაც, შენი ქმარი მაინც შენი ქმარია და, თუ მთლად ურჩხული არ არის, გაცილებით ჯობია, აიტანო, ვიდრე გააგდო. სადღა არიან ნორმალური კაცები.

– გააჩნია, ნორმალურში რა იგულისხმება, – ამოიოხრა ქეთიმ, – ეჰ, გოგოებო, ჩვენ რომ გვინდა, ეგეთი კაცები მარტო კინოებსა და ზღაპრებშია.

– არც ჩვენ ვართ საჩუქრები – ესეც ხომ ფაქტია, – თქვა ლელამ, – მათ რომ ჰკითხოს კაცმა, უამრავი ნაკლი გვაქვს ცოლებს და რაც ყველაზე ცუდია, თურმე, მშვიდად ცხოვრებას არ ვაცლით.

– თითქოს ჩვენ არ გვინდოდეს ეგ მშვიდი ცხოვრება, – გაეღიმა ქეთის, – მაგალითად, ვახოს რატომ არ შეუძლია, ყოველთვის ისეთი იყოს, როგორიც გუშინ იყო? თბილი, ყურადღებიანი, ალერსიანი, სიყვარულით სავსე...

– აჰ, არ გაბრიყვდე და ეგ არ ჰკითხო ვახოს, – სიცილი აუტყდა ლელას, – თორემ, წყალში ჩაყრი ყველაფერს.

– არა, რა თქმა უნდა.

გოგოებმა ჩაიცვეს. ქეთიმ კარამდე მიაცილა. ზღურბლზე მდგარი ნატო შემობრუნდა, ორი თითით ყელი გამოწია და მუდარის ხმით სთხოვა:

– აუ, ის ბიჭი ვინ იყო? ინტერესით ვკვდები. მითხარი, რა!

ლელამ ამოიოხრა:

– ჭკუას ვერ სწავლობს ეს გოგო. გაჩუმდი-მეთქი, ხომ გთხოვე!

– რა მოხდა, რომ გვითხრას? ქმართან პრობლემა ხომ მოაგვარა, თუ კარგი ტიპია და თავისუფალიც არის, ჩემკენ გამოგეშვა...

ქეთიმ და ლელამ ჯერ ერთმანეთს შეხედეს გაოცებით, მერე კი ისტერიული სიცილი აუტყდათ...

***

ვახო ღიღინით შევიდა ოფისში და თიკოს მოზრდილი შეკვრა დაუდო მაგიდაზე.

– ოჰო, ეს რა არის? – გაუკვირდა გოგოს და თვალები აუციმციმდა.

– საჩუქარია შენთვის, – გაუღიმა ვახომ.

– მართლა? არ მატყუებთ? ვაიმე, რა საყვარელი ხართ... შეიძლება ვნახო? ანუ, ახლავე რომ გავხსნა-მეთქი, მაგას ვგულისხმობდი.

– მაგას რა კითხვა უნდა? უნდა გახსნა, თანაც, ახლავე. ისეთიც არაფერია, შოკოლადი და კრუასანი წამოგიღე, ყავაც არის. რაღაც ახალია, არომატიზირებული. მერე მეც მომიდუღე, თუ არ დაგეზარება...

– რა თქმა უნდა, ახლავე მოგიდუღებთ! – თიკო – გახარებული წამოხტა, – თქვენნაირი ფანტასტიკური შეფი არავის ჰყავს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში.

– საახალწლო პრემიასაც რომ მოგცემ, მერე, ალბათ, საერთოდ „სუპერი“ ვიქნები.

თიკომ სიხარულით წამოიყვირა, შეხტა და ვახოს ორივე ლოყაზე აკოცა, მერე კი დაირცხვინა.

– უი, ძალიან ავმჩატდი. მაპატიეთ, რა!

– რა გაპატიო, კოცნა? კარგი გოგო ხარ შენ. გიგი სად არის, მოვიდა უკვე?

– კი, კი, თავისთან არის, მოსაწვევების დიზაინზე მუშაობს. დავუძახო?

– ჰო, უთხარი, ცოტა ხანში ჩემთან შემოვიდეს.

გიგი კომპიუტერში ნინის ძველ სურათებს ათვალიერებდა დაღონებული სახით და, წარბშეკრული, ჩუმად ოხრავდა. თიკოს დანახვაზე სწრაფად ჩაკეცა გვერდი და გოგოს შეუბღვირა:

– რა გინდა? ჯერ მითხარი, დღეს თვალით არ დამენახოო და ახლა აქ შემომივარდი?

თიკომ ტუჩი აიბზუა:

– რა უხეში ხარ! ვახო მოვიდა და შენზე თქვა, ცოტა ხანში ჩემთან შემოვიდესო. შენი ნახვის სურვილს არ შემოვუყვანივარ აქ.

– ჰმ, ალბათ, როგორ გაგიხარდა, ვახოს დავალებით ჩემი ნახვის შანსი რომ მოგეცა, – დასცინა გიგიმ.

– საიდან მოიტანე? – ჭარხალივით გაწითლდა გოგო, – რამხელა წარმოდგენის ხარ საკუთარ თავზე!

– ასეა, ასე, მაგრამ, არ გინდა, გამოტყდე. რატომ ტელეფონით არ მომაწოდე ინფორმაცია, აპარატი გვერდზე არ გედო?! მაგრამ, შენ რას გამოტყდები, რომ ჩემ გარეშე ვერ ძლებ.

– ფუ, რა უნდა გელაპარაკო... – სხვა ვერაფერი თქვა თიკომ და ქუსლების ბაკუნით გავიდა ოთახიდან.

– დრო მოვა, შენი პირით მეტყვი, რომ

გიყვარვარ, – სიცილით მიაძახა გიგიმ.

ლაშამ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი.

– იჩალიჩებ, რა. რა გინდა, რატომ ცდილობ, გაამწარო და გადარიო, მაგისი წიკვინი გსიამოვნებს?

– ვხუმრობ, ხომ გასაგებია?

– ვაიმე, არ ესმის მაგ გოგოს შენი ხუმრობა და, სიმართლე რომ გითხრა, არც მე მესმის... იმას მიაღწევ, რომ სერიოზული სკანდალი ატყდება. გაჩერდი, რა!

– ვერ ვჩერდები. აქ ისეთი მოწყენილობაა, რომ არ გავხალისდე, მთქნარებით მოვკვდები.

– სკანდალი გახალისებს? გამაოგნებელი ამბავია, – ხელები გაშალა ლაშამ, – მე რომ ვუთხრა ვახოს, გიგის ხუმრობები მუშაობაში მიშლის ხელს-მეთქი?

– შენ ხომ არ გააკეთებ ამას?

– ვითომ, რატომ არა? – ლაშამ წარბები შეიჭმუხნა, – მართლა ვამბობ, აღარ შემიძლია თქვენი კინკლაობის ყურება, მოსმენა – მით უმეტეს.

– რა დღეში გაქვს ნერვები? ეტყობა, სახლში ცოლი გიბურღავს ტვინს და აქ პატარა ხმაურზეც კი ვარდები.

ლაშა წამოჭარხლდა:

– შენ სულ გაგიჟდი? მოუკრეფავში რომ გადადიხარ, ვერ გრძნობ? თუ, მეც მეხუმრები?

– აუ... მგონი, მართლა ჯობია, გავჩუმდე, თორემ, ერთმანეთზე უარესები ხართ შენ და თიკო.

ლაშამ თვალები დაუბრიალა.

– კარგი. ახლავე გავალ აქედან. ბარემ, ვახო მეძახის და, გავიგებ, რა უნდა.

ვახოს მაგიდაზე ეწყო ფეხები და რაღაც მხიარულ მელოდიას ხმადაბლა უსტვენდა, თან ყავას უბერავდა სულს...

– შემოდი, შემოდი... თიკომ ყავა არ მოგიდუღა? მაგარი ყავა მოვუტანე. ახლა მოვსვი და დამიარა... ჯერ მარტო სუნი გადაგრევს.

– ჰმ, გატყობ, მაგარ განწყობაზე ხარ. რა მოხდა, მოკალი ის ტიპი?

ვახოს მაშინვე შეეცვალა სახე. ფეხები მაგიდიდან ჩამოიღო და ოფიციალური გამომეტყველებით დაჯდა მაგიდასთან.

– რა სისულელე თქვი, ხვდები? შენ სულ აურიე ამ ბოლო დროს და, არ თქვა ახლა, ვიხუმრეო. ეგ შენი იდიოტური ხუმრობები აქ უკვე ყველას ყელში ამოუვიდა.

– ოჰო, მოგიტანეს უკვე ენა?

– ეგ რა შუაშია?! შენ თვითონ ვერ ატყობ, რომ ზოგჯერ მეტისმეტი მოგდის? თუნდაც ახლა...

– აუ, კარგი. სისულელე ვთქვი, გეთანხმები. უბრალოდ, გამიხარდა, კარგ გუნებაზე რომ დაგინახე, ვიფიქრე, პრობლემა მოაგვარა-მეთქი.

– თუ გინდა, რომ მე და შენ ძალიან მაგრად არ ვიჩხუბოთ, მეორედ მსგავსი არაფერი წამოგცდეს. ქეთის შევურიგდი.

– აი, თურმე, რა... გასაგებია... ძალიან კარგი... მაგიტომაც არ დაბრუნდი ღამით...

– რა იყო, ინერვიულე?

– ცოტა. მერე ჩემით მივხვდი რაღაცას... თუმცა, მთლად ასეთ „ჰეფიენდს“ არ ველოდი.

– აჰა, ისევ თავიდან იწყებ? – წამოიქოჩრა ვახო, – რა ხდება, ტო, ჩემთან ჩხუბი გინდა?

– არა, არა, ღმერთმა დამიფაროს! ხომ გითხარი, ძალიან გამიხარდა-მეთქი.

– ჰოდა, ეგრე... – სახე გაუნათდა ვახოს და გიგის თითი გამაფრთხილებლად დაუქნია, – თიკოსაც შეეშვი, გასაგებია?

– გასაგებია. დეტალები, ალბათ, არ უნდა გამოვიკითხო, არა?

– ჰო, ეს ჩვენი პირადი საქმეა. საერთოდ, დავივიწყოთ ეს ამბავი. დღეს ჩემს ნივთებსაც წამოვიღებ შენგან. ძალიან დიდი მადლობა, რომ შემიფარე.

– რას ამბობ! ყოველთვის მზად ვარ, შენნაირი მდგმური მივიღო, – გაიცინა გიგიმ, – ასე რომ, თუ კიდევ დაგჭირდება, ჩემი სახლის კარი შენთვის ღიაა.

– არავითარ შემთხვევაში! ჭკუა ვისწავლე – ოჯახს არაფერი სჯობს, მით უმეტეს, ჩემნაირი კაცისთვის, რომელიც გასართობს გარეთ არ დაეძებს.

– იმედია, ქეთიც დააფასებს შენნაირ ქმარს, – მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა გიგიმ.

– დეტალებს ნუ ჩავუღრმავდებითმეთქი, ხომ შევთანხმდით?

– კარგი, კარგი... ამბობენ, კაცები ნელნელა, წლების მატებასთან ერთად ჭკვიანდებიანო და, ეტყობა, შენს ცხოვრებაში ეს ეტაპი უკვე დადგა.

– შენ ისევ ხუმრობ, მაგრამ, ასეა. თან, გამოცდილებაც თავისას შვრება. შენც დაგიდგება ასეთი ეტაპი, არ იდარდო.

– იმედია, ფიზიკური დეგრადაციის ხარჯზე არა.

– ვითომ მაგით რისი თქმა გინდა? – დაიძაბა ვახო.

– არაფრის. ჩემთვის ვთქვი, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის მისამართით.

– თიკომ მითხრა, მოსაწვევების დიზაინზე მუშაობსო. ვისი შეკვეთაა?

– იმ ტიპის, რესტორნების ქსელი რომ აქვს და ზუკას რომ ენათესავება რაღაცნაირად, – თვალი ჩაუკრა გიგიმ, – სხვათა შორის, დღეს ზუკა არ გამოჩენილა. ხომ არ იცი, სად არის? შენ დაგეთხოვა?

– არა. წარმოდგენა არ მაქვს, სად არის.

– გამაგიჟებს ეს ბიჭი! თუ კიდევ იმ ქალს დასდევს უკან, გადავირევი. რა ვუყო, რითი დავეხმარო?

– მოეშვი, ყველა თავადვე მიხედავს საკუთარ თავს. შენ რით უნდა დაეხმარო?

– კისერს მოიტეხს, – ამოიოხრა გიგიმ.

– კისერსაც თავისას მოიტეხს, შენსას ხომ არა?

გიგიმ მხრები აიჩეჩა:

– კი ბატონო. მაგრამ, მე მაინც ვგრძნობ რაღაც პასუხისმგებლობის მაგვარს. მეგობარია, რაც არ უნდა იყოს.

– ყველაფერს აქვს საზღვარი. შენ ხომ ცდილობდი, დახმარებოდი, შენებურად, რა თქმა უნდა, მაგრამ, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ნუღარ ჩაერევი. ასე ჯობია.

გიგიმ ეჭვით შეხედა ვახოს. მასში მომხდარი ცვლილება ისეთი აშკარა და თვალშისაცემი იყო, არ შეიძლებოდა, არ გეღიარებინა. „ყოჩაღ, ქეთი“, – გაიფიქრა თავისთვის, ხმამაღლა კი სხვა რამე თქვა:

– ანუ, წვეულებაზე შენ და ქეთი წამოხვალთ?

– რომელ წვეულებაზე?

– ლევანი ჩვენც გვეპატიჟება, ყველას.

– ჰო, წამოვიყვან ქეთის, რატომაც არა?! გადავწყვიტე, მის მიმართ უფრო ყურადღებიანი გავხდე, დახლოებით ისეთი, როგორიც შეყვარებულობის პერიოდში ვიყავი. საახალწლოდაც ვუყიდი საჩუქარს, რაღაც ისეთს, რაც განსაკუთრებით გაახარებს და არ ელის.

– უჰ, ყველა დაჭკვიანდა, ჩემ გარდა. ლაშაც ფასდაკლების საიტებზე „ზის“ მეორე დღეა და ცოლ-შვილისთვის საჩუქრებს არჩევს, – ამოიოხრა გიგიმ.

– ნინისთან ხდება რამე? – ჰკითხა ვახომ.

– არაფერი. ვიფიქრე და მივხვდი, რომ ხვეწნა არ შემიძლია. პრინციპში, დარწმუნებული რომ ვიყო, გაახარებს ეს ამბავი, არ დავიხევდი უკან, მაგრამ, მაგას აღარ ვჭირდები.

– შენ მაინც გესინჯა. თუ ისევ გიყვარს...

– არ ვიცი, არ ვიცი... – ჩაილაპარაკა გიგიმ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28-53(679)

ადრე ქურდი იმიტომ იყო დაფასებული ხალხში, რომ სამართლიანი იყო და უბრალო მასის ქომაგად გვევლინებოდა. დღეს კი პირიქითაა და სწორედ ამიტომ დავკარგეთ ავტორიტეტი. ქურდმა „სახალხო გმირის” სტატუსი დათმო ქონების ფასად და იმ ფაშისტად გადაიქცა, რომელ ფაშისტსაც სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინ ძარღვებში სისხლი ეყინებოდა ქურდის სახელის გაგონებაზე. აბა, სად გაგონილა და რომელ ქურდულ კანონში წერია, რომ ქურდს შეიარაღებული დაცვა უნდა დაჰყვებოდეს, თანაც, ძალოვანი სტრუქტურების ქსივებით?! ქურდის საქმე არც პოლიტიკოსობაა და არც ბიზნესმენობა. ქურდი ორ ძირითად ფუნქციას უნდა ასრულებდეს: ქურდობდეს და სამართლიანად განსჯიდეს. ახალი ქურდების უმრავლესობაში კი ერთ ხეირიან მომპარავს ვერ ნახავ და, თუკი მათთან ვინმე საქმის გასარჩევად მივა, მართალი ის აღმოჩნდება, ვინც მეტ ფულს გადაუხდის. ვიმეორებ, რომ ჩემ მიერ ზემოთთქმული სიტყვები ყველა თანამედროვე ქურდს არ ეხება და პატიოსანი ქურდი ახლაც მოიძებნება, მაგრამ, თანამედროვე ქურდულ სამყაროში ბევრი არაქურდული საქმე ხდება და სწორედ ეს გულისტკივილი მალაპარაკებს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მხოლოდ ლაპარაკი ვერ უშველის საქმეს, მოქმედება, აქტიური მოქმედებაა საჭირო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქურდების ასეთმა უხეირო, „ბეზპრეიელშჩიკურმა” ტრანსფორმაციამ ნამდვილი, იდეური, ძალოვნების უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია და მათ პარტიზანული ბრძოლა გამოუცხადეს ქურდებს. ამ გაღიზიანების შედეგი იყო მილიციელთა კონსპირაციული ორგანიზაცია „თეთრი ისარი“, რომლის წევრებმაც ბევრი ქურდი განყვიტეს. მართალია, ისინი ძირითადად „ბეზპრეიელშიკებს” ანადგურებდნენ, მაგრამ, მაინც დიდი ზიანი მიადგა ჩვენს საძმოს და, რომ იტყვიან, „პრიკუპში“ პატიოსნებიც მოჰყვნენ. მათთვის საპასუხო დარტყმის მიყენება კი ვერც ვერავინ შეძლო და, სიმართლე რომ ბოლომდე ვთქვათ, ვერც ვერავინ გაბედა... ერთ-ერთ ასეთ აქციას კინაღამ ჩემი სიცოცხლეც შეეწირა, ბეწვზე გადავრჩი და, რომ მოვმკვდარიყავი, სულ ტყუილად დაიღვრებოდა ჩემი სისხლი.

ეს ამბავი ერთ ყინვიან ზამთარს მოხდა მოსკოვში, ეგრეთ წოდებულ „მარინა როშჩაში“, სადაც ქურდულ სხოდკას ვესწრებოდი და რომელზეც ერთი ქურდული კონფლიქტი ირჩეოდა. ბაზარი რომ მორჩა და გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მივედით, იქ შეკრებილი თორმეტივე ქურდი დავიშალეთ და წავიდ-წამოვედით. მე ერთ-ერთ „ჯიპში“ უკანა სავარძელზე მოვთავსდი. ჩემთან ერთად კიდევ სამი ქურდი მგზავრობდა, დანარჩენი რვა ქურდი კი ოთხ-ოთხად, კიდევ ორ „ჯიპში“ გადანაწილდა. ჩვენი მანქანა მესამე რიგში მოდიოდა და ახალი დაძრული იყო, როდესაც მუცელმა შემაწუხა. ამიტომ მძღოლს ვთხოვე, გაეჩერებინა. მე მანქანიდან გადმოვედი და იქვე ტყეში შევირბინე. ღამე იყო და ბნელოდა. უცებ მიდამო ჯერ ელვარე შუქმა გაანათა, შემდეგ კი აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა და თვალწინ საშინელი სურათი წარმომიდგა: ერთდროულად აფეთქდა სამივე „ჯიპი“: პირველი ორი – მოძრაობის დროს, მესამე კი – სულ რაღაც ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით ჩემგან, რადგან, ის მე მელოდებოდა. ამ ყველაფრის გააზრებაც კი ვერ მოვასწარი, როცა უკაცრიელ ტრასაზე საპირისპირო მიმართულებით მოძრავი „ნისან პატრული“ გამოჩნდა. ის ჯერ წინა ორ აფეთქებულ „ჯიპთან“ შეჩერდა. მანქანიდან გადმოსულმა ორმა მამაკაცმა აფეთქებული „ჯიპები“ დაათვალიერა, შემდეგ კი ერთად გამოემართნენ ჩემი „ჯიპისკენ.“ „ნისანიდან“ კიდევ სხვა ორი მამაკაცი გადმოვიდა. სიბნელის გამო მათ სახეებს ვერ ვხედავდი, თუმცა, ლაპარაკი გარკვევით მესმოდა და კარგად გავიგონე, თუ როგორ უთხრა ერთმა მეორეს:

– აქაც ყველაფერი რიგზეა, ყველანი მკვდრები არიან. ჩქარა, მოვშორდეთ აქაურობას, სანამ ვინმე არ მისულა და არ დავუნახივართ.

მეორემ კი პირველს მიუგო:

– ძალიან საეჭვოა – წინა ორი მანქანა ერთად მიდიოდა, ეს მესამე კი ასი მეტრით ჩამორჩება წინებს.

– ნუ ხარ ეჭვიანი, ყველაფერი რიგზეა. ჩქარა, აქაურობას გავეცალოთ, – უთხრა პირველმა, შემდეგ ისინი მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ღამეს ოცდაათი გრადუსი ყინვა იყო, თანაც შარვალჩაწეული ვიჯექი ბუჩქებში, სიცივის ნატამალიც კი არ მიგრძნია. პირიქით, ისე მახურებდა სხეულში, თითქოს გავარვარებულ ლითონზე ვიდექი შიშველი ფეხებით. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, წარმოვიდგინე, რა საშინელ სიკვდილს გადავურჩი. იმ ღამეს სულ ტყეტყე მომიწია სირბილი. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემს ბინაში მივედი და სული მოვითქვი. ტელევიზორი რომ ჩავრთე, ყველა არხზე ამ აფეთქებებზე ლაპარაკობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ყოველივე ეს „თეთრი ისრის“ ნამოქმედარი იყო. ასახელებდნენ აფეთქებული ქურდების ვინაობას და იმასაც ამბობდნენ, რომ ეს იყო შურისძიების აქტი. ჩემი სახელი კი არსად იყო ნახსენები. სანამ ყველაფერი ზუსტად გაირკვეოდა, „ფსკერზე დაწოლა“ ვამჯობინე და მოცდის ტაქტიკა ავირჩიე. ჩემი ვარაუდი გამართლდა და ჩემი ძებნა არავის დაუწყია, რადგან, სამიზნეები განადგურებულები იყვნენ, მე კი არავის ვაინტერესებდი და, ალბათ, ამიტომაც გადავრჩი. მოკლული ქურდები კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, აქტიურად იყვნენ გარეულები ერთ პოლიტიკურ ინტრიგაში, რასაც რამდენიმე მილიციელის სიცოცხლე შეეწირა და „თეთრმა ისარმა“ მათ სამაგიერო გადაუხადა... ქურდები ადრეც დაუხოცავთ, მაგრამ ის იყო გამონაკლისი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ღამის წესად იქცა და ჩვენი ტოტალური განადგურება დაიწყეს.

– კობრა, ძმაო, სულ მალე, ალბათ, წითელ წიგნში შეგვიტანენ ქურდებს, – მითხრა ერთხელ ცნობილმა მოსკოველმა ჯიბგირმა – „კაზაკმა“, როდესაც გაიგო, რომ ერთ-ერთ კაზინოსთან ორი ქურდი ავტომატებით ჩაცხრილეს. ასეთი რამ კი იმ პერიოდში ყოველდღე ხდებოდა და უკვე აღარავის უკვირდა.

კაზაკი ოთხმოც წელს იყო მიტანებული, მაგრამ, ასაკის მიუხედავად, მხნედ გამოიყურებოდა. პირობითი სასჯელი ჰქონდა, რადგან, მეტროში ვიღაც უცხოელს საფულე ამოაცალა და ფაქტზე დაიჭირეს, თუმცა, აღარ გასროკეს.

– თუ ასე გაგრძელდა, წითელ წიგნში შესატანადაც აღარ დავრჩებით, – მივუგე ჩემს უფროს კოლეგას.

– ჰმ, ქურდებს ხოცავენ...– კბილებში გამოცრა მან. – ჩემს ახალგაზრდობაში ქურდის მკვლელობა განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ამ ფაქტს რეაგირების გარეშე როგორ დავტოვებდით, საფლავში ჩავყვებოდით ამის ჩამდენს. ახლა კი, რა ხდება? ისე გვულეტენ, თითქოს ბუზები ვიყოთ და პასუხის მომთხოვნიც არავინაა. მახსოვს, სრულიად ახალგაზრდა, ახალგამომცხვარი ქურდი ვიყავი, როცა ერთმა ჩეკისტმა კოსტია კასიო მოკლა ტრამვაიში. იმ ცხონებულმა ვიღაც ლოხს საფულე აპარსა, შენიშნეს და დაითესა. იქვე

ჩეკისტი აღმოჩნდა. მან კი, არც აცია, არც აცხელა, ნაგანი გააძრო და კოსტია ადგილზევე „დაანწვინა“. იცი, მერე რა მოხდა?

– რა? – ვკითხე მე.

– რა და, ჯერ კიდევ კარგად არ იყო გაცივებული ჩვენი ძმა, რომ სხოდკა შევკრიბეთ, იმ ბოზს მეტკა დავადეთ და, კოსტია რომ დავმარხეთ, ერთ კვირაში იმ ჩეკისტის თავი ჩაგვაბარა „ტურკმა“. აი, რა მოხდა და როგორ ვიქცეოდით მაშინ. ახლა კი ჩვენს ძმებს ბუზებივით ხოცავენ და, პასუხის მოთხოვნას რომ თავი დავანებოთ, ხმის ამომღებიც არავინაა. არა, ძმაო, სულ აირია ეს ქვეყანა. აღარც ქურდს სცემენ პატივს, აღარც ღმერთი ახსოვთ და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

კაზაკი მართალი იყო. ახალი ცხოვრება სწრაფად კრეფდა თავის გიჟურ ტემპს და ამ დინებას ვერავინ შეაჩერებდა. რა თქმა უნდა, კაზაკს ყველაფერში ვეთანხმებოდი, თუმცა, ისიც კარგად მესმოდა, რომ ახალ დროებას ახალი წესები მოჰქონდა, მაგრამ, თუკი ასეთ აღვირახსნილობამდე მივიდოდა საქმე, ვერც მე წარმოვიდგენდი.

ბედის ირონიით, უკვე ღრმად მოხუცებული კაზაკი არა საწოლში, არამედ, ქუჩაში მოკვდა – ბრმა ტყვიამ იმ დროს იმსხვერპლა, როცა მაღაზიიდან სახლში ბრუნდებოდა, ამ დროს კი, თურმე, ვიღაც ბიზნესმენს იტაცებდნენ და მისმა პირადმა დაცვამ ცეცხლი გაუხსნა თავდამსხმელებს...

კაზაკი ნეპმანელი ქურდების ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი იყო და დიდი ქურდული პატივით დაკრძალეს, თუმცა, მანამდე ის იშვიათად ახსენდებოდათ მის ახალგაზრდა კოლეგებს და, მოხუცს თავი რომ გამოეკვება, თავისი პროფესიული ჩვევების გამოყენება უწევდა. კაზაკის ქელეხი პატარა მოსკოვურ რესტორანში ჩატარდა. იქიდან მე და კოლია რიჟი ერთად წამოვედით (რიჟიც ძველი ქურდი იყო). კაზაკის ცოლი არ მომეშვა, სანამ სახლში არ ავყევით. იქ მან ერთი ბოთლი არაყი გამოიტანა, სუფრაზე შავი პური, სალა და მჟავე კიტრი დააწყო და თვალცრემლიანმა მითხრა:

– ასეა, ჩემო ძმაო, მიდიან, ხელიდან გვეცლებიან კარგი ადამიანები, ის ხალხი, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრება გვაქვს გატარებული და ათასი რამ გადაგვხდენია. კაზაკის ხსოვნა იყოს, ღმერთმა გაანათლოს!

– ღმერთმა გაანათლოს კაზაკის სული, – ვთქვი მე და დავლიე, კოლია რიჟიმ კი ცრემლები მოიწმინდა და მითხრა:

– მე და კაზაკი ერთმანეთს სამოცდაათი წელი ვიცნობდით და ათასი ფათერაკი გვაქვს გამოვლილი. აბა, ჩემო მეგობარო, – განაგრძო კოლიამ, – მე და კაზაკმა ერთმანეთი ქუჩაში გავიცანით, რადგან, ეგრეთ წოდებული „ბეზპრიზორნიკები“ ვიყავით – დედ-მამა ჩვენ არ გვყავდა და სახლ-კარი ჩვენ არ გვქონდა. თან, ძალიან მძიმე დრო იყო – შიმშილი, ომი და ათასი უბედურება. ჩვენნაირები მთელ საბჭოთა კავშირს იყვნენ მოდებულები, სადაც გვიღამდებოდა, იქ გვითენდებოდა. სწორედ რომ ბედის ანაბარა ვიყავით დარჩენილები. ბედი კი კარგს არაფერს გვპირდებოდა და ჩვენვე ვზრუნავდით საკუთარ თავზე – ვქურდობდით, ძირითადად, ბაზრებში და საკვებს ვიპარავდით, რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით. სწორედ იმ პერიოდში შემოიღეს ბეზპრიზორნიკების აღზრდის კანონი – ყველა უპატრონო ბავშვს იჭერდნენ და მუშათა კომუნებში გზავნიდნენ. საამისოდ მილიცია სპეციალურ აბლავებს აწყობდა ხოლმე და დიდ-დიდ პარტიებად გვაკავებდნენ. ერთ-ერთი ასეთი აბლავა სმოლენსკის ბაზართან მოაწყვეს. ერთ დილას ოცი სატვირთო მანქანა მოაყენეს, მილიციელებმა ალყა შემოგვარტყეს და ჩვენი დაჭერა დაიწყეს. საიდან აღარ გამოჰყავდათ ბავშვები: ვის დახლის ქვეშ ეძინა, ვის – დახლზე, ვის კი – ბინძური შენობების სარდაფებში, სადაც მხოლოდ უზარმაზარი ვირთხები ბინადრობდნენ.

– გაიქეცით, ძმებო, „ძაღლები” მოვიდნენ! – იღრიალა ერთ-ერთმა ბავშვმა, რომელიც დაფეთებული გამოძვრა დახლის ქვეშიდან და მოკურცხლა.

მე დანგრეული შენობის ფანჯრის რაფაზე მეძინა. ხმაურზე თვალი გავახილე, მაგრამ, არ დავბნეულვარ, უხმაუროდ ჩავცოცდი ქვევით და აშმორებული სარდაფების გასწვრივ გავხოხდი. უკვე კარგად გათენებული იყო და მილიციის ალყიდან თავის დაღწევა აღარ მოხერხდებოდა, მათ ხელში ჩავარდნა და მუშათა კომუნაში წასვლა კი არ მინდოდა, რადგან, თავისუფალ ცხოვრებას ვიყავი შეჩვეული და შეზღუდვებს ვერ ავიტანდი. ამიტომ, რივოკის აღება გადავწყვიტე და ვიფიქრე: რაც იქნება, იქნება, რივოკს ავიღებ და, თუ გავასწარი, ხომ კარგი, თუ არა და, მაინც კომუნაში მივყავარ-მეთქი. სტარტისთვის მოვემზადე და, ის იყო, ადგილიდან უნდა მომეწყვიტა, რომ აშმორებული სარდაფის გისოსებიდან მომესმა:

– ვერ გაექცევი და დაგიჭერენ. ჯობია, აქ ჩამოხვიდე და ჩემთან ერთად დაიმალო. ძაღლები რომ წავლენ, თავისუფლად გამოვალთ.

ბიჭმა გისოსები გასწია, მე სარდაფში ჩავძვერი და ვუთხარი:

– პირველად გხედავ. ვინ ხარ?

– კაზაკი ვარ, – მითხრა ბიჭმა, – ჩვენი ხუტორი ჯარისკაცებმა გადაწვეს და ჩემი დედ-მამა დახოცეს. მე გამოვიქეცი და მოსკოვში ჩამოვედი ნათესავებთან, მაგრამ, ისინი ვერ ვიპოვე და ქუჩაში დავრჩი. შენ კი გიცნობ, კოლია რიჟის გეძახიან.

– მართალია, კოლია რიჟი ვარ, მაგრამ, საიდან მიცნობ, ჩვენთან ერთად არასდროს ყოფილხარ.

– მე აქ ვცხოვრობ უკვე ორი თვეა და ჩუმად გიყურებთ ხოლმე, – მითხრა კაზაკმა და ძალიან გამაოცა, რადგან, თურმე, ორი თვე ცხოვრობდა ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ადამიანი და მე ეს არ ვიცოდი. ვირთხების არ გეშინია?

– არა, – მიჩურჩულა კაზაკმა და ეზოში გამახედა, სადაც უამრავი მილიციელი ფუსფუსებდა. დავინახე, რომ ჩვენიანებს იჭერდნენ და მანქანებში ძალით სვამდნენ.

– მე მგონი, აქ მოდიან. თუ დაგვიჭირეს, მუშათა კომუნაში წაგვიყვანენ, – ვუთხარი კაზაკს, მან კი დამამშვიდა:

– ნუ გეშინია, სამალავი მაქვს და ვერ მოგვაგნებენ. წავიდეთ.

კაზაკს სარდაფში ნამდვილი სამალავი ჰქონდა მოწყობილი, სადაც მოპარული სურსათ-სანოვაგე და სანთლები ჰქონდა მომარაგებული. ერთი უზარმაზარი ვირთაგვა კი, რომელსაც კვებავდა, ისე ჰყავდა გამოწვრთნილი, რომ მისი შიშით იქ ვირთხები არ ჭაჭანებდნენ. როცა სამალავში შევძვერით და კაზაკმა სანთელი აანთო, ვირთაგვა ულვაშების ცმაცუნით უკანა ფეხებზე დადგა. კაზაკმა მას თავზე ხელი გადაუსვა, ყველის მოზრდილი ნაჭერი დაუდო და მითხრა:

– აი, ჩემი სამფლობელო, აქ ვერავინ მოგვაგნებს და, ვიცხოვროთ, სანამ აცივდება. მანამდე კი თბილი ადგილი მოვძებნოთ და საცხოვრებლად მოვემზადოთ.

მე და კაზაკმა სარდაფში ორი თვე გავატარეთ. დღისით მოსკოვის ქუჩებში დავდიოდით და ვჩალიჩობდით, ღამით კი სარდაფში ვბრუნდებოდით. რამდენიმეჯერ მილიცია გამოგვეკიდა, მაგრამ, კაზაკის წყალობით, ხელიდან გავუსხლტით. ის ძველი მოსკოვის ყველა ჩიხსა და სარდაფს კარგად იცნობდა, პატარა ბავშვებს კი, რომელი მილიციელი გვაჯობებდა სირბილსა და ძრომიალში. ორი თვის მერე მაინც ჩამავლეს: სადგურზე, ერთ-ერთი კიოსკის გამყიდველმა იმ დროს ჩამავლო, როდესაც მას სიგარეტს ვპარავდი. მან მილიციაში მიმიყვანა და კიროვის სახელობის მუშათა კომუნაში გამამწესეს, რომელიც მოსკოვიდან ორმოცდაათ კილომეტრში მდებარეობდა. იქ ორი თვის მიყვანილი ვიყავი, როცა ერთ თოვლიან დილას, კაზაკი მოიყვანეს. მეგობრის დანახვამ უზომოდ გამახარა. გადავეხვიე და ვკითხე:

– სად და როგორ ჩაგავლეს, კაზაკო?

– ტრამვაიში, – ხელი ჩაიქნია კაზაკმა, – ერთ ვაჭარს საფულე ამოვაცალე და ამაგდეს.

– შენ რა, ჯიბგირობა დაიწყე?

– ჰო, დავიწყე და ტრამვაიში დავიწვი, – ხელი ჩაიქნია კაზაკმა და დაღონებულმა დაამატა, – ეჰ, რა გაძლებს ახლა კომუნაში.

მე აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედე და კაზაკს ვუჩურჩულე:

– აქედან უნდა მოვტყდეთ. ორი თვეა, ყველაფერს ვაკვირდები და გაქცევის საშუალებაც მოვიფიქრე.

მუშათა კომუნა, ფაქტობრივად, ბავშვთა ზონა იყო, იმ განსხვავებით, რომ მავთულხლართებიანი გალავნის კოშკურებზე შეიარაღებული ჯარისკაცები არ იდგნენ, ყველა დანარჩენი მონაცემით კი ეს ტერიტორია ციხის ყაიდაზე იყო მოწყობილი და იქიდან თავის დაღწევა იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მე და კაზაკმა გაქცევა მაინც მოვახერხეთ: ზეწრებისგან თოკი გავაკეთეთ, ზაპრეტკას გამოვდეთ, გადავძვერით და წვიმიან ღამეს თავი წყვდიადს მივეცით. არადა, სულ რაღაც თორმეტ-თორმეტი წლის ვიყავით, თუმცა, საკმაო გამოცდილება გვქონდა და თავის დაცვა და გატანა შეგვეძლო, მით უმეტეს, ერთად. გამოსვლის შემდეგ კვლავ მოსკოვში დავბრუნდით. კაზაკმა ცნობილი ჯიბგირი – ბენია არბატსკი გამაცნო. სწორედ მის სახლში დავიდეთ ბინა. მისი პატრონაჟის ქვეშ ვიმაღლებდით კვალიფიკაციას და ვიწაფავდით ხელებს... ბენიასთან ერთად სამი წელიწადი ვიჩალიჩეთ და ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი მოვიარეთ. თხუთმეტი წლის რომ შევსრულდით, ბენია გულის შეტევით გარდაიცვალა და ჩვენი უფროსი კოლეგის გარეშე დავრჩით. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში რეპრესიები მძვინვარებდა, „ჩეკას" სისხლიანი ხელი არავის ინდობდა, მათ შორის, არც ბავშვებს და საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ ეს საშინელება. მე და კაზაკი ძველებურად ვცხოვრობდით – სხვადასხვა ქალაქში ვმოგზაურობდით, თან ვჩალიჩობდით და როგორღაც გაგვქონდა თავი. ასე მოვხვდით თბილისში. 25 თებერვლის სუსხიანი დღე იდგა. მე და კაზაკი ტრამვაიში ჩავსხედით და შესაფერის მგზავრს ვუთვალთვალებდით, რომ „გაგვეპარსა". ვერის ბაზართან ერთი ულვაშა კაცი ამოვიდა, რომელიც კარგად იყო ჩაცმული. მე სტენკა გავუკეთე კაზაკს, მან კი მგზავრი გაპარსა, საფულე მე გადმომცა და თვითონ კი ადგილზე დარჩა. უახლოეს გაჩერებაზე უნდა ჩავსულიყავით და საქმე დასრულებული იქნებოდა, მაგრამ, ერთ-ერთმა მგზავრმა ქალმა „გაპარსულს" დაუძახა, ჩვენზე მიუთითა და უთხრა, რომ გავქურდეთ. ამასობაში ტრამვაი გაჩერდა, მაგრამ, ჩასვლა ვეღარ მოვასწარით – „გაპარსულმა" ნაგანი მოგვიშვირა და კბილებში გამოცრა:

– აბა, სდექ! არ გაინძრეთ, თორემ, ადგილზევე დაგხოცავთ!

სხვა რა გზა გვქონდა, მუქარას დავემორჩილეთ და ადგილებზე გავქვავდით. მამაკაცმა მე და კაზაკი ხელბორკილებით ერითმანეთზე გადაგვაბა და წინ გაგვირეკა.

„გაპარსულმა," რომელიც თვითონაც „ჩეკისტი" აღმოჩნდა და თანაც, საკმაოდ ბობოლა, პირდაპირ „ჩეკაში" მიგვიყვანა და დაგვემუქრა:

– მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ქურდობა, თანაც, საქართველოს გასაბჭოების დიად დღეს! ჯერ კარცერში ჩაგყრით, შემდეგ კი დაგხვრეტთ!

მართლაც, ჯერ ნესტიან კარცერში ჩაგვყარეს და სამი დღე-ღამე წყალი და პურიც კი არ მოგვცეს, მეოთხე დღეს კი გამოგვიყვანეს, სხვა პატიმრებთან ერთად სატვირთო მანქანაში ჩაგვსვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანეს. სულ ოცი პატიმარი ვიყავით და რვა შეიარაღებული „ჩეკისტი" გვაცილებდა. საშინელი ამინდი იდგა. ყინავდა და თან თოვლი მოდიოდა. ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც ჩემგან ხელმარცხნივ იჯდა, მეორეს გადაუჩურჩულა: მოემზადე, მაინც სასიკვდილოდ მივყავართ და იქნებ გავიქცეთო.

მე და კაზაკი თექვსმეტი წლისანები ვიყავით, მაგრამ, ჩვენ შორის უფრო პატარებიც იყვნენ და ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ დასახვრეტად გაგვიმეტებდნენ. ჩემი მეზობლების საუბარი რომ მოვისმინე, გულმა ბაგაბუგი ამიტეხა და კაზაკს გადავუჩურჩულე:

– კაზაკო, მგონი, დავილუპეთ, დასახვრეტად მივყავართ.

– საიდან მოიტანე? – მკითხა კაზაკმა.

– ჩემ გვერდით მჯდომმა უთხრა მეორეს და გაქცევას აპირებენ.

– გაქცევას?

– ჰო, – ვუთხარი კაზაკს. ამ დროს ჩემ გვერდით მსხდომები ადგილიდან წამოხტნენ და, ჯერ თითო მუშტი მოსდეს ყბებში შეიარაღებულ „ჩეკისტებს" და საბარგულიდან გადაყარეს. შემდეგ თვითონაც გადახტნენ და მოყინულ ტრასაზე გაიქცნენ. საბარგულზე დარჩენილმა ჩეკისტებმა, გაქცეულებს ცეცხლი გაუხსნეს. მანქანამ მკვეთრად დაამუხრაჭა, მაგრამ, ყინულზე მოსრიალდა, გაცურდა, გზის ჯებირი გაარღვია და ხევში გადავარდა. მე და კაზაკმა გადმოხტომა მოვასწარით, მანქანა კი გადაიჩეხა და აფეთქდა.

– აბა, აქედან მოვუსვათ! – ვუთხარი კაზაკს და სირბილით შევცვივდით ტყეში.

თბილისში ადრეც ვიყავით ნამყოფები. ამიტომ, ორიენტირება არ გაგვჭირვებია: ჯერ სადგურზე გავედით და ვიღაც ჩაძინებულ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი ამოცანა

2	5	3	8	9	4	1	7	6
7	4	9	6	1	3	5	8	2
1	6	8	2	7	5	4	3	9
4	8	5	1	2	9	7	6	3
3	7	2	4	5	6	8	9	1
6	9	1	7	3	8	2	5	4
8	3	4	5	6	1	9	2	7
9	1	7	3	8	2	6	4	5
5	2	6	9	4	7	3	1	8

რთული ამოცანა

6	1	2	4	9	8	3	7	5
9	5	3	6	7	2	8	1	4
4	8	7	3	1	5	6	9	2
3	4	5	2	8	7	9	6	1
7	2	9	1	3	6	5	4	8
1	6	8	5	4	9	7	2	3
8	3	6	9	2	4	1	5	7
5	7	4	8	6	1	2	3	9
2	9	1	7	5	3	4	8	6

„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. შეუცდომელი მხოლოდ ალაჰია და მისი მიბაძვა ცოდვააო. 2. დუმილი. 3. ელემენტთა პერიოდულ სისტემაზე. 4. სამ რომბს. 5. ამ დროს მათ ფრენას ზურგის ქარი აიოლებს. 6. დოლებს. 7. სადაფი – ლათინურად პერლამუტრი – „პერლე" – მარგალიტი, „მუტერ" – დედა. 8. ციცერონი. 9. ლევი სტრაუსი. 10. ექვსქიმიანი ვარსკვლავი იყო და იუდეის სამეფოს ბეჭედს წარმოადგენდა.

მგზავრს საფულიდან ფული მოვპარეთ, მატარებლის ბილეთები ავიღეთ და ბათუმში გავემგზავრეთ. მე და კაზაკს არანაირი საბუთები არ გაგვაჩნდა, მაგრამ, ორი წელი მაინც გავიტანეთ თავი, თან ვოიაჟს განვაგრძეობდით, ვჩალიჩობდით და, ხან ერთ ქალაქში აღმოვჩნდებოდით, ხან – მეორეში. თბილისს აღარ გავკარებივართ, მისგან შორს გვეჭირა თავი, მაგრამ, დაპატიმრებას მაინც ვერ გადავურჩით: და მოსკოვში, საპასპორტო რეჟიმის დარღვევის გამო ჯერ დაგვაკავეს, შემდეგ კი დაგვაპატიმრეს და სამ-სამი წელი მოგვისაჯეს. იმ დღიდან მე და კაზაკი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს და, თუ არ ჩავთვლით პერიოდულად ციხეში გატარებულ სროკებს, ერთმანეთს არასდროს დავშორებივართ. ქურდებადაც ერთად გვაკურთხეს და, იმედი გვქონდა, რომ იმქვეყნადაც ერთად წავიდოდით, მაგრამ კაზაკმა გამასწრო და იმედია, რომ სულ მალე კვლავ შევხვდები მას.

კოლია რიჟის მონათხრობმა გული ამიჩუყა. ის მართალი აღმოჩნდა – სამ დღეში გარდაიცვალა და სწორედ კაზაკის გვერდით დავასაფლავეთ. დღესდღეობით ნეპმანელი ქურდების პირველი თაობიდან არავინ დარჩა ცოცხალი, მათი მემკვიდრეებიც ისე ცოტანი ვართ, რომ ჩვენი ჩამოთვლა ორივე ხელის თითებზე შეიძლება. მართალი იყო კაზაკი, როცა მეუბნებოდა, – ქურდები „წითელ წიგნში" ვართ შესატანებიო და მისი წინასწარმეტყველება აღსრულდა, ისევე, როგორც ვასია ბრილიანტის წინასწარმეტყველება, როცა ამბობდა, ქურდებს ერთმანეთს დაგვაჭმევინებენო.

ქურდებს შორის შუღლი ძველი ამბავია და ამაში თითქოს არაფერია გასაკვირი, მაგრამ ერთია კონფლიქტი და თუნდაც პატარა ინტრიგები და მეორე – სისხლისმღვრელი ომი, რომელიც კატასტროფულად აისახა ჩვენს საძმოზე. ბავშვობაში, როდესაც ქურდულ სამყაროში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და ქურდული ცხოვრება, ქურდული რომანტიკა ცალსახად მქონდა წარმოდგენილი, აზრადაც არ მომსვლია, რომ ინტრიგნებს, მლიქვნელებსა და კარიერისტებს იქაც შევხვდებოდი და ამ კუთხით საერთოდ არ ვემზადებოდი ჩემი მომავალი კარიერისთვის. პირველი დიდი გაკვეთილი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მივიღე და პირველად მაშინ დავფიქრდი, თუ რა რთულ და მოულოდნელობით აღსავსე სამყაროში მომიწევდა გზის გაკვლევა და დამკვიდრება. ერთხელ, ერთმა ჩვენმა მეგობარმა, ვერელმა ვატომ, ერთ მთაწმინდელთან ზარში ათასი მანეთი წაგო. ჩაბარება მეორე დღეს იყო, მაგრამ, ფული ვერ იშოვა, ჩემთან და ყბედალოსთან მოვიდა და ფულის სესხება გვთხოვა.

– რაში გჭირდება ათასი მანეთი? – ვკითხე ვატოს.

– გუროსთან ზარში წავაგე გუშინ და დღეს უნდა ჩავბარო. ვერსად ვიშოვე და იქნებ თქვენ მიშველოთ, – გვითხრა ვატომ.

ხუჭუჭა ქალაქში არ იყო, მე და ყბედალოს კი იმ მომენტში კაპიკი არ გვქონდა და ყბედალომ ჰკითხა:

– რომელ საათზე უნდა მიუტანო?

– ორზე, – მიუგო ვატომ.

– შე ჩემა, თხუთმეტ წუთში თავანი გაქვს და ახლა მოდიხარ? გუშინ მაინც გეთქვა. საქმეზე წავიდოდით და ვიჩალიჩებდით რამეს. ჩვენს ჯინაზე, ხუჭუჭაც არაა აქ, თორემ, მამამისს გამოართმევდა, – შეწუხდა ყბედალო.

– არა უშავს, – ვთქვი მე, – გურო ჩვენი ძმაა, ვეტყვით და თავანს გადაგიტანს. წამო, ავიდეთ და დავებაზროთ.



ვატოს ქურდობა უნდოდა, იცოდა, რომ თავანის გადატანა მაინცდამაინც პლუსში არ ეთვლებოდა მისი სტატუსის კაცს და ძალიან შეწუხდა, მაგრამ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, დაგვთანხმდა და წამოგვყვა. გურო ჩვენი ძმა იყო, თავანი უპრობლემოდ გადაუტანა და თქვა:

– ბაზარი არაა, ვაბშემც გაგირასხოდებ. არიოლ-რეშკა ავაგდოთ და, სანამ არ მოიგებ, ვიყომაროთ.

– არა, ასე არ მაწყობს. თავანი უნდა ჩაბარდეს და ჩაგაბარებ. პროსტო, ორი დღე მაცალე და კიდევ ერთი თხოვნა მაქვს: ეს ბაზარი ჩვენ ოთხში მოკვდეს, – თქვა ვატომ.

– რაზეა ბაზარი, ჭორიკნები ხომ არ ვართ, – თქვა გურომ და წამოვედით.

ვატომ ფული იმავე საღამოს აუტანა გუროს. გურომ კი რესტორანში წაგვიყვანა. „დარიალში" კარგად ვიქეიფეთ და სახლებში დავიშალეთ. მეორე დღეს ისეთ საშინელ პახმელიაზე ვიყავი, რომ სკოლაში ვერ წავედი. ავდექი, მამაჩემს ოცი მანეთი ამოვუღე ზაგაჟნიკიდან, რადგან წინა დღით ხელფასი აიღო და სახაშეში წავედი. უბანში ვერავინ ვნახე, რომ ჩემთვის კომპანიონობა გაეწია და კოლმეურნეობის მოედანზე მარტო დავეშვი. სახაშესთან ჩვენი ძმაკაცი, იარმარკელი სულხანა შემხვდა. ის ჩვენზე სამი წლით უფროსი იყო, ქურდობა უნდოდა და ქურდები საქმის კურსში ჰყავდა ჩაყენებული. მაინცდამაინც დიდი მოჩალიჩე არ იყო, მაგრამ, ენა ჰქონდა ალესილი და, მეტ-ნაკლებად, ლაპარაკი იცოდა. რომ დავინახე, მივედი და ვუთხარი:

– როგორ ხარ, სულხან, რამე საქმე ხომ არ გაქვს?

– ვაა, კობრა-ჯან. როგორ ხარ? – გადამეხვია სულხანა, და დაამატა, – პროსტო ვდგავარ, რა! შენ რას შვრები?

– მაგარ პახმელიაზე ვარ. უბანში ვერავინ ვნახე და მარტო ჩამოვედი სახაშეში. ოცი მანეთი მაქვს, წამოდი, შევუბეროთ.

– შევუბეროთ, რაზეა ბაზარი, – მითხრა სულხანამ და სახაშეში შევიდა.

იმ პერიოდში ოც მანეთად მთელ სახაშეს თავზე დაიმხობდი. ერთი სიტყვით, კარგად ვჭამეთ, ცოტა არაყიც გადავკარით და ასე დავშორდით ერთმანეთს. სახაშეში კი სულხანას ვატოს ამბავი მოვუყევი და, არც მიფიქრია, რომ ჩემი სიტყვები წინ დამხვდებოდა. სულხანა ძალიან ახლობლად მიმაჩნდა და არც კი გამხსენებია ვატოს თხოვნა, არავისთან წამოგცდეთ ჩემი ამბავიო. სამი დღის შემდეგ მე, ყბედალო, ხუჭუჭა და ვატო ბერძენასთან ავედით. ბერძენას გარდა, იქ ზურა ქართველიშვილი და სულხანაც იმყოფებოდნენ. ვატოს ზურას საქმის კურსში ჩაყენება უნდოდა, რომ ქურდობა სურდა და ჩვენ სწორედ ამიტომ მივიყვანეთ ზურასთან. ვატომ ზურას თავისი სათქმელი უთხრა და ქურდის პასუხს ელოდა. ამ დროს სულხანამ უთხრა ზურას:

– ზურა, შეიძლება, ერთი რამე ვთქვა?

ზურამ ალმაცერად შეხედა სულხანას და ჰკითხა:

– რამე სროჩნია?

– ამ ამბავს ეხება და, რომ არ ვთქვა, ჩემს სინდისთან მართალი არ ვიქნები, – მიუგო სულხანამ.

– რომელ ამბავს? – ჰკითხა ზურამ.

– ვატოს ამბავს. ერთი მისი საქციელი ვიცი და, მინდა, შენც იცოდე.

– აბა, მიდი, თქვი, – ნება დართო ზურამ სულხანას. მან კი სახაშეში ჩემი მონათხრობი სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა ზურას და ბოლოს თქვა:

– სულ ესაა, ზურა. თავანის გადატანა მაინცდამაინც კარგი საქციელი ვერ არის და, ყოველი შემთხვევისთვის, საქმის კურსში ჩაგაყენე.

ვატო გაფითრდა და შემომხედა. მე ჯერ ტუჩები მოვიკვნიტე, შემდეგ, სულხანას შევხედე და მწარედ ჩამეცინა. აბა, ზურა რის ზურა იყო, სიტუაციაში რომ ვერ გარკვეულიყო და სულხანას ქვემძრომობასა და პირფერობას ვერ მიმხვდარიყო. ამიტომ, სულხანას კვლავ ალმაცერად შეხედა და უთხრა:

– ეგ რა სუფრასთან მოსატანი იყო, ბიჭო! თავანის გადატანა ფუფლო ხომ არაა, მთავარია, ითქვას და ჩაბარდეს. ასეთი რამ ციხეშიც მოსულა და სვაბოდაზეც. რას ხედავ ამაში ცუდ საქციელს?

ზურას სიტყვებმა სულხანა წაახდინა, ვატო კი, პირიქით, ფერზე მოვიდა და ზურას მადლიერი მზერა მიაპყრო, მისგან „ვზაიმნი" რომ მიიღო და საბოლოოდ დამშვიდდა. ზურამ ისევ სულხანას შეხედა და უთხრა:

– აი, შენ თუმანი, წადი თამარასთან, ორი „მალბორო" იყიდე და ამოიტანე!

სულხანა ცოცხალ-მკვდარი წამოდგა და წავიდა. რა თქმა უნდა, არ ეპიტნავა თუნდაც ზურას ხელის ბიჭობა, მით უმეტეს, რომ იქ მასზე პატარებიც იმყოფებოდნენ და თავი უკიდურესად დამცირებულად იგრძნო. მაგრამ, ზურას სიტყვას, აბა, როგორ გადავიდოდა?!

სულხანა წავიდა, მე კი, არც ვაციე, არც ვაცხელე და ყველას თანდასწრებით ვატოს ვუთხარი:

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რა ტრაგედია დატრიალდა კახეთის სამეფო ოჯახში 1511 წელს

პატარა უფლისწულის წინაპრის, მეფე თეიმურაზ II-ის ვედრება ღვთისმშობლისადმი: „საქართველოს ერს შენი წილხვდომობა გაუახლე და იხსენ ამდენის შეწუხებისგან!“

ერთიანი საქართველოს ხელმწიფის, ალექსანდრე I დიდის მერე, საქართველოს სახელმწიფოს საქმე ცუდად წავიდა: საქართველოს მეფე გიორგი VIII (1446-1466) ჯერ ბიძაშვილმა ბაგრატმა დაამარცხა 1463 წელს, შემდეგ, 1465 წელს კი მეფე გიორგი დამარცხდა სამცხის ათაბაგთან ბრძოლაში და ტყვედ ჩავარდა. საქართველოს მეფედ თავი გამოაცხადა მისმა ბიძაშვილმა, აწ უკვე ბაგრატ VI-მ (იმერეთში – II). ტყვეობიდან დაბრუნებულმა გიორგიმ ტფილისი და ქუთაისი ვერ დაიბრუნა და კახეთში გამეფდა (კახეთში – გიორგი I, 1466-1476).

მის მერე კახეთის მეფის ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა, ალექსანდრე I-მა.

1511 წელს კახეთის სამეფო ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა. მეფე ალექსანდრე I მოკლა შვილმა, გიორგიმ და ტახტი დაიკავა (გიორგი II, ხალხმა ამის გამო მას „ავგიორგი“ შეარქვა).

1513 წელს ავგიორგი ქართლში ლაშქრობისას შეიპყრო ბაგრატ უფლისწულმა, ქართლის მეფე დავით X-ის ძმამ. გიორგი II ქსნის ციხეში მოკვდა.

1520 წელს კახეთის ტახტზე ავიდა ავგიორგის ძე – ლევანი.

ლევან მეფის მერე, 1574 წელს, კახეთის ტახტზე ავიდა მისი მეორე ვაჟი – ალექსანდრე II. ალექსანდრე II-ის უფროსი ძმა, იესე, ალამუტის ციხეში იყო გამომწყვდეული ირანელების მიერ.

1605 წელს კახეთის სამეფო ოჯახში კვლავ ტრაგედია დატრიალდა – რატომღაც, სახელი „ალექსანდრე“ ცუდად დაებედა კახთბატონების ოჯახს...

ალექსანდრე მეფეს ხუთი ძე ჰყავდა: ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. მამამ ერეკლე საიდუმლო მისიით გაგზავნა ოსმალეთში და იქ დაიღუპა. კონსტანტინე პატარაობიდან მძევლად იყო ირანის შაჰის, აბას I-ის კარზე. იქ კონსტანტინე-მირზა მტრულად გაზარდეს და გაათათრეს.

1601 წელს დავითმა გადააყენა მამა, აიძულა მონასტერში წასულიყო და ტახტი თვითონ დაიკავა. თუმცა, დავით I დაახლოებით ერთ წელიწადში გარდაიცვალა და ალექსანდრე II კვლავ დაბრუნდა ტახტზე.

მაგრამ, 1606 წელს, როგორც ჩანს, შაჰის დავალებით, იგი მოკლა გათათრებულმა კონსტანტინე-მირზამ. მოღალატემ არც ძმა – გიორგი დაინდო და სპარსელებს იქვე დაახოცვინა კახელი თავადებიც. მალე კახელები აუჯანყდნენ მოღალატე კონსტანტინე-მირზას და მოკლეს.

1606 წელს კახეთის ტახტზე ავიდა ალექსანდრე II-ის შვილიშვილი – თეიმურაზ I, დავითის I-ის ძე.

თეიმურაზ I-ის დედა იყო აშოთან მუხრანბატონის ასული – წმიდა ქეთევან დედოფალი. პირველ ცოლად თეიმურაზ მეფეს ჰყავდა ანა გურიელი, მეორე ცოლად მოიყვანა ქართლის წმიდა მეფის, ლუარსაბ II-ის და – ხორეშანი.

მეფე-პოეტს დიდი განსაცდელი შეხვდა: მისი მეფობის დროს შაჰ-აბას I-მა ააოხრა კახეთი, დახოცა უამრავი ქართველი, 80 000 ადამიანი კი ირანში გადაასახლა. ირანში მოკლეს მეფის სამი შვილი. დაუნდობელმა შაჰმა, აბას I-მა, წამებით მოაკვლევინა თეიმურაზ მეფის დედა – წმიდა ქეთევანი და ცოლისძმა – წმიდა ლუარსაბ II. სპარსელებთან ბრძოლაში კი დაელუპა ვაჟი – დავით ბატონიშვილი. ტახტიც დააკარგვინეს ირანელებმა და არც რუსებმა უშველეს, როგორც სჩვეოდათ... ბოლოს, სტუმრად მისულს

ისევე, როგორც ქართლის შტოს წარმომადგენლებს, ამ შტოსაც, რუსეთის იმპერიაში უწოდეს ბაგრატიონ-გრუზინსკები. აღნიშნული შტოს წარმომადგენლები დღესაც ამ გვარს ატარებენ. ქართლის გრუზინსკების შტო შეწყდა 1919 წელს

შაჰ აბას II-მ, გათათრება მოსთხოვა, მაგრამ, ვერ გატეხა ქართველი მეფე და ასტრაბადის ციხეში ჩააგდო, სადაც 1663 წელს გარდაიცვალა კიდეც.

1703-1709 წლებში კახეთში მეფობდა სიყმაწვილიდან რუსეთში გაზრდილი ერეკლე I (ნაზარალიხანი), უფროსი ძე დავით ბატონიშვილისა, შვილიშვილი თეიმურაზ I-სა. მანამდე იგი 1688-1703 წლებში ქართლის ტახტს ფლობდა. 1703 წელს შაჰმა სულეიმანმა ქართლის ტახტი გიორგი XI-ს, კახეთის ტახტი კი ერეკლე I-ს დაუმტკიცა, მაგრამ, ირანიდან არც ერთი აღარ გამოუშვა. ერეკლე I იქვე გარდაიცვალა.

1710-1715 წლებში ერეკლე I-ის უფროსი ვაჟი, მეფე დავით II (იმამ-ყული-ხანი) სპარსეთში წავიდა და კახეთის გამგებლად დატოვა თავისი ძმა – თეიმურაზი. 1719 წელს, მომავალმა მეფემ, თეიმურაზ II-მ, ცოლად შეირთო ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ასული – თამარი. 1720 წელს დაიბადა უფლისწული ერეკლე.

1733 წელს, ძმების – დავით II იმამყული-ხანისა და კონსტანტინე II მაჰმად-ყული-ხანის სიკვდილის შემდეგ, (შესაბამისად, 1722 და 1732 წლებში), კახეთის მეფე გახდა თეიმურაზ II.

1744 წელს ქართლის მეფედ გამოცხადდა თეიმურაზ II, კახეთის მეფედ კი – მისი ძე, ერეკლე II. მათი კურთხევა მოხდა სვეტიცხოველში. ეს იყო დიდი გამარჯვება მამა-შვილისა და ქართველი ხალხისა, რადგან, დიდი ხნის განმავლობაში ქრისტიანი (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად) მეფეები ვერ ადიოდნენ ტახტზე ქართლსა და კახეთში.

1760 წელს თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა და მოულოდნელად იქვე გარდაიცვალა. შესაძლოა, ის მოწამლეს.

სიკვდილის წინ თეიმურაზ მეფემ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს შეავედრა თავისი სული, შვილი – ერეკლე და შესთხოვა – „საქართველოს ერს შენი წილხვდომობა გაუახლე და იხსენ ამდენის შეწუხებისგანო.“

1973 წელს, ქალაქ ასტრახანში, ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა გახსნეს თეიმურაზ II-ის საფლავი. მეფის ცხედარი გაუხრწნელი დაუხვდათ, თეთრი, ოქრომკედით მოქარგული სამეფო სამოსით, თან, სურნელიც იფრქვეოდა თურმე.

ერეკლე II გარდაიცვალა 1798 წელს.

აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელ მეფედ ითვლება გიორგი XII, ერეკლეს ძე, თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ბატონიშვილ გრიგოლ იოანეს ძეს, გიორგი XII-ის შვილიშვილს, კახეთის აჯანყების წინამძღოლსა და მეფედ გამოცხადებულს მიიჩნევს უკანასკნელ მეფედ აღმოსავლეთ საქართველოში.

გიორგი XII-ის ერთ-ერთ შვილს ერქვა ბაგრატ ბატონიშვილი (1768-1841); მის ძეს ერქვა პეტრე ბატონიშვილი (1857-1922).

ისევე, როგორც ქართლის შტოს წარმომადგენლებს, ამ შტოსაც, რუსეთის იმპერიაში უწოდეს ბაგრატიონ-გრუზინსკები. აღნიშნული შტოს წარმომადგენლები დღესაც ამ გვარს ატარებენ. ქართლის გრუზინსკების შტო შეწყდა 1919 წელს.

პეტრე ბატონიშვილს ეყოლა ვაჟი – პეტრე ბატონიშვილი, ცნობილი პოეტი – პეტრე გრუზინსკი.

პეტრე გრუზინსკის ვაჟს ჰქვია ბატონიშვილი ნუგზარი, ცნობილი რეჟისორი. მას ჰყავს ორი ასული: ბატონიშვილები ანა და მაია. უმცროს ასულს, მაიას, ჰყავს ვაჟიშვილი – თეიმურაზი; უფროს ქალიშვილს, ანას, ჰყავს ორი ასული – ირინე და მარიამი, დავით ბაგრატიონთან ქორწინებაში კი შეეძინა უფლისწული გიორგი, მამით და დედით ბაგრატიონი.

გიორგი მახობელიშვილი

როგორ გაატარეს ახალი წელი საქართველოში პირველად 23 წლის შემდეგ გოჩა ჩერტკოევმა და შორენა გაჩეჩილაძე-ჩერტკოევმა

(მე-14 გვერდიდან)

მამად ვიტყვი, რომ ერთმა პატარა გუნდმა, სადაც მე და შორენაც ვიყავით, გარკვეული წვლილი შევიტანეთ ცეკვის განვითარებაში. ცეკვის ფორმა ძალიან ნელა იცვლება, ათ-თხუთმეტ წელიწადში რამდენიმე წყვილი ახერხებს მის ტრანსპოფორმაციას. შორენას ძალიან ძლიერი, სპეციფიკური გამომეტყველება აქვს ცეკვის დროს. მანამდე ცეკვები ძალიან ტკბილი და მხიარული იყო, ჩვენ კი მძაფრი, ემოციური, ცხარე, ვნებიანი, სექსუალური ფორმა მივეცით ჩვენს ცეკვას.

– ესე იგი, ძარღვიანი ცეკვა თქვენგან მოდის.

– კი მაგრამ, ამას მერე სწორი შეფუთვაც უნდოდა და ამაზე ბევრს ვფიქრობდით. თან, ყოველთვის ღია ვიყავით შენიშვნებისთვის, რჩევებისთვის. თუ გვერდით პროფესიონალი არ იყო, ვიღაც გამვლელი შემოგვყავდა დარბაზში, საერთოდ რომ არაფერი ესმოდა ცეკვის და ვთხოვდით: ათი წუთი დაგვითმეთ, გვიყურეთ და გვითხარით, მოგწონთ თუ არაო. მერე რა, რომ მან არ იცოდა ნიუანსები, მთავარია, სწორი ემოცია წამოსულიყო.

– ისეთი წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებთ, თითქოს ერთმანეთის გარეშე დიდხანს არ დარჩენილხართ.

შორენა: ეს პირველი შემთხვევა იყო და ძალიან გაგვიჭირდა.

გოჩა: განა მხოლოდ ის, რომ ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვცეკვავთ, არამედ, ფიზიკურადაც სულ ერთად ვართ. მაგრამ, ეს ბიზნესია, საქმეა და, როდესაც გავიგე, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ საქართველოში იწყებოდა, არ შემეძლო, არ ჩამოვსულიყავი, ეს ჩემი მოვალეობაა. მე თუ არა, სხვა ვინ?! არც დავფიქრებულვართ.

შორენა: ძალიან ბევრი შეფერხება მქონდა, გამიჭირდა ამის გაცნობიერება და მერე გადატანა. მაგრამ, სულ ვეუბნებოდი ჩემს თავს, არა უშავს, გაუშვი გოჩა, დაეხმაროს აქ მცხოვრებ ბავშვებს. შეიძლება ჩემსავით პატარა გოგო ცეკვავს სადღაც, დიდი ოცნებებით და ის აუცილებლად დაიჯერებს, რომ მას ყველაფერი შეუძლია. დარწმუნებული ვიყავი, რომ გოჩა ძალიან დადებით გავლენას მოახდენდა სიტუაციაზე.

– თავისი იმიჯით, საუბრის მანერით, მკაცრი შეფასებებით...

– მკაცრია?! მე პირიქით, მგონია, რომ ძალიან ბევრ ბოდიშს იხდის და ძალიან რბილ შეფასებებს აკეთებს.

– თქვენ უფრო მკაცრი აღმოჩნდით.

– არადა, ვცდილობ, არ ვიყო. უბრალოდ, ვერაფრით ვერ ვხუჭავ თვალს შეცდომებზე და რა ვქნა?! ჩემს თავს ველაპარაკები: „არა უშავს, შორენა, მაგრამ, არ გამომდის *(იცინიან)*.

გოჩა: თან, მათ არავინ აფასებს როგორც პროფესიონალებს – ეს სისულელე იქნებოდა. ერთმანეთს ვადარებ და დაბალ ქულას ამის მიხედვით ვწერ – მარტივი ფილოსოფიაა.

– ვინ იყო თქვენი ფავორიტი ამ სეზონზე?

– ის, ვინც შოუს აკეთებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია თვითონ პროექტი, შოუ...

შორენა: ვინც გულწრფელად უდგება ცეკვას, ვინც მთელ სულსა და გულს დებს და, ვინც გაიზარდა – ნულიდან დაიწყო და გაიზარდა. სამი რომ გადავიდა ნახევარფინალში, ძალიან სწორი იყო. არ ვიცი ვინ გაიმარჯვებს *(ინტერვიუ ჩაწერილია 29 დეკემბერს – ავტორი)*, მაგრამ, ჩვენ ვგულშემატკივრობთ გულწრფელობას და ცეკვისადმი დამოკიდებულებას.

გოჩა: საქმე სრულ შეფუთვას ეხება. ბევრს უთქვამს, კარგად ვიცეკვე და რატომ დავიმსახურე დაბალი ქულაო. მხოლოდ ცეკვა არ არის საკმარისი, იქ გასათვალისწინებელია, როგორი იყო ქორეოგრაფია, რა გეცვა, რა ილაპარაკე, გადაუხადე თუ არა ხალხს მადლობა... ხალხი სულელი არ არის, ყველაფერს ძალიან კარგად ხვდება. კამერა რომ გიახლოვდება შენი აზრები ჩანს.

შორენა: უფრო ჯანსაღი შეჯიბრი მინდა დავინახო. არ მგონია, რომ აქ ჯანსაღი კონკურენცია იყოს, თუმცა, ეს მე არ მაწუხებს, რადგან, ხალხი ხედავს და, მინიმუმ, უხერხულია. თუ შოუში ხარ ცამეტი კვირა, ცამეტივე კვირის განმავლობაში მიხედე შენს ფსიქიკას, დაღლას ან ნეგატიურ განწყობას.

– მესამე სეზონზე ველარ გაძელით და ჩამოაკითხეთ ხომ?

– დიახ. მოდიოდა მადლიერების დღე – დღე, რომელიც ამერიკაში უდიდესი დღესასწაულია და მთელი წელი ამ დღისთვის ემზადებიან. ამ დღეს მთელი ოჯახი ერთად უნდა იყოს და ასე იყო ყოველთვის. თან, ღევანი საქართველოში ნამყოფი არ იყო და, როდესაც ვთქვით, ხომ არ წავიდეთ საქართველოში-მეთქი, მას ეს იდეა ძალიან მოეწონა.

ლევან ჩერტკოევი: ჩვენ ერთი გუნდი ვართ, არა მხოლოდ ერთი ოჯახი. თვითონაც ბავშვები იყვნენ, როდესაც მე გავჩნდი და მართლა ერთად გავიზარდეთ. მშობლები ჩემი უახლოესი მეგობრები არიან, ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან და, ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა, ეს დღე ერთად არ ვყოფილიყავით. ცხრა კვირა დედაჩემის ყოფნა მამაჩემის გარეშე ურთულესია. იქ, ამერიკაში, ყველგან ერთად დავდივართ, მაგრამ, საქართველომდე ჩამოსვლას ოცდაოთხი საათი სჭირდება.

შორენა: სულ ერთად ვართ, ერთად გვიჭირს და ერთად გვილხინს. სულ მხიარულება და ბედნიერება არ არის ჩვენთან – ოჯახია და გვქონია რთულიც, მშვიდიც და სხვადასხვანაირი პერიოდები, მაგრამ, მთავარია, რომ ერთად ვართ, ჩვენთან არ არსებობს „ჩემი-შენი“, არ არსებობს ყვირილი, ჩხუბი, ბუტიაობა.

– რაზე გიბრაზდებოდნენ ყველაზე მეტად მშობლები?

ლევანი: სულ ორჯერ გამიბრაზდნენ და ორივეჯერ მამას ტანსაცმლის გამოყენების გამო *(იცინიან)*. „ფუულ ფართი“ გვქონდა და მთელ ჩემს სამეგობროს გოჩას საცვლები დავურიგე.

გოჩა: „დოლჩე და გაბანას“ საცვლები მიყვარს, მოვდივარ სახლში და – სამეზობლოს ბავშვებს ეს „დოლჩე და გაბანას“ საცვლები აცვიათ, ერთი ცალი რომ ორასი დოლარი ღირს *(იცინიან)*. მეთქი, რა ხდება ნეტავ?! ერთხელ კიდევ ჩემი „არმანის“ მაისური დაჭრა და სავარჯიშო მაისურად გადააკეთა *(იცინიან)*.

ლევანი: ხედავთ?! ათი წელი გავიდა და მაინც ახსოვს *(იცინიან)*.

– მოგწონს თბილისი?

– მომწონს, მაგრამ, ძალიან განსხვავებულია იმისგან, სადაც მე ვცხოვრობ.

გოჩა: ცოტა ვნერვიულობდი. ჯერ არ მინდოდა მისი ჩამოსვლა. არაფერი არ სჭირს საქართველოს, პირიქით, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ გზაზე დგას, მაგრამ, ლევანი სხვანაირად გავზარდეთ. რომ დაინახა ბავშვები თუ ბებიები ქუჩაში ფულს ითხოვენ, ასეთი რაღაცეები მან არ იცოდა, ძალიან განიცადა და ინერვიულა.

ლევანი: პირიქით, კმაყოფილი ვარ, რომ ეს ყველაფერი დავინახე. რთულია, მაგრამ, უნდა მენახა. ვეცადეთ, გაგვეკეთებინა სიურპრიზი, მაგრამ, გოჩამ გაიგო და აეროპორტში დაგვხვდა.

– და, ნოემ დაინახა თუ არა შორენა, ჟიურიში დასვა, არა?

შორენა: თავიდან არც მივედი შოუზე. შემდეგ ნოემ გაიგო, რომ არ ვიყავი და, უნდა იმსაჯოსო, დაიჟინა. არადა, „ქეჟუალ“ სამოსის გარდა არაფერი მქონდა ნამოღებული. რუსა მორჩილაძის სამოსი მეცვა. რომ არა ის, ჟიურიში დაჯდომას ვერ შევძლებდი. დიდი მადლობა მას ამისთვის.

გოჩა: წავედით მერე ერთად და დავბრუნდით. ახლა კი უკვე ერთად ვმსაჯობთ. ნოემ ძალიან ძლიერი არგუმენტებით დაგვითანხმა.

– ახალ წელს საქართველოში ხვდებით?

– დიახ, ოცდასამი წლის შემდეგ. ახალი წელი დღესასწაულია, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან ძლიერი „ნეთვორქინგი“, ბიზნესის დრო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ახალ წელს აქ ვატარებთ. ათი საათისთის შოუ დამთავრდება და მერე ნოე გეგმავს წვეულებას, სადაც, ალბათ, ყველა ერთად გავერთობით.

– მომავალ სეზონზე ჩამოხვალთ?

– ჯერ არ ვიცით, ვნახოთ. ძალიან რთულია იქ საქმეების დატოვება. ცხრა-ათი საათი რომ იყოს პირდაპირი ფრენა, გარწმუნებთ, შოუს დღეს ჩამოვიდოდი და წავიდოდი, ამის პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ, გზას ძალიან დიდი დრო სჭირდება და, ამიტომ, ყველაფრის მიტოვება მიწევს. ვნახოთ. წინ ჯერ ფინალი და ახალი წელი გვაქვს, რომელსაც სულით და გულით ვულოცავ მთელ საქართველოს!

სალომე გველესიანი

როგორ ცხოვრობს ვერა ქობალია თბილისში და რატომ გაიცნო მან ქმარი სამჯერ

(მე-11 გვერდიდან)

იზარდაო *(იცინის)* რაც შეეხება ნათლობის ცერემონიალს, ჩატარდა გრემში. ძალიან მიყვარს კახეთი. იქ, მშვიდ და წყნარ გარემოში, კარგი ნათლობა გამოგვივიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი მშობლები ვერ ჩამოვიდნენ იმ დღისთვის კანადიდან. მიშაც მაშინ პრეზიდენტი იყო და, მისი რეჟიმიდან გამომდინარე, თავისუფალი დროის გამოძებნა ძალიან გაგვიჭირდა.

– როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება, რაც მინისტრი აღარ ხართ?

– მეტი დრო მაქვს. მინისტრი რომ ვიყავი, დაბადების დღეზე მომიწია თურქეთში შეხვედრებზე წასვლა. მახსოვს, პრეზიდენტთან ვახსენე, შესაძლოა თურქეთში წასვლა გადავდო, რადგან ჩემი დაბადების დღეა-მეთქი. ამაზე მეჩხუბა – რა დროს დაბადების დღეა, ქვეყანას ვაშენებთო და ასე „დამავიწყა“ საკუთარი დაბადების დღე. მაშინ როცა მინისტრი ვიყავი, უამრავ რამეზე მქონდა შეზღუდვა – ხშირად ფეხით მინდოდა გამევლო, მაღაზიებში შევსულიყავი, მაგრამ, საშუალება არ მქონდა. დღეს კი ამას თავისუფლად ვახერხებ. აღმოვაჩინე, რომ ბევრი ტროტუარია დაზიანებული, რაც ადრე არ ვიცოდი. ახლა, რაც მინისტრი აღარ ვარ, ისე ჩაცმული გავდივარ ქუჩაში, ბევრი ვერც კი მცნობს. ადრე ოფიციალური სამოსი და კოსტიუმი უნდა მცმოდა, ახლა კი შემიძლია თავისუფლად ჩაცმა. ახლა თმაც გრძელი მაქვს და ახალი იმიჯით ჩემი ცნობა უჭირთ. დღეები ისე გადის, ვერც კი ვიგებ. დავრწმუნდი, რომ დედობა ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სამსახურია ქალისთვის *(იცინის)*. როცა მეუბნებოდნენ, დედობა მარტივი არ არისო, ვერ ვიჯერებდი. სულ ვეუბნებოდი ჩემებს: მინისტრობა შევძელი და დედობას რა უნდა-მეთქი, მაგრამ, ასე არ ყოფილა. 32 წლის ასაკში, თითქოს ნულიდან ვსწავლობ ყველაფერს. ძიძა არ მყავდა, თვითონ გავზარდე ჩემი შვილი, მხოლოდ ახლა ავიყვანე ძიძა, რაც სააგენტოს საქმეებზე მიწევს სიარული. მე დღესაც ძალიან აქტიური ადამიანი ვარ. ძველის მონატრების სანაცვლოდ, სულ ვფიქრობ, რომ წინ ვიყურო. გაზაფხულზე სასწავლებლად მივდივარ ჰარვარდში და რაღაც პერიოდი მომიწევს იქ ყოფნა, მაგრამ, ხშირად ჩამოვალ თბილისში. ალბათ, მომავალში ბევრი საინტერესო რამ მელის *(იცინის)*.

თამუნა სამადაშვილი

ვაჟა მანია „ბერკლიში“, მესამე სემესტრის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე დღით, საახალწლოდ აპირებს დასვენებას და შემდეგ ისევ აქტიურად შეუდგება სწავლას. სულ ცოტა ხნის წინ მან „ბერკლის“ ერთ-ერთ დარბაზში იმღერა და სამომავლოდ, მეგობრებთან ერთად, ბენდის გაკეთებასა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობას გეგმავს.

ვისთვის გახდა ამერიკიდან საქართველოში ვაჟა მანია სანტა კლაუსი და რატომ უნდა მას ბოსტონში მუდმივად მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა

ვაჟა მანია: მესამე სემესტრი დავასრულე. როგორც იცი, ამ სემესტრისადმი ჩემი მოლოდინი საკმაოდ დიდი იყო – ვიცოდი, რომ, საგნების მხრივ, ერთი საფეხურით მაღლა ავიწევდი და ეს უფრო საინტერესო იყო ჩემთვის. მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. მთელი ჩემი შრომა, ჯაფა ჩავდე, რომ კარგი გამოსულიყო, კარგი შეფასებები მიმეღო. როგორც მეუბნებიან, ჩემი სწავლა, ნიშნები, გადაწყვეტს შემდეგი სემესტრის ამბებს. ამიტომაც, მოვინდომე და ყველაფერი გავაკეთე. განათლების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა და თუ ამ კონკურსში ვერ გავალ, სამინისტრო შემინწყვეტს დაფინანსებას.

– როგორია კონკურსის პირობები?

– ჩამონათვალში ძალიან ბევრი რამ არის: რა გაგიკეთებია შემოქმედების მხრივ, რა პროექტებში მონაწილეობდი, როგორი მოსწრება გაქვს, ნიშნები, ბევრი დეტალი... ჩემი აზრით, ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებ და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. თუ ყველაფერი კარგად გამოვა, დაფინანსებასაც მივიღებ. ამიტომაც, მაქსიმუმი გავაკეთე და ჩემი შესაძლებლობები თავიდან ბოლომდე გამოვიყენე. კონკურსი დეკემბერში დაიწყო, განხილვა თებერვლის ბოლოსკენ იქნება, ხოლო პასუხები, ალბათ, გაზაფხულისთვის შეიძლება იყოს.

– სანამ პასუხი იქნება, როგორ განვითარდება შენი სწავლის პროცესი?

– მანამდე სწავლის პროცესი ჩვეულებრივ წავა, უბრალოდ, ნაკლები საგნები მექნება, მაგრამ დატვირთვა – იგივე. ვეცდები, რაღაც პროექტებში მივიღო მონაწილეობა, რაღაც კონცერტები დავგეგმო, რადგან ამის საშუალება არის. ერთი კონცერტი უკვე მქონდა და მინდა, ამ მხრივ, უფრო მეტი გავაკეთო. ბევრი მოსწავლე გავიცანი, ვგეგმავთ, ერთად დავუკრათ, კონცერტები გავაკეთოთ.

– მომიყევი შენი კონცერტის შესახებ?

– ყოველ სემესტრში აუცილებლად ტარდება ჯაზის საღამო, სადაც „ბერკლის“ ბავშვები მონაწილეობენ. თუმცა, მანამდე კონკურსი იმართება და დაახლოებით, რვა მოსწავლეს ირჩევენ. ოლონდ, ეს ჯაზის ვოკალისტებზეა გათვლილი. გამიმართლა და იმ რვაში მოვხვდი. კონკურსში რამდენიმე განსხვავებული ჟანრის სიმღერა უნდა გვემღერა: სვინგი, ბლუზი, ბალადა. ჟიურის შემაგენლობაში სამი კაცი იყო, ერთი – აკომპანიმენტი. მივიტანე ჩემი ნოტები, დავუდე და დავიწყე სიმღერა. საერთოდ, ჟიურის მხრიდან ემოციებს ვერასდროს გაიგებ. სხედან, გისმენენ, ამოგხედავენ და მერე წერენ რაღაცას, ოლონდ რას – კაციშვილმა არ იცის. თან, პასუხი იმეილზე კი არ მოვიდა, გაგვაფრთხილეს: საკლასო ოთახთან კედელზე გამოვკრავთ, სამ საათზე მობრძანდით და ყველა ნახავს თავის ნომერსო. მივედი, ჩემი ნომრის წინ, ერთი ციფრი გამოტოვებული იყო და რომ ვერ დავინახე, ძალიან მეწყინა. მეორედ რომ ჩავაყოლე თვალი, მერე ვნახე და გამიხარდა. ეს ჩემთვის პატარა ნარმატებაა.

– როგორ ჩაიარა კონცერტმა?

– კონცერტი „ბერკლის“ ერთ-ერთ შენობაში, პატარა დარბაზში ჩატარდა. კარგად ჩაიარა. თან, აქაური მსმენელი სხვანაირად გაფასებს, სხვანაირად გიყურებს. ამიტომ, მათ წინაშე გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია. ორი სიმღერა შევასრულე. აქაური კონცერტები იმდენად განსხვავებულია, რომ მგონია, აქამდე არაფერი გამიკეთებია. ყველაფერს დეტალურად ვუკვირდები, საფეხურიც კი განსხვავებულია. ამიტომ, ჩემთვის პირველი ნაბიჯივითაა. ცოტა არ იყოს, კონცერტზე ვინერვიულე, რაც საერთოდ არ მახასიათებს. აქ საშუალო დონეზე არაფერს ითხოვენ, შენი მაქსიმუმი უნდა გააკეთო – სულ მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყო და მათი მოთხოვნები დაკმაყოფილო. ჩემი მასწავლებელიც მოვიდა – გამაფრთხილა, შენ გამო აუცილებლად მოვალო. მერე ეს განვიხილეთ – როგორც კონცერტის შემდეგ, ასევე კლასშიც. მკითხა: შენ რა არ მოგწონსო. მოკლედ, ვიმსჯელეთ რაღაცეებზე და მეც შევეცდები, ნელ-ნელა სხვა ეტაპზე გავიდე. ეს კი, ხომ ხვდები, იმაზე მაღალია, ვიდრე აქამდე იყო.

ჩამონათვალში ძალიან ბევრი რამ არის: რა გაგიკეთებია შემოქმედების მხრივ, რა პროექტებში მონაწილეობდი, როგორი მოსწრება გაქვს, ნიშნები, ბევრი დეტალი... ჩემი აზრით, ყველაფერს ვაკმაყოფილებ

– კიდევ გამღერებს ვოკალის პედაგოგი არიებს?

– ეს ისევ საჭიროა და ვერ გაექცევი. მერე ცალკე შენც მოგასმენინებ. თუმცა, ამ კუთხით არ ვაპირებ კარიერის გაგრძელებას. საერთოდ, პედაგოგები ყოველ სემესტრში იცვლებიან და შენც ფიქრობ, აირჩიო ის, რომელსაც უფრო მაღალი რეიტინგი აქვს. პედაგოგებიც, როცა

ერთი კონცერტი უკვე მქონდა და მინდა, ამ მხრივ, უფრო მეტი გავაკეთო. თან, ამის საშუალება არის. ბევრი მოსწავლე გავიცანი, ვგეგმავთ ერთად დავუკრათ, კონცერტები გავაკეთოთ

რაღაცას აკეთებ, იქვე გეუბნებიან: რა არის კარგი და რა არა. იმას აფასებენ, რაც კონკრეტულ შემთხვევაშია. ამიტომ, სულ ფორმაში უნდა იყო.

– თავისუფალი დრო არ გქონდა?

– არა, ეს სემესტრი იმდენად დატვირთული იყო, ვერაფერს ვასწრებდი. ათი საგანი მქონდა – კვირაში ბევრი საგნის მომზადება მიწევდა. რა თქმა უნდა, ყველა ასეა, მარტო მე კი არა. პარასკევს, ახერხებ საღამოს რამდენიმე საათით სადმე გახვიდე, მაგრამ ფოკუსი იმისკენ მქონდა მიმართული, ჩემი საქმე ბოლომდე კარგად გამეკეთებინა.

– რა გეგმები გაქვს ახალ წელთან დაკავშირებით?

– ახალ წელს ბოსტონში ვიქნები, ან კაცმა არ იცის – სად *(ინტერვიუ ჩაწერილია 25 დეკემბერს – ავტორი)*. მოგეხსნება, მეგობრების ისეთი ნრე მყავს აქ, რომ რას გადავწვეტთ და სად ამოვყოფთ თავს, არავინ იცის. ჯერ არაფერი დაგვიგეგმავს – ზოგადად, არაფერს არ ვგეგმავთ ხოლმე. ადრეც შევხვდი ახალ წელს ამერიკაში და წელსაც შევხვდები. თან, ცოტათი მჯერა ბედობის და ასეთი რაღაცეების.

– ამიტომაც არ ჩამოდიხარ საქართველოში?

– ცოცხალი თავით არ ჩამოვიდვარ ამის გამო თბილისში.

– ალბათ, უცხოელი მეგობრებიც გყავს.

– კი, მყავს, მაგრამ ეს ქართველი მეგობრები არ მანებებენ თავს, გვერდიდან არ მშორდებიან. მათთან ერთად ვგეგმავ ახალი წლის გატარებას.

– არაფერი მოაქვს სანტას?

– ყოველთვის მოდის ჩემთან სანტა, ახალ წელს არ ტოვებს ხოლმე. წელსაც ველოდები, საჩუქართან ერთად. საკუთარი თავის სანტა კლაუსი ნამდვილად არ ვარ, სხვები ზრუნავენ ჩემზე. სამაგიეროდ, მე ვარ სხვებისთვის თოვლის ბაბუა. უკვე გავაგზავნე ჩუმად საჩუქრები, ახლა არ მათქმევინო, ვისთან გავაგზავნე. ასე რომ, სანტაკლაუსობა ცოტათი გამომდის.

– კარგი იყო შენთვის 2013 წელი.

– კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ჩავარდნები იყო. თუმცა, როცა რაღაც არ გამომდის, ყველაფერს საკუთარ თავს ვაბრალებ. ამის დახმარებით კი, მერე გამოსავალს ადვილად ვპოულობ – პასუხს თავად ვცემ ყველაფერზე და მერე ვცდილობ, გამოვასწორო. სხვას თუ დავაბრალებ, მერე ვერ ვპოულობ პასუხს. ამიტომ, ამ წელს თუ რამე არ გამომივიდა, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. საერთო ჯამში, მაინც კმაყოფილი ვარ ამ წლით. თუმცა, მომდევნო წელს მეტს გავაკეთებ. ვნახოთ, რა იქნება. ჩავარდნები ყოველთვის იქნება და პოზიტიურად უნდა შეხედო – ისე, როგორც მე მახასიათებს.

– მითხარი, ბენდი მინდა, გავაკეთოო, ეს იდეის დონაზეა თუ უკვე დღის წესრიგში დგას?

– დღის წესრიგში დგას. ჩემი მეგობარი აქამდეც მეუბნებოდა, გავაკეთოთ ბენდიო, მაგრამ ვერ ვახერხებდი, დროის უკმარისობის გამო, გამიჭირდა თავის მობმა. ახლა მაქვს ამის დრო და იმედია, გავაკეთებ, ხელს არაფერი მიშლის. ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი გავიცანი, უნდა შესთავაზო ხალხს სიახლე და ამას აუცილებლად გავაკეთებ.

– „ფეისბუქზე“ შენი და ზაზა ფაჩულიას ერთად გადაღებული ფოტო ვნახე, დაგპატიჟა თამაშზე?

– ერთმანეთს „ფეისბუქით“ დავეკონტაქტეთ, ბოსტონში თამაშობდა და დამპატიჟა. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა, საოცრად კარგი ადამიანია. ისეთი დაძაბული თამაში იყო, ბევრი ქულით აგებდნენ, მაგრამ, ბოლოს მაინც მოიგეს. თამაშის შემდეგ შევხვდი ზაზას. მითხრა, ისეთი კარგი ფეხი გაქვს, სულ უნდა იარო ჩვენს თამაშებზეო.

ნათია უტიაშვილი

„ქართული ხმების“ 15 წლის იუბილე და ცვიუბილეო დისკის პრეზენტაცია

გასულ წელს ლეგენდარული „ქართული ხმების“ ახალ თაობას სასცენო მოღვაწეობიდან თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ანსამბლმა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ახალი ალბომი გამოსცა, რომელზე მუშაობაც „ბრავო რეკორდსში“ ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რადგან ალბომი საიუბილეო თარიღს ეძღვნება, მასში ყველა იმ ჟანრის ნაწარმოები შედის, რომელზეც ჯგუფის წევრებს მთელი ამ ხნის განმავლობაში უმუშავიათ. მუსიკალური ნაწარმოებები ორ დისკზეა გადანაწილებული. პირველ დისკზე თავმოყრილია ქართული ხალხური სიმღერები. მეორეზე კი – სრულიად ახალი სასიმღერო კომპოზიციების და ასევე, საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული ჰიტების აბსოლუტურად ექსპერიმენტული, განსხვავებული ვოკალური და ინსტრუმენტული არანჟირებით შექმნილი ვერსიები.

ალბომზე მუშაობისას, მასში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა მუსიკოს-შემსრულებლებმა როგორებიც არიან: ნიაზ დიასამიძე, რომა რცხილაძე, ნანი ბრეგვაძე, სალომე ბაკურაძე, ზვიად ბოლქვაძე, მიშა მდინარაძე, დავით მალაზონია და სხვები. ამ ალბომის სახით „ქართული ხმების“ თაყვანისმცემლებს ნამდვილი მუსიკალური სიურპრიზი ელით.

პრეზენტაციაზე ორი განსხვავებული დისკიდან თითო-თითო სიმღერა შესრულდა. ხალხური ნაწილიდან შესრულებულმა სრულიად გამაოგნებელმა კომპოზიციამ ისე მომაჯადოებლად იმოქმედა, რომ ჩემი მხრიდან დავამატებ, ეს დისკი აუცილებლად უნდა იყიდოთ. აუცილებლად უნდა წახვიდეთ „ქართული ხმების“ კონცერტზე, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში. ამჟამად, „ბრავო რეკორდსში” კონცერტის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. კონცერტზე ოცამდე მუსიკალური ნაწარმოები შესრულდება და მისი რეჟისორი დათო საყვარელიძე იქნება.

ზაზა შენგელია: საკმაოდ ექსპერიმენტული პროექტია, რომელიც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. არანჟირებებია სრულიად ახლებული, ექსპერიმენტული, განსახვავებული და ახალი. საქართველოში ძალიან იშვიათად მახსოვს შემთხვევა, ვინმეს ფოლკლორისთვის მოეკიდოს ხელი და ის წარმატებული და აღიარებული ყოფილიყო. ძალიან ფაქიზი თემაა ფოლკლორი და ამ შემთხვევაში, ვიცი, რომ ეს ძალიან გემოვნებით შესრულებული კომპოზიციებია. იგივე შემიძლია, ვთქვა მეორე დისკზე, სადაც ქალაქური სიმღერებია შესული. სიმღერები, რომელიც სპეციალურად ამ ალბომისთვისაა შექმნილი და ცნობილი ჰიტები.

– რატომ დასჭირდა ორი წელი ალბომის ჩაწერას?

– დიდი დრო დასჭირდა რეპერტუარის შერჩევას, არანჟირებების გაკეთებას. ბევრი ვარიანტი განვიხილეთ, დავიწუნეთ. სულ იყო განახლება, ცვლილება, ძიება... ოცდასამ კომპოზიციაზეა საუბარი და ეს ძალიან დიდი სამუშაოა. დისკი ახალი წლის შემდეგ გამოვა სპეციალიზებულ მუსიკალურ მაღაზიებში, წიგნის მაღაზიებში, საგაზეთო ჯიხურებში, სასტუმროებში, რესტორნებში და ჩვენს სხვა სადისტრიბუციო ადგილებში.

ერთად დავეხმაროთ 6 წლის მარიამს!

6 წლის მარიამს აქვს მხედველობის ნერვის თანდაყოლილი დისპლაზია, რაც ნიშნავს, რომ, თუ დროული ქირურგიული ჩარევა არ მოხდება, ბავშვი საერთოდ დაკარგავს მხედველობას. ოპერაცია 20 ათასი ევრო ჯდება, ჩვენ კი თანხის მოგროვების საშუალება არ გვაქვს. რაც გაგვაჩნდა, უკვე ყველაფერი გავყიდეთ ან დავაგირავეთ, რათა მარისთვის სრულფასოვანი მკურნალობის კურსი ჩაგვეტარებინა. მარიამი 3 წლის იყო, როდესაც თვალების ტკივილი დაეწყო. ექიმებმა გვითხრეს, რომ მუდმივი მკურნალობის კურსი იყო საჭირო, ჰოდა, ყველაფერი გავყიდეთ, საცხოვრებლად მარტვილიდან თბილისში გადმოვედით და აქ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. მარიამს სჭირდება ლაზერული ქირურგია, რომელიც თურქეთში, კერძოდ კი სტამბოლში მდებარე, აჯიბადენის კლინიკაშია შესაძლებელი, ეს არის ჰარვარდის საუნივერსიტეტო კლინიკა. თურქეთში უკვე გავგზავნეთ ბავშვის მონაცემები და პასუხი მოგვივიდა, რომ, ერთთვიანი სხივური თერაპიის ჩატარების შემდეგ, ორივე თვალის ნერვის „გაღვიძებაა“ შესაძლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობა მთლიანად აღუდგება. მარცხენა თვალიდან საერთოდ ვეღარ ხედავს, მარჯვენა თვალში დარჩენილი 0,2-პროცენტიანი მხედველობა კი ყოველდღიურად უქვეითდება და, თუ დროული ჩარევა არ მოხდა, ვეღარაფერს დაინახავს. ვისაც რისი საშუალება გაქვთ, თუნდაც ერთი ლარით, დაეხმარეთ ჩემს მარიამს; ვისაც არ აქვს საშუალება, გთხოვთ, ლოცვით შეგვეწიოთ. მარიამის დასახმარებლად „თიბისი“ ბანკში გახსნილია ანგარიში: **№GE52TB7067545063600045.** მიმღები: მედეა თოლორდავა (მარიამის დედა). „მაგთის“, „ჯეოსელისა“ და „ბილაინის“ აბონენტებს კი, შეგიძლიათ, დარეკოთ ნომერზე: **0901 200-250** (ზარის ღირებულება 1 ლარია). მე მჯერა, რომ ერთობლივი ძალებით ჩვენ შევძლებთ, ბავშვი დაბრმავებისაგან ვიხსნათ!

მარიამის მამა – ლევან მარკოზია. ტელ.: 597-39-32-41.

ქართველი ვირტუოზები მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ

დვანსა და დიცში განხორციელებული მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ საპროტესტო ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთნენ ქართული შოუ ბიზნესის წარმომადგენლები. მომღერლები უშუალოდ ჩავიდნენ კონფლიქტის ზონაში და ოკუპანტი ქვეყნის მიერ მავთულხლართების გავლების პროცესი სიმღერით გააპროტესტეს.

საგანგებოდ ამ მუსიკალური საპროტესტო აქციისთვის შეიქმნა სიმღერა-ჰიმნი, რომლის ტექსტის ავტორი კომპოზიტორი კაკი ბოლქვაძეა, ტექსტის ავტორი – ნანა ცინცაძე, არანჟირებაზე ნოდარ ხელაძემ იმუშავა, სიმღერა ჩაიწერა „ემ სტუდიოში“.

ქართველმა მომღერლებმა გადაწყვიტეს, მხარი დაეჭირათ ოკუპაციის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის და ამასთანავე ხმამაღლა გამოეთქვათ პროტესტი იქ განვითარებული მოვლენების გამო.

აქციაში აქტიურად ჩაერთნენ ვერიკო ტურაშვილი, ზურა მანაგაძე, გიორგი სუხიტაშვილი, გოგა მესხი, მანჩო, პაატა თედიაშვილი, ქეთი გომართელი, მიშა ზაქარეიშვილი, თამრიკო ჭოხონელიძე, ანი სირაძე, ბესიკ კალანდაძე, სოფო ბედია, ფორტე, თამთა გოგუაძე, კახა კუხიანიძე, ფიქრია მგელაძე, გიორგი გოგელია, ნინი ნიკლაური, სალომე ბაკურაძე, ნინო ძოწენიძე, ბიგ თიკო, ლაშა რამიშვილი, ეკა კვალიაშვილი, ბაჩო ჩუბინიძე, გვანცა ვახტანგიშვილი, კაკი ბოლქვაძე, ნუკრი კაპანაძე, ვიკა ლოგუა, ანსამბლი „მეტეხი“, ქეთი ორჯონიკიძე, ნუკა ლოგუა, მარიამ ზაქარეიშვილი, მარიამ ქვარცხავა – ყველა თაობის ქართველი მუსიკოსი და შემსრულებელი გაერთიანდა იმისთვის, რომ პროტესტი ხმამაღლა, სიმღერით გამოეხატათ.

მოამზადა სალომე გველესიანმა

საახალწლო ტრადიციების მიხედვით, იაპონია ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა. იქ, სადაც ახალი წელი ყველაზე ადრე დგება, საახალწლოდ ძალიან ბევრ საუკუნოვან ტრადიციულ სიმბოლოს იცავენ. ნებისმიერი იაპონელი, რომელ სოციალურ ფენასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს, ახალი წლის დადგომამდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სახლს, მეტად უცნაურად არჩევს საჩუქარს და მოუთმენლად ელის ბედნიერ, ოქროს ორშაბათებს, რაც მათ ხელისუფლებამ დაუწესათ. როგორ ხვდებიან იაპონელები ახალ წელს, ამის შესახებ ისტორიკოსს და კულტუროლოგს, ქალბატონ ნინო გოგბავას გავესაუბრეთ. მან იაპონური საახალწლო ტრადიციების შესახებ ბევრი უცნაური რამ გვიამბო.

რისგან ამზადებენ იაპონელები ნაძვის ხეს და რას უდებენ ახალ წელს ბალიშის ქვეშ ბავშვებს

ნინო გოგბავა: აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალ წელთან დაკავშირებული ტრადიციები ძალიან საინტერესო და განსხვავებულია. აღმოსავლეთში, მით უფრო იაპონიაში, ძალიან მნიშვნელოვანია ტრადიციების დაცვა. იაპონიაში, სადაც ახალი წელი მთელ მსოფლიოში პირველად დგება, ბევრი ისეთი რიტუალის კულტურა არსებობს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია რომ აქვს. უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ამ ქვეყანაში გაათმაგებულია სისუფთავისადმი სწრაფვა, ეს ჩინელებსაც ახასიათებთ. ახალ წელს ყველა იაპონურ ოჯახში სახლი განსაკუთრებულად უნდა კრიალებდეს. შუა საუკუნეებში არსებობდნენ სპეციალური ინსპექტორები, რომელთაც ნიშნავდა ქალაქის მმართველი – შუგუნი. მათ ჰქონდათ დიდი ცოცხები, რომლითაც დადიოდნენ ყველა ქალაქსა და სოფელში, შედიოდნენ ყველა სახლში, მათ შორის იმპერატორის სასახლეშიც კი და ამოწმებდნენ, იყო თუ არა სახლი სუფთა. თუ სადმე მტვერს ან ნაგავს აღმოაჩენდნენ, ცოცხით ამ სახლზე შემოხაზავდნენ იეროგლიფს – წყალს, რაც ნიშნავდა, რომ სახლი არ იყო დალაგებული და იქ ახალი წელი არ დადგებოდა. იაპონური სახლი საოცარი ფენომენია. ბევრი იაპონელი უკვე მრავალსართულიან ბინაში ცხოვრობს, მაგრამ სახლის მოწყობა და შიდა ინტერიერი იაპონელისთვის, კორპუსში ცხოვრობს ის თუ ვილაში, მაინც ერთ კონცეფციას მოიცავს. ყველა იაპონურ ოჯახში არსებობს ნიშა, რომელსაც ეწოდება ტოპონიმა. ნიშა დატვირთულია მთელი წლის განმავლობაში – იქ დაკიდებულია კალიგრაფიით გამოხატული იეროგლიფი, სურათი, რომელზედაც გამოხატულია ნავი ან ყვავილებისგან გაკეთებული იკებანა. მეოცე საუკუნეში ამ ჩამონათვალს ტელევიზორი ემატება. ამ ნიშაში ადამიანის შესვლა შეუძლებელია, რადგან ნიშა ითვლება წმინდა ადგილად. სტუმარი, რომელსაც ნიშასთან ზურგით დასვამენ, ოჯახს საპატიო სტუმრად მიაჩნია. ოჯახი კი იაპონელისთვის ყველაზე წმინდა და ღირებულია. ყველასთვის ცნობილია, რომ იაპონელები ძალიან მშრომელი ხალხია. იაპონელი ყველაზე მეტ დროს სამსახურში ატარებს. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებამ 2000 წელს მიიღო გადაწყვეტილება და დააარსა ოთხი უქმე დღე - „ბედნიერი ოქროს ორშაბათი." მთელი წლის განმავლობაში არსებობს ოთხი ასეთი უქმე ორშაბათი, რომელსაც იაპონელები ოჯახურ გარემოში ატარებენ და ისვენებენ.

იაპონელი ისე ყიდულობს ყუთში შეფუთულ საჩუქარს, რომ არც კი იცის, შიგნით რა დევს

– რა ტრადიციებს იცავენ საახალწლოდ ქვეყანაში, სადაც ახალი წელი ყველაზე ადრე დგება?

– იაპონელები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ აღმოსავლურ კალენდარს, რომელიც სათავეს მაინც ჩინეთში იღებს. ამ ორ ქვეყანაში მიღებულია გრიგორიანული კალენდარი, რომლის მიხედვითაც ახალი წელი არის პირველ იანვარს, თუმცა იაპონელები დღესასწაულობენ 25 დეკემბერს, კათოლიკურ შობას. მართალია იაპონიაში შობას არ აქვს ისეთი დიდი დატვირთვა, როგორც ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ ამ დღეს ოჯახში აუცილებლად მოდის სანტა კლაუსი. კეთდება მარწყვის წითელი ტორტი, რომელიც მორთულია თეთრი ნაღებით. მოგეხსენებათ, იაპონია ამომავალი მზის ქვეყანაა და აქ წითელი სიმბოლური ფერია. 24 დეკემბრის ღამეს, როცა თენდება 25 დეკემბერი, იაპონიის ტელევიზია და რადიო აუცილებლად გადმოსცემს ბეთხოვენის მეცხრე სიმფონიას. ეს არის ტრადიციული რიტუალი. იაპონიაში ძალიან ბევრი რელიგიური მიმდინარეობაა არეული – მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ შინტოისტები, ბუდისტები, კონფუცისტები, არიან ასევე კათოლიკეები და მართლმადიდებელი ქრისტიანებიც. რაც შეეხება ახალი წლის დღესასწაულს, იაპონიაში ახალი წელი შესაძლოა, გაგრძელდეს 5 იანვრამდე, 15 იანვრამდე, ან სულაც 20 იანვრამდე. იაპონელებისთვის, იანვარი, როგორც ჩვენთვის, ძალიან დატვირთულია.

– იმედია, მშრომელი იაპონელები მთელ იანვარს ჩვენსავით საახალწლო ქეიფში არ ატარებენ.

– არა, ამ მხრივ არ გვგვანან. ძველი წლის გაცილება 30 დეკემბერს იწყება, ამ დღეს იაპონელები ოჯახის წევრებთან ერთად მიდიან რესტორანში და ძველ წელს აცილებენ. ამ დღეს მიირთმევენ საკმაოდ დიდი რაოდენობით საკვებს და სვამენ ბევრ ლუდს. ამით მთავრდება ძველი წელი, რომელსაც აყოლებენ ძველ წელს დაგროვილ პრობლემებს. იაპონელები საახალწლო სამზადისს იწყებენ ძველი წლის გაცილების შემდეგ. 31 იანვარს გაკეთებული საჭმელები ინახება ლაკის პატარა ყუთებში, რომელიც უნდა იყოს ან შავი, ან წითელი. ღამით ამ საჭმელს მოათავსებენ ნიშაში, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. ახალ წელს ყველა იაპონელის ოჯახში უნდა იყოს ეგრეთ წოდებული მოტი. ამის გარეშე იაპონიაში ახალი წელი ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ჩვენთან – გოზინაყის გარეშე. მოტი მზადდება მოხარშული ბრინჯისგან, რომელიც იფქვება, შემდეგ კი მისგან კეთდება სპეციალური მრგვალი ფორმის კვერები, რომელიც სიმბოლურად დაკავშირებულია იაპონიის ყველაზე დიდ მზის ქალღმერთ ამატერასუსთან. მოტის გვერდით სუფრასთან უნდა იდოს ზღვის მოლუსკები და წყალმცენარეებისგან გაკეთებული საჭმელები, სარდინები, თევზი და აუცილებლად იაპონური ქლიავი, რაც იაპონელებისთვის ერთგულების ნიშანია. იაპონელებს საახალწლო სუფრასთან მიაქვთ ბატატი, ანუ ტკბილი კარტოფილი, წაბლი და ტკბილი შავი სოია. იაპონელებისთვის სიმბოლოებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი მიიჩნევენ, რომ, როცა თევზს მიირთმევენ, სიმშვიდეს და სიძლიერეს იძენენ. ზღვის კომბოსტოს კი, ჭამის პროცესში მოაქვს ბედნიერება, წაბლი წარმატების საწინდარია, ბარდა და ლობიო – ჯანმრთელობის.

– როგორც ვიცი, სიმბოლურია მათი ნაძვის ხეც.

– დიახ. იაპონელებს აქვთ განსხვავებული ნაძვის ხე, რომელსაც ადრე სხვა ფორმა ჰქონდა, მაგრამ ახლა დიზაინერების სამუშაო თემადაც კი იქცა. იაპონურ ნაძვის ხეს ეწოდება კადომაცუ, რომელსაც ჭიშკრის ფორმა აქვს და მზადდება ბამბუკის ჯოხებისგან. ჯოხების რაოდენობა უნდა იყოს 3, 5 ან 7. ეს სამი ციფრი იაპონელებისთვის ბედნიერების მომტანია. მათთვის ბამბუკი ერთგულებისა და სათნოების სიმბოლოა. ბამბუკის ჭიშკარში ჩამჯდარია ფიჭვის რტოები, რაც ოჯახში სიძლიერის შესვლას გულისხმობს. იაპონურ ნაძვის ხეს ემატება ბრინჯის თივისგან დაწნული თოკები. მათ შორის აყოლებენ ფერად ქაღალდებს, რომელზედაც საახალწლო სურვილები წერია. 15 იანვარს ნაძვის ხე უნდა დაიწვას. თუმცა, იქამდე, ახალი წლის მესამე დღეს, იწვება ბრინჯის თოკები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახლიდან ბოროტი სულები უნდა გავიდნენ. იგივე მიზანს ემსახურება ისიც, რომ 31 დეკემბერს დიასახლისი ბარდას და ლობიოს გადმოყრის სახლიდან, რათა სახლიდან ავადმყოფობა და ბოროტი სული განდევნოს.

– როგორ ხვდებიან ახალ წელს?

– ახალ წელს იაპონელები მთელი ოჯახით მიდიან შინტოისტურ ან ბუდისტურ ტაძრებში, ისინი ახალ წელს არ იძინებენ – იძინებენ 2 იანვარს. იაპონელისთვის ახალი წლის მოსვლა მაშინ იწყება, როცა ბუდისტური ტაძრის ზარი 108-ჯერ ჩამოჰკრავს. ბუდისტური რელიგიის მიხედვით, ადამიანში 108 უარყოფითი სურვილია, ზარის თითოეული ჩამოკვრა ადამიანს თითო ამ უარყოფით სურვილს უქრობს, ამიტომ ტაძრის ზარმა უნდა დარეკოს 108-ჯერ. ტაძარში წასვლისას ყველა იაპონელი ცდილობს, ეროვნული ტანსაცმლით შეიმოსოს – ქალს აცვია ტრადიციული კიმონო ბეწვის მოსასხამით, ასევე კიმანოშია გამოწყობილი ახალი წლის ღამეს ტაძარში იაპონელი მამაკაციც. ვინაიდან კიმანო ძალიან ძვირი სიამოვნებაა, ოჯახში ძირითადად დედიდან შვილზე გადადის კარგი, ხელნაკეთი კიმანო, რომელსაც შესაძლოა, ავტომანქანის ფასიც კი ჰქონდეს. თუმცა, ახალგაზრდა იაპონელები უკვე ევროპულ სამოსს ანიჭებენ უპირატესობას. იაპონელებს უყვართ ახალი წლის შეხვედრა ოჯახთან ერთად, მაგრამ აუცილებლად მიდიან სტუმრად ნათესავებთან და ახლობლებთან. ამ დროს აუცილებლად მიირთმევენ ტკბილ საკეს, რომლის ძალიან ბევრი ნაირსახეობაც არსებობს. ახალ წელს, 7 იანვარს ყველა ოჯახში შვიდი სახეობის ბოსტნეულისგან კეთდება სპეციალური სუპი, რომლსაც დიასახლისი ამზადებს ოჯახის ყველა წევრის თანდასწრებით. სუპის შეჭმის შემდეგ იაპონელები მიიჩნევენ, რომ მათ სახლში ჯანმრთელობა ისადგურებს.

„ჩემი ცოლის დაქალების“ შემოქმედებითმა ჯგუფმა მეორე ფილმის პრემიერა შემოგვთავაზა. უკვე მეორედ, საახალწლო ფილმს „ფორმულა კრეატივი“ ისე ქმნის, რომ სიუჟეტი ახალი წლის ჯადოსნური ღამის ირგვლივ არ ვითარდება, მაგრამ, განწყობის შემქნას ნამდვილად ახერხებს. თვითონ სერიალიც, მიუხედავად ბევრი სკეპტიკოსის მოლოდინისა, ყოველ სეზონზე სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. სიუჟეტში გაჩნდა ძალიან ბევრი სოციალურად მტკივნეული თემა, რაც, მიუხედავად სცენარისტის, ქეთი დევდარიანის მსუბუქი მანერისა, მაინც მტკივნეულად ეხება მაყურებლის გონებას. ამ სერიალმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ პროდუქტი ერთდროულად შეიძლება იყოს ხარისხიანი, მასობრივი, სახალისო და საგანმანათლებლო.

ვის უნდა მიენიჭოს „მანდილოსნის“ ჯიჯული და არის თუ არა საქართველოს სამეფო სახლი ქეთი დევდარიანის მუზა

– ქეთი, როგორ მიგაჩნიათ, ამ სეზონზე მოაკლდა თუ მოემატა სერიალს სიხისტე? ფიქრობთ თუ არა, რომ ის მაყურებელს კიდევ უფრო მეტად „კბენს,“ ვიდრე ადრე?

– სიხისტე მოემატა და ეს ბუნებრივია. ყველაფერი უნდა ვითარდებოდეს და იცვლებოდეს, ისევე, როგორც ცხოვრებაში. ზოგჯერ მაყურებელს ეს არ მოსწონს, მაგრამ, ესეც ბუნებრივია. ზოგს მოსწონს, ზოგს – არა და, ამის მიუხედავად, სერიალი მაინც ახერხებს, იყოს მასობრივი. მას ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანი უყურებს, მათ შორის ისინიც, ვისაც არ მოსწონს.

– ხომ არ მოიმატა პოლიტიკურმა იუმორმა სერიალში?

– არა, პოლიტიკური იუმორი სერიალში არ არის, თუმცა იუმორი ყველაფერს მოიცავს და, მათ შორის, ზოგჯერ პოლიტიკასაც.

– ხომ არ იქცა საქართველოს სამეფო სახლი თქვენი დაკვირვების ობიექტად, მათი ოფიციალური ვებ-გვერდის, royalhouseofgeorgia.ge, ნიუსები კი – თქვენს მუზად?

– მაგ ვებ-გვერდზე არ შევდივარ, რადგან, მოვლენები სერიალის შემდგომ ვითარდება ხოლმე და არა მანამდე. ვთქვათ, სერიალში რომელიმე გმირი რაღაცას იტყვის ან რაღაც მოხდება, მოგვიანებით ჩემი მეგობრები გამიზიარებენ ბმულს, სადაც ისინი სერიალის სცენარს იმეორებენ.

– რატომ მიიღო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბაგრატიონების გააქტიურება ნეგატიურად ან კომიკურად?

– არ ვიცი, თუ არის რაიმე სერიოზული კვლევა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბაგრატიონების გააქტიურება ნეგატიურად მიიღო. მარტო „ფეისბუქით“ ვერ ვიმსჯელებ.

– საინტერესოა, რომ სიტყვა „მანდილოსანი“, სანამ ასეთ ინსტიტუციას სამეფო სახლი შემოგვთავაზებდა, პირველად სერიალში სწორედ თქვენ გამოიყენეთ. რას ფიქრობთ ტიტულ „მანდილოსანზე“ და ვის უნდა მიენიჭოს ის?

– იმას, ვინც მანდილს ატარებს.

– როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს „ჭეშმარიტი ქართველი ქალი“ და „ჭეშმარიტი ქართველი მამაკაცი“?

– ორივე ტერმინზე მეცინება.

– რატომ ეხამუშება ქართველი ქალების დიდ ნაწილს, როცა მოიხსენიებენ მიმართვით – ქალო, თუნდაც სადღეგრძელოებში და, სიამოვნებთ, როდესაც კაცები, ფეხზე ადგომით სვამენ მანდილოსნების სადღეგრძელოს?

– მიმართვა „ქალო“ არის ფამილარული.

– წლების წინ „ოფიციალური საყვარლის“ არსებობა, კაცის მხრიდან ძალადობის გამოხატვა (არ ვგულისხმობ მხოლოდ ფიზიკურს), ქალების მხრიდან ნორმალურად აღიქმებოდა – საკუთარ თავთან და მეგობრებთან ხშირად იმეორებდნენ: „ნამდვილი მამაკაცი“ მთელ ცხოვრებას ერთ ქალთან ხომ არ გაატარებსო. როგორც ვაკვირდები, დღეს მდგომარეობა დიდწილად არ შეცვლილა – ქალები ისევ „გაგებით ეკიდებიან“ პარალელურ ურთიერთობებს და თუნდაც მენტალურ ძალადობას ქმრების მხრიდან. თქვენი დაკვირვებით, რა ხდება ამ მიმართულებით?

– ჩვენ გვაქვს სამწუხარო სტატისტიკა: ქალების 30 პროცენტზე ქმრები ძალადობენ. ვფიქრობ, ეს არის სასწრაფოდ გამოსასწორებელ საკითხთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი.

– საინტერესოა, რომ მკვეთრად გამოხატული „კლასიკური სიდედრი“ სერიალში არ არის, რატომ?

– სიდედრი წარმოდგენილია სერიალში ზუსტად ისე, როგორიც არის ხოლმე საშუალო სტატისტიკური ქართველი სიდედრი (გამონაკლისებს არ ვგულისხმობ), დაინტერესებული იმით, რომ შვილის მეუღლე იყოს შეძლებული, ძლიერი, უზრუნველყოფილი მამაკაცი. ზოგადად, ქართველი კაცები სიდედრთან იშვიათად ცხოვრობენ, ამიტომ, დაპირისპირება და კონფლიქტი უფრო შეფარულ ხასიათს ატარებს ხოლმე.

– რას ნიშნავს თქვენთვის პატრიოტიზმი, როგორია პატრიოტი ადამიანი?

– პატრიოტი არის ადამიანი, რომელიც თავის საქმეს აკეთებს კარგად. ჩემთვის პატრიოტიზმი პროფესიონალიზმია.

– განათლებასთან დაკავშირებით სერიალით თქვენი სათქმელი უკვე თქვით, მაგრამ, მინდა, კიდევ ერთხელ, ვრცლად მიპასუხოთ: რა არის განათლების სისტემის მთავარი პრობლემა, რატომ უჭირს ქართულ სკოლას, ამდენწლიანი დამოუკიდებლობის მიუხედავად, თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების გაზრდა? რამდენად ნორმალურია გაკვეთილების დაწყების წინ „მამაო ჩვენოს“ წაკითხვა?

– ქართული სკოლის პრობლემა იმდენად ღრმაა, რომ ერთ ინტერვიუში ამის გაანალიზება შეუძლებელია. პრობლემა კომპლექსურია: დაბალი ანაზღაურება, მასწავლებლების მოუმზადებლობა, ცუდი პირობები. ადრეული კომუნისტური პათოსი გადაიზარდა აგრესიულ მორწმუნეობასა და ბავშვებისთვის რელიგიის არაკორექტულად მიწოდებაში.

– როგორც წესი, მაყურებელს ნაკლებად აინტერესებს, ვინ არის, როგორ ცხოვრობს ამა თუ იმ სერიალისა თუ ფილმის სცენარისტი, რასაც ვერ ვიტყვი თქვენზე. როგორია თქვენი ცხოვრების სტილი?

– ჩვეულებრივი, როგორიც სხვა ადამიანების.

– რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ სერიალი ამდენი სეზონის განმავლობაში პოპულარობას ინარჩუნებს?

– ვფიქრობ, ამის მიზეზი ჩვენი მონდომება და შრომაა. და, კიდევ გარემო, როგორც ინსპირაციის წყარო.

სალომე გველესიანი

– საჩუქრებს არ მიართმევენ ერთმანეთს?

– იაპონელებს ძალიან უყვართ საჩუქრები, თუმცა ამ მხრივაც ერთი თავისებურება ახასიათებთ. იაპონელი არასდროს მიართმევს ახლობელს ინტიმურ საჩუქარს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ იაპონელი ისე ყიდულობს ყუთში შეფუთულ საჩუქარს, არც კი იცის, შიგნით რა დევს. ასეთი რამ, მგონი, არსად ხდება. იაპონელები ახალ წელს ბავშვებს აჩუქებენ იმდენ ფულს, რამდენი წლისანიც არიან. ასე რომ, ახალი წელი იაპონელი მამაკაცისთვის ძალიან ხარჯიანია. სახლში ყულაბაში უყრის ბავშვს ფულს და სტუმრადაც, საჩუქართან ერთად, ბავშვს ფულს უყრის ყულაბაში. იაპონელებს ჰყავთ თოვლის ბაბუა – ტოსიგამი, რომელიც მოდის სახლში. მას უნდა დაახვედრონ წებოვანი ბრინჯისგან მომზადებული პატარა ფიგურები, რომელთაც აქვთ თევზებისა და ცხოველების ფორმა. მათ ღებავენ საკვებად ვარგისი საღებავით და კიდებენ სახლში. თოვლის ბაბუა ხედავს, რომ სახლი სავსეა ამ ფიგურებით, რაც ნიშნავს, რომ ოჯახი ეკონომიურად გაძლიერდება და დაისადგურებს კეთილდღეობა. ახალი წლის შემდეგ თევზისა და ცხოველების ფიგურებს მიირთმევენ ოჯახის წევრები – ჭამენ იმდენ ფიგურას, რამდენი წლისანიც არიან. საახალწლო დღესასწაულებს შორის იაპონელებისთვის გამორჩეულია 11 ივნვარი, როცა ისინი აუცილებლად მიირთმევენ ბრინჯის კვერებს, რაც ტაძარში მისატანი ძღვენია. ეს კვერები მზადდება ახალ წლამდე და ათავსებენ ნიშაში. 15 ივნვარს მიირთმევენ წითელი ლობიოსგან მომზადებულ სუპს, რომელსაც ასევე ტრადიციული დატვირთვა აქვს. ამავე დღეს იაპონელები ყველა ქალაქსა და სოფელში სრულწლოვანობის დღესასწაულს აღნიშნავენ, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. იაპონიაში 20 წელი მიიჩნევა სრულწლოვანების ასაკად. ამ დღესასწაულზე გოგონა პირველად იცვამს ნამდვილ, გრძელსახელოებიან კიმანოს, იკეთებს სპეციალურ ქამარს, რომელსაც ეწოდება ობი. ფეხზე აცვია ქოში, ამოპუტული აქვს წარბი, გაშავებული – კბილები, სახე კი ბრინჯის ფერუმარილით აქვს დაფარული. განსაკუთრებულ ვარცხნილობას უკეთებენ ამ დღეს 20 წლის ვაჟსაც. იაპონელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი წლის სიზმარს. 2 ივნვარს ბავშვს ბალიშის ქვეშ უდებენ სურათს, რომელზედაც გამოხატულია ნავი დატვირთული: ურჩნმაჩინის ქუდით, ჯადოსნური გასაღებით, ბედნიერების მომტანი მოსასხამით, უძირო საფულით. ეს ნიშნავს, რომ ახალი წელი იმ ბავშვისთვის ბედნიერების მომტანი იყოს. თუ იაპონელმა სიზმარში ნახა ფუძიამა ან იმპერატორი, ეს ნიშნავს, რომ ახალი წელი მისთვის განსაკუთრებული იქნება.

თამუნა სამადაშვილი

ბრენდონ სტოუნი: ახლა გერმანიაში ვარ, თუმცა, იმდენჯერ გადავფრინდ-გადმოვფრინდი მანამდე, ძლივს შევეჩვიე დედამიწაზე სიარულს *(იცინის)*. ევროპასა და რუსეთში კონცერტები ჩავატარე და ახლა გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში, ოჯახთან ერთად ვზეიმობ შობა-ახალი წლის დღესასწაულს. თან, ვისვენებ ჩემს იდილიურ, მშვიდ და თბილ სახლში.

– კრემლში ვინ მიგიწვია? თუ არ ვცდები, იქ სპეციალური სტუმრის სტატუსით იყავი.

– დიახ, ასეა, სპეციალური სტუმრის სტატუსით გახლდით მიწვეული კრემლში, სადაც საზეიმო კონცერტში მივიღე მონაწილეობა. კი ამბობენ, ქართველი ხარ და კრემლში როგორ მიხვედი, პუტინს როგორ უმღერეო, მაგრამ პუტინი იქ არც ყოფილა, თან, მე ხელოვანი კაცი ვარ და პოლიტიკის მიხედვით არ ვსაზღვრავ მოვლენებს. სადაც მაფასებენ, უყვართ ჩემი სიმღერა და სიამოვნებთ ჩემი მოსმენა, არ მაქვს უფლება უარი ვთქვა, მათთან ურთიერთობაზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიწვევით გახლდით კრემლში, სადაც დიდი კონცერტი დაიგეგმა და ჩატარდა კიდეც. მე იქ ორი ჩემი სიმღერა ვიმღერე. მთავარია, ხალხმა მიმიღოს და ვუყვარდე, ეს ჩემთვის უპირველესია და, კრემლში ვიმღერებ თუ ღია ცის ქვეშ, ვფიქრობ, მნიშვნელობა არ აქვს.

– ინდონეზიაში ვისი მიწვევით ჩახვედი, იქაც კონცერტები გქონდა?

– არა, ინდონეზიაში კონცერტი არ მქონია. გასულ წელს, „ახალ ტალღაზე" იურმალის კონკურსზე ჩემმა აღმოჩენილმა ახალბედა მომღერალმა – სანდი სანდორომ, პირველი ადგილი აიღო. ამის გამო მიმიწვიეს, რომ პრესკონფერენცია ჩამეტარებინა. მთელი ინდონეზიის პრესა იყო შეკრებილი. ინდონეზიის მთავრობის დონეზე მოეწყო ეს შეკრება. უნდათ, რომ ამ წელს შესარჩევი ტურები ჩაინიშნოს და ამ ქვეყნის მომღერლებს კიდევ მიეცეთ შანსი „ახალი ტალღის" კონკურსზე მიიღონ მონაწილეობა. არ არის გამორიცხული, წელს ეს შესარჩევი ტურები ინდონეზიაში პირადად მე ჩავატარო.

მე ყველგან ვამბობ, რომ ქართველი ვარ და სადაც არ უნდა ვიყო, ჩემს გენეტიკას და ტრადიციებს არასდროს ვუღალატებ

– შობა-ახალ წელს, გერმანიაში შეხვდი. როგორი განწყობა გაქვს და სამშობლოდან შორს თუ იცავ ქართულ ტრადიციებს?

– მე ყველგან ვამბობ, რომ ქართველი ვარ და სადაც არ უნდა ვიყო, ჩემს გენეტიკას და ტრადიციებს არასდროს ვუღალატებ. თუმცა, გერმანიაში შობას უფრო აღნიშნავენ და ტრადიციად აქვთ, ამ დღეს სტუმრად წასვლა. ჩვენი ოჯახიც ასე იქცევა. წელსაც სტუმრად ვიყავით დაპატიჟებული მეგობრებთან და კარგად მოვილხინეთ. სხვათა შორის, პირველი ახალი წელი იყო, რომელსაც სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად შევხვდი. ბოლო 14 წელია,

ჩვენი თანამემამულე, კომპოზიტორი და მომღერალი ბრენდონ სტოუნი, უკვე წლებია, შობა-ახალ წელს სამშობლოდან შორს ხვდება. თუმცა, მისი ყველა საახალწლო მოგონება, მაინც თბილისში გატარებულ ბავშვობის წლებს უკავშირდება. როგორც თავად ამბობს, მისთვის, გასული წელი საკმაოდ ნაყოფიერი, ზეამაღლებული და წარმატებული იყო და იგივეს ელის მომავალი წლისგანაც. თუ ვინ მიიწვია ის ოფიციალური სტუმრის სტატუსით კრემლში, ვისთან ჩავიდა ინდონეზიაში და ვისთან ერთად ზეიმობს სადღესასწაულო დღეებს გერმანიაში, ამაზე თავად გვესაუბრება.

რატომ შეხვდა წელს პირველად ახალ წელს ბრენდონ სტოუნი ოჯახის წევრებთან ერთად და ვინ მიიპატიჟა ის სამთავრობო დონეზე მოსკოვსა და ინდონეზიაში

ყოველ 31 დეკემბერს ვმუშაობ. ამ ახალ წელს კი მოვინდომე, ოჯახთან ერთად დავხვედროდი 2014 წელს და ასეც მოვიქეცი.

– შენი მეუღლე უკრაინელია. ქართული ტრადიციული კერძების გაკეთება ისწავლა?

– ისწავლა აბა, რა! *(იცინის)*. ქართული ტრადიციული სუფრის მშვენება – საცივი, გოზინაყი, გოჭი, ინდაური და ხაჭაპური, გერმანიაში კი არა, ციმბირში რომ ვცხოვრობდე, იქაც უნდა იდოს ჩემი ოჯახის სადღესასწაულო სუფრაზე. ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს. ჩემს ცოლსაც ძალიან უყვარს ქართული სამზარეულო და უგემრიელეს ხაჭაპურსა და გოზინაყს აკეთებს. ჩემი მშობლებიც ჩვენთან ერთად შეხვდნენ შობა-ახალ წელს და დედამთილი და რძალი, ორივე ერთად ტრიალებდა *(იცინის)*. ამერიკაში, შობა-ახალი წლის ფანატები არიან, სახლებს და ქუჩებს ისე რთავენ, ისე აწყობენ და ანათებენ, ნამდვილ სასწაულში, ზღაპარში გეგონება თავი. ბერლინშიც მორთულია სახლები, მაგრამ ისე არა, როგორც ამერიკაში. ბერლინის ცენტრალური ქუჩა ისეა გაჩახჩახებული, თვალს მოგჭრის განათებები. მანქანით რომ დავდივარ ცენტრალურ ქუჩებში, სადღესასწაულო განწყობა კიდევ უფრო მიორმაგდება და ბავშვივით მიხარია, ირგვლივ გაბრწყინებული გარემოს ყურება. ისეთი საჩუქრები იყიდება და ისეა შეფუთული ყველაფერი, სულ მინდა, მაღაზიებში ვიარო და საჩუქრები შევურჩიო ახლობელ და საყვარელ ადამიანებს. არ მავიწყდება თბილისში გატარებული ახალი წლის ღამეები. დიდი ოჯახი მაქვს და ბიძები, დეიდები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები – ყველანი ერთად ვიკრიბებოდით და ერთად ვხვდებოდით ახალ წელს.

– სასწაულების თუ გჯეროდა?

– რასაკვირველია, მჯეროდა სასწაულების. თან, ანსამბლ „ნერგებში" ვმღეროდი და სადღესასწაულო დღეებში, სულ სცენაზე ვიდექით. ეს ყველაზე სასიამოვნო მოგონებაა. სხვათა შორის, თოვლის ბაბუისაც მჯეროდა და ახალი წლის დილას ბალიშის ქვეშ სულ მხვდებოდა ფული, რომ წავსულიყავი და კამფეტები მეყიდა. ეგრევე, მაღაზიაში გავრბოდი *(იცინის)*. ამ წელს კი მე ვიყავი ჩემი გოგონას თოვლის ბაბუა და დიდი ბარბის თოჯინა მოვუტანე.

– მოდი, ისეთი ახალი წელი გაიხსენე, რომელიც არასდროს დაგავიწყდება.

– ასეთი დასამახსოვრებელი ახალი წლის ღამე მქონდა სანკტ-პეტერბურგში. კონცერტები იყო დაგეგმილი და 31 დეკემბერს ანსამბლის წევრები ისე გაგვქურდეს, უკაპიკოდ დაგვტოვეს. დავრჩით ასე უფულოდ და გაღლეტილები *(იცინის)*. ვერც საჩუქრები ვიყიდეთ და ვერც აღვნიშნეთ ახალი წლის ღამე. ერთხელ კი, გერმანიაში ზუსტად 12 საათზე ვიდექი სცენაზე და ვმღეროდი. მილიონი ადამიანი ხვდებოდა ქუჩაში ახალ წელს და ესწრებოდა ამ კონცერტს ქუჩაში. უცებ, გავიხედე და მილიონი სანთელი აინთო ჩემ წინ. ეს ისეთი სანახაობა იყო, ძლივს შევიკავე ცრემლები. როგორც გითხარით, სულ სცენაზე ვიდექი, ყოველ ახალ წელს და მთელი მომავალი წელი სცენაზე დგომა მებედებოდა.

– წელს რომ სახლში შეხვდი?

– მართალია, წელს სახლში შევხვდი და ალბათ მრავალშვილიანი მამობა დამებედება *(იცინის)*. სცენაზე დგომით თუ სცენა მებედებოდა, ლოგიკურად, ოჯახში შეხვედრა პრემიერაა წელს ჩემთვის და იმედია, მატება დამებედება. გასული წელი, მართლაც, წარმატებული იყო ჩემთვის. ჩემი და ირინა დუბცოვას დუეტი რუსეთში პირველ ადგილზეა, მასზე გადაღებული კლიპიც რუსეთში ყველა ტელეარხზე ტრიალებს. „ახალ ტალღაზე" ჩემმა ორმა კონკურსანტმა პირველი და მესამე ადგილები აიღეს. ჩემმა თანამემამულე, ქართველმა სალომე ქათამაძემ კი – მეორე ადგილი. ასე

კი ამბობენ, ქართველი ხარ და კრემლში როგორ მიხვედი, პუტინს როგორ შემღერეო, მაგრამ პუტინი იქ არც ყოფილა და თან, მე ხელოვანი კაცი ვარ და პოლიტიკის მიხედვით არ ვსაზღვრავ მოვლენებს

რომ, გველის წელი წარმატებული და ფეხბედნიერიც აღმოჩნდა. მომავალი ცხენის წელიც არანაკლებ ბედნიერი მინდა იყოს. ამის იმედიც მაქვს და მგონი, პერსპექტივაც *(იცინის)*. ასევე, მინდა, ყველა ქართველისთვის ფულიანი, ბედნიერი და წარმატებული იყოს ეს წელი. ეს ჩემი სურვილია!

ნონა დათეშიძე

შეიძლება ითქვას, რომ მან სტერეოტიპი დაანგრია და დაამტკიცა, რომ ქერა, ლამაზი ქალი ჭკვიანიც შეიძლება იყოს და ძალიან წარმატებულიც... პროფესიად საკმაოდ რთული დარგი აირჩია... საოპერაციოში რამდენიმესაათიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ, იმასაც ახერხებს ოჯახშიც პროდუქტიული იყოს. ზრდის ორ ვაჟიშვილს და არის მეუღლე, ამ სიტყვის ფართო გაგებით... ქალბატონებს საახალწლო რჩევებს აძლევს მედიცინის დოქტორი, „ჰეალაინ ინტერნეიშნლის“ პლასტიკური ქირურგი დეა პაპასკირი.

როგორ უნდა მოვუაროთ ზამთარში სახის კანსა და თმას და როგორ მივხედოთ გარეგნობას საახალწლო სუფრის შემდეგ

– დეა, მინდა, ურჩიო ჩვენს ქალებს, როგორ შეიძლება იყო მომხიბვლელი და წარმატებული.

– ესთეტიკურ მედიცინაში 2003 წლიდან ვმუშაობ. ბავშვობაში ძალიან კარგად ვხატავდი და მომწონდა ყველაფერი ლამაზი. თმის ტრანსპლანტალოგია არის ის, რაზეც გავაკეთე არჩევანი და ამ დარგში საკმაოდ წარმატებული პრაქტიკაც მაქვს. ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი და ვმუშაობდი მოსკოვში. 2013 წელს დავბრუნდი თბილისში ოჯახთან ერთად.

– ანუ, პროფესიული არჩევანი სილამაზის მსახურების სურვილით გააკეთე...

– იცით, როგორ იყო, როცა სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი და პრაქტიკას გავდიოდი, ჩემმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა, რომელიც ხედავდა, როგორ ვმუშაობდი პაციენტთან, მითხრა: დეა, შენ მედიცინის ისეთი დარგი უნდა აირჩიო, სადაც შენს თითებს მუშაობის საშუალება ექნება. ძალიან მგრძნობიარე თითები გაქვსო. თუმცა, მგონი, მაინც ჩემი გემოვნების დამსახურება იყო ის, რომ მე ესთეტიკურ მედიცინაში წავედი. თუ არ გაქვს კარგი და დახვეწილი გემოვნება, მაშინ, ჯობია, ამ დარგში არაფერი გააკეთო. ესთეტიკური მედიცინა პირდაპირ კავშირშია სილამაზესთან და ეს სილამაზე ექიმმა უნდა იგრძნოს.

– დეა, ქალბატონებს იქითკენ ხომ არ უბიძგებ, რომ ცოტა ესთეტიკური მედიცინაც ისწავლონ, თავს კარგად რომ მოუარონ?!

– *(იღიმება)* გულახდილად გეტყვით, ყოველთვის დავდიოდი სილამაზის ცენტრებში და ვეცნობოდი ყველაფერს, რაც იქ კეთდებოდა. მერე უკვე, როცა საკუთარი პაციენტების მაგალითზე დავინახე, როგორ იცვლებოდნენ ისინი უკეთესობისკენ, მივხვდი, რომ ყველა ადამიანმა უნდა იზრუნოს საკუთარ გარეგნობაზე, როგორც შეუძლია – თავისით ან სპეციალისტების დახმარებით. როცა კარგად გამოიყურები, გაცილებით თავდაჯერებული ხარ, საქმე უფრო კარგად გამოგდის, მოსწონხარ ყველას, უპირველესად, შენი ოჯახის წევრებს... დამიჯერეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– შენ ძირითადად მამაკაცების გალამაზებაზე ზრუნავ.

– შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცების გალამაზებით დავიწყე. თუმცა, იყვნენ ქალბატონებიც, რომლებიც სახის გადაჭიმვის შემდეგ წარმოქმნილი ნაწიბურების საკორექციოდ ინერგავდნენ თმას და მთხოვდნენ, მეზრუნა მათ გარეგნობაზე. იწყებოდა ტუჩებით *(იცინის)*: ქალბატონო დეა, შეგიძლიათ, ისეთი ტუჩები გამიკეთოთ, როგორიც თქვენ გაქვთო? მართალია, ჩემი ტუჩები აბსოლუტურად ნატურალურია, მაგრამ დღეს უკვე თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ლამაზი ტუჩები პრობლემა აღარ არის, თუკი ის პაციენტს უნდა. მე სპეციალურად გავიარე კონკრეტული პლასტიკის სრული კურსი და როცა ადამიანს ვუყურებ, ზუსტად ვიცი, რა უნდა გავუკეთო, რა სჭირდება იმისთვის, რომ მისი გარეგნობა უკეთესობისკენ შეიცვალოს.

– რომელ ქალს არ უნდა, გამოიყურებოდეს მომხიბვლელად და ჰქონდეს შესამჩნევად კარგი გარეგნობა. თუმცა, ყველამ არ იცის, რა უნდა შეცვალოს სასურველი ეფექტის მისაღებად.

– ასეთი ქალბატონები მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, ქალბატონო დეა, ჩვენ თქვენ გენდობით. გაგვიკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. ასეთ შემთხვევაში, შედეგი ყოველთვის კარგია. სხვათა შორის, პაციენტი კონსულტაციის დროს ძალიან ყურადღებიანია. გაკვირდება, როგორ გამოიყურები, როგორ საუბრობ, ყველაფერი აინტერესებს.

– ანუ, შენი გარეგნობა მაინც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პროფესიული წარმატებისა.

კარგი საშუალებაა კვერცხის გული – ის ფაქტობრივად, უნივერსალურია თმაში შესაზელად; ასევე, კარგია ყურძნის წიპწის ან ოროვანდის ზეთი, მთავარია, ამ ზეთებზე ალერგიული არ იყოთ

– შეიძლება. თუმცა, მე რომ პროფესიონალი არ ვიყო, გარეგნობა ვერაფერს მიშველიდა. ნდობის მოპოვება რთულია, დაკარგვა კი – ძალიან ადვილი. მით უმეტეს, როცა საუბარია ადამიანზე, რომელსაც საკუთარი გარეგნობის უკეთესობისკენ შეცვლა უნდა. ჩვენ კი ქალებზე ვსაუბრობთ, მაგრამ მამაკაცებიც ძალიან გააქტიურდნენ ამ მიმართულებით *(იცინის)*. გადაინერგავენ თმას და მერე უკვე სახეზე ნაოჭიც აღარ მოსწონთ. მოდიან შეცვლილები, გასიმპათიურებულები და ითხოვენ ბოტოქსის ინიექციებს, რომ კიდევ უფრო გაახალგაზრდავდნენ. მით უფრო, ქალმა რატომ უნდა თქვას უარი გაახალგაზრდავება-გალამაზებაზე, როცა ამის ამდენი ეფექტური საშუალება არსებობს. პირადად ჩემთვის, ყველაზე კომფორტული გარემო საოპერაციოა. ძალიან მიყვარს თმის გადანერგვა – ასე, უბრალოდ ვიტყვი – ეს ჩემი საქმეა. 2010 წელს, მოსკოვში საკუთარ პრაქტიკულ მასალებზე დაყრდნობით, დავიცავი დისერტაცია თემაზე: „თავის თმიანი ნაწილის ნაწიბურევანი დეფექტების ქირურგიული მკურნალობა“. ამ თემაზე ჩემი დისერტაციაც ერთადერთია, როგორც რუსეთში, ისე ამერიკაში და, რა თქმა უნდა, საქართველოში.

– უკვე მერიდება გაცილებით მარტივ პროცედურებზე გკითხო.

– ვიცი, რასაც გულისხმობ... მიმიკური ნაოჭი, ცხვირ-ტუჩის ნაოჭი, თხელი ტუჩები, ასაკობრივი ნაოჭების კორექცია ყოველთვის შეიძლება. თმის ტრანსპლანტაცია კი სულ სხვა თემაა...

– ქალი ასეთი უნდა იყოს – მიზანდასახული და ჯიუტი?

– ალბათ და ძალიან უნდა მოუაროს თავს. თანაც, სწორად უნდა მოუაროს. თბილისში თვალში მომხვდა უზომოდ გადიდებული ტუჩები *(იცინის)*. ბევრ ცნობილ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა და არაბუნებრიობას მყისიერად ვამჩნევ. რაც უფრო ბუნებრივია, მით უფრო ლამაზია და კაცებსაც ბუნებრიობა მოსწონთ. რატომღაც ბევრ ქალს „გაუგებრად“ დიდი ტუჩები მოსწონს და უნდა. მე არ მომწონს.

– მე ვიცი, რომ წარმატებული ექიმი სახლში კერძებს საკუთარი ხელით აკეთებს.

– ქალი, როგორი წარმატებულიც არ უნდა იყოს, მაინც ქალია და ოჯახში უნდა შეძლოს გემრიელი კერძის მომზადება. თან, გურმანიც ვარ და სამზარეულოში ფუსფუსი ნამდვილად არ მეზარება.

– დისკომფორტს ხომ არ გიქმნის ის, რომ სამსახურში მეუღლე შენი უფროსია?

– ჩემი მეუღლე სახლშიც უფროსი და ოჯახის თავია. ალექსი თმის გადანერგვის კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეშნლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, ისევე როგორც მოსკოვის კლინიკის. იქაც და აქაც მასთან მუშაობა ძალიან კომფორტულია. ჩემი მეუღლისთვის მნიშვნელოვანია ჩემი აზრი და ხშირადაც მაქებს. პაციენტები ვერ ხვდებიან ხოლმე, რომ ცოლ-ქმარი ვართ. ალექსი არ ეჭვიანობს, როცა ისინი კომპლიმენტებს მეუბნებიან *(იცინის)*. ჩვენი თბილისში გადმოსახლება კი მთლიანად ჩემი ვაჟიშვილის დამსახურებაა. უზომოდ უყვარს საქართველო და მადლობაც კი გადამიხადა, მისი სურვილი რომ გავითვალისწინეთ და თბილისში დავბრუნდით.

– მართალია თუ არა, რომ ზამთარი, შეიძლება, ჩვენი თმა და კანისთვის პრობლემად იქცეს?

– ეს სრული სიმართლეა. სიცივეში თმის ძირები და სახის კანი სტრესის ქვეშ არის. კანი შრება, თმის ცვენა კი – იმატებს და ჩნდება ქერტლი. თმის ძალიან მოკლედ შეჭრა და ქუდი გამოსავალი არ არის. გაგიკვირდებათ, მაგრამ, ქუდსაც აქვს „უკუჩვენება“ *(იღიმება)*. მოკლედ შეჭრასაც მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა გოგონებში მკვეთრად არის მომატებული თმის ცვენა და თმის ტრავმირებას ვერიდებით, ანუ, ვარცხნილობები, სალონში დავარცხნა, დახვევა და შეღებვა ასეთ დროს გრძელ თმას მეტ საფრთხეს უქმნის; ან, როცა კანზე აქტიური პათოლოგიური პროცესი მიმდინარეობს და საჭიროა მალამოებით, კრემებით მკურნალობა. რაც შეეხება ქუდს, ის ძალიან გვეხმარება ზაფხულში, როცა მზის აქტიური გამოსხივებაა; ზამთარში კი სიცივემ, შეიძლება, თმის ძირები დააზიანოს, მაგრამ, ქუდი არ უნდა გახდეს ჩვენი იმიჯის ნაწილი და მუდმივად არ უნდა გვეხუროს, რადგან, ის ძალიან საშიში ხდება თმისთვის. მამაკაცები თმის აქტიურ ან ახლად დაწყებულ ცვენას ხშირად ქუდით ინიღბავენ, რაც მხოლოდ აძლიერებს ცვენის პროცესს.

– მაშ, როგორ გამოვიდეთ ზამთრის „მძიმე“ სიტუაციიდან?

– ზამთრის მძიმე კლიმატურ პირობებს ახალი წლის მენიუც დაუმატეთ: ნიგვზიანი, მწარე-ცხარე კერძები, გოჭის ხორცი, სუნელებით გაჯერებული ფხალეული თმისა და სახის კანის მტერია. ამიტომ, რადგან გემრიელ კერძებზე უარს ვერ ვამბობთ, თმასა და სახეს დამატებით უნდა მივხედოთ. ლიმონის წვენი და სპირტი ზამთარში, პირიქით, ცუდად მოქმედებს როგორც კანზე, ისე თმაზე – აშრობს კანს და, შეიძლება, თმის ცვენაც გააძლიერო. ზამთარში კანს სჭირდება არა მხოლოდ დამატენიანებელი, არამედ, მკვებავი საშუალებებიც. ანუ, არც კიტრის ნაფცქვენი გამოგვადგება – ეს საზაფხულო ვერსიაა. კარგი საშუალებაა კვერცხის გული – ის ფაქტობრივად, უნივერსალურია თმაში შესაზელად; ასევე, კარგია ყურძნის წიპნის ან ოროვანდის ზეთი, მთავარია, ამ ზეთებზე ალერგიული არ იყოთ. ძალიან კარგია ვიტამინის შემცველი კრემები. კვერცხის გულს კი ცოტა თაფლი შეურიეთ, რომელიც კვებავს და ბზინვარებას ანიჭებს თმას. კვერცხის გულში შესარევად, ასევე, ძალიან კარგი საშუალებაა დიმექსიდის ხსნარი, რომელიც აფთიაქებში იყიდება და საკმაოდ იაფია. ზამთარში უფრო ეფექტურია გამაახალგაზრდავებელი პროცედურები კანისთვის: ნაოჭების კორექცია ბოტოქსის ინიექციებით; მეზონიდლინგი, პლაზმოთერაპია და პილინგიც ბევრად უფრო კარგ შედეგს იძლევა.

თამუნა სამადაშვილი

მრავნოული აზრები

ლაუბი: სიტყვის თავისუფლება: თქვენ ამბობთ, რაც თქვენ გსურთ, ჩვენ ვაკეთებთ, რაც ჩვენ გვსურს.

რენანი: ზნეობაში, ისევე როგორც ხელოვნებაში, თქმა არაფერია, ქმნა – ყველაფერი.

ლაროშფუკო: ყველა ვნება მარტოოდენ სხვადასხვა გრადუსია – ცხელი ან ცივი სისხლისა.

ვინსერი: ვაჟკაცობა იმის გაბედვაა, რომ მეტი შეძლო, ვიდრე შეგიძლია.

ებნერ-ეშენბახი: ერთგულების გამოჩენა სხვათა მიმართ არის სათნოება, სხვათა ერთგულების განცდა არის ბედნიერება.

რივაროლი: ენის სული ყველაზე ნათლად ცხადდება მის უთარგმნელ სიტყვებში.

გოეთე: ეშმაკი ეგოისტია.

ტურგენევი: ადამიანი კი არ ატარებს დროს, დრო ატარებს ადამიანს.

ვოლტერი: გაჭირვება ყველა მეცნიერებაზე მეტს ქმნის.

გოეთე: გამოცდილება გვანიჭებს იმედს.

ჰერდერი: ბოროტმოქმედებას სჩადიან მხოლოდ სუსტები, ძლიერს ის არ სჭირდება.

ტოლსტოი: როგორც ცეცხლი ცეცხლს ვერ ჩააქრობს, ასევე, ბოროტი ბოროტს ვერ გააქრობს.

იუვენალისი: ვერც ერთი ბოროტი ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება.

სტენდალი: ადამიანი ამქვეყნად იმისთვის კი არ ცოცხლობს, რომ გამდიდრდეს, არამედ იმისთვის, რომ ბედნიერი იყოს.

ბელინსკი: ვისაც კარგად არ ახსოვს თავისი ბავშვობა, ის ცუდი აღმზრდელია.

ბოსტრემი: მხიარული ადამიანები უფრო სწრაფად გამოჯანსაღდებიან, რადგან მხიარული ფიქრებიც უხდება ყოველგვარ ავადმყოფობას.

ჰაინე: სილამაზეს სიკეთე სჯობია.

არისტოტელე: გაიძვერას სინდისი რომ გაუღვიძო, სილა უნდა გააწნა.

სერვანტესი: სჯობს, სიწითლე სახეზე, ვიდრე ლაქა გულზე.

სენეკა: თუ გსურს, რომ სხვებს უყვარდე, შენ თვითონ უნდა გიყვარდეს.

მეტერლინკი: სიყვარული ყველაზე ღვთაებრივი ფორმაა უსასრულობისა.

კაზანოვა: სიყვარულის სამი მეოთხედი ცნობისმოყვარეობაა.

მენანდრე: ვინც ბევრს გაბედავს, ბევრჯერაც შეცდება.

ნიცშე: შიში ზნეობის დედაა.

ლინკი: შიში გაფრთხილების სიგნალია, რომელსაც ბუნება გვაძლევს: იმოქმედე!

ეპიქტეტი: შური მტერია ბედნიერთა.

რიუპერტი: ორჯერ არავინ ცხოვრობს, მაგრამ ისეთიც ბევრია, ვინც ერთხელ ცხოვრებაც არ იცის.

ლესინგი: რასაც ძლიერებას უწოდებენ – არაფერია, ჭეშმარიტი ძალა ცდუნებაა.

ლოგერგერი: ძლიერი ის არის, ვინც ძალას მოთოკავს.

კაუარდი: დაკარგულია ქალი, რომელსაც ყველა ეძებს.

უაილდი: ქალის სურვილი მამაკაცისთვის კანონია, სანამ ის მამაკაცისთვის სასურველია.

თუ გამოიცნოთ

1. შუა აზიის მუსლიმანურ ქვეყნებში ხელით ნაქსოვ ხალიჩებზე აუცილებლად აღმოაჩენთ არასწორად ამოყვანილ ნაყშს, შეცდომას. **რატომ?**

2. ძველ საბერძნეთში სადილის დროს, სხვა გართობებთან ერთად, მიღებული იყო თამაში – კითხვა-პასუხი. ერთ-ერთი იმდროინდელი კითხვა: არაფერი თქვა და შენ ამით გამოხატავ ჩემს სახელს, თუ შენ იტყვი ჩემს სახელს, ვერ გამომხატავ. **ვინ ვარ?**

3. „ამ მეტად კანონზომიერ და მოწესრიგებულ სისტემაში საოცარი ქაოსი და უწესრიგობაა: ბერძნული, არაბული, ინდური, სპარსული, ლათინური, სლავური ფუძეები, ღმერთები, ქალღმერთები, პლანეტები, ქალაქები, ქვეყნები, გვარები – თანაც ყოველგვარი წესრიგისა და ღრმა აზრის გარეშე“, – **რაზე ამბობდა ამას აკადემიკოსი ფერსმანი?**

4. ალბათ, ყველამ იცის ცნობილი იაპონური ფირმა „მიცუბიშის“ სასაქონლო ნიშანი. **რას ნიშნავს იაპონურად „მიცუბიში“?**

5. **რატომ მიფრინავენ ჩიტები** შემოდგომაზე ცივ დღეს სამხრეთით და რატომ ბრუნდებიან გაზაფხულის თბილ დღეს?

6. პირველად ისინი არაბმა სარაცინებმა ჯვაროსნების წინააღმდეგ გამოიყენეს. მათ მეცხრამეტე საუკუნემდე იყენებდნენ, რათა დაეფრთხოთ ცხენები და არეულობა შეეტანათ მტრის მხედრობაში. **რას?**

7. **დაასახელეთ** „მარგალიტის დედა“.

8. ეს კაცი რესპუბლიკელთა ხელმძღვანელი იყო იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ. მას არ ჰქონდა მყარი პოზიციები და რესპუბლიკელთა წინააღმდეგ მომხდარი ამბოხის დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 43 წელს, მოკლეს. მისი სახელი ბოლოვდება ასე: მარკუს ტულიუსი. **როგორ იწყება ეს საკმაოდ ცნობილი სახელი.**

9. **რა ერქვა** ბავარიელ ემიგრანტს, რომელმაც 1853 წელს, სან-ფრანცისკოში ჩაიტანა დიდი რაოდენობით ბრეზენტი, საჩრდილობლებისა და ურმების გადასაფარებლების შესაკერად?

10. ლეგენდის მიხედვით, სოლომონ მეფის სკიპტრაზე განსაკუთრებულად დამუშავებული დიდი საფირონი იყო დამაგრებული. **რა ფორმა და დანიშნულება ჰქონდა მას?**

პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე

მხოლოდ ფაქტები

* ძველი ეგვიპტელები ფულს რგოლების სახით ჭრიდნენ, ძველ ბრიტანეთში – ფირფიტების, ძველ რომში კი – ზოდების სახით.

* შპალერი ევროპელთა ბინებში მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში გამოჩნდა. ამ მიზნით ქაღალდის გამოყენება მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყეს, მანამდე შპალერს ქსოვილისგან ამზადებდნენ.

* ისრაელის ქნესეთის არჩევნებში ერთხელ იყრიდა კენჭს „ოჯახში მამაკაცთა უფლებების დაცვის მოძრაობა.“

* პირველი მოქალაქე, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისთვის დაჯარიმდა, იყო ამერიკელი მარკ უიტი... ის ცხენით დასახლებულ პუნქტ პიკვილისკენ მიემართებოდა.

* გაიუს ცილნიუს მეცენატი იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარი და საიმპერატორო კართან დაახლოებული პირი იყო. სახელი გაითქვა, როგორც მეცნიერების, ხელოვნების მფარველმა და ქომაგმა. მისი შეგონებით დაწერა ვირგილიუსმა „ენეიდა“.

* მომღერალი ქალი მონიკა ლუდვიგი იტალიის ქალაქ ლივორნის საოპერო სცენაზე პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში“, მესამე აქტში, მადამ ბატერფლაის არიის შესრულებისას სცენაზე შიშველი გავიდა.

* კაპრიზი იტალიური სიტყვაა და თხის უსაქციელობას ნიშნავს.

* მორის რაველს, სერგეი პროკოფიევს, რიჰარდ შტრაუსს მარცხენა ხელისთვის შექმნილი საფორტეპიანო ნაწარმოებები ჰქონდათ.

* რომაელები ცხოველურ ცხიმს ბარბაროსულ საკვებად მიიჩნევდნენ და მხოლოდ ზეითუნის ზეთს გამოიყენებდნენ.

* ინდიელთა საომარი ყიჟინა მათი ფსიქოლოგიური იარაღი იყო. გამყინავ კივილს ისინი ქალებისგან სწავლობდნენ.

* მაკედონიური დინასტია ბალკანეთის მმართველმა კასანდროსმა ამოწყვიტა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 317 წელს, ჯერ ალექსანდრე მაკედონელის დედა მოაკვლევინა, რამდენიმე წლის შემდეგ – ალექსანდრეს ცოლ-შვილი – როქსანა და 12 წლის ალექსანდრე.

* ძველ ეგვიპტეში ხანძრის დროს შენობიდან, უპირველეს ყოვლისა, კატები გამოჰყავდათ. შუა საუკუნეების ევროპაში კი ცეცხლში უპირველესად კატებს ყრიდნენ.

* ავსტრალიისა და ახალი კალედონიის აბორიგენებმა არ იცოდნენ, რა იყო მშვილდ-ისარი.

* ციგურები რუსეთში პეტრე პირველმა ჰოლანდიიდან შეიტანა.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:
1. ლc5-e8!
შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა

– ზურა, ყავა ხომ არ დაგველია...



– ბიჭო, რა უცნაურად წარმოთქვამ სიტყვა „ლუდს“...

***

მათი სიყვარული ისეთი რომანტიკული იყო, რომ მათი წერილების წაკითხვისას „კაგებეც“ კი ტიროდა.

***

ავტობუსმა მკვეთრად დაამუხრუჭა... მამაკაცი ამაოდ ეცადა, რამეს მოჭიდებოდა და... გვერდით მდგომ ქალს ჩაეხუტა.

– მაპატიეთ, სპეციალურად არ მიქნია...

ქალმა გაბრაზებით ახედა.

– აი, ეს კი საწყენია...

***

შევედი მაღაზიაში – ძეხვი უნდა ვიყიდო. სალაროსთან განცხადება კიდია: „1 ლიტრი არყის შეძენის შემთხვევაში, საჩუქრად მიიღებთ ტომატ-პასტას 500-გრამიან ქილაში“... რატომღაც ტომატი მომინდა.

***

– სანდრო, ამოდი!

– მცივა?

– არა, გშია...

***

ექიმი მიმართავს ექთანს:

– ჩაწერე „თავის ქალის ტრავმა“...

– თუ „ქალა-ტვინის ტრავმა“?

– არ აქვს მაგ კაცს ტვინი, სამსახურში რომ წავიდა, საყვარელთან მიწერ-მოწერილი ესემესებით სავსე მობილური ცოლს დაუტოვა სახლში...

***

– გოგონი, იცი, კანფეტების ჭამა მავნებელია კბილებისთვის... გაგიფუჭდება...

– ჩემი ბაბუა 106 წლის არის და კბილები წესრიგში აქვს...

– ბევრ კანფეტს ჭამდა?

– არა, სხვის საქმეში ცხვირს არ ყოფდა.

***

– ამიწერე შენი თავი...



– საშუალო სიმაღლის, ქერა...

– თვალები?

– მაქვს...

***

მამაკაცმა თქვა – მამაკაცმა გააკეთა.

ქალმა თქვა – მამაკაცმა გააკეთა.

ქალმა გააკეთა – ვერაფერს იტყვი...

ცნობილ ადამიანთა ირონიული გამონათქვამები

ერთი ღარიბი აზნაურიშვილი მივიდა მეფე ერეკლესთან და მოწყალება სთხოვა: დავწვრილშვილდი და ღარიბი ვარ, მიბოძე რამეო.

– არა გაქვს-რა, საწყალო? უბრძანა მეფემ.

– არა მაბადია-რა, შენი ჭირიმე, გაფხეკილის მინდვრის მეტი.

– ოხ! მდიდარი ყოფილხარ, ბარემ ნაზარბეგიშვილთან შენც მიდი და იყიდისო, უთხრა მეფემ.

***

ერთ დღეს ქართლოს კასრაძე და ნიაზ დიასამიძე მოყინულ ბელინსკის ქუჩას ჩამოუყვნენ. ქართლოსს ფეხი მოუცურდა, ჯერ კიდევ ჰაერში იყო და დაბლა არ დაცემულიყო, რომ ნიაზი სწრაფად ჩაიკუზა და ასძახა:

– დაჯე, ვილაპარაკოთო...

***

ერთი ნაამხანაგარი შეხვდა აკაკის და სხვათა შორის უთხრა: ახლა ყველაფერი მომწყინდა და მარტო ფილოსოფიით ვიქცევ თავსაო.

– ბარაქალა! ბარაქალა, რომ ბიჯი წინ წაგიდგამს, – უთხრა აკაკიმ, – უნივერსიტეტში რომ იყავ, სოფია მიგაჩნდა თავშესაქცევად და ახლა კი ფილოსოფიაზე გადასულხარო.

***

უნივერსიტეტში განიხილავდნენ ნოდარ დუმბაძის ახალ რომანს – „მე ვხედავ მზეს“. ამ შუაგულ გურიაში რუსი საიდან მოიყვანეო, ჰკითხეს „სოსოიას რუსის“ შესახებ ნოდარს.

– დალოცვილებო, საქართველოში 200 ათასზე მეტი რუსია და ერთხელაც არავის უკითხავს, საიდან გაჩნდნენ აქ, და ჩემს რომანში ერთი რუსის გაჩენა გიკვირთო, – უპასუხა ღიმილით მწერალმა.

***

ერთს საზოგადოებაში ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, ვითომც ამერიკაში ერთი გაზეთი მიტკალზედ იბეჭდება. ასე რომ, გაზეთი გაზეთადაც არის გამოსადეგი და ცხივრ-სახოცადაც. ამ საზოგადოებაში იყო თავადი რაფიელ ერისთავიც.

– არ შეიძლება, სტამბის მელანმა სტრიქონები არ დააჩნიოს კაცსა, ცხვირს რომ გაზეთით მოიწმენდსო, სთქვა ერთმა.

– შენი მტერი, რაც მე საქმე დამემართებოდაო, – თქვა თავადმა ერისთავმა, – იმ გაზეთებშიაც რომ „დამაკვირდი“ იყოს, მე ცხვირი მოვიხოცო და ამოდენა ცხვირზედ უცბად გადმოიბეჭდოს „დამაკვირდიო“...

როგორ „შეეწირნენ“ ღორის „ქელეხს“ დამკვლელები

ქრისტეშობის დღესასწაულს სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები სხვადასხვანაირად აღნიშნავენ.

ჩვენთან, საქართველოში კი ჩვენებური წესი გვაქვს. სიცოცხლე უნდა მოვუსწრაფოთ ღრუტუნა წვრილჩლიქოსანს.

შობის წინა დღის ნაშუადღევია.

სტალბერ ქიშმარუას ეზოში „დამკვლელები“ შეიკრიბნენ.

იმ სოფელში ასე ყოფილა, დამკვლელთა „სპეცნაზი“ ჩამოივლის ეზო-ეზო და აიფხარკალებს საცოდავ ღრუტუნას. მერე მწვადსაც ჩაღმურძლავენ, ზედ ორნახად არაყსაც დაასხამენ „დეზინფექციიზა“ და გადავლენ სხვა ეზოში.



90-100-კილოიანი იქნებოდა სტალბერის ზაფხულიდან ნასუქები ღორი. მთავარ დამკვლელს, გვანჯი ჭიქაიას უკვე მოესწრო ორი ღორისთვის მზის დაბნელება და არყით თვალებაპრიალებული სანაწეროდ იბრიშტებოდა.

– ხოხ, რა არის კაცო ეს წრუწუნა... არაფერს აჭმევდით, მახარია?

– რასაა, რო ამბობს ეს ტვინწყალა? – იწყინა პატრონმა, – წრუწუნა კი არა გამათავა მაგის კვებამ მთელი წელია. რომ გაუშვა, ყველას შეგვჭამს, ყაჩაღი მაგი!

– გოუშვი ხელი ერთი, თუ კაცი ხარ, – არაადამიანური ხმით დაიყვირა გვანჯიმ, დასაკლავი დანა მოიმარჯვა და გაიმეორა, – გოუშვი, გოუშვი, ოღონდ საყელურზე მომაკიდებიე ხელი და მერე გოუშვი. მარტო ვეყოფი მაგას მე, არ მომეკაროს არავინ!

სტალბერი და დანარჩენები დაემორჩილნენ და განზე გადგნენ.

– ღუტუ, ღუუტუ, მორთი აშო, წიე, მორთი...

დანა დროებით საყელურში გაურჭო ღორს. ჯერ წავაქცევ და მერე მოვიშველიებო და ტორეადორივით მოზიდა ტანი. წინა და უკანა ფეხებში ჩაავლო სასმელით ძარღვებდაბერილი ხელები... ოპლაა! – დაიძახა და მოწყვეტილად მოქაჩა თავისკენ, რომ ზურგზე ამოეტრიალებინა, მაგრამ ილეთი გაუცუდდა.

გაუცუდდა კი არა, ღორმა გამოწვევა მიიღო და წაკუზულ მოძალადეს 40-კილოიანი თავი დაძგერა – ქვევიდან თუ დავიწყებთ, ზემოთ რომ ფეხები ერთდება, იმ სახიფათო „ზონაში“.

– ვაი, დედიკონა! – მოასწრო დაძახება და შუბლით შეასკდა სამწყვდევის ბოძს. ბოძს ვერაფერი დააკლო, მაგრამ ცხვირი და ულვაშები წითლად შეეღება. ამასობაში ღორმა მძიმე ძუნძულით მიაშურა სამალავს, მაგრამ ვერ იპოვა და ცოტა ხნით გაჩერდა, შეისვენა, ჰაერი დაყნოსა და გაშტერდა. იქ მყოფები, როგორც იქნა, მიხვდნენ, რაც მოხდა. თოვლის გუნდა დაფარეს სისხლიან ადგილზე გაბრუებულ კაცს, – ნუ გეშინია, ნუ გეშინიას ძახილით. მერე ოთახში შეიყვანეს და ტახტზე წამოაწვინეს დაბნეულ-დანოკაუტებული.

ისევ ღორს მოუბრუნდნენ.

– ე, ბიჭო, გამოეკიდე, იქნებ დაიჭირო, სამგლე მაგ! – თვითონ ვერ გაბედეს და შეაგულიანეს სოფლის სულელი ხუნჭუ ჭიჭაია. მაგრამ, სულელები აქეთ გამოიყვანა ეს ტრტაროზები დაკვირვებულმა სულელმა.

– ხოხ, რა კაია?! – მე გიჟი კი არ ვარ... რას გავეკიდები, დანა აქვს მაგას საყელურში და რო მშვლიპოს მუცელში, ვისთან ვუჩივლო?!

ისევ მეზობელმა დურუმ გაიმეტა თავი და ნელა მიუახლოვდა გაოცებულ ღორს, – ღუტუ-ღუტუს ჩურჩულით.

– ღუუუტუ, ღუტუუ... – ეპარება ეს დურუ, მაგრამ ნერვებმა უღალატა, ბოლო „ღუუტ“ ხმამაღლა შებღავლა, გოლკიპერივით გაუნვა და უკანა მარცხენა ფეხშიც წაავლო ხელი. მაგრამ, ღორმა წინა ფეხები გაჩაჩხა და უკანა, თავისუფალი პირდაპირ ყურის ქვეშ სთხლიშა მოწინააღმდეგეს.

ნახევარბინილოსახეული დურუ ძლივს მოასულიერეს, იმასაც თოვლით დაუმუშავეს ნატკენი ადგილი და გვანჯის ტახტის მოპირდაპირე ტახტზე წამოაწვინეს გაბრუებულ-გაბურბუსალებული.

ეზოში გუშინ დადებული თოვლი ორ-სამ ადგილას მოიჩითა სისხლით, ოღონდ არა ღორის, როგორც სავარაუდო იყო.

– დედას გიტირებ! – მოთმინებიდან გამოვიდა სტალბერი, ფაცხაფუცხით ავარდა მეორე სართულზე, ძველი „ვინტოვკა“ გამოიტანა ყოფილმა მეომარმა და აივნიდანვე ესროლა ღორს. მიზანი არ ეშლებოდა – სროლა და შუბლში ტყვიანაგლეჯი ღორი ადგილზევე ჩაიკეცა.

სტალბერი აჩქარდა, დაუცდა ფეხი კიბეზე, კიბის ხის მოაჯირი გადაანგრია და გვერდულად ჩაერჭო თოვლში. ამჯერად უსისხლოდ გადავრჩინ, სტალბერმა მხოლოდ ცერა თითი იღრძო, რომელიც მაშინვე გაუსივდა.

ორ საათში მწვადის სუნი დატრიალდა! რად გინდა, რა... ჭამის სურვილი, შნო და შესაძლებლობა არავის ჰქონდა.

... არა, ვინ მოიგონა ეს ვანდალობა... სულ, სულ პირველად ვინ დაკლა ღორი შობა დღეს?

ღრმა ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ არაფერს გვაუწყებენ.

მოამზადა
მურმან მერკვილიშვილმა

ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლულის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოგაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

ელენე კალანდაძის ორთვიანი, არანორმალური შრომა, მაყურებელთა დიდი აქტიურობის შედეგად უდიდეს წარმატებაში გადაიზარდა და ახალი წლის წინა დღეს, ისეთი ფოიერვერკით დაატყდა თავს, თვითონაც ვერ მოვიდა გონს. ელენეს ბოლო წუთამდე არ ჰქონდა გააზრებული და ვერ იჯერებდა წარმატებას, მით უმეტეს, რომ გამარჯვებულის გამოცხადებისას წამყვანებმა პატარა დაბნეულობა შექმნეს. ცრემლიანი ელენე, ზუსტად ფინალის შემდეგ, ჯერ კიდევ დაიანა როსის ვიზუალით ჩავწერე, საიდანაც ის და „ერთი ერთშის“ მთელი გუნდი შოუს წარმატებით დაგვირგვინების და ახალი წლის აღსანიშნავად წვეულებაზე მიდიოდნენ.

რაში აპირებს ელენე კალანდაძე მოგებული თანხის დახარჯვას და ვინაა მისი „ნამბარ ვან ფანი“

ელენე კალანდაძე: თავიდანვე ვამბობდი, რომ ყოველთვის მჯერა ჩემი ძალების და თუ რაღაცას მიზნად ვისახავ, მის მიღწევას გზიდან გადახვევის გარეშე ვცდილობ. ძალიან ბევრს ვშრომობ იმისთვის, რომ არჩეული გზით მიზნამდე მივიდე. თან, ისეთი პროფესიაა, სხვა ადამიანების წინაშეც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას რომ გრძნობ. შენი შრომით უნდა აჩვენო ხალხს, რომ მათ იმედებს ამართლებ. დასაწყისშივე მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ ფინალში ვიქნებოდი. ვხედავდი საკუთარ თავს ფინალში, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, პირველ ადგილს ვერ ვუმიზნებდი...

– რაზეც ახლა ლაპარაკი არ გინდა?

– მიზეზი ძალიან მარტივია – ესემესები, რომლის შეჯამების შედეგად, მქონდა შიში და სიფრთხილის საფუძველი. ისეთი ცნობილი სახე არ ვარ, როგორიც ვთქვათ, ანრი, დათო გომართელი. ამაზე საშინლად ვნერვიულობდი, მაგრამ ამ პროექტმა იმხელა სითბო გამოუშვა ჩემკენ, იმდენი ზარი და ესემესი შემოდიოდა ჩემს ტელეფონზე, იმდენი წერილი მხვდებოდა სოციალურ ქსელში, რომ მივხვდი, უამრავი ადამიანის სიყვარული დავიმსახურე. ეს ადამიანები ჩემგან ღალატს არ იმსახურებდნენ. ამიტომ, მოშვების უფლება არ მქონდა. ყველა მწერდა, გამარჯვება შენი უნდა იყოსო. ეს იცით, რამხელა ძალა და სტიმულია ჩემთვის?! ჩემთვის ყველაზე პირველი და მნიშვნელოვანი ხალხის სიყვარულია და ეს ის შემთხვევაა, როცა ხალხის სიყვარულს ფულით ვერ იყიდი. ძალიან მიხარია, რომ ხალხის რჩეული გავხდი.

– თავიდან იყო პატარა დაბნეულობა. ვერ მივხვდი ვინ გახდა გამარჯვებული...

– კი, მეც დავიბენი. დათო მეგონა და მართლა გულით გამიხარდა. ჩვენთვის, ფინალისტებისთვის, უკვე ყველა ადგილი ძალიან კარგი იყო და გამარჯვებას ნიშნავდა. მზად ვიყავი მეოთხე, მესამე და მეორე ადგილისთვის. პირველობისთვის, მთლად ასე მზადყოფნაშიც არ ვიყავი. უამრავი უცხო ადამიანი მგულშემატკივრობდა...

– და ბავშვების დიდი ჯარი.

– კი, ჩემი ბავშვები „თინ ქლაბის“ სტუდიიდან. ყველა ბავშვს, ნაცნობსა და უცნობს, ძალიან დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო. სიტყვები არ მყოფნის, მათი ისეთი მადლიერი ვარ. როგორ და რანაირად გადავუხადო ამ გვერდში დგომისა და ამხელა ნდობისთვის, არ ვიცი.

– მათ შენი გულწრფელობა შეიყვარეს.

– არ ვიცი, შეიძლება. გულწრფელობა, შრომა და ალბათ, კიდევ ბევრი მიზეზი. მეც, მაყურებლის ადგილზე, ამოვირჩევდი არა იმის მიხედვით, ვინაა ჩემი მეგობარი, არამედ იმით, ვინც მეტს შრომობს, ვინც ყველაფერს დებს თავის საქმეში. მინდა ვთქვა, რომ სასწაული გოგოა ნუცა, ახალბედა მომღერალი და უკვე ნამდვილი ვარსკვლავი. მას ხალხი არ იცნობდა და ეს მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. მაგრამ, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან მის ასაკში ეს ძალიან დიდი წარმატებაა – წინ დიდი გზა აქვს. მაგარი გოგოა და გულით ვგულშემატკივრობ მას ცხოვრების გზაზე.

არ ვიცი, ხალხო, ეს რა გამიკეთეთ, რა დღეში ჩამაგდეთ, რა ბედნიერება მაჩუქეთ. ამას ჰქვია ძალა ერთობაშია

– იცოდით პრიზის მოცულობა?

– მოცულობა ვიცოდი, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ეს პრიზი ჩემი იქნებოდა. ვგიჟდები, ახლა კი ისე წყნარად გელაპარაკები, თითქოს აქ არაფერი. წავალ სახლში, გამოვიცვლი, გრიმს მოვიშორებ, წვეულების შემდეგ დავწვები და დავიძინებ – თითქოს აქაც არაფერი. არადა, რომ იცოდეთ, შიგნით რა ხდება?! მთლიანად ვარ ადუღებული, ემოციებს ძლივს ვიკავებ. იმ მომენტზე გიყვებოდით, როცა თორნიკემ უცებ თქვა, გამარჯვებული ელენე კალანდაძეაო – ძლივს გადავხარშე რა მოხდა. მეორე ეკრანს გავხედე და უმცირესი სხვაობით დავინახე, რომ უფრო მეტი პროცენტი ეწერა. არ ვიცი, ხალხო, ეს რა გამიკეთეთ, რა დღეში ჩამაგდეთ, რა ბედნიერება მაჩუქეთ. ამას ჰქვია ძალა ერთობაშია...

– ახალი წელი რომ მოდის, ახლა ხვდები არა?

– ამწუთას არის ჩემთვის ახალი წელი. ასეთი რამ, არ ვიცი, ალბათ, ცხოვრებაში ერთხელ ხდება.

– რაში აპირებ, რომ ეს თანხა გამოიყენო?

– არ ვიცი, ნამდვილად არ მიფიქრია ამაზე. ბევრი სურვილი და გეგმა მაქვს, რომლის სახალხოდ თქმა არ მიყვარს და არც ვაპირებ. ამ წამს იმის გაცნობიერებაც კი მიჭირს, რომ ეს თანხა მაქვს. ამიტომ, ცოტას ვიფიქრებ.

– ვინ იყო შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?

– ასე, კონკრეტულად, ვერ ვიტყვი...

– მგონი, შენი და ყველაზე მეტად ნერვიულობდა.

– ჩემი და – ანი, ჩემი „ნამბარ ვან ფანია.“ მას არც ვეხები, რადგან განსაკუთრებული მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში. მისი დაბადებიდან დაიწყო ბედნიერება ჩემთვის. ცოტა ხნის წინ მოვიდა და მითხრა: ელე, იცი, როგორ ვიტირეო. ოჯახს, სამეგობრო წრეს, უარმავ ადამიანს, ვინც ჩემ გარშემო ტრიალებს და ძალიან ბევრ უცნობს, ყველას დიდ მადლობას ვუხდი: თქვენ ხომ ასე გწამთ და გჯერათ ჩემი. ჩემში თავდაჯერებულობას და რწმენას რომ ხედავდნენ, მერე კიდევ უფრო მაწვებოდნენ, კიდევ უფრო მეტს ითხოვდნენ და არაფრით მაძლევენ მოდუნების საშუალებას.

– წარმოგიდგენია, რომ ხვალ ეს კონკურსი დამთავრებული იქნება?

– აი, ამაზე მწყდება ყველაზე მეტად გული. პროექტი დასასრულს უახლოვდებოდა და ამაზე ძალიან ხშირად ვფიქრობდი და ვლაპარაკობდი. ჩვენ მივხვდით, რას ნიშნავს მუშაობა მაღალ დონეზე, უდიდეს პროფესიონალებთან, ვარჯიში. ყოველდღე, ამ ორი თვის განმავლობაში, დილიდან საღამომდე აქ ვიყავი, ტელევიზიაში ვცხოვრობდი, ერთადერთი, ლოგინი არ მქონდა აქ ჩემი *(იცინის)*. ძალიან მაგარი გუნდი იყო – მონაწილეებით დაწყებული, GDS-ის ყველა თანამშრომლით დამთავრებული. ძალიან მიყვარხართ და იცოდეთ, ეს ჩემი ცხოვრებიდან არასდროს წაიშლება. ეს არის ისეთი სიხარული, რომელიც შეიძლება, ადამიანმა ბევრი წელი იცხოვროს და ერთხელაც ვერ განიცადოს. მიყვარხართ და გეფერებით, გილოცავთ ყველას ახალ წელს!

სალომე გველესიანი



გვ. 19

რის გამო დადგა ნუცა შანშიაშვილისთვის განსაკუთრებულად ბედნიერი შობა-ახალი წელიწადი და რატომ შეხვდა ის ამ წელს კასტილიის მთებში

გვ. 74

რატომ შეხვდა წელს პირველად ახალ წელს ბრენდონ სტოუნი ოჯახის წევრებთან ერთად და ვინ მიიპატიჟა ის სამთავროზო დონეზე მოსკოვსა და ინდონეზიაში

რატომ არ ელოდება ახალ წელს არასდროს ჯანეტ ქერდიყოშვილის თოვლის ბაბუა და ვისგან მიიღო მან ყველაზე მნიშვნელოვანი შემოთავაზება

გვ. 22

ISSN 3987-5690X

9 771987 569002

თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და ... ული ბადახში

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათ... №1(679) • 6-12 იანვარი • ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge